საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

ადამიანის უფლებები მსოფლიოში

AMNESTY INTERNATIONAL

საერთაშორისო ამნისტია

„საერთაშორისო ამნისტია“ გლობალური მოძრაობაა, რომელიც შვიდ მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. ჩვენ მსოფლიოში ადამიანის უფლებების გასავრცელებლად ვიბრძვით. ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ჩვენ უკლებლივ ყველა ხელისუფლების, პოლიტიკური იდეოლოგიის, ეკონომიკური ინტერესისა თუ რელიგიის გავლენისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართ. ჩვენი დაფინანსების მთავარ წყაროს მოქალაქეებისა და ჩვენი წევრების შემოწირულობები შეადგენს.

პირველად გამოქვეყნებულია 2018 წელს შპს საერთაშორისო ამნისტიის მიერ

პიტერ ბენენსონ ჰაუს

ისტონ სთრით, 1

ლონდონი, WC1X 0DW

გაერთიანებული სამეფო

© საერთაშორისო ამნისტია 2018

ინდექსი: POL 10/6700/2018

ISBN: 978-0-86210-499-3

ამ წიგნის კატალოგური ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბრიტანულ ბიბლიოთეკაში (the British Library).

ანგარიშის თავდაპირველი ენა: ინგლისური

გარდა მითითებული შემთხვევებისა, ამ დოკუმენტში შემავალი ინფორმაცია დაცულია CreativeCommons-ის ლიცენზია 4.0-ით (წყაროს მითითების ვალდებულება, არაკომერციული მიზნით გამოყენების შესაძლებლობა, გადამუშავების დაუშვებლობა): https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/legalcode

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს და იხილოთ ნებართვების სექცია: www.amnesty.org

amnesty.org

ეს ანგარიში 2017 წლის განმავლობაში „საერთაშორისო ამნისტიის“ მუშაობასა და მოსაზრებებს ასახავს.

ამ ანგარიშში კონკრეტული ქვეყნისა თუ ტერიტორიის შესახებ ინფორმაციის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ამნისტიის აზრით, იქ წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ანგარიშში მოცემული თავების სიგრძე არ წარმოადგენს ქვეყნების შედარების საფუძველს და არ ასახავს „საერთაშორისო ამნისტიის“ წუხილების ოდენობასა თუ სიმწვავეს კონკრეტულ ქვეყანაში.

საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

ადამიანის უფლებები მსოფლიოში

სარჩევი საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

წინასიტყვაობა 8
აზიისა და ოკეანეთის რეგიონული
მიმოხილვა 12
ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკების
რეგიონული მიმოხილვა 24
აფრიკის რეგიონული მიმოხილვა 36
ევროპისა და ცენტრალური აზიის
რეგონული მიმოხილვა 48
ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ
აფრიკის რეგიონული მიმოხილვა 59
ავღანეთი 72
აზერბაიჯანი 77
ამერიკის შეერთებული შტატები 80
ესპანეთი 86
თურქეთი 90
ირანი 97
ისრაელი და ოკუპირებული პალესტინის
ტერიტორიები 104
მიანმარი 110
პოლონეთი 116
რუსეთის ფედერაცია 119
საფრანგეთი 126
საქართველო 129
სირია 131
სომხეთი 137
უკრაინა 139
უნგრეთი 144
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 147

საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

წინასიტყვაობა და რეგიონული მიმოხილვები

წინასიტყვაობა

„2018 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 70 წლის გახდება. ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ჯერ კიდევ ბევრი უკლია.“

სალილ შეტი, გენერალური მდივანი

2017 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მილიონობით ადამიანმა დემონიზების მზარდი პოლიტიკის მწარე ნაყოფი იგემა. ამ პოლიტიკას უკიდურესი ფორმა მიანმარში მიეცა, როჰინჯას უმცირესობის ეთნიკური წმენდის საზარელი სამხედრო კამპანიის სახით. სულ რაღაც რამდენიმე კვირის განმავლობაში მიანმარიდან 620 ათასამდე ადამიანი მეზობელ ბანგლადეშში გაიქცა, რის გამოც წლის ყველაზე სწრაფად მზარდი ლტოლვილთა კრიზისი სწორედ როჰინჯა ხალხის დევნას უკავშირდება. 2017 წლის ბოლოს ამ ადამიანების ბედი კვლავ გაურკვეველი იყო და ოპტიმიზმის მიზეზს თითქმის არ ტოვებდა მსოფლიო ლიდერების უუნარობა, კრიზისისთვის ქმედითი პასუხი გაეცათ და ლტოლვილების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეალური გამოსავალი მოეძებნათ.

ეს ეპიზოდი ისტორიაში შევა, როგორც კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იმისა, თუ რა კატასტროფულად სუსტია მსოფლიო იმ მიზეზების პირისპირ, რომლებიც სასტიკი მასობრივი დანაშაულებისათვის მყიფე ნიადაგს ქმნიან. მიანმარის კრიზისის გამაფრთხილებელი ნიშნები დიდი ხანია არსებობს: მასობრივი დისკრიმინაცია და სეგრეგაცია არსებული რეჟიმის პირობებში იმ დოზით არის ნორმალიზებული, რომ აპარტეიდი დაერქვას. როჰინჯას მიკუთვნებული ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ დემონიზებულნი და ღირსეულად ცხოვრების საბაზისო პირობების გარეშე დარჩენილნი. დისკრიმინაციისა და დემონიზების მასობრივ ძალადობად გარდაქმნა ტრაგიკულად ნაცნობი მოვლენაა და მისი დამანგრეველი შედეგების გამოსწორება ძალიან ძნელია.

როჰინჯას მიმართ ჩადენილი დანაშაულები განსაკუთრებით აშკარა იყო 2017 წელს, თუმცა ლიდერებისა და პოლიტიკოსების მიერ სხვადასხვა ჯგუფების მათი იდენტობის ნიადაგზე დემონიზება მთელ მსოფლიოში ხდებოდა. გასულმა წელმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა შეიძლება მოხდეს და რამდენად დიდი დარტყმა შეიძლება მიადგეს ადამიანის უფლებებს, როდესაც დემონიზების პოლიტიკა მეინსტრიმული ხდება.

2018 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 70 წლის გახდება. ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ნამდვილად არ შეგვიძლია იმის გარანტირებულად მიღება, რომ ჩვენი მთავრობების გასაკრიტიკებლად შეკრება თავისუფლად შეგვეძლება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ როცა მოვხუცდებით და მუშაობა არ შეგვეძლება, სოციალურად დაცულები ვიქნებით; ან რომ ჩვენი შვილები გაიზრდებიან ქალაქებში, სადაც სუფთა ჰაერის სუნთქვა შეეძლებათ; ან რომ ახალგაზრდა ადამიანები განათლების დასრულების შემდეგ სამსახურს იპოვიან და სახლის ყიდვის შესაძლებლობა მიეცემათ.

ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა არასდროს არის გადაჭრით დასრულებული არც ერთ ადგილას და დროის არც ერთ მონაკვეთში. ბრძოლის ფრონტი მუდმივად იცვლება,

რაც კმაყოფილების შესაძლებლობას არ იძლევა; ადამიანის უფლებების ისტორიაში ეს ასე ცხადი ალბათ არასოდეს ყოფილა. და მაინც, მთელი მსოფლიოს გარშემო არსებულ უპრეცედენტო გამოწვევებთან გამკლავებისას ადამიანები სამართლიანობის, ღირსებისა და თანასწორობის უშრეტ წყურვილს ავლენდნენ; ამ ბრძოლაში ეს ადამიანები ახალ და თამამ ხერხებს იყენებდნენ, რაც ხშირად ძვირად უჯდებოდათ. 2017 წელს ღირებულებების გლობალურმა ომმა ახალ მასშტაბებს მიაღწია.

იმ ძირითადი ღირებულებების შელახვამ, რომელთაც ადამიანის უფლებები ეფუძნება – და რომლებიც ადამიანთა ღირსებასა და თანასწორობას აღიარებს – განუზომლად დიდი პროპორციები მიიღო. კონფლიქტები, რომელთაც შესაძლებელს იარაღით საერთაშორისო ვაჭრობა ხდიდა, მშვიდობიანი მოქალაქეების კატაკლიზმური მსხვერპლის ფასად ჯდებოდა. რიგ შემთხვევებში, მსოფლიოში მიმდინარე მრავალი კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მათი ვალდებულებაც კი უგულვებელყვეს – იქნება ეს საუდის არაბეთის ბლოკადით გაუარესებული იემენის ჰუმანიტარული კატასტროფა, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ერაყსა და სირიაში ცოცხალ ფარად გამოყენებული მშვიდობიანი მოქალაქეების განურჩეველი ხოცვა სამთავრობო თუ საერთაშორისო ძალების მიერ, თუ საერთაშორისო დანაშაულების გამო სამხრეთ სუდანიდან ლტოლვილთა მასიური გადინება.

გლობალური ლტოლვილთა კრიზისის საპასუხოდ, მდიდარი ქვეყნების ლიდერებმა პრობლემის თავიდან არიდებისა და უგულო დამოკიდებულების გამოვლენა განაგრძეს. ისინი უდგებოდნენ ლტოლვილებს არა როგორც უფლებებით აღჭურვილ ადამიანებს, არამედ – როგორც არასასურველ პრობლემებს. რამდენიმე მუსლიმური ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის აშშ-ში შესვლის აკრძალვის თაობაზე აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მცდელობები ღიად იყო სიძულვილით მოტივირებული. ევროპელი ლიდერების უმეტესობას არ სურდა მიგრაციის უსაფრთხოდ და სამართლებრივად რეგულირების დიდ გამოწვევას შეჭიდებოდა. მათ გადაწყვიტეს, რომ კონტინენტის სანაპიროსთან ლტოლვილების მოახლოვების შესაზღუდად დაუშვებელი, პრაქტიკულად, არაფერია. ამ მიდგომის სავალალო შედეგები ლიბიაში გამოჩნდა, სადაც ლტოლვილთა უფლებები გამაოგნებელი დონით ილახებოდა, რის შესახებ ევროპელ ლიდერებსაც სრული ინფორმაცია ჰქონდათ.

ევროპისა და აფრიკის ნაწილებში გამართული მნიშვნელოვანი არჩევნები სიძულვილისა და შიშის რიტორიკის პირობებში მიმდინარეობდა. ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში ზოგიერთმა კანდიდატმა სოციალური და ეკონომიკური მღელვარებები შიშის გასაღვივებლად გამოიყენა, რისი სამიზნეც მიგრანტები, ლტოლვილები და რელიგიური უმცირესობები იყვნენ. კენიაში აგვისტოსა და ოქტომბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს თან შევიწროება და ძალადობა ახლდა, მათ შორის – ეთნიკური ნიშნით.

და მაინც, 2017-მა წელმა საკუთარი უფლებებისა და იდეალებისათვის ადამიანების ბრძოლის განსაკუთრებული სურვილი წარმოაჩინა. ახალ-ახალი და მძიმე დარტყმები ამ პროტესტის სულს სუფთა ჟანგბადს ჰბერავდა. პოლონეთში დამოუკიდებელ სასამართლოზე ზეწოლამ ბევრი ადამიანი გამოიყვანა ქუჩებში. ნოემბერში ზიმბაბვეში ათობით ათასი ადამიანის მსვლელობა გაიმართა, რამაც ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ათწლეულების ბრძოლა დააგვირგვინა და სადაც ხალხის ნების გამოსახატად 2018 წელს თავისუფალი არჩევნები იქნა მოთხოვნილი. ინდოეთში მზარდმა ისლამოფობიამ და მუსლიმთა და დალითთა ლინჩის წესით გასამართლებამ აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, სადაც ხალხმა თქვა: „არა ჩემი სახელით“. ქალთა ფართომასშტაბიანი მსვლელობა, რომელიც აშშ-ში დაიწყო, მაგრამ პარალელურად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაიმართა, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია იყო. მსოფლიოს ყველა კუთხეში კამპანიამ #MeToo (სიტყვასიტვით: „მეც“) სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის საზარელი მასშტაბები სააშკარაოზე გამოიტანა.

მიუხედავად ამისა, ადამიანებს უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება უფრო და უფრო ძვირად უჯდებათ. თურქეთში სამოქალაქო საზოგადოებაზე სასტიკი და უსამართლო დარტყმები 2016 წელს არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ გააფთრებული ტემპით გაგრძელდა, რასაც, ათასობით სხვა პირს შორის, საერთაშორისო ამნისტიის თურქეთის წარმომადგენლობის დირექტორიც დაკავებაც მოჰყვა. „ეროვნული უსაფრთხოების" სახელით ჩინეთმა მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ ინდივიდებსა და ორგანიზაციებზე უპრეცენდენტო ზეწოლა დაიწყო. რუსეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებისას ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი, გამვლელი და ჟურნალისტი დააკავეს, რომელთა შორის ბევრიც არასათანადო მოპყრობას, უსამართლო დაკავებასა და, დარღვევებით წარმართული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მძიმე ჯარიმებს დაექვემდებარა. აფრიკის დიდ ნაწილში საჯარო გამოსვლებისადმი შეუმწყნარებელმა მიდგომამ საგანგაშო სახე მიიღო, ანგოლასა და ჩადში დაუსაბუთებელი აკრძალვებით დაწყებული კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სიერა ლეონეში, ტოგოსა და უგანდაში ძალადობრივი ზეწოლით დამთავრებული. ვენესუელაში სამართალდამცავებმა გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს დემონსტრანტების მიმართ და დაუსაბუთებელი ბრალდებებით ასობით ადამიანი დააკავეს, რომლებიც ქუჩაში ინფლაციის ზრდისა და საკვებისა და სამედიცინო საშუალებების უკმარისობის გასაპროტესტებლად იყვნენ გამოსული. ეგვიპტეში ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციების ქონება დაყადაღა და დრაკონული კანონები აამოქმედა, რამაც მთავრობის ნებართვის გარეშე კვლევების გამოქვეყნებისათვის ხუთწლიანი სასჯელი დააწესა და ჟურნალისტებსა და ასობით პოლიტიკურ ოპონენტს პატიმრობა მიუსაჯა. წლის მიწურულს ირანში ანტისამთავრობო დემონსტრაციები დაიწყო, რისი მსგავსიც 2009 წლის შემდეგ არ ყოფილა. გავრცელებული ინფორმაციით, უსაფრთხოების ძალებმა შეუიარაღებელი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი და ჭარბი ძალა გამოიყენეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ასობით პირი დააკავეს და პატიმრობა იმ ციხეებში მიუსაჯეს, რომლებიც წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობით არის ცნობილი.

გაეროს მიერ კონსენსუსით მიღებული ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ დეკლარაცია 2018 წელს 20 წლის გახდება. დეკლარაციით ყველა იმ პირის დაცვა და მხარდაჭერა არის უბრუნველყოფილი, რომელიც ადამიანის უფლებების დასაცავად ხმას აიმაღლებს. და მაინც, ორი ათწლეულის შემდეგ, ის ადამიანები, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ, ხშირად ძალიან მძიმე შედეგების წინაშე დგებიან. 2017 წელს ნობელის პრიზის ლაურეატის ლიუ სიაობოს ტრაგიკული დაღუბვა ჩინეთში იმ უპატივცემულობის სიმბოლური იყო, რასაც უფლებადამცველების მიმართ ძალიან ბევრი ქვეყანა ავლენს. მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხელისუფლებამ მას მკურნალობაზე უარი განუცხადა, პატიმრობაში მყოფი სიაობო 13 ივლისს ღვიძლის სიმსივნით გარდაიცვალა.

ამასობაში მთავრობები, რომლებიც სახელმწიფო ძალასა და ინდივიდუალურ თავისუფლებებს შორის ბალანსის რეკონფიგურაციას ცდილობდნენ, გამართლებას ეროვნული უსაფრთხოებისა და ანტიტერორისტულ ნარატივებში პოულობდნენ. სახელმწიფოებს მოქალაქეების ძალადობრივი ტერორისტული აქტებისგან დაცვის ცალსახა ვალდებულება აქვთ, თუმცა ისინი ამის მიღწევას ადამიანის უფლებების ხარჯზე, ვიდრე – მათი უფლებებისთვის, აგრძელებდნენ. ევროპამ უსაფრთხოების თითქმის მუდმივი რეჟიმის გზით განაგრძო სვლა. მაგალითად, ნოემბერში საფრანგეთმა საგანგებო მდგომარეობა გააუქმა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი ანტიტერორისტული კანონი მიიღო, რითიც საგანგებო რეჟიმის დამახასიათებელი მრავალი დებულება რიგით კანონად იქცა.

და მაინც, ადამიანის უფლებების ამ შეზღუდვების სიმძიმის მიუხედავად,ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის სახელით მიმდინარე გლობალური ბრძოლა მოითხოვს, წინ იმ ნებისმიერ მოცემულობას აღვუდგეთ, სადაც რეპრესიული ხელისუფლება ხალხის ძალაუფლებას უპირისპირდება. დღევანდელი საჯარო სივრცეები ხშირად

პოლარიზებულია და უკიდურეს მხარეს შორის არის გახლეჩილი. მართალია, ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები, სადაც აქციების მონაწილეები ადამიანის უფლებების დაცვას ითხოვდნენ, პოლონეთსაც და აშშ-საც უნახავს, თუმცა ვარშავაში ჩატარებული ფაშისტური მარშისას და შარლოტსვილში გამართული თეთრკანიანების აღმატებულების იდეის მომხრეების მსვლელობისას ადამიანის უფლებების შელახვის პოლიტიკის გატარების მოთხოვნები გაჟღერდა. ისეთ ძალადობრივ პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომლებიც კონკრეტული ჯგუფების უფლებებს უარყოფს, მხარს ბევრ ქვეყანაში უჭერდნენ.

დღესდღეობით ჩვენთვის მნიშვნელოვანი ბევრი საჯარო სივრცე თავს ინტერნეტში იყრის, სადაც მომავალ გამოწვევებთან შეჭიდება ხშირად არაადეკვატურად მიმდინარეობს. ონლაინ ბულინგს, განსაკუთრებით – ქალების წინააღმდეგ, და უმცირესობებისადმი სიძულვილის გაღვივებას სოციალური მედიის კომპანიებისგან არათანმიმდევრული პასუხები, ხოლო მთავრობებისგან არასაკმარისი ქმედებები მოჰყვებოდა. 2017 წლის განმავლობაში ე.წ. „ცრუ მედიის" (fake news), როგორც საჯარო აზრზე მანიპულირების იარაღის, გავლენა ფართოდ განიხილებოდა. რეალობასა და შეთხზულ ამბავს შორის სხვაობის გასაბუნდოვანებლად ტექნოლოგიური შესაძლებლობები მომავალში ალბათ უფრო თუ გაიზრდება, რაც ადამიანების ინფორმაციაზე ხელმისავდომობასთან დაკავშირებით შეკითხვებს აჩენს. მთავარი წუხილები ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე კონტროლს და ამ კონტროლის რამდენიმე კომპანიის ხელთ უკიდურეს კონცენტრირებას უკავშირდება. გარდა ამისა, დღეისათვის პირად მონაცემებზე წვდომა კერძო პირებს, კომპანიებსა და მთავრობებს შორის დიდი ძალაუფლებრივი ასიმეტრიით ხასიათდება. მონაცემებზე წვდომასა და ინფორმაციის კონტროლს კი ის შესაძლებლობები უკავშირდება, რაც საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაზე ზეგავლენის მოხდენას ხდის შესაძლებელს, მათ შორის – თითქმის უკონტროლოდ სიძულვილისა და ძალადობის გაღვივებას.

ვუახლოვდებით რა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 70-ე წლისთავს, რომელიც 2018 წლის დეკემბერში აღინიშნება, წინ მდგარი გამოწვევა ნათელია. ეს ადამიანების თანასწორობისა და ღირსების აღსადგენად მნიშვნელოვანი მომენტია. ამ ფასეულობების გაფრთხილება და მათი პოლიტიკის შემუშავებისას და პრაქტიკაში დანერგვის მოთხოვნა მნიშვნელოვანია ისე, როგორც არასდროს. დემონიზების პოლიტიკის მიერ გაჩენილი ხელოვნური ბარიერები მხოლოდ კონფლიქტამდე და სისასტიკემდე მიგვიყვანს; კოშმარულ ხედვამდე, სადაც ადამიანების მოდგმას ცარიელი ეგოიზმი და სხვა ადამიანების გასაჭირისადმი სიბრმავე მართავს. ამგვარი სიბოროტის მქადაგებლებს დღის წესრიგის დადგენის შესაძლებლობა მსოფლიოს მეტისმეტად ბევრმა ლიდერმა მისცა, ვერ შეძლო რა ალტერნატიული ხედვის ჩამოყალიბება.

ცვლილების დროა. დემონიზების ნარატივების უარყოფის და სოლიდარობის კულტურის აშენება გვმართებს. ადამიანების მიმართ სიკეთის ჩადენის უნარი უნდა გავაღვივოთ. მტკიცედ უნდა დავიცვათ ყველა ადამიანის უფლება, იმ საზოგადოების შენებაში მიიღოს მონაწილეობა, რომელსაც თავად ეკუთვნის. იმ ბრაზსა და გაუცხოებას, რომლებიც ურთიერთბრალდებების საშიშ პოლიტიკურ ნარატივებს უქმნის საფუძველს, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დამყარებული კონსტრუქციული პასუხები უნდა დავუპირისპიროთ.

ვიაზრებთ რა იმას, თუ რა სახის საზოგადოებაში გვსურს ცხოვრება, დამდეგი წელი ადამიანის უფლებების ტრანსფორმაციული იდეისადმი ვალდებულების გასაახლებლად სასიცოცხლო მნიშვნელობის შესაძლებლობას წარმოადგენს. ამ შესაძლებლობის გაფლანგვა არ იქნება.

აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონული მიმოხილვა

აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უმთავრესად მთავრობების ჩავარდნებით ხასიათდებოდა. სამაგიეროდ, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და აქტივისტების ტალღის ზრდა შთამბეჭდავი და შთამაგონებელი იყო. სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო სივრცე ბევრ ქვეყანაში შეიზღუდა. ადამიანის უფლებათა დამცველები, იურისტები, ჟურნალისტები და აქტივისტები ხშირად სახელმწიფო რეპრესიების სამიზნეები ხდებოდნენ – ჩინეთის გამოხატვის თავისუფლების უპრეცედენტო შეზღუდვებით დაწყებული, კამბოჯასა და ტაილანდში განსხვავებული აზრის მქონე პირების შეუმწყნარებლობით გაგრძელებული და ბანგლადეშსა და პაკისტანში გაუჩინარებებით დამთავრებული. დაუსჯელობა ფართოდ იყო გავრცელებული: სასამართლოსგარეშე მკვლელობებისა და წამების შემთხვევები კვლავ მრავლად იყო, მილიონობით ადამიანს სამართლიანობის აღდგენასა და რეპარაციების მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ და კაცობრიობის წინაშე დანაშაულები და ომის დანაშაულები მიანმარსა და ავღანეთში წახალისებული იყო. ლტოლვილთა მსოფლიო კრიზისი კიდევ უფრო ღრმა ჩიხში შევიდა. რეგიონში მცხოვრები ასობით ათასი ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლი ისე დაეტოვებინა, რომ გაურკვეველი და ხშირად ძალადობრივი მომავალი ელოდა წინ. მათი რაოდენობის დიდ ნაწილს რაკჰაინის პროვინციაში მიანმარის სამხედრო დანაშაულებს გაქცეული როჰინჯას უმცირესობას მიკუთვნებული პირები წარმოადგენდნენ; რაკჰაინში მიანმარის ხელისუფლება როჰინჯას უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებს წვავდა, ზრდასრულებსა და ბავშვებს კლავდა და ქალებსა და გოგონებს აუპატიურებდა. მასობრივმა დანაშაულებმა 655 ათასზე მეტ როჰინჯას ბანგლადეშში გაქცევა აიძულა. მიანმარში დარჩენილები აპარტეიდის ფაქტობრივი რეჟიმის დისკრიმინაციულ პირობებში ცხოვრობენ, სადაც მათი ცხოვრების ყველა ასპექტი შეზღუდული იყო და დანარჩენი საზოგადოებისგან სეგრეგირებულნი იყვნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN), რომელსაც 2017 წელს ფილიპინები ხელმძღვანელობდა, 50 წლის გახდა. ASEAN-ის წევრი ქვეყნები და ინსტიტუტები ფილიპინებში, მიანმარსა და რეგიონის სხვა ნაწილებში მიმდინარე მასობრივ დარღვევებზე დუმდნენ. ამ მძიმე ფონის მიუხედავად, მოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დაცვაზე მოთხოვნებს გარკვეული პროგრესი მოჰქონდა და იმედს იძლეოდა. წინსვლა იყო კორეის რესპუბლიკაში (სამხრეთ კორეა) პოლიციის მუშაობისა და კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით; ტაივანში – ქორწინების თანასწორობის საკითხში; ხოლო ინდოეთში – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კუთხით.

აღმოსავლეთი აზია

იაპონიის, მონღოლეთისა და სამხრეთ კორეის ხელისუფლებებმა ადამიანის უფლებათა დამცველების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს. უფლებადამცველები ხელისუფლების განსაკუთრებული სამიზნეები ჩინეთში იყვნენ, სადაც ისინი ხშირად იდევნებოდნენ. სამოქალაქო საზოგადოების მოქმედების სფეროს შეზღუდვა განსაკუთრებით აშკარა სწორედ ჩინეთში იყო და წუხილის მიზეზს იძლეოდა ჰონგ კონგსა და იაპონიაში.

სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების მხრიდან კრიტიკის მიუხედავად, იაპონიის პარლამენტმა ტერორიზმსა და სხვა დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით ძალიან ზოგადი კანონი მიიღო, რამაც ადამიანის უფლებათა დაცვა შეასუსტა. კანონი ხელისუფლებას თვალთვალისა და მიყურადების ვრცელ უფლებამოსილებას ანიჭებდა, რაც ადამიანის უფლებათა შეზღუდვის რისკებს ქმნის.

სამხრეთ კორეის ახალმა ხელისუფლებამ წესრიგის დაცვის თაობაზე რეკომენდაციები გაიზიარა და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად ეროვნული პოლიციის მიდგომები შეცვალა. ასევე, სამხრეთ კორეაში, სადაც სამხედრო სამსახურზე მორალური მიზეზებით უარის თქმის გამო ასობით პირი იხდიდა სასჯელს, სასამართლოებმა ასეთი პირების გამამართლებელი გადაწყვეტილებების გამოტანა დაიწყეს. გარდა ამისა, სამხრეთ კორეის სასამართლოებმა მულტინაციონალურ კორპორაციებს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გარდაცვალებისა და ჯანმრთელობის დაზიანებებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა.

პრეზიდენტ სი ძინპინის მიერ ჩინეთის ყველაზე ძლიერ ლიდერად შერაცხვა გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის შეზღუდვების ფონზე მოხდა. ხელისუფლება ადამიანის უფლებების შეზღუდვისას და აქტივისტების დაკავებისას „ეროვნული უსაფრთხოების" ინტერესებს კიდევ უფრო ხშირად იმიზეზებდა. ამ ტაქტიკამ მოვლენების განსაკუთრებული ესკალაცია სინძიანის უიღურთა ავტონომიურ რეგიონში (XUAR) გამოიწვია, სადაც ახალი რეგიონული კომუნისტური პარტიის მდივნის ჩენ ციუანგოს ლიდერობით, ხელისუფლებამ აქცენტი „სოციალურ სტაბილურობაზე" გააკეთა და თვალთვალი გაზარდა, ქუჩის პატრულები შეიარაღებით აღჭურვა, უსაფრთხოების ახალი საგუშაგოები შექმნა და მთელი რიგი ადამიანის უფლებების შემლახავი ღონისძიებები გაატარა. ხელისუფლებამ XUAR-ში საპატიმრო დაწესებულებები მოაწყო, სადაც ადამიანებს უსაფუძვლოდ და განუსაზღვრელი ვადით აკავებდნენ და ჩინეთის კანონებისა და წესების სწავლას აიძულებდნენ. ხელისუფლება ამ საპატიმროებს „კონტრექსტრემისტულ ცენტრებს", „პოლიტიკურ ცენტრებს" ან „განათლებისა და ტრანსფორმაციის ცენტრებს" უწოდებდა.

ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის (ჩრდილოეთ კორეა) მოქალაქეები ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების მსხვერპლნი იყვნენ, რომელთა შორის ზოგიც კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ტოლფასი იყო. გამოხატვისა და გადაადგილების თავისუფლებები უკიდურესად შეზღუდული იყო და 120 ათასამდე ადამიანი პოლიტიკურ პატიმართა ბანაკებში იყო დაკავებული, სადაც იძულებით შრომას, წამებასა და სხვა სასტიკ სასჯელებს უსჯიდნენ.

უფლებადამცველები

ჩინეთის ხელისუფლება განსხვავებული აზრის ჩახშობას ადამიანის უფლებათა სამართლის იურისტებისა და აქტივისტების უსაფუძვლო დაკავებების, პატიმრობის შეფარდების, წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის უმოწყალო კამპანიის გზით აგრძელებდა. ხელისუფლება „განსაზღვრულ ადგილას საცხოვრებელი თვალთვალის" მეთოდს (საიდუმლო განმარტოებითი პატიმრობის ფორმა, რომელიც პოლიციას ფორმალური პატიმრობის გარეშე მოქალაქეების ექვს თვემდე დაკავების შესაძლებლობას აძლევს) აქტიურად იყენებდა, რითიც ეჭვმიტანილების წამებისა და

სასტიკად მოპყრობის რისკებს ქმნიდა. დაკავების ეს ფორმა აქტივისტებისა და უფლებადამცველების მოქმედებების შესაზღუდად გამოიყენებოდა.

ხელისუფლება იმ პირების დაკავებას აგრძელებდა, ვინც ქვეყნის დედაქალაქ პეკინში ტიანანმენის მოედანზე 1989 წლის 3-4 ივნისს ჩახშობილი დემონსტრაციების – რა დროსაც „სახალხო განმათავისუფლებელი პარტიის" მიერ გახსნილ ცეცხლს, ათასობით თუ არა, ასობით დემონსტრანტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა – მშვიდობიან აღნიშვნას ცდილობდა. ივლისში მშვიდობის დარგში ნობელის პრიზის ლაურეატი ლიუ სიაობო პატიმრობაში ყოფნისას გარდაიცვალა.

ჰონგ კონგში დემოკრატიის მომხრე მოძრაობების წამყვანი სახეების ბუნდოვანი ბრალდებებით დაკავება იმ პირების დასასჯელად და დასაშინებლად, ვინც მთავრობას უპირისპირდებოდა და დემოკრატიას ითხოვდა, ხელისუფლების მიერ კარგად დაგეგმილი შურსძიების კამპანიის ნაწილი იყო.

იძულებით გადაადგილებული პირები

იაპონიაში თავშესაფრის ძიების მსურველთა რაოდენობა იზრდებოდა, თუმცა თებერვალში ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2016 წელს შესული 10 901 განაცხადიდან – წინა წელთან შედარებით 44%-იანი ზრდა – მხოლოდ 28 დააკმაყოფილა. ამავდროულად, ქვეყნის შრომითი რესურსის დეფიციტის მოსაგვარებლად, იაპონიამ სამი წლის განმავლობაში შრომის მიგრაციის პროგრამის ფარგლებში ჩამოსაყვანი 10 ათასი ვიეტნამელის პირველი ნაკადები მიიღო. ეს პროგრამა ადამიანის უფლებათა დამცველების მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა.

სამხრეთ კორეაში მიგრანტი მუშების სიკვდილი სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების პირობების დაცვის საკითხს აქტუალურს ხდიდა. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების წარმომადგენლები მუშების სხვა ქვეყნების მიმართულებით, მათ შორის – ჩინეთსა და რუსეთში გაგზავნას აგრძელებდნენ, თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ ჩრდილოეთ კორეის მოქალაქეებისთვის ვიზების განახლებაზე უარი გაეროს მიერ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესებული სანქციების გამო განაცხადა. გაეროს ეს გადაწყვეტილება, თავის მხრივ, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდებს უკავშირდებოდა.

დისკრიმინაცია

ჩინეთში რელიგიური რეპრესიები განსაკუთრებით მწვავე XUAR-სა და ტიბეტელებით დასახლებულ ადგილებში იყო.

სამხრეთ კორეაში ლგბტი პირების მიმართ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაცია ჭარბობდა. სამხედრო მოსამსახურე გეი მამაკაცებს ძალადობა, აბუჩად აგდება და სიტყვიერი შეურაცხყოფა ემუქრებოდათ. ერთ-ერთი მოქმედი ჯარისკაცი ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირისთვის პასუხისგებაში მისცეს.

სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები მრავლად იყო იაპონიაში, თუმცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე გარკვეული პროგრესი შეიმჩნეოდა. ქალაქ ოსაკაში ხელისუფლებამ ერთი და იმავე სქესის მქონე პირები ბავშვის მეურვეებად პირველად დაუშვა, ხოლო ორმა მუნიციპალიტეტმა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა წყვილების სამოქალაქო პარტნიორობის აღიარების საკითხში პოზიტიური ნაბიჯები გადადგა.

ტაივანის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილმა მნიშვნელოვანმა განაჩენმა ის პირველი აზიური ქვეყანა გახადა, რომელმაც ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინება დააკანონა, რაც ლგბტი უფლებების დაცვის საკითხში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მოსამართლეებმა ბრძანეს, რომ ტაივანის ქორწინების შესახებ კანონი არაკონსტიტუციური იყო, რადგან ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინებას კრძალავდა და კანონმდებლებს შესაბამისი კანონების შეცვლისა და ასამოქმედებლად

ორი წელი მისცეს. ტაივანის საკანონმდებლო ორგანო ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების შესახებ კანონის პროექტს წლის ბოლოსაც იხილავდა.

სიკდვილით დასჯა

მსოფლიოში ყველაზე მეტ ადამიანს სიკვდილით კვლავ ჩინეთი სჯიდა, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა სახელმწიფო საიდუმლოების მოტივით არ ქვეყნდებოდა.

ტაივანის უზენაესმა სასამართლომ გენერალური პროკურორის საგანგებო მიმართვა ტაივანის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სიკვდილმისჯილი პატიმრის, ჩიოუ ჰო-სუნის ხელახალი სასამართლოს მოთხოვნით არ დააკმაყოფილა. ჩიოუ ჰო-სუნი, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი 1989 წელს მიესაჯა, აცხადებდა, რომ მისი დაკითხვისას პოლიციელებმა ძალადობრივი მეთოდებს გამოიყენეს და ციხეში აწამებდნენ.

ივლისში მონღოლეთი მსოფლიოში 105-ე ქვეყანა გახდა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი სრულად აკრძალა, თუმცა, გაუპატიურებისა და მკვლელობის ორ ძალადობრივ შემთხვევაზე გამოხმაურებისას, ნოემბერში პრეზიდენტმა იუსტიციის სამინისტროს სასიკვდილო განაჩენის დაბრუნების წინადადებით მიმართა.

სამხრეთი აზია

რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმებისას, გამოხატვის თავისუფლების კრიმინალიზებისას, პირთა გაუჩინარებებისას, სასიკვდილო სასჯელის ხშირი გამოყენებისა და ლტოლვილთა უფლებების შელახვისას სამხრეთი აზიის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებები სამართალსა და წესრიგს, ეროვნულ უსაფრთხოებასა და რელიგიას იმიზეზებდნენ. დაუსჯელობა ფართოდ იყო გავრცელებული.

სამხრეთ აზრიაში გამოხატვის თავისუფლება დარტყმის ქვეშ იყო. ბუნდოვანი „ეროვნული ინტერესის" საფუძვლით, მთავრობები ჟურნალისტებზე, ადამიანის უფლებათა დამცველებზე და საკუთარი რწმენის გამომხატავ სხვა მშვიდობიან პირებზე ილაშქრებდნენ.

ინტერნეტით გამოხატვის თავისუფლების კრიმინალიზების ახალი ტენდენცია გამოვლინდა. პაკისტანში ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხუთი ბლოგერი არმიის კრიტიკისა და „ანტიისლამური" კომენტარებისათვის გააუჩინაურეს ან დააკავეს. სისხლისსამართლებრივ გამოძიებას ბანგლადეშის ხელისუფლებისა და პრემიერმინისტრის ოჯახის წევრების კრიტიკაც იწვევდა. ხელისუფლებამ ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი აქტი მიიღო, რომელმაც გამოხატვის თავისუფლებაზე კიდევ უფრო მეტი შეზღუდვა და უფრო მძიმე ჯარიმები დააწესა. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ოთხი ბლოგერი გაუჩინარდა. ავღანეთში, სადაც რეგიონში ინტერნეტის გავრცელების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, ხელისუფლებამ კიბერდანაშაულის თაობაზე ახალი კანონი მიიღო, სადაც გამოხატვის თავისუფლება კრიმინალიზებულია.

ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შეზღუდვას მძიმე შედეგები მოჰქონდა. პაკისტანმა საკუთარი კანონების საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება კვლავ ვერ მოახერხა, მოსახლეობა დისკრიმინაციას განიცდიდა, დასაქმებულთა უფლებები შელახული იყო და სოციალური დაცვა – მწირი. ბავშვთა შრომის საკითხებზე ინდოეთმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი ძირითადი კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, თუმცა აქტივისტები ხელისუფლების მიერ მიღებულ ბავშვთა შრომის კანონმდებლობას აპროტესტებდნენ, რომელიც ბავშვებს საოჯახო საწარმოებში მუშაობის უფლებას აძლევდა. ნეპალის დამანგრეველი მიწისძვრიდან ორი წლის შემდეგ ხელისუფლება ათასობით მარგინალიზებული და დაზარალებული პირის, რომლებიც მოუწყობელ დროებით თავშესაფრებში განათავსეს, საცხოვრისით უზრუნველყოფას კვლავ ვერ ახერხებდა.

ოქტომბერში პაკისტანი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში აირჩიეს, სადაც მან ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება აიღო. მიუხედავად ამისა, პაკისტანში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებზე – იძულებით გაუჩინარება, სიკვდილით დასჯა, ცილისწამების მარეგულირებელი კანონები და უფლებაცამცველების მიმართ მუქარა – რეაგირებას და მათ აღკვეთას ხელისუფლება ვერ ახერხებდა.

ავღანეთში, ბანგლადეშში, ინდოეთსა და პაკისტანში შეიარაღებული ძალები ადამიანებს იტაცებდნენ, სასტიკად ეპყრობოდნენ და კლავდნენ. სამოქალაქო მსხვერპლი, განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობას შორის, ავღანეთში კვლავ მაღალი იყო.

პაკისტანში შეიარაღებული ჯგუფების სამიზნე შიიტი მუსლიმები გახდნენ; ქალაქ კვეტაში მდებარე შიიტური მეჩეთის დაბომბვას 18 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ნეპალის ისტორიულ ადგილობრივ არჩევნებზე უსაფუძვლო დაკავებები და ხელისუფლების ძალების მიერ დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნა დაფიქსირდა.

ინდოეთში, ჯამუსა და ქაშმირში, უსაფრთხოების სამსახურებმა შუალედურ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული საპროტესტო აქციებისას რვა ადამიანი მოკლეს. ერთ პირს სამხედრო მოსამსახურეებმა სცემეს, სამხედრო ჯიპზე გარედან დასვეს და ხუთი საათის განმავლობაში დაატარებდნენ, როგორც ჩანს, სხვა დემონსტრანტების დაშინების მიზნით. უსაფრთხოების სამსახურები საფანტიან თოფებსაც იყენებდნენ, რამაც რამდენიმე მონაწილეს მხედველობა დააკარგინა და ჯანმრთელობის სხვა დაზიანებები გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა დამცველები

ინდოეთში ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დამცველებს ღიად უპირისპირდებოდა, რაც მტრულ კლიმატსა და მათ მიმართ ძალადობას აღვივებდა. გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად რეპრესიული კანონები გამოიყენებოდა; ჟურნალისტები და სიტყვის თავისუფლება მზარდი წნეხის ქვეშ იყო.

ავღანეთში ადამიანის უფლებათა დამცველები შეიარაღებული ჯგუფებისა და სახელმწიფოსგან გამუდმებულ მუქარებს იღებდნენ, ხოლო ჟურნალისტებს ძალადობისა და ცენზურის პირობებში უწევდათ მუშაობა.

პაკისტანის ჟურნალისტები, ბლოგერები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, რომლებიც არასახელმწიფო ძალების მხრიდან დაშინებას, ზეწოლას, მუქარას, დისკრედიტაციას და სხვა თავდასხმებს განიცდიდნენ, ხელისუფლებამ ვერ დაიცვა. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე შეზღუდვები გაამკაცრა და ბევრი აქტივისტი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა, მათ შორის წამებისა და იძულებით გაუჩინარების გზით.

ბანგლადეშში ხელისუფლებამ საჯარო დებატისა და კრიტიკის შემთხვევებში ძალადობის გამოვლენა განაგრძო. მედიასაშუალებების თანამშრომლებს დრაკონული წესებით დევნიდნენ და ასამართლებდნენ. აქტივისტები შეიარაღებული ჯგუფებისგან, რომელთაც სეკულარული ბლოგერების გახმაურებული მკვლელობები ჩაიდინეს, მუქარის წერილებს მუდმივად იღებდნენ, რაც მათ ქვეყნის დატოვებას აიძულებდა.

მალდივის კუნძულებზე საჯარო დებატებსა და მსჯელობაზე შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა. ხელისუფლება ჟურნალისტებს, აქტივისტებსა და მედიასაშუალებებს ავიწროებდა. ხელისუფლება კანონის უზენაესობას მიზანმიმართულად უტევდა, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობასაც აკნინებდა.

დაუსჯელობა

დაუსჯელობა სამხრეთი აზიის რეგიონის მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული. თუმცა, ნეპალში, სამხარეო სასამართლომ 2005 წელს 15 წლის გოგონას, მაინა სუნუვარის მკვლელობისათვის სამ სამხედრო ოფიცერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მკვლელობა მაოისტებსა და სახელისუფლებო ძალებს შორის ათწლოვანი კონფლიქტის 2006 წელს დასრულებამდე, არმიის ტყვეობაში ყოფნისას მოხდა. გოგონა სამხედროებმა წამებით

მოკლეს. ეს მნიშვნელოვანი განვითარება იყო, წარმოადგენდა რა კონფლიქტისდროინელ დანაშაულებთან სასამართლო სისტემის გამკლავების შესაძლებლობას და მსხვერპლებს სამართლიანობის აღდგენის პირველი ნიშანი მისცა.

ინდოეთში უზენაესმა სასამართლომ გამოძიების ცენტრალურ ბიუროს 1979-2012 წლებში მანიპურის შტატში პოლიციისა და უსაფრთხოების ძალების მიერ სავარაუდოდ განხორციელებული 80-ზე მეტი სასამართლოსგარეშე მკვლელობის გამოძიება დაავალა. უზენაესმა სასამართლომ ბრძანა, რომ დროის გასვლის მიუხედავად, საქმეები გამოუძიებელი არ უნდა რჩებოდეს.

იძულებით გაუჩინარება

პაკისტანში იძულებით გაუჩინარების შემთხვევები გაგრძელდა. მსხვერპლები წამებისა და არასათანადო მოპყრობისა და სიკვდილის რისკის ქვეშ იყვნენ. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით, იძულებით გაუჩინარების საკითხებზე მოკვლევის კომისიამ 2017 წელს 300 ასეთი საქმე მიიღო. წლების განმავლობაში ასობით თუ ათასობით საქმის თაობაზე გამოძიების შედეგების შესახებ ცნობილი კვლავ არ იყო.

შრი-ლანკას ხელისუფლების მიერ 2015 წელს დადებული პირობის მიუხედავად, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლებს სიმართლეს, სამართლიანობასა და რეპარაციებს მოუტანდა, და რომ ძალადობის ასაცილებლად რეფორმებს განახორციელებდა, პროგრესი ძალიან ნელი იყო. იძულებითი გაუჩინარებებისთვის დაუსჯელობა კვლავ გრძელდებოდა. ხელისუფლებამ დრაკონული ტერორიზმის პრევენციის შესახებ აქტის, რომელმაც ეჭვმიტანილების განმარტოებითი და საიდუმლო პატიმრობა გახადა შესაძლებელი, გაუქმების თაობაზე აღებული ვალდებულება კვლავ ვერ შეასრულა. თუმცაღა, პარლამენტმა დაკარგულ პირთა აქტი შეცვალა, რომელიც დაკარგულ პირთა ოჯახებსა და ნათესავებს მეტ მხარდაჭერას თავაზობდა.

გაუჩინარებები ბანგლადეშშიც ხდებოდა; მსხვერპლები ხშირად ოპოზიციურ პარტიებს მიკუთვნებული პირები იყვნენ.

იძულებით გადაადგილებული პირები

სამხრეთ აზიის სხვადასხვა ნაწილში ლტოლვილებისა და მიგრანტების უფლებები შელახული იყო.

ბანგლადეშმა საზღვრები 655 ათასზე მეტ როჰინჯას გაუხსნა, რომლებიც მიანმარში ეთნიკურ წმენდას გაურბოდა. თუმცა, თუ იძულებულნი გახდებოდნენ, უკან მიანმარში დაბრუნებულიყვნენ, როჰინჯა მიგრანტების ბედ-იღბალს ისევ ის სამხედრო ძალები განკარგავდნენ, ვისაც ისინი გაურბოდნენ. აპარტეიდის პირობებში, ამ ადამიანებს მიანმარში დისკრიმინაცია და სეგრეგაცია ელოდებოდათ. როჰინჯას უმცირესობას მიკუთვნებული პირები უკიდურესად მოწყვლადნი იყვნენ.

ავღანეთში ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 2 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო ქვეყნის გარეთ 2,6 მილიონი ავღანელი ლტოლვილი ცხოვრობდა.

დისკრიმინაცია

მთელი სამხრეთი აზიის მასშტაბით განსხვავებული მოსაზრების მქონე პირები და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო და უფრო მოწყვლადნი ხდებოდნენ და ბრბოს შეტაკებების მსხვერპლნი იყვნენ. ინდოეთში რამდენიმე მუსლიმის ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევები დაფიქსირდა, რამაც ინდუისტური ნაციონალისტური ხელისუფლების პირობებში, მზარდ ისლამოფობიასთან დაკავშირებით აღშფოთების ზრდა გამოიწვია. მუსლიმებზე განხორციელებული ძალადობის გასპროტესტებლად ხალხი ქუჩებში რამდენიმე ქალაქში გამოვიდა, თუმცა ხელისუფლებამ ძალადობის დასაგმობად ბევრი არაფერი გააკეთა. ადივასის მკვიდრი მოსახლეობების განსახლება ინდუსტრიული პროექტების ფარგლებში გრძელდებოდა.

ბანგლადეშში რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმებს ხელისუფლება ინერტულობით ხვდებოდა. მათ, ვინც ხელისუფლებას დასახმარებლად მიმართავდა, ემუქრებოდნენ და უკან აბრუნებდნენ.

შრი-ლანკაში ბუდისტური ნაციონალისტური სენტიმენტები გაიზარდა, მათ შორის – ქრისტიანებისა და მუსლიმების მიმართ. მალდივის კუნძულების ხელისუფლება რეპრესიული პოლიტიკის შესაფუთად რელიგიას იყენებდა, მათ შორის ოპოზიციურ პარტიებზე თავდასხმისას და სიკვდილით დასჯის აღდგენის გეგმების გაჟღერებისას.

პატისტანის მარგინალიზებული თემები სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიადაგზე როგორც კანონში, ისე პოლიტიკასა და პრაქტიკაში დისკრიმინაციას განიცდიდნენ. პაკისტანის ცილისწამების კანონები, რომლებითაც, მაგალითად, „წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხყოფა" სიკვდილით ისჯება, მთელ რიგ ადამიანის უფლებებს არღვევდნენ. ეს კანონები ხშირად არაპროპორციულად და ბოროტად გამოიყენებოდა რელიგიური უმცირესობების მიმართ. ერთ-ერთ მამაკაცს ფეისბუქზე „შეურაცხმყოფელი" მასალის განთავსებისთვის სიკვდილი მიესაჯა, რაც პაკისტანში კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საქმეზე გამოტანილი ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ ე.წ. სამმაგი ტალაკის (მყისიერი განქორწინება ისლამში) პრაქტიკა აკრძალა, სხვა სასამართლო გადაწყვეტილებები ქალების ავტონომიას აკნინებდა. უზენაესმა სასამართლომ შეასუსტა კანონი, რომელიც ქორწინებაში მყოფი ქალების ძალადობისგან დაცვას ითვალისწინებდა. გაუპატიურების მსხვერპლი, მათ შორის - არასრულწლოვანი გოგონები, თუ ნაყოფი 20 კვირაზე მეტის იყო, როგორც ამას ინდოეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, ორსულობის შეწყვეტის თაობაზე ნებართვის მისაღებად სასამართლოს მიმართავდნენ. სასამართლოები აბორტის გაკეთების უფლებას ქალებს მხოლოდ ზოგიერ შემთხვევაში რთავდნენ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ შტატებს, მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილებების სწრაფად გამოტანის მიზნით, მუდმივი სამედიცინო საბჭოების შექმნისკენ მოუწოდა.

პაკისტანში მომხდარ საზარელ ამბებს შორის ერთ-ერთი არასრულწლოვანი გოგონასთვის ე.წ. სოფლის საბჭოს მიერ გაუპატიურების მისჯა იყო. სასჯელის მოტივი გოგონას ძმის მიერ სხვა ქალის სავარაუდო გაუპატიურებაზე „შურისძიება" იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრები გაუპატიურების მისჯისთვის მოგვიანებით დააპატიმრეს, ხელისუფლებამ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე დაუსჯელობის აღკვეთა და ასეთი სოფლის საბჭოების გაუქმება ვერ შეძლო. პაკისტანში ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირი კვლავ დასჯადი იყო.

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა ავღანეთშიც მძვინვარებდა, სადაც შეიარაღებული ჯგუფების მიერ შარიას კანონით საჯაროდ გასამართლებულ ქალთა გაზრდილი რაოდენობა დაფიქსირდა.

სიკვდილით დასჯა

გაუარესებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, მალდივის ხელისუფლებამ სასიკვდილო განაჩენის 60 წლის შემდეგ აღდგენა დაანონსა. წლის განმავლობაში სიკვდილით არავინ დასჯილა.

2014 წლის მორატორიუმის შეწყვიტის შემდეგ, პაკისტანმა სიკვდილით ასობით ადამიანი დასაჯა. ამ საქმეების დიდ ნაწილში არსებობდა ეჭვი, რომ სიკვდილმისჯილებს სამართლიანი სასამართლოს უფლება შეეზღუდათ. საერთაშორისო სამართლის დარღვევით, სასამართლოები სიკვდილს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე და დანაშაულის ჩადენისას 18 წელს მიუღწეველ პირებსაც უსჯიდნენ. წამებისა და

არასათანადო მოპყრობის გზით გამოძალული „ჩვენებები“ ამ პირთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

შეიარაღებული კონფლიქტი

ავღანეთში მდგომარეობა გაუარესებას განაგრძობდა, სამოქალაქო მსხვერპლი კვლავ მაღალი იყო, იძულებით გადაადგილებულ პირთა კრიზისი იზრდებოდა და „თალიბანი“ 2001 წლის შემდეგ ყველაზე მეტ ტერიტორიას აკონტროლებდა. 2014 წლის შემდეგ პაკისტანიდან, ირანიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან უკან იძულებით ათობით ათასი ავღანელი ლტოლვილი დააბრუნეს. არც ავღანეთის ხელისუფლებას და არც საერთაშორისო საზოგადოებას იქ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის გასაჭირი გულთან ახლოს არ მიჰქონდათ. ქაბულში 31 მაისს მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი აფეთქების, რომელმაც 150 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ასობით კი დაჭრა, გასაპროტესტებლად გამოსულ ხალხს უსაფრთხოების სამსახურებმა ესროლეს. რამდენიმე დემონსტრანტი დაიღუპა.

დადებითი მოვლენა იყო ის, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა ავღანეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე წინასწარი გამოძიების დაწყება მოითხოვა. ეს გადაწყვეტილება 2003 წლის შემდგომ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულებისთვის ანგარიშვალდებულების დადგენისა და მსხვერპლთათვის სიმართლის, სამართლიანობისა და რეპარაციების მიღების საკითხში წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ოკეანეთი

მათი დიდი ნაწილი, ვინც ადამიანის უფლებების დაცვასა და ანგარიშვალდებულებას მოითხოვდა, დემონიზებული იყო და სისხლისსამართლებრივად იდევნებოდა. ამას სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შეზღუდვა მოჰყვა. პოლიცია და უსაფრთხოების სამსახურები უფლებადამცველებს დევნიდნენ. სასამართლოსგარეშე მკვლელობები, წამება, არასათანადო მოპყრობის სხვა სახეები და იძულებითი გაუჩინარება დაუსჯელად ხდებოდა.

მიანმარის უსაფრთხოების ძალების მიერ რაკჰაინის პროვინციაში როჰინჯას უმცირესობის მიმართ დაწყებულმა ძალადობრივმა კამპანიამ, რომლის მოქმედებებიც კაცობრიობის წინაშე დანაშაულებს შეიცავდა, მიანმარსა და მეზობელ ბანგლადეშში ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული კრიზისი შექმნა.

კანონის განუკითხაობა და ძალადობა ფილიპინებში კიდევ უფრო იზრდებოდა. პრეზიდენტის მხრიდან ადამიანის უფლებების უპატივცემულობა „ნარკოტიკების წინააღმდეგ ომში“ მასობრივი მკვლელობებით ხასიათდებოდა, რასაც უმთავრესად ღარიბი და მარგინალიზებული ჯგუფები, მათ შორის – ბავშვები, ეწირებოდნენ. მკვლელობების ფართო არეალი და გაშმაგებული დაუსჯელობა საერთაშორისო დონეზე გამოძიების ჩატარების მოთხოვნების მიზეზი გახდა. სამხრეთში მდებარე მინდანაოს პროვინციაში დეკემბერში სამხედრო მდგომარეობის გაგრძელებამ ეჭვები გააჩინა, რომ საგანგებო რეჟიმი ადამიანის უფლებათა კიდევ უფრო მეტი დარღვევის გასამართლებლად იქნებოდა გამოყენებული. ხელისუფლებამ სასიკვდილო განაჩენის ხელახლა შემოღებაც სცადა.

ინდონეზიაში პოლიციის მიერ მოკლული ნარკოდილერობაში ეჭვმიტანილი პირების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

ადამიანების უფლებების დაცვის საკითხზე ზეპირი განცხადებების მიუხედავად, ავსტრალია თავშესაფრის მაძიებლებსა და მიგრანტებს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში ამყოფებდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანეთის ხელისუფლებები მოქალაქეების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს პატივს არ სცემდნენ. ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, ლაოსში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, სხვაგან გადასახლებულიყო; კამბოჯაში სათანადო საცხოვრისის უფლებას მიწის მიტაცების პრაქტიკა აკნინებდა; სინგაპურში უცხო ქვეყნის მოქალაქე მიგრანტების საცხოვრებელი პირობები არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი გახდა.

პაპუა-ახალ გვინეაში ეროვნული არჩევნები კორუფციისა და ხელისუფლების მიერ ხელშეშლის – ძალადობისა და დაუსაბუთებელი დაკავებების – პირობებში ჩატარდა.

ადამიანის უფლებათა დამცველები

ადამიანის უფლებათა დამცველების, მშვიდობიანი პოლიტიკური აქტივისტებისა და რელიგიური მრევლის წევრების უფლებები ხშირად ირღვეოდა და მათ ხშირად დაუსაბუთებელი ბრალდებებით აკავებდნენ. სასამართლო სხდომები სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობდა. სინდისის პატიმრებს აწამებდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ.

კამბოჯაში ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებასთან და პოლიტიკურ აქტივისტებთან შეუპოვარი ბრძოლა 2018 წლის არჩევნების წინ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. უფლებადამცველები მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იყვნენ და მათ ხშირად აპატიმრებდნენ; მედიასაშუალებები დახურეს; სისხლისსამართლებრივი სისტემის ბოროტად გამოყენების გზით სამოქალაქო საზოგადოების შევიწროების შემთხვევები ძალიან გახშირდა; ახალმა კანონმდებლობამ ხელისუფლებას პოლიტიკურ პარტიებზე კონტროლის ახალი შესაძლებლობები გაუჩინა. სასამართლო განსხვავებული მოსაზრებების ჩახშობის მიზნით პოლიტიკურ იარაღად გამოყენებოდა. უზენაესმა სასამართლომ წინასაარჩევნოდ მთავარი ოპოზიციური პარტიის დაშლა ბრძანა, რაც პოლიტიკური რეპრესიის მორიგი გამოვლინება იყო.

ტაილანდის სამხედრო ხელისუფლება განსხვავებული აზრის სისტემატურ ჩახშობას აგრძელებდა, უშლიდა რა მოქალაქეებს განსხვავებული აზრის გაჟღერებას და მშვიდობიანად შეკრებას და დევნიდა რა სამოქალაქო საზოგადოებას. ათეულობით უფლებადამცველი, დემოკრატიის მომხრე აქტივისტი და სხვა პირები დრაკონული კანონებითა და დადგენილებებით იდევნებოდნენ; ბევრს სამხედრო სასამართლოში წარდგომა და ხანგრძლივი და უსამართლო პროცესების გავლა უწევდა.

მალაიზიის ხელისუფლება განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებს ძალადობის, დაკავებებისა და რეპრესიული კანონებით დევნის გზით ლახავდა.უფლებადამცველებისთვის მოგზაურობის განუსაზღვრელი ვადით, დაუსაბუთებლად აკრძალვა მათი გადაადგილების თავისუფლებას ლახავდა. მკვიდრი მოსახლეობის აქტივისტებსა და ჟურნალისტებს მშვიდობიანი პროტესტისთვის აკავებდნენ.

ფიჯის ხელისუფლება მედიის საქმიანობის ხელშეშლისა და გამოხატვისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებების შესაზღუდად რეპრესიულ კანონმდებლობას იყენებდა. პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე, ხელისუფლების ერთ-ერთი უკანასკნელი დამოუკიდებელი მედიასაშუალების „ფიჯი თაიმსის“ თანამშრომლები სახელმწიფო ღალატისთვის გაასამართლეს.

სინგაპურის საჯარო წესრიგის აქტში შესულმა ცვლილებებმა ხელისუფლების ორგანოებს საჯარო შეკრებების შეზღუდვისა და აკრძალვის გაზრდილი უფლებამოსილებები მიანიჭა. სასამართლოს გამკრიტიკებელ იურისტებსა და აკადემიკოსებს სამართლებრივად დევნიდნენ; მედიის თავისუფლებაზე შეზღუდვები დაწესდა.

ლაოსში გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებები მძიმე დარტყმის ქვეშ იყო და მშვიდობიანი აქტივისტები სისხლის სამართლის კოდექსით იდევნებოდნენ.

ვიეტნამში განსხვავებული აზრი კიდევ უფრო მეტი მძვინვარებით იდევნებოდა და უამრავ აქტივისტს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებდა.

მიანმარში თავისუფალი სიტყვის სივრცე კიდევ უფრო შეიზღუდა და ჟურნალისტები და მედიაში დასაქმებული სხვა პირები ზეწოლას, დევნას და ზოგჯერ დაკავებას, პატიმრობას და მათ საქმიანობასთან დაკავშირებით დევნას განიცდიდნენ.

დაუსჯელობა

საპატიმროში მომხდარ სიკვდილთა და ძალის გადამეტების შემთხვევებზე დაუსჯელობა კვლავ პრობლემური იყო მალაიზიაში. ციხის დაწესებულებებში რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის ს. ბალამურაგანი, რომელსაც პოლიციამ დაკითხვისას სცემა.

ინდონეზიის პაპუას პროვინციაში მასობრივი საპროტესტო აქციებისას გაუმართლებელი და გადაჭარბებული ძალის გამოყენებისა და უსაფრთხოების სამსახურების სხვა მოქმედებებისთვის ანგარიშვალდებულების ნაკლებობა იყო. ფიჯის ხელისუფლებამ უსაფრთხოების ძალების მიერ ნაწამები პატიმრების საქმეებზე პასუხი არავის მოსთხოვა.

აღმოსავლეთ ტიმორში ინდონეზიის ოკუპაციის დროს (1975-1999) ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების მსხვერპლები სამართლის აღდგენას და რეპარაციებს კვლავ უშედეგოდ ითხოვდნენ.

როჰინჯათა მიმართ მიანმარის ძალადობრივი კამპანია

ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე რაკჰაინის პროვინციაში უსაფრთხოების სამსახურებმა როჰინჯას ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების მიმართ ეთნიკური წმენდის კამპანია წამოიწყეს და კანონისგარეშე მკვლელობებმა, გაუპატიურებებმა და სოფლების გადაწვებმა კაცობრიობის წინაშე დანაშაულები შეადგინეს. აგვისტოში როჰინჯას შეიარაღებული ჯგუფის მხრიდან უსაფრთხოების საგუშაგოებზე თავდასხმების საპასუხოდ ხელისუფლებამ უკანონო და არაპროპორციული ძალადობა დაიწყო, რამაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მძიმე ლტოლვილების კრიზისს მისცა ბიძგი. რაკჰაინის შტატში მოქმედი ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლების მიმართ მიანმარის მიერ დაწესებულმა უკიდურესმა სანქციებმა მდგომარეობა გააუარესა. 655 ათასზე მეტი როჰინჯა ბანგლადეშში გაიქცა. წლის ბოლოს 1 მილიონზე მეტი როჰინჯა ლტოლვილი ბანგლადეშის ქოქსის ბაზრის კვარტალში იყო გაბნეული, მათ შორის ისინიც, ვინც ძალადობის ადრეულ ტალღებს გაექცა. ისინი, ვინც მიანმარში რჩებოდნენ, აპარტეიდის პირობებში უწევდათ ცხოვრება, სადაც მათი კანონისადმი თანასწორობა, გადაადგილების თავისუფლება, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და შრომითი უფლებები უკიდურესად შეზღუდული იყო.

როჰინჯას მიმართ ძალადობისთვის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მიანმარის უსაფრთხოების ძალებს ეკისრებათ. თუმცა სამოქალაქო ადმინისტრაცია, რომელსაც სახელმწიფო მრჩეველი აუნ სან სუ ჩი ხელმძღვანელობს, კრიზისში არც ჩაერია და არც ხმა ამოიღო. გარდა იმისა, რომ რეგიონში ძალადობას უარყოფდა, სამოქალაქო ადმინისტრაცია ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლებს გაემიჯნა და „ტერორისტების" მხარდაჭერაში დასდო ბრალი.

მიანმარში ძალადობის დამამტკიცებელი ზღვა მასალის მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის - გაეროს უსაფრთხოების საბჭო, ეფექტური ნაბიჯების გადადგმასა და მკაფიო გზავნილის გაკეთებას, რომ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ეს დანაშაულები დაუსჯელი არ დარჩებოდა, ვერ ახერხებდა.

თავშესაფრის მაძიებლები

ავსტრალიამ თავშესაფრის მაძიებელთა შემაკავებელი პოლიტიკა არ შეცვალა და პაპუა-ახალ გვინესასა და ნაურუში მდებარე ცენტრებიდან ავსტრალიაში გემით მიმავალ ლტოლვილებს უკან აბრუნებდა, რითიც მათი დაცვის საერთაშორისო ვალდებულებას უგულვებელყოფდა.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები ნაურუში, როგორც მახეში ისე რჩებოდნენ გაბმულნი, სადაც ავსტრალიამ, ლტოლვილებზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ცნობების მიუხედავად, ისინი ძალისმიერად დააბრუნა. რამდენიმე ასეული ადამიანი ოფშორულ განმასახლებელ დაწესებულებაში ცხოვრობდა, მათ შორის ათეულობით ბავშვი დამცირების, ძალადობისა და უყურადღებობის პირობებში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სერვისების გარანტიების გარეშე. თემის 800-ზე მეტი ზრდასრული წევრი ჯანმრთელობის, განათლებასა და დასაქმებაზე არაადეკვატური შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდიდა.

ლტოლვილების სხვა ქალაქებში გადასვლის იძულების მიზნით, ოქტომბრის ბოლოს ავსტრალიის ხელისუფლებამ პაპუა-ახალ გვინეაში მანუს კუნძულზე მდებარე დაწესებულებაში სერვისები გააუქმა. ლტოლვილები ახალ, დაუსრულებელ ობიექტებში ნოემბერში გადაიყვანეს მათ შორის ისეთ ქალაქებში, სადაც თავშესაფრის მაძიებლებს ადგილობრივი მოსახლეობისგან ფიზიკური საფრთხე ემუქრებოდათ. ჯანდაცვაზე ლტოლვილებს ხელი კვლავ არ მიუწვდებოდათ და მათი მომავლი გაურკვეველი რჩებოდა.

ფიჯი მიგრანტებს ისეთ ქვეყნებში აბრუნებდა, სადაც მათ უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

კამბოჯამ ლტოლვილობის სტატუსზე 29 მთიელი ხმერის განცხადებები არ დააკმაყოფილა და ისინი ვიეტნამში დააბრუნა, სადაც მათ სავარაუდოდ დევნა ელოდათ.

დისკრიმინაცია

ავსტრალიის სასამართლო სისტემა მკვიდრ მოსახლეობას ჯეროვნად ისევ ვერ იცავდა. განსაკუთრებით მძიმე ბავშვების მდგომარეობა იყო, რომელთა თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებლებიც ძალიან მაღალი იყო, ხოლო ციხეში კი მათ მიმართ ძალადობისა და მოკვლის შესახებ ცნობები ვრცელდებოდა. ჩრდილოეთ ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლეობას მიკუთვნებული ბავშვების სასტიკი მოპყრობის, მათ შორის ცრემლსადენი გაზის გამოყენების, გაგუდვისა და განმარტოებითი პატიმრობის შესახებ ცნობილი გაჟონილი ვიდეომასალიდან გახდა.

ლგბტი პირები მალაიზიაში, პაპუა-ახალ გვინეასა და სინგაპურში დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ. ავსტრალიის ლგბტი ადამიანთა თემის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები გახშირდა, მიუხედავად ახლადშემოღებული ჯარიმებისა. ინდონეზიის აჩეჰის პროვინციაში ორი კაცი საჯაროდ 83-ჯერ გაროზგეს ერთმანეთთან ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირის გამო.

ქალი აქტივისტები ზეწოლის, მუქარების, პატიმრობისა და ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. პაპუა-ახალი გვინეა ქალისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში ადგილი იყო, სადაც გენდერული ნიშნით ძალადობამ იმატა; ზოგჯერ მათი ჯადოქრობაში დადანაშაულების მიზეზით.

ინდონეზიის ღვთისგმობის მარეგულირებელი კანონებით რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა გასამართლება მხოლოდ იმისთვის ხდებოდა, რომ ისინი მშვიდობიანად გამოხატავდნენ საკუთარ რწმენას.

ავსტრალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ქორწინების თანასწორობა 2018 წლის დეკემბრიდან კანონდება. ამ საკითხზე ხელისუფლების მიერ გამართული საფოსტო გამოკითხვის შედეგებმა აზრის გაყოფა და საჯარო დებატის რეგრესი გამოიწვია.

სასიკვდილო განაჩენი

მალაიზიაში მინიმუმ ოთხი სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა. სინგაპურში მკვლელობისა და ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის ჩამოხრჩობას კვლავ უსჯიდნენ. სინგაპურში სიკვდილმისჯილი ერთი პირი მალაიზიის მოქალაქე პრაბაგარან სრივიჯაიანი იყო, რომელიც იმის მიუხედავად ჩამოახრჩვეს, რომ მისი საქმე მალაიზიაში იყო გასაჩივრებული და გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო გამოტანილი.

შეიარაღებული კონფლიქტი

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ყურადღება ძირითადად რაკჰაინის პროვინციაზე იყო მიპყრობილი, მიანმარის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი მსგავსი დარღვევების ტენდენციას ადგილი ჩრდილოეთ მიანმარშიც ჰქონდა. ომის დანაშაულები და ადამიანის უფლებათა დარღვევები ჩრდილოეთში მდებარე კაჩინისა და შანის პროვინციებში მცხოვრები მშვიდობიანი მოქალაქეებიის მიმართაც ხდებოდა; მათი უფლებები სასამართლოსგარეშე სასიკვდილო განაჩენების, გაუჩინარებების, წამების, უმისამართო ცეცხლის, შრომის იძულებისა და ჰუმანიტარული დახმარების გზით იზღუდებოდა. უმცირესობათა შეიარაღებული ჯგუფები ხალხს იტაცებდნენ და არმიაში იძულებით იწვევდნენ. როგორც ქვეყნის არმია, ისე შეიარაღებული ჯგუფები ნაღმისებრ იარაღს იყენებდნენ, რაც მშვიდობიან მოსახლეობას აზარალებდა.

ფილიპინების ქალაქ მარავიში სამხედრო ძალებსა და მაუტეს დაჯგუფებას, რომელმაც ისლამური სახელმწიფოს (IS) მიმართ ერთგულება გამოაცხადა, შორის ხუთთვიანმა ბრძოლამ ასობით ათასი ადამიანის იძულებით გადაადგილება, ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილი და სახლებისა და ინფრასტრუქტურის მასობრივი განადგურება გამოიწვია. მებრძოლები ქრისტიან სამოქალაქო პირებს თავს ესხმოდნენ და სასამართლოსგარეშე სასიკვდილო განაჩენებს უსჯიდნენ, მძევლად აჰყავდათ, აპატიმრებდნენ და გაქცევის მსურველებს სასტიკად ეპყრობოდნენ.

კორპორაციული პასუხისმგებლობა

მიანმარში გიგანტური ლეთპადონგის სპილენძის მაღაროს მახლობლად მცხოვრები პირები ხელისუფლებას მისი მოქმედების შეჩერებისკენ მოუწოდებდნენ. მაღაროს მახლობლად მცხოვრები ათასობით ოჯახი საკუთარი სახლიდან თუ სახნავ-სათესი მიწიდან არანებაყოფლობითი გაძევების რისკის ქვეშ იყო და ხელისუფლება მათი და აქტივისტების შესავიწროებლად რეპრესიულ კანონმდებლობას იყენებდა.

ინდონეზიაში „უილმარ ინთერნეშენალის", პალმის ზეთის მწარმოებელი მსოფლიოს ყველაზე დიდი კომპანია, მიმწოდებლებისა და შვილობილი კომპანიების მფლობელობაში არსებულ პლანტაციებზე შრომითი ექსპლოატაცია ხდებოდა. ქალებს არანორმალური გრაფიკით ამუშავებდნენ და ისედაც მწირი ანაზღაურების შემცირებით ემუქრებოდნენ, მცირეწლოვან ბავშვებს სიცოცხლისათვის საშიში ფიზიკური სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ და მუშები მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებისგან ჯანმრთელობის დაზიანებებს იღებდნენ. „უილმარ ინთერნეშენალის" ამ დარღვევების დაფარვის მიზნით წამოწყებულ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც დასაქმებულებს ამ ბრალდებების უარყოფას აიძულებდნენ, კომპანიის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე ინდონეზიის ხელისუფლების უმოქმედობა ახლდა თან.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის რეგიონული მიმოხილვა

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში დისკრიმინაცია და უთანასწორობა კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული. ძალადობას – მკვლელობებს, გაუჩინარებასა და უსაფუძვლო დაკავებებს – რეგიონისთვის გამანადგურებელი შედეგები მოჰქონდა. ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ ძალადობა იზრდებოდა. დაუსჯელობის სინდრომს ფესვები ღრმად ჰქონდა გამდგარი. დემონიზაციისა და დაყოფის პოლიტიკა კიდევ უფრო გამწვავდა. მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფები დისკრიმინაციას აწყდებოდნენ და მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ილახებოდა; მათ შორის – ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში მათი მიწის საკუთრებისა და თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებები. რეგიონის ქვეყნების მთავრობების მიერ ქალთა და გოგონათა და ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს (ლგბტი) პირთა უფლებების დაცვის საკითხებში მხოლოდ მცირე ძვრები იყო.

მთელ რეგიონში ადამიანების დიდი რაოდენობა კიდევ უფრო გაღრმავებული უფლებრივი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც კანონების, სახელმწიფო პოლიტიკისა და მათი აღსრულების ფორმების დეგრადაციით იყო გამოწვეული. დემონიზაციისა და დაყოფის პოლიტიკა ამ ტენდენციას უფრო აუარესებდა. ასეთი უკუსვლა ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უპატივცემულობისათვის ენდემური ხასიათის მიცემის საფრთხეს აჩენდა. ამან ხელისუფლებისა და ეროვნული მართლმსაჯულების სისტემების მიმართ უნდობლობა გაამწვავა, რაც არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლებით გამოიხატებოდა.

ადამიანის უფლებების, როგორც სამართლიანი და მდგრადი მომავლის გარანტიის, დაცვის ნაცვლად, ბევრი ხელისუფლება რეპრესიის ტაქტიკას დაუბრუნდა და უსაფრთხოების ძალებსა და მართლმსაჯულების სისტემებს განსხვავებული აზრისა და კრიტიკის ჩასახშობად იყენებდა; წამება და სხვაგვარი არასათანადო მოპყრობა ფართოდ იყო დაშვებული და დაუსჯელი რჩებოდა; უკიდურეს უთანასწორობას, სიდუხჭირესა და დისკრიმინაციას კორუფცია და ანგარიშვალდებულებისა და მართლმსაჯულების ჩავარდნები კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ადამიანის უფლებათა საკითხებში უკუსვლას აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილმა აღმასრულებელი ორდერების სერიამაც შეუწყო ხელი; მათ შორის – ორდერებმა, რომლებიც „მუსლიმთა აკრძალვასა" და აშშ-მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებას ითვალისწინებდა.

უკიდურესი და მუდმივი ძალადობა გავრცელებული იყო ბრაზილიაში, ელ სალვადორში, მექსიკაში, ვენესუელასა და ჰონდურასში. ხშირ შემთხვევაში, რეგიონში ძალადობას ცივი სასროლი იარაღის უკანონო გავრცელება და ორგანიზებული დანაშაულის ზრდა განაპირობებდა. ლგბტი პირთა, ქალთა და გოგონათა და მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფების მიმართ ძალადობა ფართოდ იყო გავრცელებული.

გაეროს ანგარიშის მიხედვით, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები ქალებისთვის მთელ მსოფლიოში ყველაზე ძალადობრივ რეგიონად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში პრობლემის აღმოსაფხვრელად მკაცრი კანონები მოქმედებდა. ქალთა მიმართ არაპარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობის მაჩვენებლით

რეგიონი პირველ ადგილზე იყო, ხოლო პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობით – მეორეზე.

მექსიკაში ჟურნალისტების და ადამიანის უფლებათა დამცველების მკვლელობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ვენესუელა თანამედროვე ისტორიაში ადამიანის უფლებათა ყველაზე დიდ კრიზისში იმყოფებოდა. მკვიდრი მოსახლეობისა და აფრიკული წარმომავლობის ლიდერთა მკვლელობებმა კოლუმბიაში მშვიდობის დანერგვის პროცესის არასრულყოფილება წარმოაჩინა.

მიწის საკუთრების უფლებისთვის მებრძოლი აქტივისტები ძალადობის სამიზნეები ბევრ ქვეყანაში იყვნენ. რეგიონში გრძელდებოდა მუქარა და თავდასხმები ადამიანის უფლებათა დამცველებზე, საზოგადოებრივ ლიდერებსა და ჟურნალისტებზე, მათ შორის – მართლმსაჯულების სისტემის ბოროტად გამოყენების გზით.

ადამიანთა დიდმა ნაწილმა საცხოვრებელი სახლი დატოვა, რათა რეპრესიებს, ძალადობას, დისკრიმინაციასა და სიღატაკეს გაქცეოდა. ბევრი მათგანი სხვა ქვეყნებში თავშესაფრის ძიების პროცესში დამატებითი ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა.

2009 წელს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის ბრალდებული პერუს ყოფილი პრეზიდენტის, ალბერტო ფუჯიმორის შეწყალება დაუსჯელობის დასრულებისა და მსხვერპლთა უფლებების პატივისცემის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა.

ქვეყნების მთავრობების მხრიდან ადამიანის უფლებათა პატივისცემის ნაკლებობა არასახელმწიფო სუბიექტების მიერ საერთაშორისო სამართლის დანაშაულებისა და სხვა გადაცდომების ჩადენის სივრცეს ქმნიდა. მათ შორის იყვნენ ორგანიზებული კრიმინალური ერთეულები; ზოგ შემთხვევაში, ასეთი ერთეულები მთლიან ტერიტორიებს აკონტროლებდნენ, რასაც ხშირად უსაფრთხოების სამსახურების თანამონაწილეობა ან შემწყნარებლური დამოკიდებულება განაპირობებდა. ეროვნული და ტრანსნაციონალური კორპორაციები მკვიდრი მოსახლეობისა და, პერუსა და ნიკარაგუას შემთხვევაში, გლეხ ფერმერთა კუთვნილი მიწებისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების უპატივცემულობას მოსახლეობისათვის ტანჯვა მოჰქონდა. აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკური რიტორიკის შეცვლამ კონგრესის მიერ კუბასთვის დაწესებული ეკონომიკური ემბარგოს მოხსნის შესაძლებლობა შეამცირა; კუბის მოსახლეობა ემბარგოს მძიმე შედეგებს კვლავ განიცდიდა. პარაგვაის ხელისუფლება სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის უფლებას იძულებითი გამოსახლებებით არღვევდა. ჰაიტიზე ქოლერას ათასობით ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

კარიბის ზღვის ქვეყნებში, მათ შორის – დომინიკის რესპუბლიკასა და პუერტო რიკოში, ათობით ათასი ადამიანი ორი ქარიშხლისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების შემდგომ უსახლკაროდ იყო დარჩენილი და დაზიანებულ ინფრასტრუქტურასთან უწევდა გამკლავება. მექსიკაში დამანგრეველი ძალის მქონე ორმა მიწისძვრამ ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მოსახლეობის საცხოვრისისა და განათლების უფლებები შელახა.

მექსიკის ქალაქ კანკუნში გამართულმა ამერიკული ქვეყნების ორგანიზაციის (OAS) გენერალურმა ასამბლეამ რეგიონის ყველაზე მწვავე პრობლემებთან შეჭიდების საკითხში ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების ნების ნაკლებობა წარმოაჩინა. საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობის აღების გარეშე, რამდენიმე სახელმწიფომ ვენესუელაში მიმდინარე კრიზისის დაგმობა სცადა. წინა წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, OAS-მა ინტერამერიკულ ადამიანის უფლებათა სისტემას ბიუჯეტი გაუორმაგა; თუმცაღა, დაფინანსებას გარკვეული პირობები ახლდა, რასაც ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს მიერ სახელმწიფოების პასუხისმგებლობაში მიცემის უნარიანობა შეეძლო შეეზღუდა.

აშშ-ში პრეზიდენტი ტრამპი დროს არ კარგავდა და დისკრიმინაციულ და ქსენოფობიურ რიტორიკას აგრძელებდა, რაც მართლმსაჯულების აღსრულებასა და თავისუფლებების დაცვას ურტყამდა. პრეზიდენტმა რამდენიმე რეპრესიულ აღმასრულებელ განკარგულებას

მოაწერა ხელი, რომლებიც მილიონობით ადამიანის უფლებებს ემუქრებოდა როგორც აშშ-ში, ისე – მის გარეთ.

ამ აღმასრულებელ განკარგულებებს შორის ერთ-ერთი აშშ-მექსიკის საზღვრის გასამაგრებლად ძალადობრივ პრაქტიკებს აწესებდა; მეორე აშშ-სა და მის გარეთ ქალებისა და გოგონების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობას აფერხებდა; მესამე დასაქმებული ლგბტი პირებისა და ტრანსგენდერი მოსწავლეების დაცვის გარანტიებს აუქმებდა; ხოლო მეოთხე „დაკოტა აქსესის" მილსადენის დასრულების ნებართვას გასცემდა, რაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობების წყალზე წვდომასა და თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებებს ემუქრებოდა.

და მაინც, სხვადასხვა ჯგუფების მზარდ დემონიზაციას სამოქალაქო ჩართულობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. სოციალური უკმაყოფილების გამო ხალხი ქუჩაში გამოდიოდა, უფლებებისთვის ხმას იმაღლებდა და რეპრესიების, მარგინალიზაციისა და უსამართლობის დასრულებას მოითხოვდა. ამის თვალსაჩინო მაგალითებს შორის იყო: არგენტინაში აქტივისტ სანტიაგო მალდონადოს მხარდასაჭერად გამართული მასობრივი დემონსტრაციები, რომელიც პოლიციის მიერ ძალისმიერად დაშლილი მაპუჩეს თემის დემონსტრაციების შემდეგ გაუჩინარდა, ხოლო მოგვიანებით მოკლული იპოვეს; და რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში დაწყებული მასობრივი სოციალური მოძრაობა „ნი უნა მენოს" („არც ერთი ქალით ნაკლები"), რომელიც ფემიციდსა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას გმობდა.

მასობრივი სამოქალაქო ინიციატივები და პოლიტიკური ოპოზიცია აშშ-ში ტრამპის ადმინისტრაციის ზოგიერთ ისეთ პოლიტიკასა და გადაწყვეტილებას აღუდგა წინ, რომლებიც ადამიანის უფლებებს ბღალავდა, მათ შორის რამდენიმე მუსლიმური ქვეყნიდან მიგრანტების აშშ-ში შეშვების აკრძალვასა და ქვეყანაში დასაშვებ ლტოლვილთა რაოდენობის შემცირებას; გუანტანამოს ყურეში მდებარე საპატიმროში დაკავებულთა რაოდენობის ზრდას; და აშშ-ის მილიონობით მოქალაქისთვის ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების გაუქმებას.

საჯარო წესრიგი და ადამიანის უფლებები

ვენესუელას კრიზისი

ვენესუალა თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ადამიანის უფლებათა კრიზისის წინაშე იდგა, რომელსაც ხელისუფლების მიერ წახალისებული ძალადობა კიდევ უფრო ამძაფრებდა. მზარდ ინფლაციასა და საკვებისა და წამლების უკმარისობით გამოწვეულ ჰუმანიტარულ კრიზისს უფრო და უფრო მეტი ადამიანი აპროტესტებდა. საკვებისა და ჯანდაცვის კრიზისთან გამკლავების ნაცვლად, ხელისუფლება განსხვავებულ აზრს ძალადობრივი რეპრესიების გზით, მიზანმიმართულად ახშობდა. უსაფრთხოების სამსახურები დემონსტრანტების მიმართ ძალადობრივ და გადამეტებულ ძალას იყენებდნენ, მათ შორის – ცრემლსადენ გაზსა და რეზინის ტყვიებს, რამაც 120-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ათასობით ადამიანი უსაფუძვლოდ დააკავეს; ბევრი დაკავებული წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდა. სასამართლო სისტემა განსხვავებული აზრის ჩასახშობად გამოიყენებოდა, მათ შორის სამხედრო სასამართლოების გზით სამოქალაქო პირების სამართლებრივი დევნისა და უფლებადამცველების შესავიწროებლად.

ძალადობა და დაუსჯელობა მექსიკაში

ძალადობისა და ჰომიციდის ზრდამ, მათ შორის – ჟურნალისტების რეკორდული რაოდენობის მკვლელობებმა, მექსიკის ადამიანის უფლებათა კრიზისი გააგრძელა. დაუსაბუთებელი დაკავებები და პატიმრობა ფართოდ იყო გავრცელებული, რაც ხშირად ადამიანის უფლებათა კიდევ უფრო მეტ დარღვევას იწვევდა, რომელთა დიდი ნაწილიც გამოუძიებელი რჩებოდა. 34 ათასზე მეტი ადამიანი გაუჩინარებული იყო და ბევრიც სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის მსხვერპლი ხდებოდა. უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლების მიერ წამება და არასათანადო მოპყრობა კვლავ ხშირი იყო და აღიარებითი ჩვენებების მოსაპობლად გამოიყენებოდა. საჯარო აღშფოთების შემდეგ, რომელიც 43 სტუდენტის იძულებით გაუჩინარებას მოჰყვა, სენატის მიერ იძულებით გაუჩინარებებზე ახალი კანონის მიღება წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა; თუმცა კანონით გათვალისწინებული დებულებების პრაქტიკაში განსახორციელებლად და მართლმსაჯულების, სიმართლისა და რეპარაციების უზრუნველსაყოფად მტკიცე პოლიტიკური ნება იქნება საჭირო. წამების შესახებ ახალი კანონი კონგრესმა საბოლოოდ მიიღო. შიდა უსაფრთხოების კანონის ამოქმედება, რომელიც რეგულარული საპოლიციო ობიექტებში შეიარაღებული ძალების ხანგრძლივი ვადით ოპერირებას უშვებდა, კითხვის ნიშნებს აჩენდა; ეს სტრატეგია ადამიანის უფლებების შელახვასთან ასოცირდება.

სიცოცხლის უკანონო მოსპობა

ბრაზილიის ხელისუფლება საკუთარ საზღვრებში გაღრმავებული ადამიანის უფლებათა კრიზისს უგულვებელყოფდა. ქალაქ რიო დე ჟანეიროში ძალადობის მკვეთრ ზრდას თან ახლდა პოლიციის მიერ უკანონო მკვლელობები; მკვლელობებისა და ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვებები ქვეყნის სხვა ნაწილებშიც იზრდებოდა. ჰომიციდების შესამცირებლად, პოლიციის მიერ ძალის გამოყენების კონტროლისა და მკვიდრი მოსახლეობების უფლებების დასაცავად ხელისუფლება ბევრს არაფერს აკეთებდა. იანვარში ბრაზილიის ქაოტურ, გადაჭედილ და საშიშ ციხეებში მომხდარი არეულობისას 120-ზე მეტი პატიმრის მკვლელობა დაფიქსირდა.

ჰომიციდების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ჰონდურასში მძვინვარე ძალადობა სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას დაუსჯელობა კიდევ უფრო აკნინებდა. ნოემბერში ჩატარებულ გაუმჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყნის მასშტაბით მასობრივი დემონსტრაციები მოჰყვა. აქციებს უსაფრთხოების სამსახურები ძალადობრივად შლიდნენ, რასაც სულ ცოტა 31 ადამიანის სიკვდილი, ათეულობით პირის უსაფუძვლო დაკავება და ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა.

უსაფრთხოების სამსახურების მიერ სიცოცხლის უკანონოდ მოსპობის ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა დომინიკელთა რესპუბლიკაში, სადაც ჰომიციდის მაღალი მაჩვენებელი შენარჩუნდა. იამაიკის პოლიცია უკანონო მკვლელობებს დაუსჯელად აგრძელებდა, რომელთა შორისაც ზოგი სასამართლოსგარეშე სიკვდილით დასჯის ტოლფასი იყო.

საპროტესტო აქციები

კოლუმბიაში, პარაგვაისა და პუერტო რიკოში დემონსტრაციებს ხელისუფლება გაუმართლებელი და გადამეტებულ ძალით ხვდებოდა.

პარაგვაიში სენატორების მიერ საპრეზიდენტო არჩევნების ხელახალი გამართვის მიზნით კონსტიტუციის გასაიდუმლოებულად შეცვლის მცდელობას საპროტესტო აქციები მოჰყვა. კონგრესის შენობას ზოგიერთმა დემონსტრანტმა ცეცხლი წაუკიდა და პოლიციამ ოპოზიციონერი აქტივისტი როდრიგო კინტანა მოკლა. ათეულობით ადამიანი დაშავდა, 200-ზე მეტი დააკავეს და, ადგილობრივი არასამთავროების ინფორმაციით, უსაფრთხოების სამსახურებმა ბევრი მათგანი აწამეს.

ნიკარაგუის არხის მშენებლობის მოწინააღმდეგე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასა და მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფებს სამართალდამცავები მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ.

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში სანტიაგო მალდონადოს მკვლელობის გასაპროტესტებლად გამოსული 30-ზე მეტი ადამიანი პოლიციამ დაუსაბუთებლად დააკავა. დეკემბერში ბუენოს აირესში მთავრობის რეფორმების წინააღმდეგ მოწყობილი საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ პოლიციამ ჭარბი ძალა გამოიყენა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და დაუსჯელობასთან ბრძოლა

დაუსჯელობა კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული და ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და ძალადობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ბევრ ქვეყანაში იყო.

გვატემალაში დაუსჯელობამ და კორუფციამ ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობაზე უარყოფითი გავლენა იქონია და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდა.

გვატემალას პრეზიდენტ ჯიმი მორალესის მიერ დაუსჯელობის წინააღმდეგ საერთაშორისო კომისიის – გაეროსა და გვატემალას ხელისუფლების მიერ 2006 წელს კონფლიქტის შემდგომ პერიოდში კანონის უზენაესობის გასამტკიცებლად შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოს – ხელმძღვანელის ქვეყნიდან გაძევების მცდელობას აგვისტოსა და სექტემბერში მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები და მთავრობის რამდენიმე წევრის გადადგომა მოჰყვა. აღნიშნულმა ქვეყანა პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა.

დაუსჯელობა წარსულ და მიმდინარე ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის წუხილის მიზეზს ჩილეშიც წარმოადგენდა. მაპუჩეს თემის ლიდერ ვიქტორ კეიპულ უეიკილის სავარაუდო გატაცებისა და წამების საქმეზე გამოძიების დახურვა ქვეყანაში მოღვაწე ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ გზავნილს წარმოადგენდა; საქმეზე სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება არ მომხდარა. მკვიდრი მოსახლეობის სათემო ლიდერ მაჩი ფრანსისკა ლინკონაოს და ათ სხვა მაპუჩეს წარმომადგენელს, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ტერორიზმის ბრალდებები მოუხსნეს; მათ 2013 წელს ორი ადამიანის მკვლელობაში ედებოდათ ბრალი. თუმცა დეკემბერში გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა და ახალი პროცესი 2018 წელს უნდა დაწყებულიყო.

წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიება

შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, წარსულში მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიება დროში იწელებოდა.

პერუში პრეზიდენტმა პედრო პაბლო კუჩინსკიმ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ყოფილი პრეზიდენტი ალბერტო ფუჯიმორი შეიწყალა, რომელსაც 25-წლიანი პატიმრობა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის 2009 წელს მიესაჯა; ამ დროს სასამართლოს რამდენიმე სხვა მსგავსი სიმძიმის ბრალდებაზე გადაწყვეტილება ჯერ ისევ არ ჰქონდა გამოტანილი. შეწყალების გადაწყვეტილება ათასობით ადამიანმა ქუჩაში გამოსვლით გააპროტესტა.

ურუგვაიში ადამიანის უფლებათა დამცველები, რომლებიც სამხედრო რეჟიმის (1973-1985 წლებში) ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებს იძიებდნენ,

სიცოცხლის მოსპობაზე იღებდნენ მუქარებს, რომელთა გამოძიებაც არ მომხდარა. ნოემბერში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რეჟიმის დროს ჩადენილი დანაშაულები კაცობრიობის წინაშე დანაშაულს არ წარმოადგენდნენ და ამიტომ ხანდაზმულობის ვადის გასვლას ექვემდებარებოდნენ.

და მაინც, სახეზე გარკვეული პროგრესიც იყო. არგენტინაში 1976-1983 წლების სამხედრო რეჟიმის დროს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის სამუდამო პატიმრობა 29 პირს მიესაჯა, ხოლო ფედერალურმა სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ფარგლებშიც ოთხ ყოფილ მოსამართლეს კაცობრიობის წინაშე დანაშაულების გამოუძიებლობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

ბოლივიაში სამხედრო ხელისუფლებების მიერ 1964-1982 წლებში ჩადენილი მძიმე დანაშაულების გამოსაძიებად სიმართლის კომისია შეიქმნა.

გვატემალას შიდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (1960-1996) მომხდარი ზოგიერთი დანაშაულის გამოძიებაში პროგრესი იყო; ხუთი ყოფილი სამხედრო უკანონო დაკავების, სექსუალური ძალადობისა და წამების სხვა ფორმების ბრალდებით სასამართლოში წარდგნენ. 2015 წლის მერე რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ოქტომბერში სამხედრო ხელისუფლების ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის, ხოზე ეფრაინ რიოს მონტისა და დაზვერვის ყოფილი უფროსის, ხოსე როდრიგეს სანჩესის სასამართლო პროცესები განახლდა.

ლტოლვილები, მიგრანტები და მოქალაქეობის არმქონე პირები

აშშ-ის მიერ დაცვის უარყოფა

ლტოლვილთა გლობალური კრიზისის დროს, როდესაც 21 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა, ომისა და დევნის გამო სახლი დაეტოვებინა, აშშ-მა მიგრაციის შესაზღუდად უკიდურესი ნაბიჯები გადადგა. პრეზიდენტმა ტრამპმა მისი პრეზიდენტობის პირველივე რამდენიმე კვირაში აღმასრულებელი განკარგულებები გამოსცა, რომლითაც აშშ-ის ლტოლვილთა განსახლების პროგრამა 120 დღით შეაჩერა, სირიელი ლტოლვილების შესვლა განუსაზღვრელი ვადით აკრძალა და წელიწადში დასაშვები ლტოლვილების რაოდენობა 50 ათასამდე შეამცირა.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა ტრამპმა აშშ-მექსიკის საზღვარზე კედლის აშენების თაობაზე აღმასრულებელ განკარგულებას მოაწერა ხელი. მისი განკარგულება, რომელიც საზღვრის მიმდებარედ დამატებით 5 ათასი პატრულის განლაგებას ითვალისწინებდა, მიგრანტების – მათ შორის ბევრი ისეთის, ვისაც საერთაშორისო დაცვა ესაჭიროებოდა – უკანონოდ უკან განდევნისა და ისეთ ადგილებში დეპორტაციის რისკის ქვეშ აყენებდა, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. პრეზიდენტ ტრამპის მოქმედებების უსამართლობა კიდევ უფრო აშკარა იყო ცენტრალურ ამერიკაში მიმდინარე ლტოლვილთა კრიზისისა და ვენესუელაში არსებული სავალალო მდგომარეობის ფონზე, რამაც ვენესუელელი თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. აშშ-ში ლტოლვილთა და მიგრანტთათვის გაუარესებული მდგომარეობის პარალელურად, აშშ-დან კანადაში არარეგულარულად გადასულ მიგრანტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

ლტოლვილთა კრიზისი

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) მიხედვით, 2017 წელს თავშესაფარს ჰონდურასიდან, გვატემალადან და ელ სალვადორიდან 57 ათასზე მეტი ადამიანი ეძებდა. ბევრს უკან დაბრუნება აიძულეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი დაცვის ეფექტური

სისტემების არარსებობის გამო, იმავე პირობებში მოუწევდათ დაბრუნება, რასაც გაექცნენ. ამ ქვეყნებიდან მიგრირებული ათასობით ოჯახი და თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვი აშშ-ში შესვლას მექსიკიდან ცდილობდა და საზღვარზე იქნა დაკავებული.

მექსიკამ ლტოლვილობის სტატუსის მოთხოვნით განაცხადების რეკორდული რაოდენობა მიიღო, უმთავრესად – ელ სალვადორის, გვატემალას, ვენესულასა და ჰონდურასიდან. ამ ადამიანების დაცვის საჭიროებების დაკმაყოფილების ნაცვლად, მექსიკის მთავრობა მათ განდევნას და უკან, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ პირობებში დაბრუნებას აიძულებდა.

არგენტინის თავშესაფრის მაძიებელთა მიღების სისტემა ნელი და არასაკმარისი იყო. მთავრობას თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილთა ინტეგრაციის გეგმა არ ჰქონდა, რაც მათი ისეთი ძირითადი უფლებებით აღჭურვას უზრუნველყოფდა, როგორიც განათლებაზე, სამუშაოსა და ჯანდაცვაზე წვდომაა.

დაბალი ანაზღაურებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე გაუმართლებელი შეზღუდვების გამო, კუბიდან მაღალი მიგრაციის მაჩვენებელი შენარჩუნდა.

მოქალაქეობის არმქონე პირები და შიდა მიგრანტები

დომინიკელთა რესპუბლიკაში დაბადებული ჰაიტური წარმოშობის ათობით ათასი პირისთვის 2013 წელს მოქალაქეობის რეტროაქტიულად ჩამორთმევისა და დაუსაბუთებლად არმინიჭებასთან დაკავშირებული კრიზისი გაგრძელდა. ამ პოლიტიკის მსხვერპლების მრავალი უფლება ირღვეოდა, მათ შორის – უმაღლესი განათლების, ფორმალური დასაქმებისა და სათანადო ჯანდაცვის.

ჰაიტის 2010 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თითქმის 38 ათასი პირი იყო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული. დომინიკელთა რესპუბლიკისა და ჰაიტის საზღვარზე დეპორტაციის შემთხვევების გაზრდილი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

მკიდრი მოსახლეობის უფლებები

არგენტინაში, ბოლივიაში, კანადაში, ჩილეში, კოლუმბიაში, ეკვადორში, ჰონდურასში, ნიკარაგუასა და პერუში მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შელახვა გაგრძელდა.

მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ძალადობა

არგენტინაში მკვიდრი მოსახლეობის დევნა და დისკრიმინაცია გაგრძელდა. ხელისუფლება მკვიდრ მოსახლეობაზე ზეწოლისათვის სამართლებრივ პროცედურებს იყენებდა, პოლიცია თავს ესხმოდა, სცემდა და ავიწროებდა მათ. მაპუჩეს თემის წარმომადგენელი რაფაელ ნაჰუელი ნოემბერში იძულების წესით გამოსახლებისას უსაფრთხოების სამსახურებმა მოკლეს.

კოლუმბიაში შეიარაღებული კონფლიქტით ისტორიულად დაზარალებულ ადგილებში მკვიდრი მოსახლეობის მკვლელობების ტალღა მშვიდობის შეთანხმების შესრულების ნაკლოვანებებს წარმოაჩენდა. კაუკას დეპარტამენტის ქალაქ ტიმბიოში კიტე კივეს ადგილობრივი მოსახლეობის საბჭოს ლიდერს, გერსონ აკოსტას ერთ-ერთი სათემო შეხვედრის შემდეგ რამდენჯერმე ესროლეს. მისი მკვლელობა მკვიდრი მოსახლეობის სიცოცხლის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში ხელისუფლების არაეფექტურობის ტრაგიკული მაგალითი იყო.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ ამერიკაში მკვიდრ ქალთა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის დოკუმენტირება მოახდინა და ხაზი იმას გაუსვა, თუ რამდენად ახდენდა მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მარგინალიზაცია მათ მუდმივ სტრუქტურულ დისკრიმინაციას, რაც მათ ძალადობისადმი განსაკუთრებით მოწყვლადს ხდიდა.

მიწის უფლებები

პერუში მიღებულმა ახალმა კანონებმა მკვიდრი მოსახლეობის მიწისა და ტერიტორიის დაცვისა და თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებები შეასუსტა. ხელისუფლებამ ასობით მკვიდრი მოსახლის, რომლის ერთადერთი წყლის წყაროც მომწამვლელი ნივთიერებებით იყო დაბინძურებული, ჯანმრთელობის უფლება უგულვებელყო და ჯანდაცვაზე სათანადო წვდომა შეუზღუდა.

ეკვადორში მკვიდრი მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებები კვლავ ილახებოდა, მათ შორის – მათ ტერიტორიებზე სახელმწიფოს მიერ ნავთობის მოპოვების მოქმედებების გამო.

თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებები პარაგვაის მკვიდრ მოსახლეობასაც ეზღუდებოდა, როდესაც სახელმწიფო მათი დასახლების ადგილებში ახალ პროექტებს იწყებდა. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიუხედავად, ხელისუფლება იაკე აქსას თემს საკუთარ მიწაზე წვდომის უფლებას არ აძლევდა და საჰოიამაქსას თემის წევრების მიწების ექპროპრიაციის საკითხზე მიმდინარე დავაზე გადაწყვეტილებას არ იღებდა.

გვატემალას უზენაესმა სასამართლომ სანტა როსასა და ჯალაპაში ქსინკას მკვიდრი მოსახლეობის წინასწარი კონსულტაციის უფლების დარღვევა ცნო. მკვიდრი მოსახლეებისთვის სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ოპერაციები დამაზიანებელი აღმოჩნდა.

ბრაზილიაში მიწის კონფლიქტები და ტყის უკანონო მჩეხავებისა და წიაღისეულის უკანონო მომპოვებელთა მკვიდრი მოსახლეობის ტერიტორიებზე შემოსევა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ძალადობრივი შეტაკებებით დასრულდა.

უფლებადამცველები და ჟურნალისტები

ადამიანის უფლებების დაცვა უდიდეს რისკებთან რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში იყო დაკავშირებული, სადაც უფლებადამცველებს მუქარების, შევიწროებისა და თავდასხმების ატანა უწევდათ; მათ შორის – ბოლივიაში, ბრაზილიაში, ეკვადორში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, ჩილესა და ჰონდურასში.

მკვლელობები და შევიწროება მექსიკაში

მექსიკაში ადამიანის უფლებათა დამცველებს ემუქრებოდნენ, თავს ესხმოდნენ და კლავდნენ; ონლაინ თავდასხმები და თვალთვალი ფართოდ იყო გავრცელებული. წლის განმავლობაში სულ ცოტა 12 ჟურნალისტი მოკლეს – 2000 წლის შემდეგ ყველაზე დიდი რიცხვი – მათ შორის ბევრი საჯარო ადგილებში, დღის განმავლობაში. ხელისუფლებამ ამ დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირების გამოკვეთასა და პასუხისგებაში მიცემა ვერ უზრუნველყო. მსხვერპლთ შორის იყო ჟურნალისტური პრიზის მფლობელი ხავიერ ვალდესი, რომელიც მის მიერ დაარსებული გაზეთ „რიოდოსეს“ რედაქციის მახლობლად მოკლეს. აშკარა იყო, რომ ადამიანთა ქსელი ინტერნეტს მთელი მექსიკის მასშტაბით ჟურნალისტების შევიწროებისა და მუქარისთვის იყენებდა. ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ თვალთვალის მტკიცებულებებიც გამოჩნდა, მათ შორის ისეთი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რომლებიც, ცნობილი იყო, რომ მთავრობას ჰქონდა შესყიდული.

ადამიანის უფლებათა დამცველები რისკის ქვეშ ჰონდურასში

ჰონდურასი უფლებადამცველებისთვის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე საშიშ ქვეყნად რჩებოდა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც საკუთრების, ტერიტორიისა და გარემოს დაცვას

ცდილობდა. მათ მიმართ დისკრედიტაციას, დაშინებას, მუქარასა და თავდასხმებს სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტები ცდილობდნენ. ბევრი თავდასხმა დაუსჯელი რჩებოდა. 2016 წლის მარტში მკვიდრი გარემოსდამცველის, ბერტა კასერესის მკვლელობის გამოძიების საქმეში პროგრესი თითქმის არ იყო. მისი მკვლელობის შემდეგ სხვა რამდენიმე ჰონდურასელ გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებათა აქტივისტსაც ავიწროებდნენ და ემუქრებოდნენ.

შეტაკებების გაზრდილი რიცხვი კოლუმბიაში

კოლუმბიაში ადამიანის უფლებათა დამცველებზე თავდასხმები გაიზარდა, განსაკუთრებით ადგილობრივი თემის ლიდერებზე, რომლებიც მიწას, ტერიტორიასა და გარემოს იცავდნენ და მშვიდობის შეთანხმებას უჭერდნენ მხარს. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ადმინისტრაციის მიხედვით, წლის განმავლობაში ასზე მეტი ადამიანის უფლებათა დამცველი მოკლეს. სიცოცხლის მოსპობის მუქარების დიდი ნაწილი გასამხედროებულ ძალებს მიეწერებოდათ, თუმცა უმეტეს შემთხვევებში, ხელისუფლება მკვლელობებისთვის პასუხისმგებელი პირების ვინაობას ვერ ადგენდა.

დაუსაბუთებელი დაკავებები, მუქარები და შევიწროება

კუბაში უფლებადამცველებისა და პოლიტიკური აქტივისტების გასაჩუმებლად მათზე ზეწოლის, დაშინების, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებისა და დაკავებების შემთხვევები ძალიან ხშირი იყო. ცენზურა, მათ შორის – ინტერნეტის, განათლებაში პროგრესს აფერხებდა. ყოფილი პრეზიდენტის, ფიდელ კასტროს კრიტიკისთვის დემოკრატიული „ქრისტიანული განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ლიდერი ედუარდო კარდე კონსეფსიონი დააკავეს და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ის სინდისის პატიმარი იყო.

გვატემალას უფლებადამცველები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მიწის, ტერიტორიისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობდა, გამუდმებული მუქარებისა და თავდასხმების სამიზნე იყვნენ. მათ წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიებსაც ეწეოდნენ. უფლებადამცველების მიზანში ამოსაღებად, ზეწოლის მოსახდენად და გასაჩუმებლად სასამართლო სისტემის მექანიზმებიც ხშირად ბოროტად გამოიყენებოდა.

პერუში მიწის მითვისების ბრალდებით ადამიანის უფლებათა დამცველის მაქსიმა აკუნია ატალაიას ხუთწლიანი დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და მისი გათავისუფლების თაობაზე ქვეყნის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, გარემოსდაცვითი აქტივისტებისთვის მნიშვნელოვან სასამართლო პრეცედენტს წარმოადგენდა.

ქალებისა და გოგონების უფლებები

რეგიონის მასშტაბით ქალები და გოგონები მრავალ დარღვევას და ძალადობას აწყდებოდნენ, მათ შორის გენდერული ნიშნით მოტივირებულ დისკრიმინაციას და მათი სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების შელახვას.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა ფართოდ იყო გავრცელებული. გაუპატიურების, მკვლელობისა და მუქარისთვის დაუსჯელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რასაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ნების ნაკლებობა, დამნაშავეების დევნის შეზღუდული რესურსები და პატრიარქალური კულტურა ახალისებდა.

დომინიკელთა რესპუბლიკაში გენდერული ნიშნით ძალადობამ ქალთა და გოგონათა მკვლელობების რიცხვის ზრდა გამოიწვია. გენდერული ნიშნით ქალებსა და გოგონებზე ძალადობა უდიდეს პრობლემას მექსიკაშიც წარმოადგენდა, ხოლო ნიკარაგუაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

იამაკაში ქალთა მოძრაობები და გენდერული და სექსუალური ძალადობის ნიშნით მსხვერპლები ქუჩაში გამოვიდნენ და ასეთი დანაშაულებისთვის დაუსჯელობის დასრულება მოითხოვეს.

კოლუმბიაში მაღალ თანამდებობებზე მყოფ ქალთა მკვლელობების გაზრდილი რაოდენობა დაფიქსირდა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების უზრუნველყოფის საკითხში პროგრესი არ ჩანდა. და მაინც, ქალთა ორგანიზაციების ადვოკატირებით, მშვიდობის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ სექსუალურ ძალადობაში ეჭვმიტანილი პირები გარდამავალი მართლმსაჯულების ტრიბუნალების წინაშე წარდგებიან.

კუბაში „თეთრში გამოწყობილი ქალები" – პოლიტიკურად მოტივირებული საფუძვლით დაკავებულ პატიმარ ქალთა ნათესავების ჯგუფი – ხელისუფლების რეპრესიების სამიზნე იყო.

კანადის ფედერალურმა ხელისუფლებამ გენდერული ნიშნით ძალადობის დასამარცხებლად სტრატეგია გამოსცა, რომლითაც ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში როლის გაზრდაზე აიღო ვალდებულება. დეკემბერში პარაგვაის ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი ამოქმედდა, თუმცა კანონის მოქმედების დაფინანსების საკითხები კვლავ გაურკვეველი რჩებოდა.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

აშშ-ის „გლობალური დადუმების" პოლიტიკა

იანვარში მსოფლიოს გარშემო ორდღიანი მასობრივი დემონსტრაციების შემდეგ, სადაც მონაწილეები თანასწორობასა და დისკრიმინაციისგან დაცვას მოითხოვდნენ, აშშ-ის პეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მილიონობით ქალისა და გოგონას სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დააყენა, აღადგინა რა ე.წ. „გლობალური დადუმების" პოლიტიკა. ამ გადაწყვეტილებამ აშშ-ის ფინანსური დახმარება დაუბლოკა ყველა ისეთ საავადმყოფოსა თუ ორგანიზაციას, რომელიც კანონიერ და უსაფრთხო აბორტის სერვისებს ან მათზე ინფორმაციას გასცემდნენ; ასევე მათ, ვინც აბორტის დეკრიმინალიზაციაზე ადვოკატირებას ეწევა.

მხოლოდ ლათინურ ამერიკაში, სადაც ექსპერტების ვარაუდით, წელიწადში 760 ათასამდე ქალი განიცდის არაუსაფრთხო პირობებში ჩატარებული აბორტით გამოწვეულ გართულებებს, პრეზიდენტ ტრამპის პოზიციამ გაცილებით მეტი ქალის სიცოცხლეს რისკები შეუქმნა.

აბორტის კრიმინალიზაცია

ჩილეს საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შემდეგ გარკვეულ შემთხვევებში აბორტის დეკრიმინალიზაციის მხარდაჭერის თაობაზე, მთელ მსოფლიოში მხოლოდ შვიდი ქვეყანა რჩებოდა, სადაც აბორტი სრულად არის აკრძალული. ამ შვიდი ქვეყნიდან ექვსი ამერიკის რეგიონშია: დომინიკელთა რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, სურინამი და ჰაიტი.

ელ სალვადორში გაუპატიურების 19 წლის მსხვერპლს, ეველინ ბეატრის ჰერნანდეს კრუსს დამამძიმებელ პირობებში მკვლელობისთვის 30 წლიანი პატიმრობა შეუფარდეს, მას შემდეგ რაც მშობიარობის გართულებებმა მისი ნაყოფის მოშლა გამოიწვია. დეკემბერში სასამართლომ თეოდორას, რომელმაც 2007 წელს მკვრადშობილი ბავშვი გააჩინა, 30-წლიანი საპატიმრო სასჯელი შეუნარჩუნა.

დომინიკელთა რესპუბლიკის სენატმა საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში აბორტის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებდა, მხარი არ დაუჭირა. ჰონდურასში სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა აბორტის ყველა შემთხვევაზე აკრძალვა შეინარჩუნა.

არგენტინაში ქალებსა და გოგონებს კანონიერ აბორტზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ, როდესაც ეს ქალის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა ან გაუპატიურების შედეგად იყვნენ დაფეხმძიმებულნი. აბორტის სრული დეკრიმინალიზაციის თაობაზე კანონპროექტს პარლამენტი იხილავდა. ურუგვაიში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის რთულად ხელმისაწვდომი იყო და აბორტის მოწინააღმდეგე აქტივისტები სერვისზე მათ კანონიერ წვდომას ზღუდავდნენ.

ოქტომბერში პარაგვაის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ადამიანის ძირითად უფლებათა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და მრავალფეროვნების საკითხების თაობაზე მასალების საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანის აკრძალვაზე რეზოლუცია გამოსცა.

ბოლივიაში, სადაც არაუსაფრთხო გარემოში ჩატარებული აბორტები დედათა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით, აბორტზე კანონიერი წვდომა გაიზარდა.

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს პირთა უფლებები

მთელ რეგიონში, მათ შორის – ჰაიტიში, ჰონდურასსა და იამაიკაში – ლგბტი ადამიანები გამუდმებულ დისკრიმინაციას, შევიწრობასა და ძალადობას აწყდებოდნენ.

ბოლივიაში საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის ჩანაწერი გააუქმა, რომლითაც ტრანსგენდერ პირებს, ვისაც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესი შეცვლილი ჰქონდათ, სამოქალაქო ქორწინების უფლება ენიჭებოდათ. სახალხო დამცველი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის წინადადებით გამოვიდა, რომელიც ლგბტი ადამიანების მიმართ სიძულვილის დანაშაულებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებდა.

დომინიკელთა რესპუბლიკაში ტრანსგენდერი ქალის, რუბი მორის ცხედარი დანაწევრებული და გადაგდებული იპოვეს. წლის ბოლოსთვის მის მკვლელობაზე პასუხი არავის ჰქონდა გაცემული.

ურუგვაიში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც ლგბტი პირებს საჯარო სკოლებსა და სივრცეებში ძალადობისგან დაიცავდა ან ჯანდაცვის სერვისებზე მათ წვდომას უზრუნველყოფდა, კვლავ არ არსებობდა.

შეიარაღებული კონფლიქტი

კოლუმბიის მშვიდობის ხელშეკრულებით შექმნილი შესაძლებლობების მიუხედავად, კანონმდებლობის უმეტესობა შეუსრულებელი დარჩა და კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულებზე დაუსჯელობა სერიოზულ წუხილს იწვევდა.

მიმდინარე ადამიანის უფლებათა დარღვევები და ძალადობა წარმოაჩენდა, რომ შიდა კონფლიქტი კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებსა (FARC) და უსაფრთხოების სამსახურებს შორის დასრულებულისგან შორს იყო და ზოგ რეგიონში ის კიდევ უფრო მწვავდებოდა. მშვიდობიანი მოსახლეობა კონფლიქტის მთავარი მსხვერპლი იყო – განსაკუთრებით მკვიდრი ხალხები, აფრიკული წარმოშობის ხალხები და გლეხ ფერმერთა თემები და ადამიანის უფლებათა დამცველები.

წლის დასაწყისში მოკლული ადამიანის უფლებათა აქტივისტების რიცხვის მკვეთრმა მატებამ ის რისკები წარმოაჩინა, რაც კოლუმბიაში მიმდინარე ძალადობის გამოვლენას ახლავს თან.

აფრიკის რეგიონული მიმოხილვა

აფრიკაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა ძალადობრივი გზით ჩაშლილი მშვიდობიანი დემონსტრაციებითა და პოლიტიკურ ოპონენტებზე, უფლებადამცველებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ინტენსიური თავდასხმებით ხასიათდებოდა. ხანგრძლივი კონფლიქტების გადაწყვეტის მიზნით პოლიტიკური მცდელობების სტაგნაცია მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობას კიდევ უფრო ზრდიდა. ადამიანის უფლებების დარღვევებისა და კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულებისთვის – მათ შორის საერთაშორისო სამართლის დანაშაულებისთვის – დაუსჯელობის ციკლი გაგრძელდა.

მშვიდობიანი პროტესტის შეუმწყნარებლობა და მანიფესტაციის თავისუფლების გამუდმებული შეზღუდვა აფრიკაში ნორმას წარმოადგენდა. ლომედან ფრიტაუნამდე, ხარტუმიდან კამპალამდე და კინშასადან ლუანდამდე, მშვიდობიან დემონსტრანტებს აკავებდნენ და სცემდნენ; მათ მიმართ პოლიცია ჭარბ ძალას იყენებდა და, ზოგჯერ, კლავდა კიდეც.

პოლიტიკური ჩიხი და ხანგრძლივი კონფლიქტების საქმეების გადაწყვეტისა და მათ გამომწვევ მიზეზებთან გამკლავების საკითხში რეგიონული და საერთაშორისო ორგანოების წარუმატებლობა დარღვევების ნორმალიზების საფრთხეს ქმნიდა; ასეთი დანაშაულების ჩადენა დაუსჯელად გრძელდებოდა.

ეს ტენდენციები სიღარიბესთან ბრძოლის ნელი და არასტაბილური პროგრესისა და ადამიანის განვითარების შეზღუდული პროგრესის კონტექსტში იჩენდა თავს. აფრიკის მდგრადი განვითარების ანგარიშის მიხედვით, უკიდურესი სიღატაკის შემცირების ხარისხი ძალიან ნელი იყო. ქალებსა და ახალგაზრდებზე სიღარიბის მძიმე შედეგები ყველაზე მეტად აისახებოდა.

მიუხედავად ამისა, სახეზე იმედისმომცემი ძვრები და გარკვეული პროგრესიც იყო, რომელიც საერთაშორისო მედიის ფოკუსის ქვეშ იშვიათად თუ აღმოჩნდებოდა ხოლმე: რიგითი ადამიანებისა და უფლებადამცველების გამბედაობა, რომლებიც რეპრესიების პირობებში სამართლიანობის, თანასწორობისა და ღირსებისათვის იბრძოდნენ.

მნიშვნელოვანი რეფორმები რამდენიმე ქვეყანაში გატარდა. გამბიამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოდან (ICC) გამოსვლა გადაიფიქრა, პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლა და სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე პირობა დადო. ბურკინა ფასოს კონსტიტუციის პროექტი ადამიანის უფლებების დასაცავ დებულებებს შეიცავდა.

ადამიანის უფლებებისთვის სასამართლოების მიერ მიღებული გარდამტეხი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ცალკე უნდა აღინიშნოს. კენიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც ის ხელისუფლების მიერ დადააბში მსოფლიოში ყველაზე დიდი ლტოლვილთა ბანაკის დახურვას არ დაეთანხმა, 250 ათასი ლტოლვილი უკან სომალიში იძულებით დაბრუნებას გადაარჩინა. ნიგერიაში ორმა სასამართლო გადაწყვეტილებამ დაადგინა, რომ მინიმალური ვადის მიცემის გარეშე, გამოსახლებით მუქარა დანაშაულს და სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს.

ანგოლის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუშაობაში ხელს უშლიდა, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

განსხვავებული აზრის დევნა

საპროტესტო აქციების ჩახშობა

ოცამდე ქვეყნის მოქალაქეებს მშვიდობიანი პროტესტის უფლება ეზღუდებოდათ, მათ შორის – უკანონო აკრძალვების, გადამეტებული ძალის, შევიწროებისა და უსაფუძვლო დაკავებების გზით. შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს შეკრების თავისუფლება არ შეეზღუდათ, გამონაკლისს წარმოადგენდა.

ანგოლაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეთიოპიაში, სუდანში, ტოგოში, ჩადსა და სხვა ქვეყნებში ადმინისტრაციული და სხვა მექანიზმები უკანონო შეზღუდვებისა და აკრძალვების დასაწესებლად გამოიყენებოდა.

ანგოლაში მშვიდობიან დემონსტრაციებს ხელისუფლება ხშირად იმის მიუხედავად შლიდა, რომ კანონით წინასწარი ნებართვები საჭირო არ იყო. ჩადში სულ ცოტა ექვსი მშვიდობიანი დემონსტრაცია აიკრძალა, ხოლო მათი ორგანიზატორები და მონაწილეები დააკავეს. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობიანი საპროტესტო აქციები, განსაკუთრებით მათი, რომლებიც დაგვიანებული არჩევნების გამო შექმნილი პოლიტიკური კრიზისის საწინააღმდეგოდ ეწყობოდა, იკრძალებოდა. სუდანში არასამთავრობო ორგანიზაციებს, ოპოზიციურ პარტიებსა და დარფურელ სტუდენტებს საჯარო ღონისძიებების გამართვაში ხელი ეშლებოდათ.

მონაწილეების დაშლის მიზნით ძალის გადამეტებული გამოყენება მონაწილეების მსხვერპლითა და დაკავებებით ბევრ ქვეყანაში სრულდებოდა. ანგოლაში დაშვებულ რამდენიმე დემონსტრაციას პოლიციისა და უსაფრთხოების ძალების მხრიდან დაუსაბუთებელი დაკავებები, პატიმრობა და სასტიკი მოპყრობა მოჰყვა. კამერუნის უსაფრთხოების სამსახურები ანგლოფონურ რეგიონებში დემონსტრაციებს ძალადობრივად ახშობდნენ. არჩევნების შემდეგ კენიის პოლიციამ ოპოზიციონერი დემონსტრანტების წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, მათ შორის – ღია ცეცხლი და ცრემლსადენი გაზი, რასაც ათეულობით ადამიანის სიცოხლე შეეწირა; სულ ცოტა 33 პირი, მათ შორის – ორი ბავშვი, პოლიციის მიერ ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა.

ტოგოში სულ ცოტა ათი ადამიანი, მათ შორის – სამი ბავშვი და შეიარაღებული ძალების ორი თანამშრომელი, უსაფრთხოების ძალების მიერ განხორციელებული ძალადობრივი ოპერაციის დროს დაიღუპა. ტოგოს უსაფრთხოების სამსახურები ხშირად სცემდნენ საპროტესტო აქციების მონაწილეებს და მათ წინააღმდეგ ცრემლსადენ გაზსა და ღია ცეცხლს იყენებდნენ. სიერა ლეონეს სპეცსამსახურებმა ქალაქ ბოში ლექტორების გაფიცვის საწინააღმდეგოდ მოწყობილი სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს, რა დროსაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა რამდენიმე სტუდენტი. პრეზიდენტისთვის ასაკობრივი ზღვრის კონსტიტუციიდან ამოღების ინიციატივის მოწინააღმდეგეთა მიერ მშვიდობიანი შეკრებების შეჩერებისა და ოპოზიციის დადუმების მიზნით, უგანდას ხელისუფლება რეიდების, დაკავებების, დაშინებისა და შევიწროების გზებს მიმართავდა.

ადამიანის უფლებათა დამცველებზე, ჟურნალისტებსა და ოპოზიციის აქტივისტებზე თავდასხმები

განსხვავებული აზრის ფართოდ გავრცელებული რეპრესია ადამიანის უფლებების დამცველებზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებსა და ბლოგერებზე თავდასხმებში იჩენდა თავს.

კამერუნში სამოქალაქო აქტივისტებს, ჟურნალისტებს, პროფკავშირების წევრებსა და მასწავლებლებს უსაფუძვლოდ აპატიმრებდნენ და ზოგს სამხედრო სასამართლოში ასამართლებდნენ. ხელისუფლებამ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო

ორგანიზაციების საქმიანობები აკრძალა. ბევრი მათგანი პატიმრობაში ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი ბრალდებებით რჩებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების აღშფოთების, მათ შორის – ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, ზრდის საპასუხოდ და განსხვავებული აზრის ჩასახშობად, ჩადის ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დამცველებს, აქტივისტებსა და ჟურნალისტებს აკავებდა და დევნიდა.

ადგილობრივი ხელისუფლება კანონებს ბოროტად იყენებდა და კრიტიკული ხმების დასადუმებლად პოლიცია აქტივისტებს ეკვატორულ გვინეაშიც აკავებდა.

ერიტრეაში ათასობით სინდისისა და პოლიტიკური პატიმარი ოფიციალური ბრალის გარეშე იყო დაკავებული და ადვოკატებსა და ოჯახის წევრებთან კავშირის შესაძლებლობა არ ჰქონდა; ზოგიერთი მათგანი პატიმრობაში ათი და მეტი წლის განმავლობაში რჩებოდა.

საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ეთიოპიაში უსაფუძვლო დაკავებები მანამდე გაგრძელდა, სანამ რეჟიმი ივნისში არ გაუქმდა. ხელისუფლებამ 2016 წელს დაკავებული 26 ათასიდან 10 ათასზე მეტი პირის გამოშვების ბრძანება გასცა. ამავდროულად, ასობით პირი დრაკონული ანტიტერორისტული პროკლამაციის საფუძველზე დააკავეს, რომელიც ხშირად ხელისუფლების კრიტიკოსების წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

მავრიტანიაში სახელმწიფო ღალატისთვის ბრალდებული ბლოგერის, მოჰამედ მხტაიტირის თავდაპირველად გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი შემსუბუქდა, თუმცა ის საპატიმროში პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგაც რჩებოდა. ამასთან, ციხეში სასჯელს მონობის მოწინააღმდეგე ორი აქტივისტიც იხდიდა.

გაჩუმების მიზნით, მადაგასკარის ხელისუფლება ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს აშინებდა და ავიწროებდა. ისინი, ვინც ბუნებრივი რესურსებით უკანონო ვაჭრობისა და ექსპლოატაციის თაობაზე ხმას იღებდა, სისხლისსამართლებრივად იდევნებოდა.

სუდანის ხელისუფლება განსხვავებული აზრის ჩახშობას აგრძელებდა. უსაფრთხოების სამსახურების სამიზნეში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირების აქტივისტები, უფლებადამცველები და სტუდენტები იყვნენ. შეთხზული ბრალდებების საფუძველზე მათ დაუსაბუთებლად აკავებდნენ და პატიმრობაში ტოვებდნენ, სადაც აწამებდნენ და არასათანადოდ ეპყრობოდნენ.

ზამბიაში გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებების შესაზღუდად საჯარო წესრიგის აქტი გამოიყენებოდა, განსაკუთრებით – სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი აქტივისტებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიმართ. პოლიცია მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ გადამეტებულ ძალას იყენებდა და მმართველი პარტიის მხარდამჭერების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების მიმართ გამოვლენილ ძალადობაზე თვალს ხუჭავდა.

ზიმბაბვეში პასტორი ევან მავარირი, რომელმაც მოძრაობა „ეს დროშა“ (#Thisflag) დააარსა, პოლიტიკური დევნისა და შევიწროების მსხვერპლი მანამდე იყო, სანამ ნოემბერში ახალმა ხელისუფლებამ არ გაამართლა.

ფეისბუქში გამოქვეყნებული პოსტებისთვის, სადაც ის უგანდის პრეზიდენტსა და მის ცოლს, განათლების მინისტრს, აკრიტიკებს, აკადემიკოსმა სტელა ნიანზიმ საპატიმროში ერთ თვეზე მეტი ხანი გაატარა.

კანონმდებლობის გაუარესება და პოლიტიკური სივრცის შეკუმშვა

ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლებამ ახალი კანონები მიიღო, რომლებიც უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და მათი ოპონენტების მოქმედებებს ზღუდავდა.

ანგოლას პარლამენტის მიერ მიღებული ხუთი კანონპროექტი, რომლებიც ფართო უფლებამოსილებების მქონე მედიის მარეგულირებელი ორგანოს შექმნას ითვალისწინებდა, გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავ დებულებებს შეიცავდა.

კოტ დივუარში მიღებული კანონმდებლობა გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავ დებულებებს შეიცავდა, მათ შორის მუხლებს, რომლებიც ცილისწამების, პრეზიდენტის შეურაცხყოფისა და ცრუ ამბების გავრცელებისათვის ითვალისწინებდნენ სანქციებს.

ნიგერია და მალავი საკანონმდებლო ინიციატივებს განიხილავდნენ, რომლებიც ხელისუფლებას არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის – ადამიანის უფლებების ჯგუფების, საქმიანობაში გადამეტებული და დაუსაბუთებელი კონტროლის უფლებამოსილებას ანიჭებდა.

მედიის თავისუფლება

მინიმუმ 30 აფრიკულ ქვეყანაში მედიის თავისუფლება შეზღუდული იყო და ჟურნალისტებს დევნიდნენ.

ანგოლაში, სადაც ხელისუფლება ცილისწამების მარეგულირებელ კანონმდებლობას იყენებდა, განსხვავებული აზრის ჩასახშობად სასამართლო სისტემის ბოროტად გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, განსაკუთრებით – ჟურნალისტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების წინააღმდეგ.

უგანდაში სტელა ნიანზის მხარდაჭერისათვის ჟურნალისტი გერტრუდ უვიტვარი დააკავეს. კენიაში ხელისუფლება მედიის დასადუმებლად შევიწროებისა და დაშინების ხერხებს მიმართავდა.

ბოცვანაში საგამოძიებო ჟურნალისტებს ავიწროებდნენ და აშინებდნენ; პრეზიდენტ იან კჰამას სააგარაკე სახლის მშენებლობის საქმის გამოძიების გამო უსაფრთხოების სამსახურის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა თანამშრომლებმა სამი ჟურნალისტი დააკავეს და მოკვლით დაემუქრნენ.

კამერუნი და ტოგო ინტერნეტს ბლოკავდნენ, რათა ჟურნალისტებისთვის საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეეშალათ და მედიასაშუალებებს ხურავდნენ.

ეთიოპიაში აქტივისტები, ჟურნალისტები და ბლოგერები დააკავეს და ბრალი ანტიტერორისტული პროკლამაციის აქტის, რომელიც ტერორისტული აქტის ფართო და ბუნდოვან განსაზღვრებებს შეიცავდა, საფუძვლით წაუყენეს.

კამერუნში სამხედრო სასამართლომ, არასამართლიანი სასამართლო პროცესის გზით, „რადიო ფრანს ინტერნასიონალის" ჟურნალისტ აჰმედ აბას გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ის დეკემბერში მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც სააპელაციო ტრიბუნალმა მისი სასჯელი 24 თვემდე შეამცირა.

არჩევნების კონტექსტში ჩადენილი პოლიტიკური რეპრესიები

კენიის საპრეზიდენტო არჩევნებს შიში, დაშინება და ძალადობა ახლდა თან. ოპოზიციურად განწყობილი დემონსტრანტების მიმართ პოლიცია გადაჭარბებულ ძალას იყენებდა, რამაც ათეულობით პირის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის – პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული 33 ადამიანის. მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები ბათილად ცნო, მმართველი პარტიის ლიდერებმა სასამართლო დამოუკიდებლობის შემლახავი განცხადებები და პირდაპირი მუქარები გააჟღერეს. საარჩევნო პროცესის უარყოფითად შეფასების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭო ადამიანის უფლებებისა და მმართველობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოებს დახურვით და სხვა სადამსჯელო ღონისძიებებით დაემუქრა.

აგვისტოში რუანდის საპრეზიდენტო არჩევნებში პოლ კაგამემ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და პრეზიდენტის თანამდებობა შეინარჩუნა. არჩევნებში მისი მონაწილეობა საკონსტიტუციო ცვლილებმა გახადა შესაძლებელი, რომელმაც პრეზიდენტის მესამე ვადით არჩევა დაუშვა. არჩევნები შიშის კლიმატში მიმდინარეობდა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ ოპოზიციაზე, დამოუკიდებელ მედიასა და უფლებადამცველებზე ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე თავდასხმებით

აიხსნება. პოტენციური საპრეზიდენტო კანდიდატები ხელისუფლების სამიზნეები იყვნენ, რომელიც მათ დისკრედიტაციას ეწეოდა.

ანგოლის აგვისტოში გამართული არჩევნების წინაპერიოდში ადამიანის უფლებათა მრავალი დარღვევა დაფიქსირდა. კორუფციისა და ადამიანის უფლებების დარღვევების გამოვლენისათვის ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებზე გამუდმებული ზეწოლა მიმდინარეობდა. პოლიცია გადაჭარბებულ ძალას იყენებდა საპროტესტო აქციების დაშლისას და მონაწილეების დაკავებისას.

პოლიტიკური რეპრესიები მძვინვარებდა ბურუნდიშიც, სადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით უკანონო მკვლელობები, დაუსაბუთებელი დაკავებები და გაუჩინარებები ხდებოდა.

შეიარაღებული კონფლიქტი და ძალადობა

მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის რეგიონში კონფლიქტები ბუნებითა და ინტენსივობით განსხვავდებოდნენ, როგორც წესი, ყველა მათგანი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დარღვევებით ხასიათდებოდა, მათ შორის – საერთაშორისო დანაშაულებებით.

პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავლის რეგიონული მცდელობების პარალიზების პირობებში, სამხრეთ სუდანის 14-წლიანმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა, რომელსაც მილიონობით ადამიანი გაექცა, ადამიანებისთვის ტანჯვის მიყენება და მკვლელობები გააგრძელა. ხელისუფლების ძალების მიერ სახლების გადაწვის, ჩაცხრილვისა და გაქურდვის გამო, ზედა ნილოსის რეგიონში ათეულობით ათასმა სამოქალაქო პირმა სახლი იძულებით დატოვა. სექსუალური ძალადობა კვლავ ფართოდ გავრცელებული იყო. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულებას დეკემბერში ხელი მას შემდეგ მოეწერა, რაც მთავრობათაშორისი განვითარების უწყებამ (IGAD) მანამდე დადებული მშვიდობის შეთანხმების განახლებაზე მუშაობა დაიწყო. მიუხედავად ამისა, ქალაქ იეის მახლობლად ბრძოლა მალევე განახლდა.

უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობა სუდანში – დარფურის, ლურჯი ნილოსისა და სამხრეთ კორდოფანის რეგონებში – კვლავ მძიმე იყო, რასაც საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის მრავალი დარღვევა ამძაფრებდა.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში კონფლიქტი განახლდა, რამაც ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან დარღვევებსა და საერთაშორისო სამართლის დანაშაულებს მისცა ბიძგი. ხელისუფლების მიერ კონტროლირებული დედაქალაქის მიღმა, მოსახლეობაზე შეიარაღებული ჯგუფები ძალადობდნენ. ამასთან, გაეროს მშვიდობისმყოფელთა მიერ სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის შემთხვევები კვლავ დაფიქსირდა.

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კასაის პროვინციაში უპრეცენტენტო ძალადობამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და, 25 სექტემბრის მდგომარეობით, მილიონი პირის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. 35 ათასზე მეტი ადამიანი ანგოლაში გაიქცა. კონგოელელი ჯარისკაცები გადაჭარბებულ ძალას იყენებნენ და ჯგუფურად კლავდნენ შეიარაღებული ამბოხებული ჯგუფის „კამუინა ნსაპუს“ წევრობაში ეჭვმიტანილ და მხარდამჭერ პირებს. „კამუინა ნსაპუ“, თავის მხრივ, ბრძოლაში ბავშვებს იყენებდა და სამოქალაქო პირებსა და თავდასხმებს ხელისუფლებაზე ახორციელებდა. ხელისუფლებას მიმხრობილი მილიციური ჯგუფი „ბანა მურა“ ეთნიკური ნიშნით ათეულობით თავდასხმაზე, მკვლელობებზე, გაუპატიურებებსა და მშვიდობიანი მოსახლეების ქონების განადგურებაზე იყო პასუხისმგებელი.

შეიარაღებულ დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ მუქარებსა და ომის დანაშაულებზე პასუხის გაცემისას, კამერუნისა და ნიგერიის უსაფრთხოების ძალები ადამიანის უფლებებს მძიმედ

არღვევდნენ და საერთაშორისო სამართლის დანაშაულებს იდენდნენ. ამ დანაშაულებს შორის იყო სასამართლოსგარეშე სიკვდილით დასჯა, იძულებითი გაუჩინარება, დაუსაბუთებელი დაკავებები, განმარტოებითი პატიმრობა, წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდები, რომლებიც ზოგჯერ პატიმრების სიცოცხლის მოსპობით სრულდებოდა. „ბოკო ჰარამის" მხარდაჭერაში ეჭვმიტანილ პირებს კამერუნში სამხედრო სასამართლოებში ასამართლებდნენ და სიკვდილს უსჯიდნენ, თუმცა წლის განმავლობაში არც ერთი სასიკვდილო განაჩენი არ აღსრულებულა. ნიგერიაში სამხედრო წესით უსაფუძვლოდ დაკავებული და განმარტოებით პატიმრობაში მყოფი ათასობით ქალი, კაცი და ბავშვი მძიმე პირობებში იმყოფებოდა. ნიგერის ხელისუფლებამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, მალის მოსაზღვრე ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ხოლო დიფის რეგიონში – განაახლა. აქ „ბოკო ჰარამში" წევრობაში ეჭვმიტანილი 700-ზე მეტი პირი გასამართლდა.

შეიარაღებული პირების მიერ განხორციელებული თავდასხმები

შეიარაღებული ჯგუფები, როგორიცაა „ალ შაბაბი" და „ბოკო ჰარამი", ძალადობდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას რამდენიმე ქვეყანაში ესხმოდნენ თავს, მათ შორის – კამერუნში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მალიში, ნიგერში, ნიგერიაში, სომალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს თავდასხმები საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების ნიშნებს შეიცავდა.

ჩადის ტბის სანაპირო რეგიონში „ბოკო ჰარამი" მასობრივი ომის დანაშაულების ჩადენას აგრძელებდა. ჯგუფის სამიზნეს მშვიდობიანი მოსახლეობა წარმოადგენდა, ვისაც ისინი კლავდნენ და გადაადგილებას აიძულებდნენ. კამერუნსა და ნიგერიაში განახლებულმა შეტაკებებმა ასობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. მაისში ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ჩიბოკის მხარეში 82 გატაცებული გოგონა დააბრუნეს, თუმცა ათასობით გატაცებული ქალი, გოგონა და ახალგაზრდა კაცი კვლავ გაუჩინარებული იყო და საზარელი საფრთხეები ემუქრებოდა, მათ შორის – გაუპატიურება. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში ადგილი იძულებით 1,7 მილიონმა ადამიანმა იცვალა, რომელთა შორის ბევრიც შიმშილით სიკვდილის ზღვარზე იყო.

მალიში შეიარაღებული ჯგუფების მიერ სამოქალაქო პირებსა და მშვიდობისმყოფელების მიმართ განხორციელებული თავდასხმები ჩრდილოეთიდან ცენტრის მიმართულებით ვრცელდებოდა და საგანგებო მდგომარეობა ოქტომბერში კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდა.

ოქტომბერში სომალის დედაქალაქ მოგადიშუში „ალ შაბაბმა" სამოქალაქო პირების მიმართ ბოლო დროის ყველაზე მომაკვდინებელი თავდასხმა განახორციელა, რამაც 512 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

წამება და არასათანადო მოპყრობა

წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდები ფართოდ იყო გავრცელებული რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ბურკინა ფასოში, კამერუნში, ერიტრეაში, ეთიოპიაში, მავრიტანიაში, ნიგერიასა და სუდანში.

კამერუნის უსაფრთხოების ძალები „ბოკო ჰარამის" მხარდაჭერაში ეჭვმიტანილი პირების – ხშირად ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე – მიმართ წამების ხერხებს იყენებდნენ. ეს დარღვევები, რომლებზეც პასუხი არავის მოეთხოვებოდა, ომის დანაშაულებს უტოლდებოდა.

ეთიოპიაში ტერორიზმში ბრალდებული დაკავებული პირები სასამართლოებს გამუდმებით უმეორებდნენ, რომ ისინი პოლიციამ დაკითხვების დროს აწამა. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეები ეთიოპიის ადამიანის უფლებათა კომისიას ბრალდებების

გამოძიებას ავალებდა, თუმცა ეს გამოძიებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა.

ამ მხრივ დადებითი განვითარება ის იყო, რომ დეკემბერში ნიგერიაში ხელი მოეწერა კანონს, რომელიც წამებას კრძალავს და მის გამოყენებაზე სასჯელს აწესებს.

იძულებით გადაადგილებული პირები

დროში გაგრძელებული კონფლიქტები, მათ შორის ხელახალი ჰუმანიტარული კრიზისები და ადამიანის უფლებათა ხშირი დარღვევები მილიონობით ადამიანს, უსაფრთხო თავშესაფრის ძიების მიზნით, სახლის დატოვებას აიძულებდა. ლტოლვილები და მიგრანტები ფართომასშტაბიანი ძალადობისა და დარღვევების მსხვერპლნი იყვნენ. მილიონობით ლტოლვილს, რომელთაც აფრიკული ქვეყნები მასპინძლობდნენ, საერთაშორისო საზოგადოებისგან არასაკმარისი მხარდაჭერა ჰქონდა.

გაერთოს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) მიხედვით, სომალიში მიმდინარე კონფლიქტმა და გვალვებმა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამოკიდებული გახადა. წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით იძულებით ადგილი ერთ მილიონზე მეტმა ადამიანმა იცვალა, რამაც მძიმე და საფრთხის შემცველ არაფორმალურ დასახლებებში მცხოვრები შიდა მიგრანტების რაოდენობა 2,1 მილიონამდე გაზარდა.

კენიაში 285 ათასზე მეტი სომალელი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი გადაუდებელ დაცვას საჭიროებდა. თებერვალში უმაღლესმა სასამართლომ დადააბის ლტოლვილთა ბანაკის დახურვაზე კენიის მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილება დაბლოკა; მთავრობის გადაწყვეტილება, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით, 260 ათასზე მეტ სომალელს იძულებითი დაბრუნების რისკის ქვეშ აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ დადააბის ბანაკი არ დაიხურა, კენიის ხელისუფლება ახლადჩამოსული სომალელი მიგრანტების რეგისტრაციაზე უარს აცხადებდა. 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, ნებაყოფლობითი რეპატრიაციის ფარგლებში, დადააბიდან სომალიში 74 ათასზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა. რეპატრიაციის პროცესისთვის ხელი არ შეუშლია იმას, რომ მისი „ნებაყოფლობითი" ხასიათის თაობაზე კითხვის ნიშნები იყო და სომალიში მიმდინარე კონფლიქტისა და მძიმე გვალვის პირობებში მათი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრება არ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ასობით ათასი ადამიანი კონფლიქტს მეზობელ ქვეყნებში გაურბოდა ან თავშესაფარს ქვეყნის შიგნით, კუსტარულად მოწყობილ ბანაკებში პოულობდა.

ჩადის ტბის სანაპირო რეგიონში მიმდინარე სამხედრო ოპერაციები და „ბოკო ჰარამთან" გაჩაღებული კონფლიქტი სახლის დატოვებას მილიონობით ადამიანს აიძულებდა. ნიგერიაში ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბორნოს, იობესა და ადამავას შტატებში სულ ცოტა 1,7 მილიონი ადამიანი მიგრირდა. UNHRC-ის მონაცემებით, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 5,2 მილიონი ადამიანი დაუყოვნებლივ საჭიროებდა საკვებზე დახმარებას და ასაკით ხუთ წელზე ქვემოთ 450 ათასი ბავშვი საკვების უკმარისობისგან იტანჯებოდა. ჩადში, ბანაკებსა და მძიმე პირობებში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან და სუდანიდან მიგრირებული 408 ათასზე მეტი ლტოლვილი ცხოვრობდა.

ბოცვანამ ლტოლვილებს გადაადგილების თავისუფლება და მუშაობისა და ადგილობრივი ინტეგრაციის უფლებები შეუზღუდა. თავშესაფრის მაძიებლებს სტატუსის განსაზღვრის ხანგრძლივი პროცედურების გავლა ადმინისტრაციული პატიმრობის პირობებში უწევდათ.

ათასობით ადამიანი ერიტრეაში გარბოდა, სადაც ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და უვადო სამხედრო ეროვნული სამსახური ბევრ სირთულეს ქმნიდა. იძულებით გადაადგილებულ პირებს ტრანზიტისას და ზოგიერთ საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში

ძალადობასთან გამკლავება უწევდათ, ხოლო ევროპისკენ წასულ მიგრანტებს უსაფუძვლოდ აკავებდნენ, იტაცებდნენ, სექსუალურად ძალადობდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ. აგვისტოში სუდანმა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით, ერიტრეაში 100-ზე მეტი ლტოლვილი იძულებით უკან დააბრუნა.

სამხრეთ სუდანში ეკვატორიის რეგიონში მიმდინარე ბრძოლის ესკალაციას, რასაც მასობრივი მკვლელობები და შიმშილობა მოჰყვა, დაახლოებით 340 ათასი ადამიანი გაექცა. ძირითადად ხელისუფლების – თუმცა ასევე ოპოზიციის – ძალები ქვეყნის სამხრეთით მდებარე რეგიონში საერთაშორისო დანაშაულებს და სხვა მძიმე დარღვევებს ჩადიოდნენ, მათ შორის – მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ომის დანაშაულებს. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი, 3,9 მილიონზე მეტი ადამიანი 2013 წლის დეკემბერში კონფლიქტის დაწყების შემდეგ იძულებით იყო ადგილნაცვალი.

სამხრეთ სუდანიდან გაქცეული 2 მილიონზე მეტი ლტოლვილის დასახმარებლად სხვა მეზობელმა სახელმწიფოებამ ბევრი არაფერი იღონეს. უგანდამ მილიონზე მეტ ლტოლვილს უმასპინძლა, უმთავრესად – ბავშვებს, და მისი პროგრესული და ფართოდ პატივსაცემი ლტოლვილთა პოლიტიკის განხორციელებისას სირთულეებს წააწყდა. ამის მთავარი მიზეზი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ქრონიკული დაუფინანსებლობა იყო. უგანდის ხელისუფლება, UNHCR და არასამთავრობო ორგანიზაციები ლტოლვილთა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას ბოლომდე ვერ ახერხებდნენ.

დაუსჯელობა

რეგიონის ბევრ ქვეყანასა და მრავალ კონტექსტში, სამართლიანობის უზუნველყოფის, მსხვერპლთა კომპენსაციისა და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხში სახელმწიფო ორგანოების უუნარობა, თავის მხრივ, ახალ დანაშაულებს წაახალისებდა.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სისხლის სამართლის საგანგებო სასამართლოს მანდატის განსაზღვრა, რომელიც ქვეყნის 14-წლიანი კონფლიქტის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებსა და საერთაშორისო დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირების გასასამართლებლად შეიქმნა, გარკვეული პროგრესის მანიშნებელი იყო. საგანგებო პროკურორმა თანამდებობა მაისში დაიკავა, თუმცა სასამართლოს მუშაობა წლის ბოლოსთვის ჯერ არ ჰქონდა დაწყებული და დაუსჯელობა კვლავ ნორმას წარმოადგენდა.

სამხრეთ სუდანში სამი გარდამავალი იუსტიციის ორგანო, რომელთა შექმნაც 2015 წლის მშვიდობის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. ივლისში სამხრეთ სუდანის ჰიბრიდული სასამართლოს შესაქმნელად ერთობლივ სამოქმედო გეგმაზე აფრიკის კავშირის კომისიამ და ხელისუფლებამ შეთანხმებას მიაღწიეს. სასამართლოს ინსტრუმენტების შემუშავებაზე დისკუსიები გრძელდებოდა, თუმცა წლის ბოლოსთვის არაფერი იყო მიღებული.

დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გამოხატული წუხილის ფონზე, ნიგერიაში მოქმედმა საგანგებო საქმეთა შემსწავლელმა საბჭომ, რომელიც სამხედრო ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით მძიმე დარღვევების შესასწავლად დააარსა, საერთაშორისო სამართლის დანაშაულებში უფროსი სამხედრო ოფიცრების ბრალეულობა უარყო. საბჭოს ანგარიში ამ საქმეზე საჯარო არ გამხდარა. აგვისტოში მოქმედმა პრეზიდენტმა საპრეზიდენტო საგამოძიებო კომიტეტი შექმნა, რომლის მანდატიც სწორედ სამხედრო პირების მიმართ გაჟღერებული დარღვევების გამოძიება იყო. კომიტეტმა საჯარო მოსმენები სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით გამართა, თუმცა წლის ბოლოსთვის გადაწყვეტილება არ ჰქონდა გამოტანილი. ამასობაში, ნიგერიის ხელისუფლებამ „ბოკო ჰარამის“ წევრობაში ეჭვმიტანილი პირები საიდუმლოდ გაასამართლა; ერთმა ოთხდღიანმა სასამართლო პროცესმა 50 ბრალდებულს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

მარტში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლულუის პროვინციაში მომხდარი გაეროს ორი ექსპერტის მკვლელობა და კონგოლელი თარჯიმნისა და მათი სამი მძღოლის გაუჩინარება რეგიონში ძალადობის დასრულების გადაუდებელ საჭიროებას წარმოაჩენდა. კონგოს ხელისუფლების გამოძიება არც გამჭვირვალე იყო და არც – სანდო. ივნისში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ კონგოში გამოძიებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით საერთაშორისო ექსპერტთა გაგზავნა გადაწყვიტა. ივლისში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა სამექსპერტიანი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც დასკვნის წარმოდგენა 2018 წლის ივნისისთვის დაევალა.

ეთიოპიაში 2015 და 2016 წლებში ჩადენილი დანაშაულებისთვის პოლიციასა და არმიას პასუხი კვლავ არ მოთხოვიათ. ხელისუფლებამ სხვადასხვა რეგიონში საპროტესტო აქციების კონტექსტში ჩადენილ დანაშაულებზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებაზე მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

სენეგალში შექმნილმა განსაკუთრებულ საქმეთა აფრიკულმა ტრიბუნალმა ჩადის ყოფილი პრეზიდენტის ჰისენ ჰაბრესთვის ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინაშე დანაშაულებისა და წამებისთვის გამოტანილი მსჯავრი და სამუდამო პატიმრობის სასჯელი ძალაში დატოვა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

ოქტომბერში ბურუნდი პირველი სახელმწიფო გახდა, რომელმაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) რომის წესდებაზე საკუთარი ხელმოწერა გააუქმა. ამის მიუხედავად, წინასასამართლო პალატამ განაცხადა, რომ ICC-ის პროკურორს ბურუნდიში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების უფლება მიენიჭა. საქმე ეხება 2015 წლის აპრილიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით ბურუნდიში ან ბურუნდის მოქალაქეების მიერ ქვეყნის გარეთ ჩადენილ დანაშაულებს.

და მაინც, აფრიკაში მიმდინარე სხვა მოვლენები ICC-ის იურისდიქციიდან გასვლის რიტორიკის საპირისპირო განვითარებებზე მიანიშნებდა. იანვარში მიღებული გადაწყვეტილებებით, აფრიკის კავშირმა ICC-ისა და სხვა მხარეებთან გაზრდილ საქმიანობაზე გეგმები დასახა. რამდენიმე წევრმა ქვეყანამ – ზამბიამ, კაბო ვერდემ, ლიბერიამ, მალავიმ, ნიგერიამ, სენეგალმა, ტანზანიამ და ტუნისმა – ICC-ისადმი მხარდაჭერდა ცხადად დააფიქსირეს და მასობრივი გასვლის შესაძლებლობა უარყვეს.

რომის წესდების დატოვების ალტერნატივა გამბიის ახალმა ხელისუფლებამაც უარყო, ხოლო ბოცვანას პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, რომის წესდება ქვეყნის ეროვნულ კანონში იქნა ინტეგრირებული.

მარტში სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რომის წესდებიდან გასვლის სურვილის თაობაზე 2016 წელს გამოცემულ შეტყობინებას უკან გაიწვევდა, მას შემდეგ, რაც უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტთან კონსულტაციის გარეშე ICC-დან გასვლა არაკონსტიტუციური და უკანონოა. თუმცა, 2017 წლის დეკემბერში პარლამენტში წარდგენილი ახალი კანონპროექტი, რომლითაც რომის წესდების ეროვნულ კანონმდებლობაში ჰარმონიზაციის აქტის უარყოფა ხდებოდა, სამხრეთ აფრიკის მთავრობის ICC-ის დატოვებაზე სურვილს მიანიშნებდა.

ამასობაში ICC-ის წინასასამართლო პალატამ ბრძანა, რომ სამხრეთ აფრიკას სუდანის პრეზიდენტის ომარ ალ-ბაშირის დაკავების თაობაზე გაცემული ორდერი უნდა აღესრულებინა, როდესაც ის 2015 წელს ქვეყანას სტუმრობდა. გადაწყვეტილებამ დაადასტურა, რომ პრეზიდენტ ალ-ბაშირს იმუნიტეტი არ იცავს და რომის წესდებაზე ხელმომწერი ყველა ქვეყანა ვალდებულია, დააპატიმროს და სასამართლოს გადასცეს, თუ ის მათ ტერიტორიაზე შევა.

დეკემბერში გამოცემულ წინასწარ ანგარიშში ICC-ის პროკურორის აპარატმა განაცხადა, რომ წინათ გამოკვეთილი რვა პოტენციური და ასევე ახალი დანაშაულების შესწავლას გააგრძელებს. საქმე ნიგერიაში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს ეხება,

რომლებზეც სასამართლო მტკიცებულებებს აგროვებს, თუმცა დაიწყებს თუ არა მათზე გამოძიებას, ჯერ არ გადაუწყვეტია.

დისკრიმინაცია და მარგინალიზაცია

ქალებისა და გოგონების დისკრიმინაცია, მარგინალიზაცია – რაც ხშირად კულტურული ტრადიციებიდან მოდიოდა და უსამართლო კანონების გზით იყო ინსტიტუციონალიზებული – ბევრ ქვეყანაში გაგრძელდა. ქალები და გოგონები გაუპატიურებასა და სექსუალური ძალადობის სხვა სახეების მსხვერპლნი იყვნენ, მათ შორის კონფლიქტის კონტექსტში და იმ ქვეყნებში, სადაც ბევრი ლტოლვილი და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირია.

სიერა ლეონესა და ეკვატორულ გვინეაში ფეხმძიმე გოგონებს სოფლების სკოლებიდან კვლავ რიცხავდნენ. ივნისში ტანზანიის პრეზიდენტმა ფეხმძიმე გოგონების საჯარო დაფინანსების მქონე სკოლებში დაბრუნება აკრძალა, რამაც გოგონებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია გააძლიერა.

ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა რამდენიმე ქვეყანაში იყო მოდებული, მათ შორის – ლიბერიაში, მალავიში, მოზამბიკში, სამხრეთ აფრიკასა და სვაზილენდში.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად – ბურკინა ფასოში, საავადმყოფოებში სამედიცინო აღჭურვილობის, წამლებისა და პერსონალის ნაკლებობა ფეხმძიმე ქალებსა და ჩვილ ბავშვებს დაბადებისას სერიოზული გართულებების, ინფექციისა და სიკვდილის რისკებს უქმნიდა. ქალთა გენიტალური მუტილაციის მსხვერპლთა რიცხვი შემცირდა; მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ქმედებას წარმოადგენდა, პრაქტიკაში მაინც ფართოდ იყო გავრცელებული.

აფრიკის მასშტაბით დედათა სიკვდილიანობისა და დაზიანების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ლიბერიაში იყო, რასაც დიდწილად არაუსაფრთხო პირობებში ჩატარებული აბორტები იწვევდა; გაუპატიურების მსხვერპლებს აბორტის სერვისზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

აბორტთან დაკავშირებული პროგრესული კანონმდებლობის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ქალები და გოგონები ლეგალური აბორტის სერვისის მიღებისას არსებით ბარიერებს აწყდებოდნენ. არასათანადო პირობებში ჩატარებული აბორტები ჯანმრთელობის და სიკვდილის რისკებსაც კი ქმნიდნენ. ხელისუფლებამ აბორტების ჩატარებაზე ექიმების უარის პრობლემა ვერ მოაგვარა.

ანგოლაში ხელისუფლების მიერ ინიცირებული ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში აბორტის კონკრეტულ შემთხვევებში დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებდა. კანონპროექტს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. საჯარო პროტესტის შემდეგ საპარლამენტო კენჭისყრა კანონპროექტზე განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ალბინოსი ადამიანები

ალბინოსი ადამიანების მაგიურ ძალებთან დაკავშირებული ცრურწმენების გამო მათ წინააღმდეგ თავდასხმები ხშირი იყო. მალავისა და მოზამბიკში ალბინოსებს იტაცებდნენ და სხეულის ნაწილების გამოყენების მიზნით კლავდნენ. მოზამბიკში დაუდგენელმა კაცებმა შვიდი წლის ბიჭი საკუთარი სახლიდან გაიტაცეს და მოკლეს. საჯარო პროტესტის მიუხედავად, ხელისუფლებას ბევრი არაფერი მოუმოქმედებია.

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს პირთა უფლებები

სენეგალში, განაში, მალავიში, ნიგერიასა და სხვა ქვეყნებში ლგბტი ადამიანები დისკრიმინაციას, სამართლებრივ დევნას, ზეწოლას და ძალადობას განიცდიდნენ. განას საპარლამენტო სპიკერი ჰომოსექსუალობის ასაკრძალად საკონსტიტუციო ცვლილებას

მოითხოვდა. ლიბერიაში 2016 წელს დაპატიმრებული პირი, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ „ნებაყოფლობით სოდომიას“ ედავებოდნენ, 2017 წელსაც წინასწარ პატიმრობაში რჩებოდა. ნიგერიაში სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დაკავებები, საჯარო შერცხვენა, გამოძალვა და დისკრიმინაცია ფართოდ იყო გავრცელებული.

ბოცვანას უმაღლესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც სახელმწიფოს ტრანსგენდერი ქალის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მისთვის სქესის აღნიშვნის შეცვლა დაავალა. სასამართლოს თქმით, ცვლილების ასახვაზე სახელმწიფოს მხრიდან უარის თქმა არაგონივრული და ქალის უფლებების დარღვევას წარმოადგენდა.

საცხოვრისის უფლება და იძულებითი გამოსახლება

ურბანიზაციის, უმუშევრობის, სიღარიბისა და უთანასწორობის ზრდის ფონზე, ხელმისაწვდომი და ცხოვრებისთვის სათანადო საცხოვრისით საკუთარი ხალხის უზრუნველყოფას ბევრი სახელმწიფო ვერ ახერხებდა.

ეთიოპიის დედაქალაქის გარეუბანში მდებარე ნაგავსაყრელზე მეწყრის ჩამოწოლის შედეგად 115-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლთა უმეტესობა ნაგავსაყრელის მახლობლად ცხოვრობდა და თავს ნაგვის გადამუშავებით ირჩენდა.

სულ ცოტა ათი ადამიანი, მათ შორის – ორი ბავშვი, ნაგავსაყრელზე მეწყრის ჩამოწოლის შედეგად გვინეაშიც დაიღუპა.

ნიგერიის ლაგოსის რეგიონში ხელისუფლებამ იძულებით სულ ცოტა 5 ათასი ადამიანი გაასახლა ოტობო-გბამესა და ილუბირინის საპორტო უბნებიდან. ადგილის გასაწმენდად უსაფრთხოების სამსახურებმა ცრემლსადენი გაზი და ღია ცეცხლი გამოიყენეს. იძულებითი გასახლებები უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში, რომელიც ამ დასახლებებში შენობების დემონტაჟს ზღუდავდა.

მეორე მხრივ, ნიგერიის უმაღლესმა სასამართლომ აბუჯაში, მპაპეს დასახლებაში დაგეგმილი ნგრევის პროცესი არაკანონიერად ცნო, რითიც იქ მცხოვრებ ასობით ათას მოსახლეს შვება მოუტანა. სასამართლომ ისიც ბრძანა, რომ ხელისუფლება ვალდებული იყო, იძულების წესით გამოსახლებასა და სათანადო საცხოვრისის უფლების დასაცავად პოლიტიკა შეემუშავებინა.

ბიზნესი და კორპორაციული პასუხისმგებლობა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კობალტის მაღაროში მომუშავე ბავშვები და ზრდასრულები, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად, დღეში ერთი დოლარის სანაცვლოდ მუშაობდნენ. სამხრეთ აფრიკაში კომპანია „ლონმინი“, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული პლატინის მომპოვებელი გიგანტია, თავის თანამშრომლებს მარიკანაში, ჭუჭყში აცხოვრებდა, მაშინ როდესაც 5 500 ახალი სახლის აშენების სახელშეკრულებო ვალდებულება ათი წლის წინ ჰქონდა აღებული. 2012 წელს 34 ადამიანის მკვლელობისათვის, რომლებიც მაღაროში არსებულ მძიმე პირობებს აპროტესტებენ, პასუხი ჯერაც არავინ აგო.

ამავდროულად, ბევრ ქვეყანაში კორპორაციულ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით მზარდი საჯარო წნეხისა და მოთხოვნების ნიშნები იყო სახეზე.

ივნისში ნიდერლანდებში კომპანია „შელის“ წინააღმდეგ სამოქალაქო დავა დაიწყო, რომლითაც კომპანიას 1995 წელს ნიგერიის სამხედრო ხელისუფლების მიერ „ცხრა

ოგონელის“ სახელით ცნობილი აქტივისტების უკანონო დაპატიმრებასა და სიკვდილით დასჯაში თანამონაწილეობაში ედებოდა ბრალი. საერთაშორისო ორგანიზაციები კომპანიას ნიგერიის უსაფრთხოების ძალების მიერ ოგონის რეგიონში 1990-იან წლებში ჩადენილ ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში საკუთარი წვლილის გამოძიებას თხოვენ.

ზოგიერთმა სახელმწიფომ დადებითი ნაბიჯებიც გადადგა. კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სექტორში 2025 წლისთვის ბავშვთა შრომის დასრულებაზე აიღო ვალდებულება; ამჟამად მაღაროებში საშიშ სამუშაობებს მცირეწლოვანი ბავშვები ასრულებენ, მათ შორის – შვიდი წლის ბავშვები. განამ გაეროს ვერცხლისწყლის შესახებ მინამატას კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, რომელიც მუშებს, მათ შორის – ბავშვებს, მომწამლავი თხევადი მეტალისგან იცავს და კუსტარული და მცირე მასშტაბის ოქროს მაღაროებში ვერცხლისწყლის გამოყენებას ზღუდავს.

მომავლის ხედვა

2017 წელს აფრიკის რეგიონში ადამიანის უფლებები უდიდესი გამოწვევის წინაშე იდგა, თუმცა ცვლილებების იმედი და შესაძლებლობებიც გაჩნდა. იმედის მთავარ წყაროს რეგიონის მასშტაბით ის უთვალავი ადამიანი წარმოადგენს, რომელთაც ადამიანის უფლებებისთვის, სამართლიანობისა და ღირსებისათვის ხმა აიმაღლეს, ხშირად საკუთარი სიცოცხლისა და თავისუფლების რისკის ფასად.

პოზიტიური ცვლილების რეალიზაციის საქმეში აფრიკის რეგიონული ორგანოების მნიშვნელობა კვლავ უდიდესი იყო; მათ სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის მრავალი შესაძლებლობა აქვთ. წლის განმავლობაში აფრიკის კავშირმა 2020 წლისთვის „იარაღების გაჩუმების“ ვალდებულების შესრულების ამბიციური გეგმა მიიღო. აფრიკის კავშირმა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმების დღის წესრიგი მიიღო, რომელიც მისი მშვიდობისა და უსაფრთხოების ოპერაციებისთვის მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზებას ითვალისწინებს. ეს ჰოლისტური მიდგომა და კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან საბრძოლველად აფრიკის კავშირის ამბიციები მშვიდობიანი მოქალაქეების უკეთ დაცვის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დაუსჯელობის კულტურის დასასრულებლად ეფექტური რეგიონული მოქმედების რეალურ შესაძლებლობებს იძლეოდა.

2017 წელს ადამიანისა და ხალხების უფლებების აფრიკის კომისიის შექმნიდან 30 წელი გავიდა. მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, კომისიამ ადამიანის უფლებების გავრცელებისა და დაცვის საქმეში დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მათ შორის – ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შთამბეჭდავი სიის შემუშავების გზით. მხოლოდ 2017 წელს კომისიამ 13 ასეთი ინსტრუმენტი მიიღო, რომელთაც აფრიკის ადამიანისა და ხალხების უფლებების ქარტიისა და ქალთა უფლებების საკითხზე ქარტიიდან გამომდინარე დოკუმენტების ფართო დებულებებს კონკრეტული არსი შესძინა.

კომისია აქ არ უნდა გაჩერდეს და საკუთარი პროცესების დახვეწისა და გაძლიერებისთვის მუშაობა უნდა გააგრძელოს. მან ერთიანი სახელმწიფო ანგარიშგების ინსტრუქციები უნდა შექმნას და სახელმწიფოებს კომისიის გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე ანგარიშების წარმოდგენა გამონაკლისის გარეშე მოსთხოვოს.

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული მიმოხილვა

ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო სივრცე უფრო და უფრო იზღუდებოდა. რეგიონში ადამიანის უფლებების მიმართ მტრული დისკურსი კვლავ ჭარბობდა. ადამიანის უფლებათა აქტივისტები, მედია და პოლიტიკური ოპონენტები ხელისუფლების სამიზნეები ხშირად ხდებოდნენ. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები და აზრისა და გამოხატვის თავისუფლებები დარტყმის ქვეშ რეგიონის მასშტაბით იყო. საჯარო დემონსტრაციებს მთელი რიგი შემზღუდველი ღონისძიებები და პოლიციის გადამეტებული ძალის გამოყენება მოჰყვებოდა. მთავრობები კონტრტერორისტული ზომების არაპროპორციულად გამოყენებასა და უსაფრთხოების სახელით მოქალაქეების უფლებების შეზღუდვას აგრძელებდნენ. მილიონობით ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები საფრთხეში იყო, რამაც სოციალური დაცვა გააუარესა, უთანასწორობა გაზარდა და სისტემური დისკრიმინაცია წაახალისა. რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებები ლტოლვილებისა და მიგრანტების დაცვის პასუხისმგებლობას ვერ ასრულებდნენ. ქალებისა და გოგონების უფლებები კვლავ ილახებოდა; ისინი წამების, არასათანადო მოპყრობისა და გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. უმცირესობების დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ხშირი იყო მათი შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევები. ზოგიერთი სინდისის პატიმარი გაათავისუფლეს.

2017 წელს, ,,საერთაშორისო ამნისტიის'' 60-წლიანი არსებობის განმავლობაში პირველად, ორგანიზაციის წარმომადგენლობის თავმჯდომარე და დირექტორი სინდისის პატიმრები ერთდროულად იყვნენ. ივნისში ,,საერთაშორისო ამნისტიის'' თურქეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარე თანერ ქილიჩი დააკავეს. ივლისში ,,სტამბოლის ათეულის'' სახელით ცნობილი უფლებადამცველების ჯგუფი, მათ შორის – ,,საერთაშორისო ამნისტიის'' თურქეთის წარმომადგენლობის დირექტორი იდილ ესერი, სტამბოლში ერთი რიგითი ვორქშოფის მიმდინარეობისას დააკავეს. სტამბოლის ათეული და თანერ ქილიჩი მოგვიანებით სასამართლოს წინაშე ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებებით წარდგნენ. მათი დაკავება 2016 წლის ივლისში არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ გამალებული სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ზოგად ტენდენციაში ჯდებოდა. წლის ბოლოს სტამბოლის ათეული წინასწარი პატიმრობიდან თავისუფალი იყო, ხოლო თანერ ქილიჩი პატიმრობაში რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ისეთი მტკიცებულებები, რაც მათ ბრალეულობას გამოკვეთდა, ვერ წარადგინა, შეთხზული ბრალდებები უფლებადამცველებს 15-წლიანი პატიმრობის სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

თურქეთში განსხვავებული აზრის ჩახშობის მცდელობები ევროპასა და ცენტრალურ აზიაში სამოქალაქო საზოგადოების შემცირებული სივრცის ზოგადი ტენდენციის ნაწილი იყო. ადამიანის უფლებათა დამცველები უდიდესი გამოწვევების წინაშე იდგნენ; განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებები იყო.

რეგიონის აღმოსავლეთში ადამიანის უფლებებისადმი მტრული დისკურსი ჭარბობდა, რაც ხშირად ადამიანის უფლებათა დამცველების, საპტროტესტო მოძრაობების და ანტიკორუფციული კამპანიების მონაწილეებისა და სექსუალური უმცირესობების რეპრესიებში გადადიოდა. ამ მტრულმა დისკურსმა ოდნავ დასავლეთითაც გადაიწია და პირველი სამართლებრივი გამოხატულება უნგრეთში იპოვა, სადაც ხელისუფლების მიერ მიღებული კანონით უცხოური დაფინანსების მქონე არასამთავრობოების სტიგმატიზება ხდებოდა.

ძალადობრივი შეტაკებები მსხვერპლით ბევრგან სრულდებოდა, მათ შორის – ბარსელონაში, ბრიუსელში, ლონდონში, მანჩესტერში, პარიზში, სტოკჰოლმში, სანქტ პეტერბურგში და თურქეთის რამდენიმე ქალაქში. კონტრტერორისტული ღონისძიებების გამოყენების გზით და უსაფრთხოების სახელით, მთავრობები მოქალაქეების უფლებების არაპროპორციულად შეზღუდვას აგრძელებდნენ.

მილიონობით ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები რისკის ქვეშ იყო. სოციალური დაცვის გარანტიების შემცირება, უთანასწორობის გაღვივება და სისტემური დისკრიმინაცია ბევრ ქვეყანაში ხდებოდა. სიღარიბით ყველაზე მეტად დაზარალებულთა შორის ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები ან დაბალანზღაურებადი დასაქმებულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები, ეთნიკური უმცირესობები და პენსიონერი და მარტოხელა ადამიანები იყვნენ.

რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებები ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებას კვლავ ვერ ახერხებდნენ. წლის მეორე ნახევარში არარეგულარული ლტოლვილებისა და მიგრანტების რაოდენობა ევროკავშირში მნიშვნელოვნად დაეცა, დიდწილად ლიბიის ხელისუფლებასთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე; ეს ხელშეკრულებები ხშირად მიგრანტების რეალურ მდგომარეობაზე თვალის დახუჭვასა და კიდევ უფრო მეტ ძალადობას იწვევდა. ისინი, ვინც ევროკავშირში შესვლას ახერხებდა, ისეთ ქვეყნებში იძულებითი დაბრუნების რისკის ქვეშ იყვნენ, როგორიცაა ავღანეთი, სადაც ამ ადამიანების დაცვის გარანტიები არ არსებობდა.

გაეროს უსაფრთხოების საბჭოში ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებზე სირიის ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად რუსეთმა ვეტოს უფლება მეცხრედ გამოიყენა. რუსეთის ხშირი ვეტო ომის დანაშაულებზე მდუმარე თანხმობის სიმბოლო იყო, რაც სირიის კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს დაუსჯელად მოქმედების საშუალებას აძლევდა, ხოლო მძიმე ფასს კი მშვიდობიან მოსახლეობას აკისრებდა.

გამოხატვის თავისუფლება

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში სამოქალაქო საზოგადოება შევიწროებას და მთელ რიგ შეზღუდვებს აწყდებოდა. მედიაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასა და საჯარო შეკრებებზე სამართლებრივი შეზღუდვების დაწესების პარალელურად, ბელარუსში და რუსეთში ათეულობით პირი მშვიდობიანი აქტივიზმისთვის დააკავეს.

ტაჯიკეთში აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შელახვა კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც ხელისუფლებამ კრიტიკული ხმების დასადუმებლად რადიკალური შეზღუდვები დააწესა. პოლიცია და უსაფრთხოების სამსახურები ჟურნალისტებს აშინებდნენ და ავიწროებდნენ. ადამიანის უფლებათა სამართლის იურისტებს დაუსაბუთებლად აკავებდნენ, პოლიტიკურად დევნიდნენ და მძიმე საპატიმრო სასჯელებს უფარდებდნენ.

პოლიტიკური მოტივაციით, ყაზახეთში ჟურნალისტებსა და აქტივისტებს სამართლებრივად დევნიდნენ და თავს ესხმოდნენ. დამოუკიდებელი მედია უკიდურესად შევიწროებული იყო, ხოლო ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში განსხვავებული

მოსაზრების ჩასახშობად ხელისუფლება აგრესიულ მეთოდებს იყენებდა. აზერბაიჯანის კრიტიკული ხმების მიმართ მიზანმიმართული კიბერკამპანია წარმოებდა.

უზბეკეთის ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და გარეთ საკუთარი მოქალაქეების მიმართ უკანონო თვალთვალს ახორციელებდა, რამაც ჟურნალისტებისა და აქტივისტების მიმართ მტრული გარემო კიდევ უფრო გაამწვავა და ევროპაში მცხოვრებ უზბეკეთის მოქალაქეებს შიში გაუჩინა. უფლებადამცველებსა და ჟურნალისტებს პოლიციის განყოფილებაში დასაკითხად კვლავ იბარებდნენ, შინაპატიმრობას უსჯიდნენ და სცემდნენ.

განსხვავებული აზრის ჩახშობას ყირიმის დე ფაქტო ხელისუფლებაც აგრძელებდა. ყირიმელ თათართა თემის ლიდერებს, ვინც რუსეთის ოკუპაციასა და უკანონო ანექსიას აპროტესტებდა, ყირიმიდან გაძევება ან ციხე ელოდა.

თურქეთის ხელისუფლება ათობით ათასი ისეთი ადამიანის დაკავებას აგრძელებდა, ვინც მთავრობის კრიტიკაში იყო შემჩნეული. ხელისუფლების კრიტიკა მეინსტრიმული მედიიდან თითქმის გაქრა. უსაფუძვლო ბრალდებებით, 100-ზე მეტი ჟურნალისტი – იმაზე მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში – საპატიმროებში მრავალი თვის განმავლობაში იტანჯებოდა.

წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მთავარ დადებით განვითარებას ის წარმოადგენდა, რომ სინდისისა და სხვა ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი პირები გათავისუფლდნენ, განსაკუთრებით – უზბეკეთში. რამდენიმე სინდისის პატიმარი აზერბაიჯანშიც გაათავისუფლეს; თუმცა დაუსრულებელი რეპრესიების პოლიტიკის პირობებში მათი ადგილები სხვა სინდისის პატიმრებმა დაიკავეს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსეთში სინდისის პატიმარი ილდარ დადინი – რუსეთის ხელისუფლების ახალი კანონით, რომელიც საჯარო შეკრებების კანონის განმეორებით დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, პირველი და უკანასკნელი ბრალდებული – გაათავისუფლეს და გაამართლეს.

საქმიანობის შემზღუდველი კანონები

ევროპისა და ცენტრალური აზიის ფარგლებში ორგანიზაციების საქმიანობის შემზღუდველი კანონები მიიღეს. რუსეთის 2012 წლის კანონმდებლობით შთაგონებულმა უნგრეთის ხელისუფლებამ იმ არასამთავრობოებს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან წელიწადში 24 ათასზე მეტი ევროს ოდენობის პირდაპირ თუ ირიბ დაფინანსებას იღებენ, „უცხოეთიდან დაფინანსებულ სამოქალაქო ორგანიზაციად" რეგისტრაცია და ამ წოდების ყველა პუბლიკაციაზე დადება დაავალდებულა. ხელისუფლების ამ ნაბიჯს თან ახლდა რიტორიკა, რომელიც ამ არასამთავრობოების სტიგმატიზაციას ახდენდა. მსგავსი კანონმდებლობის მიღება უკრაინასა და მოლდოვაშიც დააპირეს; მოლდოვას შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტი საკანონმდებლო წინადადების გაწვევით დასრულდა.

ნოემბერში პოლონეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები პარლამენტის მიერ ორი ისეთი კანონის მიღებას მოჰყვა, რომლითაც ეჭვქვეშ სასამართლოს დამოუკიდებლობა დგებოდა და სამართლიანი სასამართლოსა და სხვა უფლებები ილახებოდა. ივლისში პრეზიდენტმა ანდრეი დუდამ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა მოგვიანებით მსგავსი ცვლილებების თაობაზე ახალი წინადადება მოამზადა და პარლამენტს წარუდგენა.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ხელისუფლებამ მშვიდობიან დემონსტრანტებზე ზეწოლა გააძლიერა. მარტში მთელ რუსეთში გამართული მასობრივი ანტიკორუფციული საპროტესტო აქციებისას პოლიციამ ჭარბი ძალა გამოიყენა და

დედაქალაქ მოსკოვში ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი დააკავავა, მათ შორის – ოპოზიციის ლიდერი ალექსეი ნავალნი. ივნისის ანტიკორუფციული საპროტესტო აქციებისას და 7 ოქტომბერს, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეს, ასობით ადამიანი დააკავეს.

ყაზახეთში ხელისუფლების ნებართვის გარეშე მშვიდობიანი დემონსტრაციის ორგანიზება ან მასში მონაწილეობის მიღება კვლავ დარღვევას წარმოადგენდა. ყირგიზეთის პოლიციამ დედაქალაქ ბიშკეკში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია, სადაც გამომსვლელები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს აპროტესტებდნენ, შეაჩერა და რამდენიმე მონაწილე დააკავა. ბელარუსის ხელისუფლებამ უმუშევართა გადასახადის გასაპროტესტებლად გამოსული ხალხის მასობრივი დემონსტრაციები ძალადობრივად ჩაახშო.

პოლონეთის კანონმდებლობაში დისკრიმინაციული ცვლილება გაჩნდა, რომელმაც პროსახელისუფლებო შეკრებებისთვის უპირატესობის მინიჭების ხარჯზე კონკრეტული დემონსტრაციები დაბლოკა. ხელისუფლების პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილე პირებს სამართლებრივი დევნა, სამართალდამცავებისა და პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან შევიწროება და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა ელოდათ.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გამართულ საჯარო პროტესტს შემზღუდველი ღონისძიებების მთელი რიგი მოჰყვებოდა. მოქალაქეების საჯარო პროტესტს გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში სივრცეების გადაკეტვა, პოლიციის ჭარბი ძალა, დემონსტრანტების მომწყვდევა, თვალთვალი და ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სანქციები მოჰყვებოდა. მოქალაქეებისთვის დემონსტრაციებში მონაწილეობის არდაშვების მიზნით, საფრანგეთის ხელისუფლებამ სახალხო შეკრებების ამკრძალავი და გადაადგილების თავისუფლების შემზღუდველი საგანგებო ღონისიძიებების გამოყენება გააგრძელა.

ოქტომბერში ესპანეთის უსაფრთხოების სამსახურებმა, რომელთაც კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების პრევენცია დაევალათ, დემონსტრანტების მიმართ გაუმართლებელი და არაპროპორციული ძალა გამოიყენეს, რა დროსაც ასეულობით მათგანი დაშავდა. პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების ცემის მტკიცებულებები დოკუმენტირებული იყო.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

დასავლეთ ევროპაში არაპროპორციული და დისკრიმინაციული კონტრტერორისტული კანონების მიღება დაჩქარებულად მიმდინარეობდა. მარტში ტერორიზმის დამარცხების თაობაზე ევროკავშირის დირექტივამ, რომელიც 2018 წელს უნდა ამოქმედებულიყო, ასეთი ღონისძიებების ფართო გამოყენებას დაუდო სათავე; ზოგიერთი ქვეყანა ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას გეგმავდა.

ტერორიზმის ბუნდოვან განმარტებებსა და კონტრტერორისტული კანონების გაუმართლებელ მისადაგებას ისეთი ფართო ჯგუფების მიმართ, როგორებიცაა უფლებადამცველები, გარემოსდაცვითი აქტივისტები, ლტოლვილები, მიგრანტები და ჟურნალისტები, ადგილი კვლავ ჰქონდა. ყველაზე ხშირად ეს თურქეთში ხდებოდა, თუმცა მსგავსი შემთხვევები დასავლეთ ევროპის გარშემოც მრავლად იყო. ბუნდოვანი კანონები, რომლებიც ტერორიზმის „დიდებას“ ან „გამართლებას“ კრძალავდნენ, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების დევნისათვის გამოიყენებოდა. ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში გამოთქმული მოსაზრებებისთვის აქტივისტებს პასუხს თხოვდნენ, მათ შორის – გაერთიანებულ სამეფოში, ესპანეთსა და საფრანგეთში.

საფრანგეთის თითქმის ორწლიანი საგანგებო მდგომარეობა ნოემბერში დასრულდა. სექტემბერში საფრანგეთმა ახალი კონტრტერორისტული კანონი მიიღო, რომელმაც

ჩვეულებრივ კანონმდებლობაში ასახა ბევრი ის ღონისძიება, რომლებიც მხოლოდ საგანგებო რეჟიმით იყო დაშვებული.

იმის ნაცვლად, რომ ძალადობრივ თავდასხმებში ეჭვმიტანილების მოქმედებები გამოძიებინათ, ბევრი სახელმწიფო მოქალაქეთა ადმინისტრაციული კონტროლის ახალ მექანიზმებს ქმნიდა, რომლებიც ბუნდოვან საფუძველზე გამოიყენებოდა და ხშირ შემთხვევაში რელიგიური რწმენისა და შეკრების თავისუფლებებს ლახავდა. ოფიციალური ბრალისა და სასამართლოს გარეშე დაკავება რამდენიმე ქვეყანაში განიხილებოდა, მათ შორის – ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში, ხოლო გერმანიის ბავარიის მხარეში სულაც გამოიყენებოდა.

ევროკავშირის წევრმა ბევრმა სახელმწიფომ ლტოლვილთა კრიზისსა და ტერორისტულ მუქარებს შორის კავშირების მოძებნა სცადა. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის სასამართლომ მის მიმართ არსებული ბუნდოვანი ტერორიზმის ბრალდება მოხსნა, კვიპროსის რეზიდენტი სირიელი აჰმედ ჰ. პატიმრობაში ახალი სასამართლო პროცესის გამართვამდე და მის პერიოდშიც რჩებოდა. სასამართლო პროცესი წლის ბოლომდე მიმდინარეობდა. მას ქვების სროლისა და სასაზღვრო პოლიციასთან შეტაკებისას ხალხისთვის მეგაფონით მიმართვის გამო „ტერორიზმის აქტების" ჩადენაში ედავებოდნენ.

ონლაინ აქტივობებს – და ტერორისტული თუ „ექსტრემისტული" ქმედებების წახალისების მათ პოტენციალს – მეტი ყურადღება ევროპისა და ცენტრალური აზიის რამდენიმე ქვეყანამ დაუთმო. მაგალითად, გაერთიანებულმა სამეფომ „ტერორიზმთან დაკავშირებული" მასალის მრავალჯერადი ყურება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აქცია, რომელიც 15-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს. საფრანგეთში მსგავსი ღონისძიებები უკვე არსებობდა, თუმცა წლის განმავლობაში არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ხელისუფლების პასუხი ტერორიზმისა და ექსტრემიზმის რეალურ და აღქმულ საფრთხეებზე ნაცნობ ტენდენციას მიჰყვებოდა. ეჭვმიტანილების ისეთი ქვეყნებისთვის გადაცემა, სადაც ისინი წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ იქნებოდნენ, ხშირი და მყისიერი იყო. რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიაში იძულებითი გაუჩინარებები, უკანონო დაკავებები, დაკავებულთა წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდები და არასასამართლო წესით სიკვდილით დასჯა უსაფრთხოების ოპერაციების კონტექსტში ხდებოდა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში დე ფაქტო ხელისუფლება განსხვავებული აზრის ნებისმიერი ფორმის გამოხატვის ჩახშობას ცდილობდა და ყირიმელ თათართა თემი ანტიექსტრემისტული და კონტრტერორისტული კანონმდებლობის სამიზნე იყო.

ლტოლვილები და მიგრანტები

2017 წელს ევროპაში 169 452 ლტოლვილი და მიგრანტი შემოვიდა. 2016 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 387 895 იყო. რაოდენობის შემცირება, ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან ლიბიასა და თურქეთთან თანამშრომლობით იყო განპირობებული. ევროპის მიმართულებით ხმელთაშუა ზღვის კვეთის დროს სულ ცოტა 2 982 ადამიანი დაიღუპა. ევროკავშირის ქვეყნებმა არარეგულარული მიგრაციის პრევენციისთვის ღონისძიებები გააძლიერეს და უკან დაბრუნებულთა რაოდენობა გაზარდეს, მათ შორის – ისეთი პოლიტიკის გზით, რაც მიგრანტებსა და დაცვის საჭიროების მქონე ადამიანებს მათი წარმომავლობისა თუ სატრანზიტო ქვეყნებში არასათანადო მოპყრობის, წამებისა და სხვა დარღვევების რისკებს უქმნიდა.

ჰუმანიტარული დახმარების, ვაჭრობისა და სხვა ბერკეტების გამოყენებით, ევროპული ქვეყნების მთავრობები სატრანზიტო ქვეყნების წახალისებასა და მხარდაჭერას აგრძელებდნენ (მათ შორის, იმ ქვეყნების, რომელთა მიერ ლტოლვილების მიმართ ფართომასშტაბიანი და სისტემური დარღვევების შესახებ უტყუარი ინფორმაცია

არსებობდა) უფრო მკაცრი სასაზღვრო კონტროლის მისაღწევად, თუნდაც ადამიანის უფლებების სათანადო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე. ამან ათასობით ლტოლვილი და მიგრანტი იმ ქვეყნებში მახესავით გააბა, სადაც მათი უფლებები მძიმედ ილახებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სხვა ორგანიზაციებთან შედარებით, ხმელთაშუა ზღვის კვეთისას მეტი მიგრანტის გადარჩენას ახერხებდნენ, იტალიაში სხვადასხვა საჯარო პირები და პოლიტიკოსები დისკრედიტაციას უწევდნენ. ხელისუფლების მიერ მიღებული ახალი ქცევის კოდექსის თანახმად, მათ საქმიანობას შეზღუდვები ემუქრებოდა.

ისევე როგორც ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები, რუსეთი თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილების იმ ქვეყნებში დაბრუნებას აგრძელებდა, სადაც ისინი წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ იქნებოდნენ.

ევროპისა და ლიბიის თანამშრომლობა

ლტოლვილები და მიგრანტების უდიდესი ნაწილი, ვინც ევროპაში ზღვიდან შემოსვლას ცდილობს, ლიბიიდან მოდის. ევროკავშირისა და სხვა ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებს, იტალიის ლიდერობით, ლიბიის სანაპირო დაცვასთან და ქვეყანაში სხვა აქტორებთან თანამშრომლობის გზით ამ მარშრუტის დაკეტვის მცდელობა ჰქონდათ. ლიბიის ხელისუფლებასთან, რომელიც ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებზე არის პასუხისმგებელი, ევროპელმა ქვეყნებმა ხელშეკრულებების სერია დადეს; კონკრეტულად, ლიბიის სანაპირო დაცვის უწყებებთან და ლიბიის არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის გენერალურ დირექტორატთან (DCIM).

ამ ხელშეკრულებებში იტალიისა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებებმა ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი გარანტიების ჩადება ვერ უზრუნველყვეს და მთელ რიგ დარღვევებზე თვალი დახუჭეს; მათ შორის, იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებთანაც თავად ევროპული ქვეყნები თანამშრომლობდნენ, ლტოლვილთა და მიგრანტთა წამების გამოყენებაზე. ევროპული ქვეყნების მოქმედებები იმ ადამიანების რაოდენობის ზრდას იწვევდა, ვისაც აჩერებდნენ ან გზას უჭრიდნენ. ამით ამ მთავრობებმა, და განსაკუთრებით – იტალიამ, მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები დაარღვიეს და ლიბიის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების თანამონაწილეები გახდნენ.

ევროკავშირი-თურქეთის მიგრაციის გეგმა და საბერძნეთში არსებული მდგომარეობა

ევროკავშირსა და თურქეთს შორის 2016 წლის მარტში გაფორმებული მიგრაციის გეგმა ძალაში რჩებოდა და ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადის შეზღუდვას ახდენდა. მოცემული გეგმით, თავშესაფრის მაძიებლები თურქეთში იმ დაშვების საფუძველზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ ის „უსაფრთხო“ სატრანზიტო ქვეყანაა. ევროპელი ლიდერები მცდარ წარმოდგენას, თითქოს თურქეთს ევროკავშირის ექვივალენტი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა შეეძლო, იმის მიუხედავად იმეორებდნენ, რომ 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთში ლტოლვილებს კიდევ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებოდათ. თურქეთის საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გამო პროცედურული დაცვის მექანიზმების მოხსნამ ლტოლვილები იძულებითი დაბრუნების კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ დააყენა; კერძოდ, იმ ქვეყნებში დაბრუნების, სადაც მათი უფლებების მძიმე დარღვევების საფრთხე არსებობდა.

2017 წლის განმავლობაში მიგრაციის გეგმამ ათასობით პირი საბერძნეთის კუნძულებზე გადატვირთულ, არასანიტარულ და საფრთხისშემცველ პირობებში მოაქცია. მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები თვეობით იცდიდნენ, სანამ მათი განაცხადები განიხილებოდა. ბევრი ადამიანი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი იყო. 2016 წელთან შედარებით, საბერძნეთის კუნძულებზე ჩამოსულ მიგრანტთა

რაოდენობა მკვეთრად დაეცა, უმთავრესად ამ შეთანხმების გამო, თუმცა ზაფხულის განმავლობაში ნაკადის გაზრდამ კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა, ვინაიდან ლტოლვილთა მისაღებად ისედაც არასაკმარისი შესაძლებლობები ჰქონდათ. დეკემბერში 13 ათასი თავშესაფრის მაძიებელი გაურკვეველ მდგომარეობაში, კუნძულებს შორის გამოკიდებული, რჩებოდა.

ლტოლვილთა მიღების პირობები როგორც კუნძულებზე, ისე საბერძნეთის ძირითად ტერიტორიაზე კვლავ არაადეკვატური იყო და ბევრს ზამთრისთვის შეუსაბამო კარვებში ძილი უწევდა; ქალები და გოგონები ამ პირობებში კიდევ უფრო მოწყვლადნი და დაუცველნი იყვნენ.

წლის განმავლობაში საბერძნეთის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ კუნძულებიდან თურქეთის მიმართულებით მიგრანტების დაბრუნებას გზა გაუხსნა, დაუჭირა რა მხარი საბერძნეთის მიგრაციის უწყებების გადაწყვეტილებას თურქეთის ლტოლვილებისთვის უსაფრთხო ქვეყნად მიჩნევის თაობაზე. ნოემბერში ევროკავშირ-თურქეთის გეგმის მიღებიდან პირველად, იმ მოტივით, რომ თურქეთი მისთვის უსაფრთხო ქვეყანა იყო, თურქეთში სირიელი თავშესაფრის მაძიებელი დააბრუნეს.

რელოკაციის სქემები

წინა ხაზის იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ლტოლვილთა უმეტესობას იღებდნენ, სხვა ევროპული სახელმწიფოები არასაკმარის სოლიდარობას იჩენდნენ. ევროპულმა ქვეყნებმა საბერძნეთისა და იტალიიდან 2015 წლის სექტემბერში მიღებული საგანგებო რელოკაციის სქემით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლეს. ნოემბრის მდგომარეობით, ევროპულ სახელმწიფოებს მათი ვალდებულებების მხოლოდ 32% ჰქონდათ შესრულებული. 2017 წლის ბოლოსთვის, საბერძნეთში მყოფი 63,302 თავშესაფრის მაძიებლიდან 21,253 იყო განაწილებული, ხოლო იტალიაში მყოფი 34,953-დან – მხოლოდ 10,065.

სქემაში მონაწილეობას თავს ყველაზე მეტად პოლონეთი და უნგრეთი არიდებდნენ, რომელთაც იტალიასა და საბერძნეთიდან წლის ბოლომდე ერთი მიგრანტიც კი არ ჰყავდათ მიღებული.

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ სავალდებულო ლტოლვილთა სქემის თაობაზე სლოვაკეთისა და უნგრეთის საჩივარი მიზანშეუწონლად მიიჩნია. ევროკომისიამ პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მიმართ რელოკაციის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სამართლებრივი პროცედურები წამოიწყო.

თავშესაფარზე წვდომის შეზღუდვა

უნგრეთის მიერ მიღებული კანონით შესაძლებელი გახდა არარეგულარული მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებლების ავტომატური დაკავება, რაც ევროკავშირის სამართლის ცალსახა დარღვევას წარმოადგენდა. ხელისუფლება უნგრეთის საზღვრებთან მოსული თავშესაფრის მაძიებლებს კონტეინერებში კეტავდა. ქვეყნის მიერ ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა უფლებების სისტემურ დარღვევებს შორის იყო ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ორ „ტრანზიტულ ზონაში" თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შეზღუდვა და წესი, რომლითაც დღეში მხოლოდ ათი ახალი განაცხადის მიღება ხდებოდა. ამან ათასობით ადამიანს სერბეთში, უკიდურესად მძიმე პირობებში გაბრუნება აიძულა, სადაც მათ უსახლკარობა და კიდევ უფრო სამხრეთით, მაკედონიასა და ბულგარეთში იძულებითი დაბრუნება ემუქრებოდათ.

ძალადობა და დაპირისპირება ევროკავშირის საზღვრებთან ბულგარეთში, ესპანეთში, პოლონეთსა და საბერძნეთში გრძელდებოდა. პოლონეთის ხელისუფლება შეწინააღმდეგების და უკან დახევის იძულების დაკანონების წინადადებით გამოვიდა, რაც პოლონეთსა და ბელარუსს შორის მოძრავი მიგრანტებისადმი მოპყრობის ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა. ორი მიგრანტის საქმეზე, რომლებიც ესპანეთის ანკლავ მელილადან მოროკოში კოლექტიურად გაძევებულთა შორის იყვნენ, ადამიანის

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარდამტეხი გადაწყვეტილება მიიღო, სადაც ბრძანა, რომ ესპანეთმა კოლექტიური გაძევებების დაუშვებლობის ნორმა და მიგრანტთა ეფექტური დაცვის უფლებები დაარღვია.

სლოვენიის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ქვეყანას უფლება აქვს, მის საზღვრებთან მოსულ ადამიანებს შესვლაზე უარი განუცხადოს და ქვეყანაში არარეგულარულად შესული მიგრანტები და ლტოლვილები ავტომატურად გააძევოს ისე, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შესაძლებლობა არ მისცეს.

იძულებითი დაბრუნება

ლტოლვილების რეადმისიის თაობაზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სხვა ხელისუფლებებზე წნეხს ინარჩუნებდნენ; ზოგ შემთხვევაში იძულებითი დაბრუნების ადეკვატური გარანტიების შემუშავების გარეშე.

იმ დროს, როდესაც ავღანეთში სამოქალაქო მსხვერპლი რეკორდულ მაჩვენებელს აღწევდა, ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები ავღანური წარმოშობის თავშესაფრის მაძიებლებს უკან, იმ საფრთხეში დასაბრუნებლად აგზავნიდნენ, რომელსაც გაურბოდნენ. ავღანეთში იძულებით დაბრუნებული ლტოლვილების დიდი ნაწილი ავსტრიიდან, ნიდერლანდებიდან და ნორვეგიიდან იყო უკან გაგზავნილი.

დაუსჯელობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ყოფილ იუგოსლავიაში

29 ნოემბერს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, რამაც მისი 23-წლიანი მოღვაწეობა დაასრულა. ნოემბერშივე ტრიბუნალმა ბოსნიელ სერბთა სამხედრო ლიდერ რატკო მლადიჩს საერთაშორისო სამართლის დანაშაულების, მათ შორის – გენოციდის, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულებისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ეროვნულ დონეზე, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის გამოკლებით, სადაც გარკვეული პროგრესი იყო, დაუსჯელობა ნორმად რჩებოდა; სასამართლოებს შეზღუდული რესურსები ჰქონდათ, ხოლო პოლიტიკური წნეხი დიდი იყო. პროკურორებს აღმასრულებლის მხარდაჭერა რეგიონის მასშტაბით აკლდათ. ნაციონალისტური რიტორიკა და რეგიონული თანამშრომლობის თაობაზე პოლიტიკური ვალდებულებების ნაკლებობა მათ მუშაობას აბრკოლებდა.

წლის ბოლოსთვის ბალკანეთის შეიარაღებული კონფლიქტებისას 11 500 გაუჩინარებული ადამიანის ბედის დადგენის საკითხში პროგრესი არ იყო. იძულებითი გაუჩინარების შემთხვევების მსხვერპლები და მათი ოჯახის წევრები სამართლის, სიმართლისა და რეპარაციების გარეშე რჩებოდნენ. ომის დროს მომხდარი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რეპარაციების კანონმდებლობაში მცირე წინსვლას რამდენიმე ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

დისკრიმინაცია

„ტრადიციული ღირებულებების“ საბაბის გამოყენება

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ბევრი ხელისუფლება რეპრესიებსა და დისკრიმინაციას ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების“ დისკრიმინაციული ინტერპრეტაციის რიტორიკით აგრძელებდა. ეს „ტრადიციული ღირებულებები“ კულტურული ნორმების სელექციურ – ქსენოფობიურ, მისოგინურ და ჰომოფობიურ –

ინტერპრეტაციებს წარმოადგენდნენ. ტაჯიკეთში ამ დისკურსის გამოყენებით ახალი კანონმდებლობა შეიმუშავეს, რამაც „ამორალური“ ქმედებებისთვის ლგბტი თემის წევრების დასჯა განსაზღვრა და ჩაცმის, საუბრისა და რელიგიის „ნორმები“ დააწესა, რის სამიზნესაც ქალები და რელიგიური უმცირესობები წარმოადგენდნენ.
„ანტიექსტრემისტული“ კანონმდებლობის საფუძველზე, ყაზახეთსა და რუსეთში რელიგიური უმცირესობების მიმართ დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი დევნისა და სხვაგვარი შევიწროების შემთხვევებმა იმატა. ამ „ტრადიციული ღირებულებების“ ინტერპრეტაციამ შემაძრწუნებელი განზომილებები ჩეჩნეთში მიიღო, სადაც ხელისუფლება გეი მამაკაცებს საიდუმლოდ აწამებდა და კლავდა.

ქალთა უფლებები

აშშ-ში ჰოლივუდის პროდიუსერ ჰარვი ვაინსტინის და შოუბიზნესის ინდუსტრიაში მომუშავე სხვა პირთა მიმართ სექსუალური ძალადობის თაობაზე გაჟღერებულმა ბრალდებებმა მსოფლიოს გარშემო მილიონობით ქალის მიერ ჰეშთეგის #MeToo (თარგმანი ინგლისურიდან: „მეც“) გამოყენებით, სიჩუმის დასრულებისა და სექსუალური ძალადობის საკუთარ გამოცდილებებზე ინტერნეტში მოყოლისკენ უბიძგა. 2017 წელს ქალებმა და ფემინისტურმა მოძრაობებმა ათასობით ადამიანის მობილიზება მოახდინეს, მათ შორის – იანვარში ევროპის მასშტაბით გამართული ქალთა მარშების დროს და პოლონეთში შავი ორშაბათის საპროტესტო აქციების დროს, რამაც ხელისუფლებას აბორტთან დაკავშირებული კანონების კიდევ უფრო გამკაცრების უფლება არ მისცა. და მაინც, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ქალები და გოგონები ადამიანის უფლებათა სისტემურ დარღვევებს განიცდიდნენ, მათ შორის – წამებას და არასათანადო მოპყრობას, ჯანმრთელობისა და საკუთარ სხეულზე ავტონომიის შეზღუდვას, არათანასწორ შესაძლებლობებსა და გენდერული ნიშნით მოტივირებულ ძალადობას.

ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში აბორტი, თითქმის ყველა გარემოებაში, კრიმინალიზებული იყო და პრაქტიკაში – ძალიან შეზღუდული. პოლონეთში უსაფრთხო და კანონიერ აბორტზე ხელმისაწვდომობას სისტემური ბარიერები უშლიდა ხელს. მალტაში აბორტი ყველა და ნებისმიერ გარემოებაში იყო კრიმინალიზებული.

ევროკავშირმა და მოლდოვამ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია) მოაწერეს ხელი. კონვენციის რატიფიცირება გერმანიამ, კვიპროსმა, ნორვეგიამ, საქართველომ და შვეიცარიამ მოახდინეს, რამაც ასეთ ქვეყანათა რიცხვი 28-მდე გაზარდა. უკრაინამ კონვენციას ხელი ჯერ კიდევ 2011 წელს მოაწერა, თუმცა 2017 წლის ბოლოსთვისაც არ ჰქონდა რატიფიცირებული.

მზარდი საკანონმდებლო დაცვის მექანიზმების მიუხედავად, ქალების მიმართ გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული მრავლად ხდებოდა, მათ შორის – ალბანეთში, რუმინეთსა და ხორვატიაში. რუსეთში, ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების“ ნარატივით, და მცირე საჯარო პროტესტის ფონზე, პარლამენტმა ოჯახური ძალადობის ზოგიერთი ფორმის დეკრიმინალიზაცია მოახდინა, ხოლო პრეზიდენტმა პუტინმა საკუთარი ხელმოწერით კანონად აქცია. ნორვეგიასა და შვედეთში გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული, მათ შორის – სექსუალური ძალადობა, სერიოზულ პრობლემად რჩებოდა და ხელისუფლებისგან უფრო ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვდა.

უმცირესობების უფლებები

უმცირესობების დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული და რამდენიმე ჯგუფი ზეწოლის, ძალადობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ბარიერის მსხვერპლი იყო.

რომა მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციას სლოვაკეთში ფართო ხასიათი ჰქონდა. ევროკომისიამ სლოვაკეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ რომა ბავშვების სისტემური დისკრიმინაციისა და სკოლებში სეგრეგაციისთვის სამართლებრივი პროცედურები გააგრძელა. სეგრეგირებული ბანაკები, სოციალურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის საკითხში დისკრიმინაცია და იძულებითი გასახლებები იტალიაში მცხოვრები 170 ათასიდან რომას დიდი ნაწილისთვის ყოველდღიურ რეალობას წამოადგენდა. ევროკომისიამ რომას მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ქმედითი ნაბიჯები ჯერ კიდევ ვერ გადადგა.

მუსლიმები დისკრიმინაციას განიცდიდნენ, განსაკუთრებით სამუშაოს ძიებისა და სამუშაოს პროცესში და ისეთი საჯარო თუ კერძო სერვისების მიღებისას, როგორიცაა განათლება და ჯანდაცვა.

ავსტრიაში ახალმა კანონმა საჯარო ადგილებში სახის სრული დაფარვა უკანონო გახადა, რამაც არაპროპორციულად შეზღუდა გამოხატვისა და რელიგიისა და რწმენის თავისუფლებები. ტრადიციების შესახებ კანონის დასაცავად, ტაჯიკეთის ხელისუფლებამ საჯარო ადგილებში ათასობით ქალს ისლამური თავსაბურავის (ჰიჯაბის) მოხსნა აიძულა.

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს პირთა უფლებები

რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში ლგბტი პირები ძალადობასა და დისკრიმინაციას განიცდიდნენ. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, მაგალითად, ერთ დღეს უსაფუძვლოდ ასზე მეტი ლგბტი პირი დააკავეს. უზბეკეთსა და თურქმენეთში კაცებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირი პატიმრობას ითვალისწინებდა. საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ ქორწინების შეზღუდული განსაზღვრება შემოიღო, რითიც ქორწინების უფლების გავრცელება ერთი და იმავე სქესის წყვილებზე გამოირიცხებოდა. ლიტვის პარლამენტმა ლგბტი პირების მადისკრიმინირებელი საკანონმდებლო ნორმები მიიღო. რუსეთში „ჰომოსექსუალთა პროპაგანდის კანონი" კვლავ გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, მისი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ის დისკრიმინაციულად მიიჩნია.

აპრილში ცნობილი გახდა, რომ ჩეჩნეთის ხელისუფლება გეი მამაკაცებს საიდუმლო წესით და უსაფუძვლოდ აკავებდა, აწამებდა და კლავდა. საერთაშორისო სკანდალზე საპასუხოდ, ჩეჩნეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ჩეჩნეთში გეი მამაკაცები არ არსებობენ, რუსეთის მთავრობამ კი ეფექტური გამოძიება ვერ უზრუნველყო.

წლის განმავლობაში ადამიანების გამბედაობისა და სოლიდარობის დადებითი გამოვლინებები იმედს იძლეოდა. რუსეთის ლგბტ ქსელმა სატელეფონო ცხელი ხაზი შექმნა და ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ადგილებიდან ლგბტი პირების ევაკუაციას შეუწყო ხელი. უკრაინაში სიდიდით აქამდე პირველი სიამაყის მარში ჩატარდა. მალტის პარლამენტმა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება დააკანონა და ასეთ წყვილებს ქორწინების სრული უფლებები მიანიჭა. ქორწინების საკითხში ყველა ადამიანის, გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, თანასწორობა გერმანიამაც აღიარა და დაქორწინებულ პირებს ბავშვის შვილად აყვანის თანაბარი უფლებები მიანიჭა.

ტრანსგენდერი ადამიანები და ადამიანები სქესის სხვადასხვა ვარიაციებით

ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ტრანსგენდერი ადამიანები, რომელთაც საკუთარი გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება სურდათ, ბარიერებს აწყდებოდნენ. სქესის სხვადასხვა ვარიაციების მქონე მცირეწლოვანი და ზრდასრული პირები ადამიანის

უფლებათა დარღვევებს ყველაგან აწყდებოდნენ, მათ შორის თავმოსხვეული და შეუქცევადი სამედიცინო ინტერვენციებისას, რასაც ხშირად პაციენტების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე დამაზიანებელი გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებით – ბავშვებზე. ევროპის 18 ქვეყანაში ტრანსგენდერ ადამიანებს სტერილიზაციის გაკეთებას აიძულებდნენ, ხოლო 35 ქვეყანაში გენდერის შესაცვლელად ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დიაგნოზის წარმოდგენა მოეთხოვებოდათ.

ბელგიასა და საბერძნეთში პროგრესი იყო: სტერილიზაცია და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დიაგნოზის მოთხოვნები გააუქმეს, თუმცა გენდერის სამართლებრივი აღიარების რეფორმები ორივე ქვეყანაში სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული პროცედურებისგან შორს იყო.

ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონული მიმოხილვა

ჟურნალისტები და ადამიანის უფლებების დამცველები ხელისუფლების წნეხის ქვეშ იყვნენ და ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე ქვეყანაში მკაცრად კონტროლდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში სამოქალაქო აქტივისტები გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო მეტად შეზღუდვის მცდელობების შეჩერებას ახერხებდნენ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება როგორც შეიარაღებული ძალების, ისე – ხელისუფლების მხრიდან დარტყმის ქვეშ იყო. ქალთა მოძრაობების შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, დისკრიმინაციულ და ძალადობრივ კანონებში ცვლილებები შევიდა. მიუხედავად ამისა, სისტემური გენდერული დისკრიმინაცია კანონსა და პრაქტიკაში მთელი რეგიონის მასშტაბით შენარჩუნდა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისგან ქალები კვლავაც არასათანადოდ არიან დაცულნი. ზოგიერი ქვეყნის ხელისუფლება ადამიანებს მათი სექსუალური ორიენტაციის (ან შესაბამისი ეჭვის) გამო აპატიმრებდა და დევნიდა; ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირი კრიმინალიზებული ბევრ ქვეყანაში იყო და ზოგან სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული კავშირების საქმიანობა მკაცრად იზღუდებოდა. შრომითი მიგრანტები ექსპლოატაციასა და ძალადობას კვლავ განიცდიდნენ, თუმცა რამდენიმე ქვეყანაში მათი უფლებების დაცვის შესაძლებლობები გაუმჯობესდა. შეიარაღებულმა კონფლიქტმა გატანჯულ მოსახლეობას დიდი დაღი დაასვა და მძიმე დარღვევებით, მათ შორის – აკრძალული იარაღის გამოყენებით, უკანონო ალყებითა და სამოქალაქო პირებსა და ინფრასტრუქტურაზე პირდაპირი თავდასხმებით ხასიათდებოდა. სასიკვდილო განაჩენი რეგიონის რამდენიმე ქვეყანას გამოჰქონდა და წლის განმავლობაში სიკვდილით ასობით ადამიანი დაისაჯა. ძველად ჩადენილი და მიმდინარე დანაშაულები დაუსჯელი რჩებოდა, თუმცა სიმართლის დადგენისა და მსხვერპლთათვის სამართლიანობის აღდგენის საკითხში გარკვეული პროგრესი იყო.

გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებები

ადამიანის უფლებების დარღვევების გაშუქებისა და კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისათვის დასჯის ან მათი პრევენციის მიზნით, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებები სამოქალაქო საზოგადობას როგორც ფიზიკურ, ისე – ონლაინ სივრცეში ავიწროებდნენ. ასეთი ნაბიჯების გასამართლებლად ისინი ხშირად ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვასა და კორუფციასთან ბრძოლას იმიზეზებდნენ. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ქუჩებში გამოსული საპროტესტო მოძრაობების ჩასახშობად გადაჭარბებულ ძალას იყენებდნენ.

შეზღუდვები ეგვიპტესა და საუდის არაბეთში

ზოგიერთ ქვეყანაში ადამინის უფლებებზე გაზრდილ ზეწოლას თან ახლდა ამ ქვეყნების ლიდერების მიერ საერთაშორისო საზოგადოების თვალში მათი პოლიტიკური სიძლიერის დამკვიდრების მცდელობები. ეგვიპტეში პრეზიდენტი აბდელ ფათაჰ ალ სისი უფლებადამცველების საქმიანობას უპრეცედენტოდ ზღუდავდა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქონებას აყადაღებდა. გარდა ამისა, ეგვიპტემ ახალი დრაკონული კანონი მიიღო, რომლითაც ხელისუფლების თანხმობის გარეშე კვლევის გამოქვეყნებაზე ხუთწლიანი საპატიმრო სასჯელი დაწესდა. გამოქვეყნებული მასალის გამო ხელისუფლებამ პატიმრობა სულ ცოტა 15 ჟურნალისტს მიუსაჯა, მათ შორის ისეთი მასალებისთვის, რომელთაც ხელისუფლება „ცრუ ინფორმაციას" უწოდებდა. 400-ზე მეტი ვებგვერდი დაიბლოკა, მათ შორის – დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ვებგვერდები. ამასთან ერთად, „მუსლიმთა საძმოს" წევრობის (ან შესაბამისი ეჭვის) შემთხვევაში, უსაფრთხოების სამსახურები ასობით ადამიანს აპატიმრებდნენ. პოლიტიკურ დისიდენტებთან გასასწორებლად ხელისუფლება გრძელვადიან წინასწარ პატიმრობას იყენებდა, მათ შორის – ორ წელზე ხანგრძლივი პერიოდით, პატიმრებს განუსაზღვრელი ვადით იზოლირებულ საკნებში ათავსებდა და პირობით სასჯელებს უსჯიდა; პირობითი სასჯელები, როგორც წესი, ბრალდებულებს პოლიციის განყოფილებაში ყოველდღიურად გამოცხადებას და ზოგჯერ 12-მდე საათით გაჩერებასაც კი ავალდებულებდა, რაც თავისუფლების დაუსაბუთებელ აღკვეთას უტოლდებოდა.

ივნისში პრინც მუჰამედ ბინ სალმანის საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრედ დაწინაურება პოლიტიკური ლანდშაფტის ფართო გარდაქმნების შემადგენელი ნაწილი იყო. მომდევნო თვეებში ხელისუფლებამ გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვები კიდევ უფრო ინტენსიური გახადა; სექტემბრის ერთ-ერთი კვირის განმავლობაში 20-მდე გამოჩენილი საჯარო რელიგიური ფიგურა, მწერალი, ჟურნალისტი, აკადემიკოსი და აქტივისტი დააკავეს. ადამიანის უფლებათა დამცველებს მშვიდობიანი აქტივიზმისათვის უსაფუძვლო ბრალდებები წაეყენათ და ტერორიზმთან დაკავშირებული საქმეების განსახილველად შექმნილ სისხლის სამართლის სპეციალიზებული სასამართლოს წინაშე წარდგნენ. წლის ბოლოს, საუდის არაბეთის ხელისუფლების სწრაფვის მიუხედავად, რომ უფრო ტოლერანტული ქვეყანა გამოჩენილიყო, ქვეყანაში უფლებადამცველების უმრავლესობა ან სასჯელს იხდიდა ან არასამართლიანი სასამართლო პროცესების შედეგებს ელოდა.

ჟურნალისტებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებზე თავდასხმები

რეგიონის მასშტაბით ადამიანის უფლებების საკითხებზე ადვოკატირება და ჟურნალისტური საქმიანობა, ისევე როგორც – სახელმწიფო უწყებების კრიტიკა, დევნითა და პატიმრობით სრულდებოდა; ზოგ შემთხვევაში ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები აქტივისტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიებს აწარმოებდნენ.

ირანში ხელისუფლებამ მშვიდობიანი კრიტიკოსები, მათ შორის – ქალთა უფლებების, უმცირესობათა უფლებებისა და გარემოსდაცვითი აქტივისტები, პროფკავშირების წევრები, იურისტები და 1980-იან წლებში მომხდარი მასობრივი მკვლელობების საქმეებზე სიმართლის, სამართლისა და რეპარაციების მაძიებლები ციხეში გამოკეტა.

ბაჰრეინის ხელისუფლება უსაფუძვლოდ აკავებდა უფლებადამცველებსა და ხელისუფლების კრიტიკოსებს, ხოლო ზოგს მოგზაურობას უკრძალავდა და მოქალაქეობას ართმევდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დამოუკიდებელი გაზეთი „ალ ვასათი" დახურა და ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფი „ვაადი" დაშალა. დედაქალაქ მანამაში დემონსტრაციების გამართვაზე აკრძალვა ძალაში რჩებოდა, ხოლო სხვა ქალაქებში გამართული აქციების დასაშლელად ხელისუფლება გაუმართლებელ და გადაჭარბებულ ძალას იყენებდა.

მაროკოსა და დასავლეთ საჰარაში ხელისუფლება დევნიდა და აპატიმრებდა ჟურნალისტებს, ბლოგერებსა და აქტივისტებს, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ ან ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, კორუფციასა და სახალხო პროტესტის შემთხვევებზე წერდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ერ რიფის რეგიონში მიმდინარე საპროტესტო აქცია იყო, სადაც უსაფრთხოების ძალებმა მშვიდობიანი დემონსტრანტები ჯგუფურად დააკავეს, მათ შორის – ბავშვები, და ხალხის დასაშლელად გადამეტებული და გაუმართლებელი ძალა გამოიყენეს.

ქუვეითის ხელისუფლებამ რამდენიმე კრიტიკულად განწყობილი პირი და ონლაინ აქტივისტი დააკავა. მათი დაკავების საფუძველი ის სამართლებრივი ნორმები იყო, რომელთა მიხედვითაც ემირის შეურაცხმყოფელი და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის დამაზიანებელი გამონათქვამები კრიმინალიზებული იყო.

ირანის ქურთისტანის რეგიონში ჟურნალისტებსა და ონლაინ აქტივისტებს უსაფუძვლოდ აკავებდნენ, მოკვლით ემუქრებოდნენ და ცილს სწამებდნენ – ტენდენცია, რაც სექტემბრისთვის რეგიონის პრეზიდენტის მიერ დაანონსებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წინ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

იემენში „ჰუსიტების" შეიარაღებული ჯგუფი დედაქალაქ სანასა და მის მიერ კონტროლირებულ სხვა მხარეებში უსაფუძვლოდ აკავებდა და აპატიმრებდა კრიტიკულად განწყობილ პირებს, ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს.

ამასობაში ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლები ისრაელსა და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე ისეთი პირების შესვლას კრძალავდნენ, ვინც მხარს უჭერს ან მუშაობს ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც ისრაელის ან მისი ერთეულებისთვის, მათ შორის დასახლებებისთვის, ბოიკოტის ან ბოიკოტის მსგავსი მოწოდება გაუვრცელებია. ეს გადაწყვეტილება როგორც პალესტინურ, ისე – ისრაელურ არასამთავრობო ორგანიზაციებზე წარმოადგენდა დარტყმას და ხელისუფლების მიერ შევიწროებისა და დაშინების გზით მათი მუშაობის ხელშეშლას ემსახურებოდა. ხელისუფლებამ დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში პალესტინელ დემონსტრანტებს რეზინის ტყვიები დაუშინა და ღია ცეცხლი გაუხსნა, რასაც სულ ცოტა 20 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ათასობით ადამიანს კი ჯანმრთელობის დაზიანებები მიაყენა.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ინტერნეტში

ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებაზე კონტროლის გაზრდა ეგვიპტის გარდა სხვა ქვეყნების ხელისუფლებებმაც სცადეს. ივლისში პალესტინის სახელმწიფომ ელექტრონული დანაშაულების შესახებ კანონი მიიღო, რომელმაც ჟურნალისტების, მამხილებლებისა და აქტივისტების მიერ ინტერნეტში გამოთქმული მოსაზრებების გამო მათი დაკავება გახადა შესაძლებელი. „საჯარო წესრიგის", „ეროვნული ერთიანობის" ან „საზოგადოებრივი მშვიდობის" დარღვევებისათვის კანონი სხვადასხვა ვადით პატიმრობასა და 25 წლამდე ვადით მძიმე სამუშაოს მისჯას ითვალისწინებდა. ამ კანონით რამდენიმე პალესტინელი ჟურნალისტი და უფლებადამცველი გაასამართლეს.

იორდანიამ კონკრეტული ვებგვერდები, მათ შორის – ონლაინ ფორუმები, დაბლოკა. ომანმა გაზეთ „მოვატენის" ონლაინ ვერსია დაბლოკა. სასამართლო პროცესი გაზეთ „აზამნის" მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე, სადაც მთავრობასა და სასამართლოში კორუფციაზეა საუბარი, წლის ბოლოს ჯერ არ იყო დასრულებული. ირანში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს პოპულარული აპლიკაცია ტელეგრამის დაბლოკვა სურდათ, თუმცა ამას ხელისუფლება არ დაეთანხმა. სოციალური მედიის ქსელები და სერვისები: ფეისბუქი, თვითერი, და იუთუბი, კვლავ დაბლოკილი იყო.

სპარსეთის ყურის პოლიტიკური კრიზისი

ივნისში საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა და ეგვიპტემ ყატარი ტერორისტების დაფინანსებასა და მხარდაჭერაში და მეზობლების შიდა

საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულეს, რამაც სპარსეთის ყურეში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ამას ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუარესება და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს მუშაობის პარალიზება მოჰყვა. გარდა ამისა, ბაჰრეინმა, საუდის არაბეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა განაცხადეს, რომ ყატარის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების კრიტიკა ან ყატარისა და მისი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოხატვა პატიმრობით დასჯადი სისხლის სამართლის დანაშაული ხდებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობა

სამოქალაქო საზოგადოება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მთელი რიგი მცდელობების წინააღმდეგ იბრძოდა. ტუნისში აქტივისტებმა საკანონმდებლო ინიციატივის შეჩერება მოახერხეს, რომელიც პოლიციის საქმიანობის კრიტიკის კრიმინალიზებას ითვალისწინებდა და გადაჭარბებული და მომაკვდინებელი ძალის გამოყენებისათვის სამართალდამცავებს იმუნიტეტს ანიჭებდა. პალესტინის ხელისუფლება ელექტრონულ დანაშაულთა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას სამოქალაქო საზოგადოებისგან წამოსული დიდი წნეხის შემდეგ დათანხმდა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ჩადენილი დანაშაულები

შეიარაღებული დაჯგუფებების სამიზნეს რელიგიური უმცირესობები რამდენიმე ქვეყანაში წარმოადგენდნენ. ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფო“ (IS) და სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები შიიტთა რელიგიურ სალოცავებსა და შიიტურ უბნებში საჯარო ადგილებს ესხმოდნენ თავს, სადაც მათ მიერ მოწყობილმა აფეთქებებმა ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლა. გაეროს მიერ იანვარში გავრცელებული მონაცემებით, IS-ის ტყვეობაში ერაყსა და სირიაში 2 ათასამდე იეზიდი ქალი და ბავშვი იმყოფებოდა. დამონებულ ტყვეებს აუპატიურებდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ. ეგვიპტეში IS-მა ორი ეკლესიის დაბომბვისათვის, რომელმაც სულ ცოტა 44 ადამიანი მოკლა, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო; ხოლო დაუდგენელი მილიციური დაჯგუფების მიერ ნოემბერში ჩრდილოეთ სინაის მეჩეთში პარასკევის ლოცვების დროს აფეთქებულ ბომბს 300-ზე მეტი სუფი მლოცველის სიცოცხლე შეეწირა; ეს ეგვიპტეში 2001 წლის შემდეგ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ განხორციელებული ყველაზე სისხლიანი შეტაკება იყო.

იემენში „ჰუსიტები“ და მათი მოკავშირეები ბაჰაიზმის მიმდევრებს უსაფუძვლოდ აკავებდნენ.

ხელისუფლებების მიერ დაწესებული შეზღუდვები

ალჟირის ხელისუფლებამ რელიგიურ მოძრაობა „აჰმადს“ შეუტია; წლის განმავლობაში აღმსარებლობის ნიშნით 280-ზე მეტი აჰმადი დასაჯეს.

სხვა ქვეყნებში სამთავრობო შეზღუდვები ნაცნობ ტენდენციას მიჰყვებოდა. საუდის არაბეთში ხელისუფლება შიიტური მუსლიმების დისკრიმინაციას ახდენდა და რელიგიური გამოხატვის უფლებას, სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, დასაქმების უფლებასა და სახელმწიფო სერვისებზე წვდომას უზღუდავდა. შიიტ აქტივისტებს ხშირად აკავებდნენ, აპატიმრებდნენ და ზოგ შემთხვევაში, არასამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, სიკვდილით სჯიდნენ.

ირანში რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კანონსა და პრაქტიკაში მუდმივად ილახებოდა. ბაჰაიზმის მიმდევრების წინააღმდეგ თავდასხმები ფართოდ გავრცელებული და სისტემური იყო. მათ უსაფუძვლოდ აკავებდნენ, საპატიმროში ხანგრძლივი ვადით

ტოვებდნენ, აწამებდნენ და არასათანადოდ ეპყრობოდნენ; საწარმოებს უხურავდნენ, ქონებას ართმევდნენ, საჯარო სექტორში დასაქმებას უკრძალავდნენ და უმაღლეს განათლებაზე წვდომას უზღუდავდნენ. სხვა რელიგიური უმცირესობები, რომელთაც კონსტიტუცია არ აღიარებდა და როგორიცაა, მაგალითად, აჰლ-ე ჰაყყი, სისტემური დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ; მათ განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები ეზღუდებოდათ და საკუთარი მრწამსის გამო იდევნებოდნენ. რელიგიის შეცვლისა და უარყოფის უფლება კვლავ ილახებოდა. ქრისტიანად მოქცეულ რამდენიმე პირს 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ქალთა უფლებები

ქალთა მოძრაობების ხანგრძლივმა ბრძოლამ წლის განმავლობაში რამდენიმე დადებითი შედეგი გამოიღო. იორდანიამ, ლიბანმა და ტუნისმა შეცვალეს კანონები, რომლითაც გამპატიურებლებს სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილება ან შემცირებული სასჯელით სარგებლობა შეეძლოთ, თუ მსხვერპლზე დაქორწინდებოდნენ. თუმცა მსგავსი სამართლებრივი ხარვეზი ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში კვლავ რჩება. იორდანიამ „მსხვერპლის მიერ უკანონო ან სახიფათო აქტის ჩადენიდან გამომდინარე“ კაცის მიერ მდედრობითი სქესის ნათესავის „აფექტურ მდგომარეობაში“ მკვლელობისთვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე ნორმა გააუქმა, თუმცა კანონი „მრუშობის“ შემთხვევაში „ღირსების“ მკვლელობების შემთხვევებისადმი კვლავ შემწყნარებლური იყო. ტუნისის პარლამენტმა ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი მიიღო, რომელმაც ქალთა და გოგონათა გენდერული ნიშნით ძალადობისგან დასაცავად რამდენიმე გარანტია დააწესა. ამასთან, დადგენილება, რომლითაც ტუნისელ ქალსა და არამუსლიმ კაცს შორის ქორწინება იკრძალებოდა, პრეზიდენტმა გააუქმა. ყატარში უცხო ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინებული ყატარელი ქალების ბავშვებისთვის ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის უფლების თაობაზე კანონპროექტი პარლამენტმა მიიღო, თუმცა დისკრიმინაცია კვლავ სახეზე იყო, რადგან ქალებს საკუთარი შვილებისთვის მოქალაქეობის გადაცემა არ შეეძლოთ.

საუდის არაბეთში სექტემბერში გამოცემული სამეფო ბრძანებით ქალებს 2018 წლის ივნისიდან მანქანის ტარების უფლება ეძლევათ, თუმცა ამ კანონის პრაქტიკაში აღსრულებასთან დაკავშირებით კითხვები ისმოდა. აპრილში გამოცემული მორიგი ბრძანებით, კაცი მეურვის ნებართვის გარეშე ქალებისთვის სერვისების უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფო უწყებას დაევალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთ ნებართვას კონკრეტული რეგულაციები პირდაპირ მოითხოვდა; კერძოდ, მეურვის ნებართვა ქალებს საზღვარგარეთ მგზავრობის, პასპორტის აღებისა და დაქორწინების შემთხვევებში კვლავ ესაჭიროებათ.

დადებითი ძვრების მიუხედავად, ქალების მიმართ კანონსა და პრაქტიკაში ღრმად გამჯდარი დისკრიმინაცია, განსაკუთრებით კი დაქორწინების, განქორწინების, მემკვიდრეობის მიღებისა და ბავშვზე მეურვეობის საკითხებში, რეგიონის ბევრ ქვეყანაში კვლავ სახეზე იყო. ქალები სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სხვა სახეებისგან არასათანადოდ იყვნენ დაცულნი და იძულებით და ადრეულ ასაკში აქორწინებდნენ.

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს პირთა უფლებები

მაშინ როდესაც რეგიონში მოღვაწე ადამიანის უფლებების მთავარი მოძრაობების დღის წესრიგში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები უფრო და

უფრო აქტუალური ხდებოდა, მთავრობები კანონსა და პრაქტიკაში ლგბტი ადამიანების უფლებების შელახვას აგრძელებდნენ.

სექტემბერში ქაიროში ლიბანური ჯგუფის „მაშრუ ლეილას“ კონცერტისას, სადაც ცისარტყელის დროშა გამოჩნდა, ხელისუფლებამ დამსწრეები იმ ეჭვით დააკავა, რომ ისინი სექსუალურ უმცირესობებს წარმოადგენდნენ. „მაშრუ ლეილას“ ცოტა ხნით ადრე კონცერტის გამართვა იორდანიაში აეკრძალა. უსაფრთხოების ძალებმა სულ ცოტა 76 ადამიანი დააკავეს და მინიმუმ ხუთს ანალური ექსპერტიზა ჩაუტარეს – პრაქტიკა, რომელიც წამებას უტოლდება. სასამართლომ 48 ადამიანს ექვსი თვიდან ექვს წლამდე პატიმრობა მიუსაჯა „გარყვნილებისა“ და მსგავსი „დანაშაულებისთვის“. ოქტომბერში პარლამენტის წევრები კანონში ჰომოსექსუალური კავშირის პირდაპირი აკრძალვისა და ლგბტი შეკრებების, სიმბოლოებისა და დროშების ნებისმიერი საჯარო გამოფენის კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადების ინიციატივით გამოვიდნენ.

მაროკო, ტუნისი და სხვა ქვეყნები ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირისთვის პირების დაკავებასა და პატიმრობის მისჯას აგრძელებდნენ. ტუნისში, სადაც კაცებს ასეთ დანაშაულებში დებდნენ ბრალს და ანალური ექსპერტიზის გავლას აიძულებდნენ, ხელისუფლებამ ამ პრაქტიკის დასრულების თაობაზე გაეროს უნივერსალური პერიოდიული მიმოხილვის მექანიზმის მიერ გაკეთებული რეკომენდაცია სექტემბერში გაიზიარა. სხვა ქვეყნებში, მათ შორის ირანსა და საუდის არაბეთში, ზოგიერთი სახის ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური კავშირი კვლავაც სიკვილით ისჯებოდა.

შრომითი უფლებები

პროფესიული კავშირები

ზოგიერთი ქვეყანა პროფესიული კავშირების უფლებებსა და საქმიანობას მკაცრად ზღუდავდა.

ეგვიპტეში გაფიცვისა და დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების შექმნის უფლებებით სარგებლობისთვის ათეულობით მუშა და პროფკავშირის წევრი ხელისუფლებამ დააკავა, სამხედრო სასამართლოში წარადგინა, სამსახურიდან გაათავისუფლა და მთელი რიგი დისციპლინური ღონისძიებები შეუფარდა. დეკემბერში პარლამენტმა კანონი მიიღო, რომლითაც პროფკავშირის სტატუსის მისაღებად საჭირო წევრების მინიმალური რაოდენობა გასამმაგდა და 150-მდე გაიზარდა.

ალჟირის ხელისუფლება დამოუკიდებელ, მრავალდარგოვან „ალჟირელ დასაქმებულთა გენერალურ ავტონომიურ კონფედერაციას“ რეგისტრაციაზე კვლავ უარს ეუბნებოდა, რომელმაც სამართლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად პირველი განაცხადი ჯერ კიდევ 2013 წელს შეიტანა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ეროვნულ პროფესიულ კავშირს“ სტატუსი ჩამოართვა და მისი საქმიანობა აკრძალა.

მიგრანტების შრომითი უფლებები

იორდანიასა და ლიბანში საშინაო-სამეურნეო, მშენებლობისა და სხვა სექტორებში დასაქმებული მიგრანტები ექსპლოატაციასა და ძალადობას განიცდიდნენ.

თუმცა, 2017 წელს გარკვეული დადებითი სიახლეებიც იყო. ყატარის ხელისუფლებამ აგვისტოში მიღებული ორი კანონით მიგრანტების შრომითი უფლებების დასაცავად გარანტიები შემოიღო. ერთმა კანონმა შრომითი დავების მექანიზმი შექმნა, რომელიც მიგრანტი მუშების სასამართლო სისტემით სარგებლობის ბარიერების მოხსნის მცდელობას წარმოადგენდა. მეორე კანონმა სამეურნეო სექტორში დასაქმებულების შრომითი უფლებებისთვის სამართლებრივი დაცვის გარანტიები პირველად განსაზღვრა, არეგულირებდა რა ანაზღაურებადი შვებულებისა და სამუშაო საათების რაოდენობას.

მიუხედავად ამისა, კანონი სამეურნეო სექტორში დასაქმებულებს დასაშვებზე მეტი საათით მუშაობის უფლებას აძლევდა, თუ ისინი ამას „დათანხმდებოდნენ", რაც ნორმის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ტოვებდა. ოქტომბერში ყატარის მთავრობამ ახალი რეფორმა დაანონსა, რომელიც მინიმალური ხელფასის შემოღებას და უხელფასო მუშებისთვის ფონდის დაარსებას ითვალისწინებდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ე.წ. კაფალას სპონსორობის სისტემის, რომელიც დასაქმებულ მიგრანტებს სამსახურის შეცვლას და ქვეყნიდან დამსაქმებლის ნებართვის გარეშე გასვლას უკრძალავს, რეფორმირებისთვის ყატართან შეთანხმებული პაკეტის დეტალები საჯარო გახადა.

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კანონი, რომელიც სამუშაო საათებს არეგულირებს და ანაზღაურებადი შვებულებისა და პირადი დოკუმენტების შენახვის უფლებებს განსაზღვრავს, სექტემბერში ამოქმედდა.

საცხოვრისის, წყლისა და საკვების უფლება

ისრაელი და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიები

2017 წელს ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციიდან 50, ხოლო ღაზას სექტორის უკანონო ბლოკადიდან ათი წელი გავიდა. დასავლეთ სანაპიროზე, მათ შორის – აღმოსავლეთ იერუსალიმში, ისრაელის ხელისუფლებამ დასახლებებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაფართოება კიდევ უფრო ინტენსიურად გააგრძელა. ამასთან, ხელისუფლება პალესტინელების მფლობელობაში არსებული ქონების დემონტაჟს ახორციელებდა და ძალადობრივად 660 ადამიანზე მეტი გაასახლა. ამ შენობების დიდი ნაწილი ბედუინებისა და მწყემსების თემებს ეკუთვნოდა, რომელთა იძულებითი გამოსახლებაც ისრაელის გეგმის ნაწილი იყო.

ისრაელის მიერ ღაზას სექტორის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ბლოკადა ხალხისა და საქონლის გადაადგილებას კვლავაც ზღუდავდა და ღაზას 2-მილიონიანი მოსახლეობისადმი კოლექტიურ სასჯელს წარმოადგენდა. ეგვიპტის მიერ რაფაჰის საზღვრის თითქმის სრულ დახურვასა და დასავლეთ სანაპიროს ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებებთან ერთად, ისრაელის ბლოკადა ჰუმანიტარულ კრიზისს იწვევდა; მოსახლეობას ელექტროენერგიაზე დღეში მხოლოდ რამდენიმე საათით ჰქონდა წვდომა; სუფთა წყალი შეზღუდული იყო; ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა შემცირდა.

რეგიონის მასშტაბით პალესტინელ ლტოლვილებზე, მათ შორის – დიდი ხნის რეზიდენტებზე, დისკრიმინაციული კანონები კვლავ ვრცელდებოდა. მაგალითად, ლიბანში პალესტინელი ლტოლვილებისთვის დასაქმების შესაძლებლობები, მემკვიდრეობის უფლებები და საჯარო განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა შეზღუდული იყო.

წყალი, სანიტარული პირობები და ჯანდაცვა

ჯანდაცვისა და სუფთა წყალზე წვდომის უფლებების შელახვის გამო სამოქალაქო საზოგადოებამ ლიბანის სასამართლოს არაერთხელ მიმართა, მათ შორის საავადმყოფოებში ვადაგასული წამლების გამოყენებისა და ნარჩენების არასწორი მენეჯმენტის გამო.

ტუნისში წყლის უკმარისობის პრობლემა მწვავედ იდგა. ხელისუფლებამ აღიარა, რომ წყლის დისტრიბუციის თაობაზე ეროვნული სტრატეგია არ ჰქონდა, რაც მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას შეუძლებელს ხდიდა. მარგინალიზებული რეგიონები წყლის ნაკლებობის გამო არაპროპორციულად ზარალდებოდნენ, რის გამოც წლის განმავლობაში საპროტესტო აქციები იმართებოდა.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

კონტრტერორისტულ ღონისძიებებს რამდენიმე ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები ახლდა თან.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ეგვიპტეში, სადაც შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა უსაფრთხოების სამსახურების ასზე მეტი თანამშრომელი მოკლეს, მათ შორის ყველაზე მეტი – ჩრდილოეთ სინაიში, პოლიტიკურ ძალადობაში ეჭვმიტანილ პირებს აუჩინარებდა და კლავდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ ორმხრივი ცეცხლის შედეგად წლის განმავლობაში ასზე მეტი ადამიანი იქნა მოკლული. თუმცა ამ საქმეების დიდ ნაწილში მოკლული პირები უკვე პატიმრობაში იმყოფებოდნენ. წამება და სასტიკი მოპყრობა საპატიმროებში წესს წარმოადგენდა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ დაკავების ცენტრებში სისტემურად ხდებოდა. ასობით ადამიანს არასამართლიანი ჯგუფური სასამართლო პროცესების შედეგად სასჯელის უმაღლეს ზომას უფარდებდნენ.

ერაყში ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებებით გასამართლებულ ეჭვმიტანილებს, როგორც წესი, დაცვის მოსამზადებლად შესაბამის დროსა და საჭიროებებს არ აძლევდნენ და პროკურატურის მოწმეების დაკითხვისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებებს უზღუდავდნენ. სასამართლოები მათთვის წამების გზით გამოძალული აღიარებითი ჩვენებების დაშვებასაც აგრძელებდნენ. არასამართლიანი და ნაჩქარევი სხდომების შედეგად, ბევრ მათგანს სასამართლო სიკვდილით სჯიდა. IS-თან კავშირის ეჭვის საფუძველზე, ერაყელი და ქურთი სამთავრობო ძალები და მილიციური დაჯგუფებები კაცებსა და არასრულწლოვან ბიჭებს კლავდნენ.

ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებში ბრალდებულების წამება ბაჰრეინში, ისრაელსა და ქუვეითშიც ხდებოდა. როგორც წესი, წამების ბრალდებები გამოძიებული არ იყო. საუდის არაბეთმა ახალი კონტრტერორისტული კანონი მიიღო, რომელმაც სიკვდილით დასჯის გამოყენება რამდენიმე დანაშაულისთვის დაუშვა. ტუნისში ხელისუფლება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას დაუსაბუთებელი და უვადო ორდერებით აგრძელებდა, რომლითაც ასობით ადამიანს საკუთარი საცხოვრებელი გუბერნიის დატოვებას უკრძალავდნენ. ხელისუფლება გადაწყვეტილებას მოქალაქეების მიერ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან შეერთების ხელშეშლის მოტივით ხსნიდა.

სიკვდილით დასჯა

მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ირანი, ერაყი და საუდის არაბეთი სასიკვდილო განაჩენს ყველაზე ხშირად მიმართავდნენ და სიკვდილით ასობით ადამიანს სჯიდნენ, ხშირ შემთხვევაში – არასამართლიანი სასამართლო პროცესების შედეგად. „საერთაშორისო ამნისტიის" ინფორმაციით, 2017 წელს ირანში დანაშაულის ჩადენისას 18 წელს მიუღწეველი ოთხი პირის სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა; ამასთან, საზოგადოებრივი წნეხის გამო, რამდენიმე არასრულწლოვანი დამნაშავის სიკვდილით დასჯა ბოლო წუთში გადაიდო. ირანის ხელისუფლება სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ მოწყობილ მშვიდობიან დემონსტრაციებს „ანტიისლამურს" უწოდებდა და ასეთ აქტივისტებს ავიწროებდა და აპატიმრებდა. საუდის არაბეთში სასამართლოებს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე და ისეთი ქცევისთვის, რაც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კრიმინალიზებული არ უნდა იყოს, მაგალითად – „ჯადოქრობა" და „მრუშობა", სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ. ერაყში IS-ის თავდასხმების შემდეგ სახალხო დემონსტრაციების მონაწილეთა დასჯის იარაღად სასიკვდილო განაჩენი ისევ გამოიყენებოდა.

იანვარში სიკვდილმისჯილთა განაჩენები ბაჰრეინმა 2010 წლის, ხოლო ქუვეითმა 2013 წლის შემდეგ პირველად აღასრულეს; სასიკვდილო განაჩენი ამ პირებს სასამართლომ

მკვლელობისთვის გამოუტანა. სასჯელის უმაღლესი ზომა ეგვიპტეს, იორდანიას, ლიბიასა და ღაზას სექტორის ჰამასის დე ფაქტო ადმინისტრაციასაც გამოჰქონდა. ისრაელისა და ომანის გარდა, სასიკვდილო განაჩენის შეფარდების და არაღსრულების დიდი ხნის დამკიდრებულ პრაქტიკას რეგიონის ყველა ქვეყანა აგრძელებდა.

შეიარაღებული კონფლიქტი

იარაღით საერთაშორისო ვაჭრობით წახალისებული კონფლიქტები მილიონობით ადამიანის ცხოვრების დამძიმებას აგრძელებდა, განსაკუთრებით – იემენში, ლიბიაში, სირიასა და ერაყში. თითოეული კონფლიქტის შემთხვევაში ომისა და საერთაშორისო სამართლის დანაშაულებს ერთდროულად ბევრი მხარე ჩადიოდა; მათ შორის, უმისამართო და პირდაპირ თავდასხმებს, რომელთაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირებოდა და ინფრასტრუქტურის ნგრევა მოჰყვებოდა. სირიისა და იემენის ხელისუფლებები და მათი მოკავშირე ძალები საერთაშორისოდ აკრძალული ისეთი საბრძოლო მასალების, როგორიცაა კასეტური ბომბები და, სირიის შემთხვევაში, ქიმიური იარაღი, გამოყენებას აგრძელებდნენ.

იემენის კონფლიქტი

იემენი, რომელიც 2015 წლის მარტის კონფლიქტამდეც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის რეგიონის ყველაზე ღარიბი ქვეყანა იყო, მსოფლიოში ყველაზე მძიმე ჰუმანიტარულ კრიზისშია. გაეროს ინფორმაციით, ქვეყნის 28-მილიონიანი მოსახლეობის სამ მეოთხედს ჰუმანიტარული მხარდაჭერა ესაჭიროება. ქვეყანამ თანამედროვე პერიოდში ქოლერას ყველაზე დიდი ეპიდემია გადაიტანა, რასაც წყლის ამოსატუმბი სადგურებისთვის საჭირო საწვავის ნაკლებობა კიდევ უფრო ამძაფრებდა და უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოს ყველაზე დიდი შიმშილობის ზღვარზე იყო. კონფლიქტმა წყლის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები მთლიანად მოშალა. კოალიცია, რომელსაც საუდის არაბეთი მეთაურობს და იემენის საერთაშორისოდ აღიარებულ ხელისუფლებას უჭერს მხარს, იემენისისთვის გაგზავნილ საკვებს, საწვავსა და წამლებს აკავებდა. ნოემბერში კოალიციამ იემენის ჩრდილოეთი პორტები ორი კვირის განმავლობაში მთლიანად ჩაკეტა. კოალიციამ საჰაერო იერიშები სასაფლაოებზე შეკრებილ ხალხზე, სკოლებზე, ბაზრებზე, საცხოვრებელ უბნებსა და სამოქალაქო ნავებზე მიიტანა. აჯანყებული „ჰუსიტები“ – რომლებიც ყოფილ პრეზიდენტ ალი აბდულა სალეს ძალებთან მათ შორის მომხდარ განხეთქილებამდე, რაც დეკემბერში მისი მკვლელობით დასრულდა, მოკავშირეობდნენ – ქალაქ ტაიზის საცხოვრებელ უბნებს უმისამართოდ ცხრილავდნენ და საუდის არაბეთის საზღვრის მიმართულებით ჭურვებს უმისამართოდ ისროდნენ. ეს ქმედებები სამოქალაქო მსხვერპლით სრულდებოდა.

საერთაშორისო პასუხი „ისლამურ სახელმწიფოს“

საერთაშორისო კოალიციამ, რომელსაც აშშ ლიდერობს, სირიასა და ერაყში მოქმედებების ფოკუსი IS-ის დამარცხებაზე გადაიტანა, რომელიც მძიმე დარღვევებზე იყო პასუხისმგებელი. ასობით მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. მოსულში, ერაყის სიდიდით მეორე ქალაქში, IS-მა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე ისეთ ზონებში, სადაც აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა, იძულებით გადაადგილა, რათა საკუთარი მებრძოლებისთვის ცოცხალ ფარად გამოეყენებინა. მათ, ვინც საბრძოლო ზონებიდან გარბოდა, IS კლავდა და სხვების გაფრთხილების მიზნით, მათ ცხედრებს საჯარო ადგილებში კიდებდა.

IS-ის დასავლეთ მოსულიდან განსადევნად ერაყისა და კოალიციის ძალებმა არაპროპორციული და უმისამართო თავდასხმების სერია წამოიწყეს, რასაც გამანადგურებელი ეფექტი ჰქონდა; ასობით მშვიდობიანი მოსახლე იქნა მოკლული. ერაყის ძალები დიდი სივრცის გამანადგურებელი ეფექტის მქონე საბრძოლო მასალას, მათ შორის – რეაქტიულ ჭურვებს, რომელთა სამხედრო ობიექტებზე სრული სიზუსტით

დამიზნება შეუძლებელია, მჭიდროდ დასახლებული პუნქტების მიმართ უკანონოდ გამუდმებით იყენებდნენ.

სირიელი ქურთებისა და არაბთა შეიარაღებული დაჯგუფებებისგან შემდგარი „სირიის დემოკრატიული ძალებისა" და საერთაშორისო კოალიციის სამხედრო მოქმედებების შედეგად IS-მა რაქას გუბერნიაზე კონტროლი დაკარგა. IS-მა იქ მცხოვრებ მოსახლეობას გაქცევის შესაძლებლობა არ მისცა და ცოცხალ ფარად იყენებდა; მშვიდობიან მოსახლეობას თავს ესხმოდა და უმისამართო ცეცხლს უხსნიდა. სამოქალაქო მსხვერპლი კოალიციის საჰაერო იერიშებსაც მოჰყვებოდა. სირიის სამთავრობო ძალები, რომელთაც ხმელეთზე ირანელი და „ჰეზბოლას" მებრძოლები, ხოლო ჰაერში – რუსული ძალები უჭერდნენ მხარს, IS-ისა და სხვა შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები აიღეს. ამ ოპერაციებს მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების, როგორიცაა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და სამედიცინო დაწესებულებები, ნგრევა მოჰყვა.

ალყა და მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებით გადაადგილება სირიაში

სირიის ხელისუფლებამ სამოქალაქო პირებით დასახლებულ ადგილებში ხანგრძლივი ალყების შენარჩუნება გააგრძელა, რამაც 400 ათასი ადამიანს სამედიცინო ზრუნვაზე, ძირითადი მოხმარების საგნებზე, სერვისებსა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე წვდომა შეუზღუდა. ამასთან, ისინი გამუდმებული საჰაერო იერიშების, საარტილერიო ჭურვებისა და სხვა საბრძოლო იარაღით თავდასხმების მსხვერპლნიც იყვნენ. ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი უბნების მიმართ უმისამართო რეაქტიული იარაღისა და ნაღმების სროლაზე და იქ მცხოვრები ათასობით სამოქალაქო პირის ალყაში მოქცევაზე შეიარაღებული ოპოზიციური დაჯგუფებებიც იყვნენ პასუხისმგებელნი. 2016 წლის მეორე ნახევარსა და 2017 წლის დასაწყისში „შერიგების" შეთანხმებების შედეგად იძულებით გადაადგილების მკაცრი შედეგები ათასობით მშვიდობიანმა მოქალაქემ იწვნია. სირიაში 2011-2017 წლებში 6,5 მილიონი ადამიანი იქნა იძულებით გადაადგილებული. ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი წლის განმავლობაში ქვეყნიდან გაიქცა. სირიელ ლტოლვილთა სრული რაოდენობა 5 მილიონს აცდა.

ერაყის ქურთისტანის რეგიონი

სამთავრობო ძალებმა ერაყის ქურთისტანის რეგიონში დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ქალაქ კირკუკისა და ქურთი პეშმერგას ძალების მიერ IS-თან ბრძოლაში აღებული ტერიტორიების უმეტესი ნაწილის დაკავების ოპერაციით უპასუხეს. ოქტომბერში ტუზ-ხურმატუს მრავალეთნიკურ ქალაქში, ერთი მხრივ, ერაყის სამთავრობო ძალებსა და მათთან აფილირებულ მილიციურ დაჯგუფებებსა და, მეორე მხრივ, პეშმერგას ძალებს შორის გაჩაღებულმა შეტაკებებმა ათეულობით ათასი სამოქალაქო პირი იძულებული გახდა, სახლიდან გაქცეულიყო. უმისამართო თავდასხმებისას სულ ცოტა 11 სამოქალაქო პირი იქნა მოკლული.

განუკითხაობა ლიბიაში

ლიბიაში ძალაუფლებისთვის და ტერიტორიაზე, სავაჭრო გზებსა და სტრატეგიულ სამხედრო პუნქტებზე კონტროლის მოსაპოვებლად სამი ქვეყნის ხელისუფლება და ასობით მილიციური და შეიარაღებული დაჯგუფება იბრძოდა. მილიციური და შეიარაღებული ჯგუფები მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში უმისამართო თავდასხმების განხორციელებას აგრძელებდნენ, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰქონდა. მეტოქე ჯგუფების მებრძოლებს ატყვევებდნენ. წარმომავლობის, შეხედულებების, პოლიტიკურ კავშირებზე ეჭვებისა თუ სიმდიდრის ეჭვების საფუძველზე იტაცებდნენ და უკანონოდ აპატიმრებდნენ ასობით ადამიანს, მათ შორის – პოლიტიკურ და ადამიანის უფლებათა აქტივისტებს. 20 ათასამდე ლტოლვილი და მიგრანტი გადაჯედილ, ანტისანიტარულ

დაკავების ცენტრებში დაუსაბუთებლად და უვადოდ ჰყავდათ გაჩერებული. ხელისუფლების ორგანოები და მილიციური დაჯგუფებები, რომლებიც ამ ცენტრებს მართავდნენ, ლტოლვილებს აწამებდნენ, იძულებით ამუშავებდნენ, ქონებას ძალავდნენ და უკანონოდ კლავდნენ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით – იტალიის, მიერ ლიბიის სანაპირო დაცვისათვის გამოყოფილი დახმარება მათ ამ დანაშაულებში თანამონაწილეს ხდიდა.

დაუსჯელობა

წარსულში ჩადენილ მძიმე დანაშაულებზე დაუსჯელობა მნიშვნელოვანი წუხილის საგანი იყო.

მიმდინარე კონფლიქტებისას ჩადენილ დანაშაულთა დაუსჯელობა ეროვნულ დონეზე იყო გავრცელებული. ერაყში ხელისუფლებამ სამთავრობო ძალებისა და ხელისუფლებას მიმხრობილი მილიციური ჯგუფების მიერ ჩადენილი ზოგიერთი მძიმე დანაშაულის – წამება, სასამართლოსგარეშე სიკვდილით დასჯა და იძულებითი გაუჩინარება – ბრალდებაზე გამოძიების დაწყების თაობაზე გააკეთა განცხადებები. გამოძიების შედეგების შესახებ საჯაროდ ცნობილი არაფერი იყო. ლიბიაში სასამართლო სისტემას მისი დისფუნქციურობა ზღუდავდა: შიშის გამო, მაგისტრატები ხშირად დამნაშავეთა პასუხისმგებლობას არ აყენებდნენ. სირიის სასამართლო სისტემა, დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის გამო, სახელმწიფო ძალების მიერ ჩადენილ დანაშაულებს არ იძიებდა. იემენში მთავრობის მიერ დაარსებულმა ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების ეროვნულმა საგამოძიებო კომისიამ იემენის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა გადაცდომების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შესწავლა ვერ უზრუნველყო.

ნელი პროგრესი

ტუნისის სიმართლისა და ღირსების კომისიამ, რომელიც რეგიონში გარდამავალი მართლმსაჯულების ერთადერთი მოქმედი მექანიზმია და რომლის მანდატსაც 1995 წლის ივლისსა და 2013 წლის დეკემბერს შორის ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევების შესწავლა წარმოადგენს, 11 საჯარო მოსმენა გამართა. ამ მოსმენებისას მსხვერპლებმა და დამნაშავეებმა მთელ რიგ დარღვევებზე, როგორიცაა არჩევნების გაყალბება, იძულებითი გაუჩინარება და წამება, ჩვენებები მისცეს. ამ საქმეების სპეციალიზებული სასამართლო პალატებისთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება არ მოხერხდა. ამასთან, სპეციალური სამსახურები გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციას კომისიას არ აწვდიდნენ.

საერთაშორისო დონეზე გარკვეული მნიშვნელოვანი ინიციატივები ნელა, მაგრამ მაინც გრძელდებოდა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ადმინისტრაციამ ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე 2014 წლის 13 ივნისის შემდგომი საერთაშორისო დანაშაულების, მათ შორის – ღაზა-ისრაელის კონფლიქტის, წინასწარი შესწავლა გააგრძელა. ლიბიაში სასამართლომ მიგრანტების არასათანადო მოპყრობის თაობაზე გამოძიება სისტემური მიზეზების დაფარვის მიზნით გააფართოვა.

პოზიტიური ასპექტები სხვა ინიციატივებსაც გააჩნდათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით დისკრედიტირებული ან დაკნინებული იყო. გაეროს უსაფრთხოების საბჭო სექტემბერში მიღებული რეზოლუციით ერაყში IS-ის მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებზე ანგარიშვალდებულების დადგენის მიღწევას ისახავდა მიზნად, თუმცა ერაყის ძალების, მილიციური დაჯგუფებებისა და აშშ-ის კოალიციის მიერ ჩადენილ დანაშაულებს არ ახსენებდა. გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ერთობლივ საგამოძიებო მექანიზმს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაზე ანგარიშვალდებულების დადგენის საკითხში პროგრესი ჰქონდა, თუმცა მისი მანდატის გახანგრძლივება უსაფრთხოების საბჭოში რუსეთმა დაბლოკა.

ორი მიმდინარე კონფლიქტისას ადამიანის უფლებათა დანაშაულებზე სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის აღდგენის საკითხში ოპტიმიზმის საფუძველს ორი განვითარება იძლევა: 2011 წლის მარტის შემდგომ სირიაში ჩადენილი საერთაშორისო სამართლის უმძიმესი დანაშაულების გამოსაძიებლად გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წელის დეკემბერში შექმნილმა მიუკერძოებელმა და დამოუკიდებელმა საერთაშორისო მექანიზმმა მუშაობა დაიწყო; სექტემბერში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ იემენის კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად ექსპერტთა საბჭოს შექმნის თაობაზე რეზოლუცია მიიღო. ორივე მოვლენა ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მხრიდან აქტიურმა ადვოკატირებამ გახადა შესაძლებელი.

საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

ქართულენოვანი ანგარიშისთვის შერჩეული ქვეყნები

ავღანეთი

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა
სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური: მოჰამედ აშრაფ განი

მიმდინარე კონფლიქტის გამო მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები მასიურად ირღვეოდა. შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა მრავალი ადამიანის სიკვდილი, ჯანმრთელობის დაზიანება და იძულებით გადაადგილება გამოიწვია; გადაადგილებულ პირთა განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო. სამოქალაქო მსხვერპლი კვლავ მრავალრიცხოვანი იყო. მსხვერპლთა უმრავლესობას შეიარაღებული ამბოხებული ჯგუფების მიერ მოკლული ან დაჭრილი სამოქალაქო პირები შეადგენდნენ, თუმცა სახელისუფლებო ძალების მიერ მოკლულ ან დაჭრილ სამოქალაქო პირთა რაოდენობა მნიშვნელოვან უმცირესობას შეადგენდა. კონფლიქტის გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა და 2 მილიონზე მეტი გახდა, ხოლო ქვეყნის გარეთ მცხოვრებ დევნილთა რიცხვმა 2,6 მილიონს მიაღწია. ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებელნი როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტები იყვნენ. შეიარაღებული ჯგუფების მიერ შარიას კანონით გასამართლებულ და საჯაროდ დასჯილ ქალთა რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა. უფლებადამცველები მუქარებს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტებისგან იღებდნენ, ხოლო ჟურნალისტებს ძალადობისა და ცენზურის პირობებში უხდებოდათ მუშაობა. სასჯელის უმაღლესი ზომა კვლავ გამოიყენებოდა; ნოემბერში სიკვდილით ხუთი ადამიანი დასაჯეს. ჰაზარას ეთნიკური ჯგუფი და შიიტები შევიწროებასა და გახშირებულ თავდასხმებს კვლავაც განიცდიდნენ, უმთავრესად ამბოხებული ჯგუფების მხრიდან.

ზოგადი მოცემულობა

მარტის თვეში გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ავღანეთში გაეროს დახმარების მისიას (UNAMA) მანდატი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა. მისიას საგანგებო წარმომადგენელი ტადამიჩი იამამოტო ხელმძღვანელობს.

ქვეყნის სიდიდით მეორე ამბოხებულთა ჯგუფის, ჰეზბი ისლამის ლიდერი გულბუდინ ჰეკმატიარი ავღანეთის მთავრობას შეუერთდა. 4 მაისს, ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2016 წლის სექტემბერში მთავრობასა და ჰეკმატიარს შორის ხელმოწერილი მშვიდობის ხელშეკრულების პროექტმა საბოლოო სახე მიიღო. ხელშეკრულებამ ჰეკმატიარს წარსულში ჩადენილი დანაშაულებისათვის, მათ შორის – ომის დანაშაულებისთვის, პირადი ამნისტია მოუპოვა და პატიმრობაში მყოფი ჰეზბი ისლამის ზოგიერთი წევრის თავისუფლება გახადა შესაძლებელი.

ივნისის ბოლოს, UNAMA-მ პაკისტანის საზღვრიდან ავღანეთის მიმართულებით ცეცხლის გახსნის 12 შემთხვევა დააფიქსირა, რომელთა შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ ათი და დაშავდა 24 სამოქალაქო პირი. 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს არსებითი ზრდა იყო.

მთავრობამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეიტანა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების ზოგიერთი დებულება კანონმდებლობაში აისახა და სასჯელი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მანამდე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებიდნენ, გრძელვადიანი პატიმრობით შეიცვალა.

შეიარაღებული კონფლიქტი

„ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებსა“ და სახელისუფლებო ძალებს შორის შეიარაღებული ადგილობრივი კონფლიქტი გრძელდებოდა. „თალიბანი“ და „ისლამური სახელმწიფო“ (IS) ასეთი „ანტისამთავრობო ელემენტები“ იყვნენ, თუმცა ქვეყნის მასშტაბით კიდევ ოცზე მეტი სხვა შეიარაღებული ჯგუფი მოქმედებდა. UNAMA-ს ინფორმაციით, წლის პირველ ცხრა თვეში „თალიბანი“ და სხვა შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები სამოქალაქო მსხვერპლის ყველაზე დიდ ნაწილზე (64%) იყვნენ პასუხისმგებელნი.

სექტემბრის ბოლოს UNAMA-ს მიერ აღრიცხული სამოქალაქო მსხვერპლი 8 019 პირს შეადგენდა (2 640 მოკლული და 5 379 დაჭრილი), რაც 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ოდნავ ნაკლებია. ამასთან, მოკლულ და დაჭრილ ქალთა საერთო რაოდენობა 13%-ით იყო გაზრდილი. სამოქალაქო მსხვერპლის დაახლოებით 20% სახელისუფლებო ძალებს მიეწერებოდა; მათ შორის – ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს, ავღანეთის ადგილობრივ პოლიციას, ხელისუფლებას მიმხრობილ შეიარაღებულ ჯგუფებსა და საერთაშორისო სამხედრო ძალებს.

მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთის სახელისუფლებო ძალებმა სამოქალაქო მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს, განსაკუთრებით კი ქვეითი თავდასხმების დროს, UNAMA-ს ინფორმაციით, საჰაერო თავდასხმებისას მოკლულ მშვიდობიან მოსახლეთა რაოდენობა 2016 წელთან შედარებით ნახევარჯერ გაიზარდა. აქედან ორ მესამედს ქალები და ბავშვები შეადგენდნენ.

სახელისუფლებო ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულები

UNAMA-ს ინფორმაციით, იანვარში ავღანეთის ეროვნულმა სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა პაკტიკას პროვინციაში 13 წლის ბიჭზე ჯერ სექსუალურად იძალადეს, შემდეგ კი იარაღიდან ესროლეს. მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა და ბიჭი ადგილობრივ კლინიკაში გარდაიცვალა. ავღანეთის ეროვნულმა პოლიციამ დამნაშავეების მიმართ საქმე აღძრა და მკვლელობისათვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც UNAMA-ს ანგარიშებიდან ირკვევა, 2017 წელს საგუშაგოების მიმდებარედ 15-მდე სამოქალაქო პირს გაუხსნეს ცეცხლი. 16 მარტს მომხდარი ერთ-ერთი ასეთი ინციდენტისას ჯუზჯანის პროვინციის დარზაბის რაიონში ავღანეთის ადგილობრივმა პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა და დაჭრა კაცი და მისი დედა. პოლიციამ ისინი შეცდომით ამბოხებულებად მიიჩნია. აპრილში ეროვნულმა პოლიციამ ესროლა 65 წლის კაცს, რომელიც საძროვებიდან შინ ბრუნდებოდა; დაჭრილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაისში ეროვნულ არმიაში მოსამსახურე პირმა 13 წლის ბიჭი მაშინ მოკლა, როდესაც ის ბადღისის პროვინციაში ბალახს აგროვებდა.

ივნისში საიდაბადის პროვინციაში ავღანეთის ეროვნული არმიის მიერ ნასროლმა ჭურვმა საკუთარ სახლში სამი მცირეწლოვანი ბავშვი მოკლა. იმავე თვეში ხელისუფლებას მიმხრობილმა ძალებმა აგურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე პატრულირებისას ქარხანაში მომუშავე კაცი და მისი ხუთი და 12 წლის ასაკის ორი შვილი მოკლეს. ამ ტერიტორიაზე მოცემული დროისათვის რაიმე სამხედრო მოქმედება არ მიმდინარეობდა. UNAMA-მ ზემოხსენებულ საქმეებზე გამოძიების თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვა, თუმცა ივლისის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული.

UNAMA-ს ინფორმაციით, 2017 წლის პირველ ექვს თვეში საჰაერო იერიშებისას 95 სამოქალაქო პირი დაიღუპა, რომელთა ნახევარსაც ბავშვები შეადგენდნენ.

შეირაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები

იანვარში ბადახშანის პროვინციაში ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა საკუთარი სახლიდან გამოათრია და, ქმრისა და ექვსი შვილის თვალწინ, ცეცხლსასროლი იარაღით ორსული ქალი მოკლა. თვითმხილველების თქმით,

თავდამსხმელები მას მთავრობის მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ.

8 მარტს ცენტრალურ ქაბულში მდებარე ავღანეთის ეროვნული არმიის სამხედრო საავადმყოფოში რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა შეაღწია და სულ ცოტა 49 ადამიანი მოკლა, მათ შორის – პაციენტები. აგვისტოში შეიარაღებული ჯგუფები სარიპულის პროვინციის სოფელ მირზა ოლანგს დაესხნენ, რა დროსაც 36 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის – სამოქალაქო პირები.

თვითმკვლელი მებრძოლების მიერ სამოქალაქო პირებით დასახლებულ ადგილებში თავის აფეთქებებმა სულ ცოტა 382 ადამიანის სიკვდილი, ხოლო 1 202-ის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. დეკემბერში ქაბულის შიიტურ კულტურულ ორგანიზაციაზე განხორციელებული ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს სულ ცოტა 41 ადამიანი, მათ შორის – ბავშვები, დაიღუპნენ.

25 აგვისტოს ქაბულში მდებარე შიიტურ მეჩეთს IS დაესხა თავს. დაიღუპა 28 და დაშავდა ათეულობით ადამიანი. 20 ოქტომბერს მსგავსი თავდასხმები დასავლეთ ქაბულსა და ღურის პროვინციაში მდებარე ორ შიიტურ მეჩეთზეც მოხდა, რამაც 60-ზე მეტი ადამიანი მოკლა, ხოლო ათეულობით პირი კი დაიჭრა.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

ავღანეთის ქალთა საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა, განსაკუთრებით „თალიბანის“ მიერ კონტროლირებად მხარეებში.

წლის პირველ ნახევარში ავღანეთის ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელმა კომისიამ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ათასობით შემთხვევა დააფიქსირა, მათ შორის – ცემის, სიცოცხლის მოსპობისა და მჟავის შესხმის ფაქტები. ასეთი დანაშაულების საკითხში ხელისუფლების უმოქმედობისა და საყოველთაო დაუსჯელობის ფონზე, ქალთა მიმართ ძალადობის ოფიციალური მაჩვენებელი სრული სურათისგან კვლავ შორს იყო; ძალადობის მსხვერპლი ქალების დიდი ნაწილი წეს-ჩვეულებების, სტიგმისა და შურისძიების შიშის გამო ხმას არ იღებდნენ.

შეიარაღებული ძალების მიერ გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები მრავლად იყო. ქორწინებისგარეშე სექსუალური ურთიერთობების ქონაში ან სექსმუშაკობაში ბრალდებულ ქალებს ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ. UNAMA-ს მიერ აღწერილი ერთ-ერთი საქმის მიხედვით, სამანგანის პროვინციის დარაისუფის რაიონში მამაკაცებმა საკუთარ სახლში სასტიკად სცემეს სექსმუშაკობაში ეჭვმიტანილ ქალს.

UNAMA-ს ანგარიშის მიხედვით, შეიარაღებული ჯგუფები ავღანელი გოგონების განათლების უფლების შელახვას ცდილობდნენ. თებერვლის თვეში ფარაჰის პროვინციის რამდენიმე სოფლის გოგონათა სკოლები მათ ზეწოლით დაახურინეს, რამაც 3 500-ზე მეტი გოგონასთვის განათლების დროებით შეწყვეტა გამოიწვია. როდესაც სკოლები 20 თებერვალს ხელახლა გაიხსნა, მოსწავლეების უდიდეს უმრავლესობას თავდაპირველად სკოლაში დაბრუნების ეშინოდა.

ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ბადახშანის პროვინციის ქალთა საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა განაცხადა, რომ მარტში ვარდუჯის რაიონში „თალიბანმა“ ქორწინებისგარეშე სექსუალური ურთიერთობის დამყარების ბრალდებით სასიკვდილოდ ჩაქოლა ქალი და გაამათრახა კაცი.

მაისში მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯუზჯანის პროვინციაში „თალიბანმა“ „მორალის დანაშაულებში“ ბრალდებულ ორ ქალს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ერთ-ერთი ქალი ორსულად იყო.

აგვისტოს თვეში ჯაზჯუნის პროვინციაში „თალიბანის“ წევრებმა ქალი მოკლეს. მას აზადე ერქვა. გუბერნატორის წარმომადგენლის განცხადებით, შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე,

აზადე ოჯახურ ძალადობას გაექცა და ქალაქ შიბარღანში მდებარე ე.წ. უსაფრთხო სახლში რჩებოდა. თანასოფლებების მედიიაცით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ქალი ქმარს დაუბრუნდა. „თალიბანის“ წევრებმა ქალი სახლიდან გაქცევაში დაადანაშაულეს, სახლიდან გამოათრიეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილოდ ესროლეს.

ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

2017 წელს მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში 2,6 მილიონი ავღანელი ლტოლვილი ცხოვრობდა. მათი 95% ორ მასპინძელ ქვეყანას – ირანსა და პაკისტანს – შორის იყო გადანაწილებული, სადაც მათ მრავალ პრობლემასთან უწევდათ შეჭიდება. დისკრიმინაცია და რასობრივ ნიადაგზე თავდასხმები ხშირი იყო. ძირითადი საცხოვრისი პირობების არქონა და მასობრივი დეპორტაციის რისკი ლტოლვილების კეთილდღეობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა.

2002-2017 წლებში შინ 5,8 მილიონზე მეტი ავღანელი დააბრუნეს, მათ შორის ძალიან ბევრი – არანებაყოფლობით, სხვა ქვეყნების მთავრობებმა.

გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისის (UN OCHA) განცხადებით, 2017 წელს სახლის დატოვება 437 907 ავღანელს მოუწია, რამაც იძულებით გადაადგილებულ ავღანელთა საერთო რაოდენობა 2 მილიონამდე აიყვანა.

ავღანეთის რამდენიმე ხელისუფლების მიერ დადებული პირობების მიუხედავად, იძულებით გადაადგილებული პირები კვლავაც შესაბამისი საცხოვრისის, საკვებისა და წყლის რესურსებისა და განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების სიმწირეს განიცდიდნენ. დევნილთა უმეტესობას წყლის ყოველდღიურად მოტანა შორი მანძილიდან უწევდა და ერთჯერადი დღიური საკვების მოპოვება უჭირდა. დევნილთა უმეტესობას ჯანდაცვის დაწესებულებებზე ხელი არ მიუწვდებოდა. კერძო ჯანდაცვა მოსახლეობის უმრავლესობისთვის მეტისმეტად ძვირი იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მთავრობის მიერ ორგანიზებული მობილური კლინიკები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იყო ხელმისაწვდომი.

დევნილებს იძულების წესით გამოსახლებაზე როგორც ხელისუფლება, ისე კერძო სუბიექტები ემუქრებოდნენ.

უფლებადამცველები

ადამიანის უფლებათა დამცველებს მოღვაწეობა შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან მათ სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე გამუდმებული მუქარის პირობებში უწევდათ. ივნისის თვეში ავღანეთის სახელისუფლებო ძალებმა მშვიდობიან დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რა დროსაც სულ ცოტა ოთხი ადამიანი დაიღუპა. დემონსტრანტები ქაბულში 31 მაისს მომხდარი აფეთქების – რომლის დროსაც 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა – გამოძიებას ითხოვდნენ. პოლიციის მიერ აქციის მონაწილეების ჩაცხრილვას გამოძიება არ მოჰყოლია. მსხვერპლთა ნათესავებმა ქაბულში რამდენიმეკვირიანი მჯდომარე საპროტესტო აქცია გამართეს, რომელიც პოლიციამ ბოლოს ძალის გამოყენებით დაშალა. აქციის დაშლისას ერთი ადამიანი მოკლეს და, გავრცელებული ინფორმაციით, სულ მცირე ხუთი უსაფუძვლოდ დააკავეს და კერძო სახლში უუნიფორმო ოპერატიულმა მუშაკებმა დაკითხეს.

ივლისში ხელისუფლებამ შეკრების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ კანონებში ცვლილებების პროექტები წარმოადგინა. ამ ცვლილებებით გათვალისწინებული შეზღუდვები დემონსტრაციებისა და გაფიცვების ორგანიზების თაობაზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებს კიდევ უფრო ლახავდა. წარმოდგენილი ცვლილებები პოლიციას დემონსტრაციებისა და გაფიცვების შეჩერების ან პრევენციის გაზრდილ უფლებამოსილებას ანიჭებდა, რაც მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებას კიდევ უფრო დიდი დარტყმის ქვეშ აყენებდა.

ავღანეთის მასშტაბით ქალი უფლებადამცველები მუქარებსა და ზეწოლას როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტებისგან იღებდნენ. სხვა შემთხვევების გამოუძიებლობის გამო, უფლებადამცველები უსაფრთხოების სამსახურებს არ ენდობოდნენ და მუქარების შესახებ არ ატყობინებდნენ. ისინი, ვინც პოლიციას მიმართავდა, სახელმწიფოსგან შესაბამის მხარდაჭერასა და დაცვას ვერ იღებდა.

გამოხატვის თავისუფლება

ჟურნალისტებზე ძალადობრივი თავდასხმებისა და ზეწოლის შემთხვევებმა, მათ შორის მკვლელობებმა, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ავღანეთში გამოხატვის თავისუფლების სტაბილური ეროზია.

2017 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ნაი", რომელიც მედიის თავისუფლების მონიტორინგს ეწევა, ჟურნალისტებზე, მედიასაშუალებებში მომუშავე პირებისა და რედაქციების ოფისებზე თავდასხმის 150-ზე მეტი შემთხვევა დააფიქსირა – მკვლელობები, ფიზიკური ანგარიშსწორებები, დაკავებები, ცეცხლის წაკიდება, მუქარები და სხვა ტიპის ძალადობა – როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან.

მარტში პოლიციის თანამშრომლებმა სარიპულის პროვინციის ტელეკომპანია „არიანას" ჟურნალისტს სცემეს. ჟურნალისტი სამოქალაქო პირების მისამართით გადაჭარბებული ძალის გამოყენების თემის გაშუქებას ცდილობდა.

აგვისტოში ზაბულის პროვინციაში მოღვაწე ცნობილმა ჟურნალისტმა „თალიბანის" წევრებისგან სიცოცხლის მოსპობის მუქარის შემცველი შეტყობინებები მიიღო, რასაც მუქარის უშუალო განხორციელების მცდელობები მოჰყვა. უსაფრთხოების მუშაკებმა მის დასაცავად თითქმის არაფერი მოიმოქმედეს, რის გამოც მან პროვინცია საკუთარი უსაფრთხოების მიზნით დატოვა.

ნოემბერში IS-ის მებრძოლები ქაბულის ტელეკომპანია „შამშადშო" შეიჭრნენ. შეტაკებისას ტელეკომპანიის ერთი თანამშრომელი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე – დაიჭრა.

„ნაის" განცხადებით, ორგანიზაციამ სამართალდამცავ ორგანოებს 2016 წელს სულ მცირე 240 შეტყობინება გაუგზავნა, რომლებიც მედიასაშუალებების წარმომადგენლების – კორესპონდენტებისა და ჟურნალისტების – მიმართ ძალადობის ასახავდა. ერთი წლის თავზე მთავრობას სათანადო რეაგირება ჯერ ისევ არ მოუხდენია. ამ შემთხვევებისთვის არავის პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

წამება და არაადამიანური მოპყრობა

მთელი ქვეყნის მასშტაბით ავღანელები წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ იყვნენ და დაუსჯელობასთან ბრძოლის კუთხით ძალიან მცირე პროგრესი იყო. გაეროს წამების აკრძალვის კომიტეტის თქმით, პრობლემატური იყო, რომ „ავღანურ საზოგადოებაში წამების ფართო მიმღებლობა და ლეგიტიმაციაა".

წლის განმავლობაში მოქალაქეების წამებაზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირები თანამდებობებზე რჩებოდნენ, მათ შორის – მთავრობაში. კომიტეტის ინფორმაციით, უსაფრთხოების ეროვნული დირექტორატის, ავღანეთის ადგილობრივი პოლიციისა და ავღანეთის ადგილობრივი პოლიციის მიერ დაკავებული პირები „ცემის, ელექტროშოკების, მუქარების, სექსუალური ძალადობისა და ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმების" მსხვერპლნი იყვნენ. UNAMA-ს მიერ გამოკითხული 469 პატიმრიდან 39%-მა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების მიერ მათი წამებისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე სანდო და დამაჯერებელი ჩვენებები მისცეს.

მარტში მთავრობამ ახალი კანონი აამოქმედა, რომლითაც წამების კრიმინალიზება მოხდა, თუმცა კანონი მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურებასა და კომპენსაციებს არ ითვალისწინებდა.

შეირაღებულმა ჯგუფებმა, მათ შორის – „თალიბანმა", მათ მიერ დანაშაულებად შერაცხული ქმედებებისათვის სასჯელად

მკვლელობის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეების გამოყენების პრაქტიკა გააგრძელეს. ასეთი პარალელური სამართლის სისტემის მიერ გამოტანილი სასიკვდილო და სხვა მძიმე განაჩენები კანონს არღვევდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ომის დანაშაულებსაც შეადგენდა.

სიკვდილით დასჯა

სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ზოგიერთი კანონდარღვევისათვის სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეიცვალა.

ნოემბერში ქაბულის ფულიჩარხის ციხეში ხუთი სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ეს ადამიანები 2016 წელს მკვლელობისა და გატაცებისათვის დამნაშავე პირები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მათი სიკვდილით დასჯა იმის მიუხედავად მოხდა, რომ მათ საქმეს სამი სააპელაციო სასამართლო იძიებდა.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: ილჰამ ალიევი
მთავრობის მეთაური: არტურ რასიზადე

ხელისუფლებამ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კიდევ უფრო გააძლიერა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებიც ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კორუფციის გამოვლენას უკავშირდებოდა. დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ვებგვერდები იბლოკებოდა, ხოლო მათ მფლობელებს აკავებდნენ. მთავრობის კრიტიკოსები პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდნენ და პასუხისგებაში არასამართლიანი სასამართლო პროცესების შედეგად ეძლეოდნენ. ლგბტი პირებს დაუსაბუთებლად აკავებდნენ და არასათანადოდ ეპყრობოდნენ. საპატიმროში მყოფთა გარდაცვალების საეჭვო გარემოებების ეფექტური გამოძიება არ ხდებოდა.

ზოგადი მოცემულობა

ივლისში ნაგორნო-ყარაბახის სეპარატისტულ რესპუბლიკაში განახლებული კონფლიქტის პირობებში, სომხეთს მიმხრობილი ძალების მიერ გახსნილ ცეცხლს სულ მცირე ორი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მშვიდობიანი მოქალაქის – მათ შორის, ერთი არასრულწლოვნის – გარდაცვალება მოჰყვა.

ქვეყანა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც სექტემბერში „ორგანიზებული კრიმინალისა და კორუფციის გაშუქების პროექტმა“ (OCCRP) აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტის წევრები ფართომასშტაბიან საერთაშორისო ფულის გათეთრების სქემის წარმოებაში დაადანაშაულა. ფულის ნაწილი, ანგარიშის მიხედვით, ევროპელი პოლიტიკოსებისთვის ჯილდოდ გადასაცემად გამოიყენებოდა, რომლებიც სხვა საკითხთა შორის აზერბაიჯანს ადამიანის უფლებათა კუთხით იმიჯის გამოსწორებაში უნდა დახმარებოდნენ. 11 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) აზერბაიჯანთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღო. ეს რეაქცია PACE-ს ზოგიერთი წევრის ფულის გათეთრებაში სქემაში მონაწილეობის თაობაზე მხილებას უკავშირდებოდა.

25 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ე.წ. კონვენციის „დარღვევის საქმისწარმოება“ აამოქმედა. ეს ნაბიჯი ოპოზიციის ლიდერ ილგარ მამადოვის დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილების შეუსრულებლობას უკავშირდებოდა. მამადოვი ციხეში 2013 წლის შემდეგ დაუსაბუთებელი ბრალდებებით იმყოფება.

ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, ევროკავშირმა და აზერბაიჯანმა ახალი სტრატეგიული პარტნიორობის საკითხზე მოლაპარაკებები გააგრძელეს. ოქტომბერში ევროპული რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) აზერბაიჯანს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი გაზის მილსადენის ასაშენებლად 500 აშშ მილიონ დოლარიანი სესხი დაუმტკიცა. ეს კი მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების გამო, 2017 წლის მარტში აზერბაიჯანი EBRD-ის მიერვე მხარდაჭერილი საერთაშორისო საწვავისა და გაზის გამჭვირვალობის ინიციატივიდან გაირიცხა.

შეკრების თავისუფლება

წამყვან ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მუშაობის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ. ქვეყანაში დარჩენილი რამდენიმე კრიტიკული ორგანიზაციის შესავიწროებლად ხელისუფლება შემზღუდავი რეგულაციების გამოყენებას და დაუსაბუთებელ დევნას აგრძელებდა.

2 მაისს აზიზ ორუჯევი, დამოუკიდებელი ინტერნეტტელევიზია „ქანალ 13“-ის ხელმძღვანელი, პოლიციის თანამშრომელმა იმ საფუძვლით დააკავა, თითქოს ის რომელიღაც მართლმსაჯულებისგან მიმალულ ძებნილ პირს გავდა. ამის შემდეგ, ვითომდა პოლიციის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობისათვის, ორუჯევს 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა. საპატიმროდან გამოსვლის დღეს, აზიზ ორუჯევს უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წაუყენეს ბრალად და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. 15 დეკემბერს ბაქოს მძიმე დანაშაულთა სასამართლომ მას ექვსწლიანი პატიმრობა შეუფარდა.

აგვისტოში პროკურატურამ საქმე აზერბაიჯანში დარჩენილი უკანასკნელი დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტოს „თურანის“ საქმიანობის შესწავლის მიზნით აღძრა და მისი დირექტორი მეჰმან ალიევი უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით დააკავა. საერთაშორისო წნეხის შედეგად, 11 სექტემბერს ალიევს წინასწარი პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალეს. 2 ნოემბერს პროკურატურამ მისთვის წაყენებული ბრალი მოხსნა და „თურანის“ წინააღმდეგ არსებული საქმე დახურა.

გამოხატვის თავისუფლება

მეინსტრიმული მედია მკაცრი სამთავრობო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს მუშაობა ყოვლად გაუმართლებელი შეზღუდვებისა და ზეწოლის პირობებში უხდებოდათ. ოპოზიციური გაზეთების ვებგვერდები დაბლოკილი იყო.

ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის ბრალდებით, პროკურატურამ რადიო „აზადლიქის“ („რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების“ აზერბაიჯანის სამსახური), „მეიდან ტივისა“ და „აზერბაიჯან საათის“ ვებგვერდები დაბლოკა. 12 მარტს დედაქალაქ ბაქოში მოქმედმა სასამართლომ ვებგვერდების დაბლოკვის შენარჩუნების გადაწყვეტილება მიღო.

კრიტიკულად განწყობილი პირების დევნა

დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და ბლოგერების დაუსაბუთებელი დაკავება ხელისუფლებამ 2017 წელსაც გააგრძელა. აზერბაიჯანელი უფლებადამცველების ცნობებით, პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით, 150-ზე მეტი ადამიანი რჩებოდა პატიმრობაში. ასეთი საქმეების რაოდენობა წლის განმავლობაში იზრდებოდა.

9 იანვარს პოლიციელებმა ბლოგერი მეჰმან ჰუსეინოვი დააპატიმრეს და მთელი ღამის განმავლობაში ადვოკატებსა და სხვა პირებთან დაკავშირების უფლება არ მისცეს. ჰუსეინოვის თქმით, იზოლატორში მას პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ, მათ შორის – ელექტროშოკის გამოყენებით. 3 მარტს ბაქოში მოქმედმა სასამართლომ ჰუსეინოვს პოლიციელების შეურაცხყოფისათვის ორი წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

12 იანვარს, ჯალილაბადელ ჟურნალისტს აფგან სადიგოვს სასამართლომ ორნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯა. სადიგოვი ხულიგნობის ბრალდებით იქნა დაკავებული, რასაც წინ მთავრობის კორუფციის შესახებ მის მიერ სტატიების გამოქვეყნება და მათი ინტერნეტიდან წაშლაზე უარის თქმა უძღოდა.

14 ივნისს დამოუკიდებელი ონლაინ გაზეთ „ჟურნალისტური საგამოძიებო ცენტრის" რედაქტორ ფიქრეთ ფარამოზოღლუს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და პატიმრობის შემდგომი ორი წლის განმავლობაში საკუთარი პროფესიით საქმიანობა აეკრძალა. ის 2016 წლის 30 ივნისს რესტორნის მფლობელისგან ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს, რასაც ის უარყოფს.

იძულებით დაბრუნება

ხელისუფლებამ ქვეყნიდან გაქცეული კრიტიკოსების უფლებების შელახვა განაგრძო: ადგილი ჰქონდა ბევრი მათგანის აზერბაიჯანში უკანონოდ დაბრუნებას და მათი ოჯახის წევრების შევიწროებას.

საგამოძიებო ჟურნალისტი აფგან მუხართლი საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან 29 მაისს გაუჩინარდა. მეორე დღეს ის აზერბაიჯანის სასაზღვრო პოლიციის პატიმრობაში აღმოჩნდა. მუხართლის თქმით, ის თბილისიდან სამართალდამცავებმა გაიტაცეს და საზღვარი უკანონოდ გადააკვეთინეს. მას ბრალად სხვადასხვა სახის სამართალდარღვევა, მათ შორის – კონტრაბანდის გადატანა, წაუყენეს. წლის ბოლოს, მუხართლი პატიმრობაში რჩებოდა და მისი სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

თებერვალში რუს-ისრაელელ-უკრაინელი ბლოგერი ალექსანდრ ლაფშინი, რომელიც აზერბაიჯანის სეპარატისტულ ნაგორნო-ყარაბახის რეგიონში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით კრიტიკულ პოსტებს წერდა, ბელარუსში დააკავეს და აზერბაიჯანს გადასცეს. ივლისში ბაქოს სასამართლომ ლაფშინი სეპარატისტულ რეგიონში უკანონოდ შესვლაში დამნაშავედ ცნო და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მოგვიანებით, ბლოგერი პრეზიდენტმა შეიწყალა და 11 სექტემბერს გათავისუფლდა.

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების უფლებები

22 სექტემბერს 100-ზე მეტი ლგბტი პირი პოლიციამ საჯარო ადგილებიდან აიყვანა და წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა. ზოგიერთი მათგანი მალევე გათავისუფლდა, ხოლო სულ მცირე 48 დაკავებულს ათიდან ოც დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა. მათ ბრალად „პოლიციის ლეგიტიმური ბრძანებებისადმი" დაუმორჩილებლობა ედებოდათ და პატიმრობა, ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულების გარეშე, პოლიციელების ჩვენებების საფუძველზე მიესაჯათ. მათი სასამართლო მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევით წარიმართა. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ პოლიციელებმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და პატიმრობაში ყოფნისას არასათანადო ეპყრობოდნენ. 2 ოქტომბრისთვის ყველა მათგანი თავისუფალი იყო.

არასამართლიანი სასამართლო

არასამართლიანი სასამართლო პროცესები ხშირი იყო, განსაკუთრებით – პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, რა დროსაც ეჭვმიტანილებს აპატიმრებდნენ და მათთვის სასურველ ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ჩვენებების გამოძალვის მიზნით, პოლიციამ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეების გამოყენება განაგრძო. ეს ჩვენებები შემდგომ თვითმამხილებელ მტკიცებულებებად სასამართლოში გამოიყენებოდა. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებები სათანადოდ გამოძიებული არ იყო.

25 იანვარს ბაქოს მძიმე დანაშაულთა სასამართლომ ნარდარანის დასახლებაში შიიტ მუსლიმთა კავშირის მოძრაობასთან

(MUM) აფილირებულ 18 მამაკაცს გრძელვადიანი პატიმრობა მიუსაჯა. თან ახლდა რა წამების შესახებ მრავალი განცხადება, მათი სასამართლო პროცესები საერთაშორისო ნორმების დარღვევით წარიმართა. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ჩვენებაზე ხელმოწერის მიზნით აწამეს. პოლიციის მხრიდან ჩვენების მისაღებად ზეწოლაზე განაცხადეს ასევე პროკურატურის მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმაც. მიუხედავად ამისა, ეს ჩვენებები სასამართლომ დასაშვებად ცნო და ბრალდების მხარე მათ სასამართლო პროცესის მსვლელობისას დაეყრდნო.

ახალგაზრდული მოძრაობა NIDA-ს აქტივისტი ელგიზ გარჰამანი ნარკოტიკებთან დაკავშირებული ცრუ ბრალდების საფუძველზე დააკავეს. წესების დარღვევით ჩატარებული სასამართლოს შედეგად, მას ხუთნახევარი წლით პატიმრობა მიესაჯა. გარჰამანს ადვოკატის არჩევის უფლება შეეზღუდა და დაკავებიდან ერთი კვირის განმავლობაში ახლობლებთან დაკავშირების შესაძლებლობა არ მიეცა. სასამართლო პროცესზე მან მოსამართლეს მოახსენა, რომ ჩვენებაზე პოლიციელებმა ძალით მოაწერინეს ხელი, რისთვისაც ისინი აქტივისტს სცემდნენ, ემუქრებოდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ. მოსამართლემ გარჰამანის განცხადებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და მათ შესასწავლად გამოძიების დაწყებაზე უარი განაცხადა.

1 დეკემბერს საჯარო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კოდექსში მიღებული ცვლილებების თანახმად, პროცესზე აღარ დაიშვებიან ადვოკატები, რომლებიც ადვოკატთა კოლეგიის წევრები არ არიან.

საპატიმროში გარდაცვალების შემთხვევები

ხელისუფლებამ საპატიმროში მყოფთა გარდაცვალების საქმეების მყისიერად და ეფექტურად გამოძიება კვლავ ვერ შეძლო.

4 მაისს, ECtHR-მა ბრძანა, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ მაჰირ მუსტაფაევის სიცოცხლის უფლება ხელყო, ვერ დაიცვა რა პატიმრობაში ყოფნისას მისი სიცოცხლე, ხოლო მოგვიანებით კი მისი სიკვდილის გარემოებების დასადგენად ეფექტური გამოძიება ვერ უზუნველყო. მაჰირ მუსტაფაევი თავის საკანში 2006 წლის დეკემბერში გაჩენილი ხანძრის შედეგად მიყენებული დამწვრობებისგან გარდაიცვალა.

28 აპრილს აქტივისტი და ბლოგერი მეჰმან ქალანდაროვი ქურდახანის ციხეში საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. პოლიციამ ის ნარკოტიკებთან დაკავშირებული ბრალდებით მას შემდეგ დააპატიმრა, რაც მან ფეისბუქზე პოლიტიკური გრაფიტის დახატვისათვის დაკავებული ორი აქტივისტის მხარდასაჭერი პოსტები გამოაქვეყნა. ადგილობრივი უფლებადამცველების ცნობით, მეჰმან ქალანდაროვი ნაწამები იყო და მტკიცებულებების დამალვის მიზნით ის საიდუმლოდ დაასაფლავეს. ციხის ადმინისტრაციამ მისი გარდაცვალების შესახებ 29 აპრილს განაცხადა. გამოძიება წლის ბოლოს ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები
სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური: დონალდ ტრამპი (იანვრამდე: ბარაკ ობამა)

აღმასრულებელი განკარგულებების გზით რამდენიმე უმთავრესად მუსლიმური ქვეყნის მოქალაქეთათვის აშშ-ში შესვლის აკრძალვამ სამართლებრივი გამოწვევები შექმნა, რაც წლის ბოლომდე გაგრძელდა. ქალთა და გოგონათა უფლებები მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ იყო. კუბაში, გუანტანამოს ყურეში მდებარე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო

ბაზიდან 18 დაკავებულის გადაყვანა მოხდა; საპატიმროში 41 დაკავებული რჩებოდა და სამხედრო კომისიები მათ მიმართ წინასასამართლო პროცედურებს აგრძელებდნენ. იარაღთან დაკავშირებული ძალადობის მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო. სასიკვდილო განაჩენის გამოტანა და აღსრულება გრძელდებოდა.

ზოგადი მოცემულობა

20 იანვარს დონალდ ტრამპმა პრეზიდენტის ფიცი დადო. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ტრამპი დისკრიმინაციულ განცხადებებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპების შეუსაბამო დაპირებებს აკეთებდა.

ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებები

წლის განმავლობაში პრეზიდენტმა ტრამპმა მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილთა საკითხების დასარეგულირებლად რამდენიმე აღმასრულებელ განკარგულებას მოაწერა ხელი. აშშ-მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებასთან დაკავშირებული 25 იანვრით დათარიღებული ორი განკარგულება იძულებითი დაბრუნების (*refoulement*) შესაძლებლობას და თავშესაფრის მაძიებელთა და მათი ოჯახის წევრების დაკავების გაზრდილ უფლებამოსილებას იძლეოდა. განკარგულებები საიმიგრაციო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების ფუნქციებს ზრდიდა და მიგრანტების დეპორტაციას პრიორიტეტად ხდიდა, განსაკუთრებით მათი, ვინც რაიმე დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი. სახელმწიფო დაფინანსება უწყდებოდა იმ ე.წ. „თავშესაფარ ქალაქებს", რომლებიც არარეგულარული მიგრანტების დაკავებაზე ფედერალურ ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობდნენ.

27 იანვარს ხელმოწერილი მესამე აღმასრულებელი განკარგულებით ერაყის, იემენის, ირანის, სირიის, სომალისა და სუდანის მოქალაქეებს აშშ-ში შესვლა 90 დღის განმავლობაში ეკრძალებოდათ, აშშ-ის ლტოლვილთა მიღების პროგრამა (USRAP) 120 დღით უქმდებოდა, 2017 წელს დასაშვებ ლტოლვილთა კვოტა 110 ათასიდან 50 ათასამდე მცირდებოდა და სირიიდან მომავალ ლტოლვილთა განსახლება განუსაზღვრელი დროით იკრძალებოდა. ბრძანების მიღებას ქაოსი, დემონსტრაციები და მუსლიმთა დისკრიმინაციის ნიადაგზე სამართლებრივი გამოწვევები მაშინვე მოჰყვა. ერთი კვირის თავზე ფედერალურმა მოსამართლემ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბრძანების დროებით შეჩერების სანქცია გასცა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. 6 მარტს მთავრობამ განკარგულების შეცვლილი ვერსია გამოსცა, რომლითაც USRAP-ი 120 დღით კვლავ უქმდებოდა, ლტოლვილთა მიღების კვოტა ისევ 50 ათასამდე მცირდებოდა და აშშ-ში შესვლაზე 90-დღიანი აკრძალვა ექვსი ქვეყნის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა (თავდაპირველი შვიდი ქვეყანა ერაყის გამოკლებით). მერილენდისა და ჰავაის შტატების ფედერალურმა მოსამართლეებმა ქვეყნის მასშტაბით განკარგულების დროებით შეჩერების თაობაზე გასცეს სანქცია. 26 ივნისს უზენაესმა სასამართლომ განკარგულების შეზღუდული ვერსიის ამოქმედება დაუშვა. სასამართლომ ასევე ბრძანა, რომ აკრძალვის გავრცელება დასაშვებია იმ ლტოლვილების მიმართაც, ვისაც განსახლების ორგანოები მხარდაჭერას უწევენ.

განკარგულების ახალმა ვერსიამ, რომელსაც ხელი 24 სექტემბერს მოეწერა, აშშ-ში იმიგრაცია შვიდი ქვეყნის – იემენის, ირანის, ლიბიის, სირიის, სომალის, ჩადისა და ჩრდილოეთ კორეის – მოქალაქეებისთვის განუსაზღვრელი ვადით აკრძალა. სომალის გამოკლებით, ამავე ქვეყნების მოქალაქეებზე არასაიმიგრაციო ვიზების გაცემაც აიკრძალა. აშშ-ში შესვლა აეკრძალათ ასევე ვენესუელის რამდენიმე სამთავრობო ორგანოს წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებს. 17 ოქტომბერს ჰავაისა და მერილენდის შტატების ფედერალურმა მოსამართლეებმა კვლავ შეაჩერეს

განკარგულება და ხელისუფლებას ექვსი ქვეყნის მოქალაქეთათვის ქვეყანაში შესვლაზე ავტომატური უარის თქმა აკრძალეს. 13 ნოემბერს ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მესამე აკრძალვის გავრცელება ისეთი პირებზე დაუშვა, ვისაც აშშ-სთან ლეგიტიმური კავშირი არ აქვს.

24 ოქტომბერს პრეზიდენტმა ტრამპმა USRAP-ის „გაძლიერებული კონტროლის პროცედურებით" საქმიანობის გაგრძელების დასაშვებად აღმასრულებელი განკარგულება გამოსცა. 4 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციის მოთხოვნა „მუსლიმთა შემოსვლის ამკრძალავი" ბოლო განკარგულების საქმის განხილვის პერიოდში დროებით ამოქმედებაზე დააკმაყოფილა.

16 აგვისტოს აშშ-ის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა ცენტრალური ამერიკის ახალგაზრდული პროგრამა შეაჩერა. პროგრამა ელ სალვადორიდან, გვატემალასა და ჰონდურასიდან ძალადობას გამოქცეულ ახალგაზრდებს, ვის მშობლებსაც აშშ-ში მუდმივი სტატუსი აქვთ, ლტოლვილად განსახლებაზე მიმართვის უფლებას აშშ-ში გამგზავრებამდე რთავდა. ამ სამ ქვეყანაში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ და მშობლებთან გაერთიანების სხვა შესაძლებლობა არ ჰქონდათ, აშშ-ში შემოსვლაზე ამ პროგრამის მეშვეობით აკეთებდნენ განაცხადს.

5 სექტემბერს მთავრობამ ბავშვობისას შემოსულთათვის ღონისძიებების გადავადების (DACA) პროგრამის შეწყვეტა დააანონსა, თუ კონგრესი ამ არასრულწლოვანი პირების საიმიგრაციო სტატუსის დასარეგულირებლად სამართლებრივ გზას არ იპოვიდა, რამაც დეპორტაციის რისკის ქვეშ 800 ათასი ადამიანი დააყენა. DACA-ს მიზანი დეპორტაციისგან იმ ახალგაზრდების დაცვა იყო, რომლებიც აშშ-ში მცირეწლოვან ასაკში შემოვიდნენ და პროგრამით გათვალისწინებულ გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. კონგრესი DREAM აქტის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც DACA-ს ბენეფიციარებს რეგულარული მიგრანტის სტატუსის მიღების შესაძლებლობას ანიჭებს. წლის ბოლოსთვის DREAM აქტი დამტკიცებული ჯერ არ იყო.

იანვრიდან აგვისტომდე მექსიკიდან საზღვრის არალეგალურად კვეთისთვის თანმხლების გარეშე მყოფი 17 ათასზე მეტი ბავშვი და ოჯახით წამოსული 26 ათასამდე ადამიანი დააკავეს. აშშ-ში დარჩენის მსურველი ოჯახები თვეობით იყვნენ დაკავებულნი, სადაც ბევრ მათგანს სათანადო სამედიცინო და იურიდიულ მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

ქალთა უფლებები

ქალებისა და გოგონების უფლებებზე თავდასხმები ფართოდ გავრცელებული და მრავალწახნაგოვანი იყო. პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ ისეთი პროგრამები გააუქმა, რომლებიც უნივერსიტეტებს სექსუალური ძალადობის გამოძიებას გენდერული ნიშნით დისკრინაციის საფუძვლით ავალდებულებდნენ და დაბლოკა ინიციატივები, რომლებიც დასაქმებულ ქალებს იმის დადგენაში ეხმარებოდა, ხომ არ იყვნენ დისკრიმინირებულნი ანაზღაურების საკითხებში. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ იყო. დაფინანსების შეზღუდვა „მშობლობის დაგეგმვისათვის" – ორგანიზაცია, რომელიც რეპროდუქციულ და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან სერვისებს სთავაზობს მოსახლეობას; განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ქალებს – მთავრობამ და კონგრესმა რამდენჯერმე სცადეს. მთავრობის მიერ გამოცემული ახალი წესებით, დამსაქმებლებს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტში კონტრაცეპციის შეტანაზე უარის თქმის უფლება ეძლეოდათ, თუკი ეს მათ რელიგიურ ან მორალურ შეხედულებებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. ამან მილიონობით ქალისთვის კონტრაცეპციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკი გააჩინა. მკვიდრ მოსახლეობას მიკუთვნებული ქალები გაუპატიურების

შემთხვევაში საჭირო სერვისების, მათ შორის – სამედიცინო შემოწმების, სასამართლო ექსპერტიზისა და სხვა სავალდებულო სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხში განსაკუთრებით მძიმე უთანასწორობის წინაშე აღმოჩნდნენ. ხელისუფლებამ ასევე შემოიღო ე.წ. „გლობალური დადუმების პოლიტიკა", რომლითაც აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერა უწყდებათ ისეთ საავადმყოფოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც უსაფრთხო და ლეგალური აბორტის შესახებ პაციენტებს ინფორმაციას ან უშუალოდ სერვისს მიაწვდიან.

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანები

როგორც შტატის, ისე – ფედერალურ დონეზე დისკრიმინაციული კანონმდებლობის შენარჩუნების პარალელურად, წლის განმავლობაში ლგბტი პირთა მკვლელობების გაზრდილი რაოდენობა დაფიქსირდა. ლგბტი ადამიანების მიმართ ხელისუფლების მიერ დისკრიმინაციული ზომების გამოყენების შემთხვევებმა იმატა. სამუშაოს, საცხოვრისისა და ჯანდაცვის უფლებების საკითხებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დასაცავად ფედერალურ დონეზე დაცვის მექანიზმები კვლავ არასაკმარისი იყო. ტრანსგენდერი პირები კვლავ განსაკუთრებით მარგინალიზებულნი იყვნენ. პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ იმ ტრანსგენდერი მოსწავლეების დასაცავად შემუშავებული რეკომენდაციების უგულვებელყოფა განაგრძო, რომლებიც საჯარო სკოლებში საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამის ობიექტებსა და საშუალებებს იყენებდნენ.

აგვისტოში პრეზიდენტმა ტრამპმა 2016 წელს მიღებული წესის გაუქმება ბრძანა, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ღიად ტრანსგენდერ პირთა სამხედრო სამსახურში მონაწილეობას შესაძლებელს ხდიდა. 30 ოქტომბერს ფედერალურმა მოსამართლემ დირექტივის ამოქმედების შეჩერებაზე სანქცია გასცა.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

28 ნოემბერს ვაშინგტონში ფედერალურმა ნაფიცმა მსაჯულებმა ლიბიის მოქალაქე აჰმედ აბუ ხათალა ტერორიზმში დამნაშავედ ცნეს, ხოლო მკვლელობაში დამნაშავედ არ მიიჩნიეს. მას ლიბიის ქალაქ ბენღაზიში 2012 წელს აშშ-ის საკონსულოს შენობაზე თავდასხმა ედებოდა ბრალად, რა დროსაც აშშ-ის ოთხი მოქალაქე დაიღუპა. მანამდე, აგვისტოში მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აჰმედ აბუ ხათალას ნებისმიერი განცხადება, რომელიც მან აშშ-ის ძალების მიერ აყვანის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში სამხედრო გემზე კარცერში ყოფნისას გააკეთა, მტკიცებულებად დაშვებულ იქნა. 29 ოქტომბერს აშშ-ის ძალებმა ლიბიაში კიდევ ერთი ადგილობრივი, მუსტაფა ალ იმამი დააკავეს. ის აშშ-ში თვითმფრინავით გადმოიყვანეს და ხუთდღიანი განმარტოებითი პატიმრობის შემდეგ ფედერალური სასამართლოს წინაშე 3 ნოემბერს წარადგინეს. წლის ბოლოს ბენღაზიში მომხდარ თავდასხმებთან დაკავშირებით გასამართლება მასაც ტერორიზმის ბრალდებით ელოდა.

31 ოქტომბრის ნიუ-იორკის თავდასხმების შემდეგ, სადაც რვა ადამიანი დაიღუპა, ხოლო 12 – დაშავდა, ეროვნებით უზბეკი საიფულო ჰაბიბულაევიჩ საიპოვი დააკავეს. ორი უფროსი სენატორი აცხადებდა, რომ როგორც „მეომარ მტერს", მას სამხედრო პატიმრობა ეკუთვნოდა, ხოლო პრეზიდენტი ამბობდა, რომ დაკავებულის გუანტანამოს ყურეში გაგზავნაზე დაფიქრდებოდა. ამის მიუხედავად, საქმე განსახილველად ფედერალურ სასამართლოს მიეცა. პრეზიდენტმა ტრამპმა საიპოვის უდანაშაულობის პრეზუმფცია თვითერზე მრავალ პოსტში დაარღვია, სადაც მისი სიკვდილით დასჯისკენაც კი მოუწოდა.

იანვარში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ გუანტანამოს ციხიდან 18 პატიმარი ომანში, საუდის არაბეთსა და

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაგზავნა. გუანტანამოს ყურეში დარჩენილი 41 პირი პატიმრობაში იმის მიუხედავად რჩებოდა, რომ ოფიციალურად არც ბრალი ჰქონდათ წაყენებული და არც სასამართლო პროცესი გამოუვლიათ. გუანტანამოში საპატიმროს დატოვებისას და იქ დაკავებულთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე პრეზიდენტ ტრამპს წინასაარჩევნოდ ჰქონდა დადებული პირობა, თუმცა წლის განმავლობაში პატიმრების გადაყვანას ადგილი არც ერთი მიმართულებით ჰქონია.

იურისდიქციასთან დაკავშირებული ორი დავის განხილვაზე უზენაესი სასამართლოს უარმა სამხედრო კომისიებს გუანტანამოს ყურეში სამართლებრივი დევნის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა, რაც სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის.

ოქტომბერში სამხედრო კომისიამ საუდის არაბეთის მოქალაქე აჰმედ მოჰამედ აჰმედ ჰაზა ალ დარბის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ალ დარბიმ 2014 წელს შეთქმულების, ტერორიზმისა და მისთვის წაყენებულ სხვა ბრალდებებში თავი დამნაშავედ აღიარა. ის აზერბაიჯანში 2002 წელს დააკავეს და ორი თვის შემდეგ აშშ-ის აგენტებს გადასცეს.

წამება და არაადამიანური მოპყრობა

25 იანვარს მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა ტრამპმა წამების მეთოდებისადმი მხარდაჭერა გამოხატა და აღნიშნა, რომ იმის მოსაფიქრებლად, უნდა მიმართოს თუ არა აშშ-მა წამებას, ის თავდაცვის მდივანს, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) უფროსს და სხვა პირებს „დაეყრდნობოდა". 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების გამოძიებისას CIA-ის საიდუმლო დაკავებების პროგრამის მიმდინარეობისას ჩადენილი სისტემური ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მათ შორის – წამებასა და იძულებით გაუჩინარებაზე, კვლავ არავის პასუხისმგებლობა დამდგარა.

სულ ცოტა სამი ადამიანი, რომლებიც ივარაუდება, რომ საიდუმლო დაკავებების პროგრამის გუნდის ყოფილი წევრები არიან, პრეზიდენტმა ტრამპმა მაღალ თანამდებობზე დასანიშნად წარადგინა: ჯინა ჰასპელი, რომელიც თებერვალში CIA-ის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა; სტივერ ბრედბერი, რომელიც ტრანსპორტის დეპარტამენტის მთავარ იურიდიულ მრჩევლად იქნა წარდგენილი; და სტივენ ენგელი, რომელიც იუსტიციის დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს ოფისის (OLC) ხელმძღვანელის თანამდებობაზე იყო ნომინირებული. გავრცელებული ცნობებით, 2002 წელს ჯინა ჰასპელს CIA-ის ტაილანდის წარმომადგენლობაში აპარატის უფროსის მოვალეობა ეკავა, როდესაც სააგენტომ იქ ე.წ. „შავი ადგილის" ოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც მინიმუმ ორი პირი აწამეს და გააქრეს. მოგვიანებით ჰასპელი კონტრტერორიზმის ცენტრის – CIA-ის ორგანო, რომელიც საიდუმლო დაკავებების პროგრამაზე იყო პასუხისმგებელი – დირექტორის აპარატის უფროსი იყო. 2005 და 2009 წლებში, როგორც OLC-ის გენერალური პროკურატურის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, სტივენ ბედბერიმ რამდენიმე მემორანდუმი შეიმუშავა CIA-სთვის დაკითხვებისა და დაკავების პირობების ისეთი მეთოდების სამართლებრივად დასაშვებლად, რომლებიც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საერთაშორისო აკრძალვას არღვევდა. 2007 წელს, OLC-ის გენერალური პროკურორის მოადგილის რანგში, მსგავსი მემორანდუმების წერით დაკავებული სტივენ ენგელიც იყო. 7 ნოემბერს სენატმა ის 51 ხმით 47-ის წინააღმდეგ აირჩია. 14 ნოემბერს, 50 ხმით 47-ის წინააღმდეგ, თანამდებობაზე სენატმა სტივენ ბრედბერიც დაამტკიცა. ჯინა ჰასპელის დანიშვნას სენატის კენჭისყრა არ დასჭირვებია.

ჯეიმს მიტჩელისა და ჯონ „ბრიუს" ჯესენის – CIA-ის მიერ დაქირავებული ფსიქოლოგების, რომელთაც პროგრამაში წამყვანი როლი ჰქონდათ – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 5 სექტემბერს

უნდა დაწყებულიყო. აგვისტოში მხარეებმა მორიგებას მიაღწიეს, რამაც სასამართლო საჭირო აღარ გახადა.

19 ივნისს უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე არაბული და სამხრეთ აზიული წარმოშობის პირის მიერ აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საქმეზე მოსაზრება დააფიქსირა. მოსარჩელეები 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდგომ დაკავებულ ასობით უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის იყვნენ. ტერორისტული აქტის შემდეგ დაკავებულები მძიმე მატერიალურ პირობებში თვეობით იმყოფებოდნენ და ძალადობას განიცდიდნენ. უზენაესმა სასამართლომ ბრძანა, რომ თუ ბრალდებები სიმართლეს შეესაბამებოდა, ის, რაც დაკავებულებს გადახდათ, „ტრაგიკული" იყო და „არაფერი ამ მოსაზრებაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის მოპყრობა, რომელსაც ისინი დაექვემდებარნენ, შეწყნარებულია". ამის მიუხედავად, სასამართლომ ბრძანა, რომ საქმის შემდგომ განხილვას ვერ შეძლებდა, რითიც 2001 წლის ტერორისტული აქტების კონტექსტში სახელმწიფოს მიერ ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სასამართლო ბერკეტების გამოყენების დაბლოკვა გაგრძელდა.

გადაჭარბებული ძალის გამოყენება

სამართალდამცავების მიერ ქვეყნის მასშტაბით მოკლულ პირთა ზუსტ რაოდენობაზე ოფიციალური ინფორმაცია კვლავ არ არსებობს. „ვაშინგტონ პოსტის" მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, პოლიციელის ტყვიით წლის განმავლობაში 987 ადამიანი დაიღუპა. იმავე სტატისტიკის მიხედვით, აფროამერიკელები, რომლებიც მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ, 2017 წელს მსხვერპლთა თითქმის 23% იყვნენ. მოკლულთა შორის 24%-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ აქტს თავისუფლების აღკვეთისას დამდგარი სიკვდილის შემთხვევების აღრიცხვის შესახებ არასავალდებულო ხასიათი ჰქონდა, რაც ინფორმაციის მიჩქმალვის რისკებს ქმნიდა. დაიწყო თუ არა მსგავსი აღრიცხვის პროცესი, ამის შესახებ წლის განმავლობაში ცნობილი არ გამხდარა.

25 შტატში პოლიციის მიერ ელექტროშოკული იარაღის გამოყენების შედეგად სულ ცოტა 40 ადამიანი დაიღუპა, რამაც 2001 წლის შემდეგ მომხდარი ასეთი შემთხვევების საერთო რაოდენობა სულ ცოტა 802-მდე გაზარდა. მსხვერპლთა დიდი ნაწილი შეუიარაღებელი იყო და, იარაღის გამოყენების მომენტში, ვინმეს სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხეს არ ქმნიდა.

2001 წელს ენტონი ლამარ სმიტის მკვლელობის საქმეზე ყოფილი პოლიციელის გამართლებას სექტემბერში მისურის შტატის ქალაქ სენტ ლუისში რამდენიმეკვირიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ადგილობრივი სამოქალაქო უფლებების აქტივისტების თქმით, პოლიციამ აქციის მონაწილეები უკანონოდ დააკავა და მათ მიმართ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, მათ შორის – გამაღიზიანებელი ქიმიური ნივთიერებები. წესრიგის დასაცავად სენტ ლუისის პოლიციამ მასობრივი არეულობის დროს გამოსაყენებელ აღჭურვილობასა და სამხედრო ტიპის იარაღს მიმართა. აგვისტოში პრეზიდენტმა ტრამპმა წინა ადმინისტრაციის მიერ დაწესებული შეზღუდვები, რომლითაც ზოგიერთი სამხედრო აღჭურვილობის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემა იზღუდებოდა, გააუქმა.

ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულები

ოქტომბერში შეიარაღებულმა პირმა ნახევრადავტომატურ იარაღზე კონდახი მიამაგრა, რამაც მას ავტომატური იარაღის მსგავსი სწრაფი ცეცხლის გახსნის შესაძლებლობა მისცა, და ცეცხლი ნევადის შტატის ქალაქ ლას ვეგასში კონცერტზე მყოფ პირებს გაუხსნა. შემთხვევამ 58 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მასობრივი მკვლელობების საპასუხოდ კონგრესმა ასეთი მოწყობილობების ასაკრძალად კანონმდებლობაში ახალი

რეგულაციების შეტანა განიხილა, თუმცა წინადადება ჩავარდა. ნოემბერში კონგრესმა კვლავ უშედეგოდ წარმოადგინა ცალკე კანონის პროექტი, რომელსაც იარაღით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისათვის ხელი უნდა შეეწყო.

წლის ბოლოს ფედერალურ კანონმდებლობაში ცვლილებების ორი პროექტის ბედი, რომლებითაც მაყუჩის მოპოვება და იარაღის მალულად ტარების შესაძლებლობა კიდევ უფრო მარტივდება, ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული. 1996 წელს მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს იარაღით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ამ ფენომენის გამომწვევი მიზეზები და მისი პრევენციის გზები, კვლევების ჩასატარებლად მხარდაჭერა კვლავ არ ეძლეოდა.

პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია ცივი სასროლი იარაღის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების საკითხს და საერთაშორისო არასამხედრო იარაღის გაყიდვების აღრიცხვის ვალდებულების სახელმწიფო დეპარტამენტისგან სავაჭრო დეპარტამენტისთვის გადაცემას განიხილავდა. ეს ნაბიჯი იარაღით ვაჭრობაზე კონტროლის მექანიზმებს მნიშვნელოვნად შეასუსტებს და იმ ქვეყნებში, სადაც შეიარაღებული ძალადობის მაღალი მაჩვენებელია, იარაღის გადინების ზრდის რისკებს შექმნის.

სიკვდილით დასჯა

2017 წელს აშშ-ის რვა შტატში სიკვდილით 23 მამაკაცი დასაჯეს, რამაც 1976 წლის (როდესაც უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯის ახალი კანონები დაუშვა) შემდეგ ეს მაჩვენებელი 1 465-მდე აიყვანა. წლის ბოლოსთვის სიკვდილმისჯილთა საკნებში 2 800 პირი იჯდა.

2005 წლის შემდეგ სასჯელის უმაღლესი ზომა არკანზასის შტატმა პირველად აღასრულა. ოჰაიომ სამწლიანი პაუზის შემდეგ სიკვდილით დასჯა განაგრძო. ფლორიდამ 2016 წლის იანვრის შემდეგ, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მისი სიკვდილით დასჯის შესახებ კანონი არაკონსტიტუციურად ცნო, სასიკვდილო განაჩენები პირველად აღასრულა. ფლორიდის უზენაესი სასამართლოს დადგენილებამ, რომლის თანახმადაც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება რეტროაქტიულად სიკვდილმისჯილთა მხოლოდ დაახლოებით ნახევარზე ვრცელდებოდა, დანარჩენ პირთა დასჯის დაწყება გახადა შესაძლებელი. 2017 წლის განმავლობაში პირველი სასიკვდილო განაჩენები ამ ახალი დადგენილების ფარგლებში აღსრულდა.

2017 წელს დელავერის, ფლორიდის, არკანზასისა და ლუიზიანას შტატებში ოთხ სიკვდილმისჯილ პატიმარს ბრალი მოეხსნა. 1973 წლის შემდეგ ასეთი შემთხვევების საერთო რაოდენობამ 160-ს მიაღწია.

ესპანეთი

ესპანეთის სამეფო
სახელმწიფოს მეთაური: მეფე ფელიპე VI დე ბურბონი
მთავრობის მეთაური: მარიანო რახოი

კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებები არაპროპორციულად იზღუდებოდა. სოციალურ ქსელებში „ტერორიზმის დიდებისა“ და „მსხვერპლთა დამცირების“ გამო ათეულობით ადამიანი იდევნებოდა. სამართალდამცავებმა კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მხარდასაჭერ დემონსტრაციაზე გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს. ესპანეთმა ევროკავშირის ლტოლვილთა რელოკაციის გეგმით დაპირებული ვალდებულებები სრულად ვერ შეასრულა და დაგეგმილზე ნაკლები მიგრანტი გადაამისამართა და განასახლა.

ათასობით ადამიანი იძულებით გამოსახლების რისკის ქვეშ იყო. ხელისუფლებამ ფრანკოს რეჟიმისა და სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულების საქმეების დახურვა გააგრძელა.

ზოგადი მოცემულობა

აგვისტოში კატალონიაში ორი ძალადობრივი თავდასხმა მოხდა, რომელთა შედეგადაც 16 ადამიანი გარდაიცვალა და რამდენიმე დაიჭრა. მომხდარზე პასუხისმგებლობა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ისლამურმა სახელმწიფომ (IS) აიღო. უსაფრთხოების სამსახურებმა ექვსი სავარაუდო დამნაშავე მოკლეს, ხოლო დანარჩენი ოთხი – დააკავეს. დაკავებულები თავდასხმებში მონაწილეობისათვის გაასამართლეს.

1 ოქტომბერს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კატალონიის ავტონომიური რეგიონის მთავრობამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი გამართა, რითაც საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება დაარღვია. 17 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ რეფერენდუმი იმ მოტივით შეაჩერა, რომ ის არაკონსტიტუციური რეგიონული კანონის საფუძველზე ტარდებოდა. სასამართლომ 7 სექტემბერს მიღებული პრევენციული ღონისძიება გამოიყენა და რეფერენდუმის შეჩერება მოითხოვა. 27 ოქტომბერს კატალონიის რეგიონული პარლამენტის წევრმა დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკურმა ჯგუფებმა კატალონიის დამოუკიდებლობა ცალმხრივად გამოაცხადეს. ამავე დღეს სენატმა ესპანეთის მთავრობას ნება დართო, ესპანეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლიდან გამომდინარე ზომები მიეღო, რამაც, ფაქტობრივად, რეგიონის ავტონომია შეაჩერა და ის ეროვნული მმართველობის ქვეშ მოაქცია. ესპანეთის მთავრობამ კატალონიის რეგიონის მთავრობა და პარლამენტი დაშალა. 21 დეკემბერს კატალონიაში ახალი რეგიონული არჩევნები ჩატარდა. რეგიონულ პარლამენტში ადგილების უმეტესობა არჩევნების შედეგებმა დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებს მოუტანა.

გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 7 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც კატალონიის რეფერენდუმი შეაჩერა, ზოგიერთმა სახელმწიფო უწყებამ გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება არაპროპორციულად შეზღუდა. მადრიდისა და ბასკეთის ქალაქ ვიტორიას სასამართლოებმა რეფერენდუმის მხარდამჭერი ორი მანიფესტაცია არ დაუშვეს. კატალონიის კასტელდეფელსის მუნიციპალიტეტმა რეფერენდუმის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ გამათული შეკრებების მიზნით საჯარო სივრცეების გამოყენების საკითხზე ბლანკეტური აკრძალვა მიიღო.

მადრიდის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 16 ოქტომბერს კატალონიური დამოუკიდებლობის მომხრე ორი ორგანიზაციის პრეზიდენტს, ჟორდ კუიშარსა და ჟორდ სანჩესს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მათ ბრალად ფართო განმარტების მქონე დანაშაული – ამბოხისკენ მოწოდება წაუყენეს. საქმე ბარსელონაში 20 და 21 სექტემბერს მათ მიერ გამართულ საპროტესტო აქციებს უკავშირდება, რომლებითაც, მოსამართლის თქმით, ისინი პოლიციის კანონიერ მოქმედებებს შეეწინააღმდეგნენ. უზენაესმა სასამართლომ მათი საქმეები ნოემბერში გადაიბარა. უზენაესმა სასამართლომ კუიშარისა და სანჩესის მიმართ წაყენებულ ბრალს აჯანყება დაუმატა.

ათეულობით ადამიანი სოციალური მედიის ქსელებში „ტერორიზმის დიდებისა“ და „მსხვერპლთა დამცირების“ გამო იდევნებოდა. ბევრ შემთხვევაში შესაბამისმა უწყებებმა სისხლის სამართლებრივი დევნა იმ ადამიანების მიმართ წამოიწყეს, რომელთა მიერ გამოხატული მოსაზრებაც ტერორიზმის

გაღვივების მცდელობას არ წარმოადგენდა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდებოდა. წლის განმავლობაში პასუხისგებაში 20 ადამიანი მიეცა.

მარტში სასამართლომ „ტერორიზმის მსხვერპლთა დამცირებისთვის" კასანდრა ვერა გაამტყუნა. ვერას ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა. მას თვითერზე ბასკური სეპარატისტული დაჯგუფება ETA-ს მიერ 1973 წელს, ფრანკოს რეჟიმის დროს, პრემიერ კარერო ბლანკოს მკვლელობაზე ხუმრობები ეწერა.

იანვარში გამომძიებელმა მოსამართლემ პროფესიონალ მეთოჯინეებს, ალფონსო ლაზარო დე ლა ფუენტესა და რაულ გარსია პერეზს ბრალი მოუხსნა. „ტერორიზმის დიდებისა" და სიძულვილის გაღვივების ბრალდებით, მეთოჯინეებს ხუთდღიანი წინასწარი პატიმრობა 2016 წლის თებერვალში შეეფარდათ. „ტერორიზმის დიდების" ბრალდება მათ 2016 წელსვე მოეხსნათ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ კანონის საფუძვლით, კერძო პირებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმების შეფარდება გრძელდებოდა, მათ შორის – უფლებადამცველებისა და ჟურნალისტებისთვის, რაც შესაძლოა, გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და ინფორმაციის თავისუფლებების უკანონო შეზღუდვას წარმოადგენდეს.

პოლიციის თანამშრომლის ბრძანების დაუმორჩილებლობისათვის, „კატალუნია რადიოს" ჟურნალისტი მერსე ალკოშერი 601 ევროთი დაჯარიმდა. მან მოუნიშნავი პოლიციის ხაზი მაშინ გადაკვეთა, როდესაც კორუფციის საქმეზე მოწმისგან ინტერვიუს აღებას ცდილობდა. ალკოშერმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა და განაცხადა, რომ მითითების შემდეგ უკან დაიხია, რისი დადასტურებაც უსაფრთხოების კამერის ჩანაწერებითაც შეიძლებოდა. ვიდეომასალა სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად არ ცნო და საქმის განხილვა წლის ბოლოს ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

წამება და არასათანადო მოპყრობა

სექტემბერში უმაღლესმა სასამართლომ შვეიცარიიდან ნეკანე ჩაპარტეგის ესქტრადირების მოთხოვნა გააუქმა. 2009 წელს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულების ვადა ამ დროისათვის გასული იყო. აპრილში წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა შვეიცარიის მხარეს მის ექსტრადირებაზე უარის თქმისკენ მოუწოდა. ნეკანე ჩაპარტეგის განაცხადებით, ის 1999 წელს მადრიდის პოლიციის განყოფილებაში ხუთდღიანი განმარტოებითი პატიმრობისას აწამეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ჩაპარტეგი ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებისა და ETA-ს წევრობის ეჭვის საფუძველზე დააკავეს. მის მიერ გაჟღერებულ წამების ბრალდებებთან დაკავშირებით წარსულში სრულყოფილი გამოძიება არ ჩატარებულა.

მაისში საკონსტიტუციო სასამართლომ ბასკეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თაობაზე მთავრობის სარჩელი დასაშვებად სცნო. სადაო კანონი პარლამენტის მიერ ბასკეთში ადამიანის უფლებების დარღვევათა მსხვერპლების აღიარებასა და კომპენსაციას ეხებოდა.

ძალის გადაჭარბებული გამოყენება

სამართალდამცავებმა, რომლებიც 1 ოქტომბერს კატალონიაში გამართული აქციებისას წესრიგს იცავდნენ, მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს. აქციის მონაწილეები პოლიციის მოქმედებებს აპროტესტებდნენ. პოლიციამ ცარიელი ვაზნები და რეზინის ტყვიები გამოიყენა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი სერიოზულად დაშავდა და ცალ თვალში მხედველობა დაკარგა.

ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებები

ესპანეთმა 15 888 თავშესაფრის მაძიებლის გადამისამართების შესახებ

ევროკავშირის საგანგებო რელოკაციის გეგმით აღებული ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო; წლის ბოლომდე მხოლოდ 1 328 პირი იყო გადამისამართებული, მათ შორის 592 – სირიელი. ესპანეთმა ასევე ვერ შეასრულა 1 449 შუა აღმოსავლელი და ჩრდილო-აფრიკელი ლტოლვილის განსახლების ვალდებულება; 31 დეკემბრისათვის 1 360 ლტოლვილი იყო განსახლებული და მათგან ერთი პალესტინელი ლტოლვილის გარდა, ყველა სირიელი იყო.

იანვრიდან დეკემბრამდე ესპანეთმა თავშესაფრის 25 853 მაძიებლის განაცხადი მიიღო. ოქტომბრის ბოლოს 34 655 განაცხადი ჯერ ისევ განსახილველი იყო. თავშესაფრის მაძიებლების განცხადებებზე გადაწყვეტილებები კვლავ დაგვიანებით მიიღებოდა. ბევრი განმცხადებლის შემთხვევაში, ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ ესპანეთის სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღების უფლება ჰქონდათ, გადაწყვეტილების გამოტანამდე ბევრად უფრო ადრე გადიოდა.

ევროკავშირის სასაზღვრო სააგენტო FRONTEX-ის ინფორმაციით, იანვრიდან სექტემბრამდე დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის მარშრუტით საზღვრის 21 663 არარეგულარული კვეთა დაფიქსირდა. ეს მაჩვენებელი 2016 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ რიცხვს ორჯერ აღემატება.

ოქტომბერში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სუბსაჰარული მიგრანტების, რომლებიც 2014 წელს ესპანეთის ტერიტორია მელილაში შესვლას ცდილობდნენ, მოროკოში დაუყოვნებელი დაბრუნება უცხო ქვეყნის მოქალაქეების კოლექტიურ გაძევებას უტოლდებოდა.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

სასამართლოს წარმომადგენლები კონტრტერორისტული კანონმდებლობის არაპროპორციულ გამოყენებას აგრძელებდნენ. ტერორიზის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემული შვიდი პირიდან სამი წინასწარ პატიმრობაში რჩება. საქმის განხილვა 2018 წლის აპრილში უნდა შედგეს. ბრალდების ვარაუდით, 2016 წლის ოქტომბერში დაკავებულები ნავარას ქალაქ ალსასუას ერთ-ერთ პაბში სამოქალაქო გვარდიის ორ წარმომადგენელსა და მათ პარტნიორებს დაესხნენ თავს. გვარდიის წარმომდგენლები თავდასხმის დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ.

ქალთა მიმართ ძალადობა

ჯანდაცვის, სოციალური სერვისებისა და თანასწორობის სამინისტროს ინფორმაციით, წლის განმავლობაში პარტნიონორის ან ყოფილი პარტნიორის ხელით, 48 ქალი (და რვა ბავშვი) იქნა მოკლული.

სექტემბერში პარლამენტმა გენდერული ნიშნით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის გეგმა დაამტკიცა, რომლითაც კანონმდებლობის გადახედვა და სხვა ზომების მიღება იგეგმება, რათა ესპანეთმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებები შეასრულოს.

საცხოვრისის უფლება

ათასობით ადამიანი ძალისმიერად გამოასახლეს, სახელმწიფოსგან შესაბამისი იურიდიული გარანტიებისა და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის გარეშე. 26 767 საქმე ქირას, ხოლო 16 992 – იპოთეკას უკავშირდებოდა. საჯარო ხარჯვა საცხოვრისით უზრუნველყოფაზე იმის მიუხედავად შემცირდა, რომ ხელმისაწვდომ ალტერნატიულ სოციალურ საცხოვრისზე მოთხოვნა მაღალი რჩებოდა. გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებსა და მარტოხელა დედებს ხელმისაწვდომი ალტერნატიული საცხოვრის ნაკლებობა განსაკუთრებით მძიმედ შეეხოთ. ივლისში გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა ესპანეთის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი დააკმაყოფილა. გამოსახლებული ოჯახი

ესპანეთის ხელისუფლებას ალტერნატიული საცხოვრისის შეუთავაზებლობის გამო უჩიოდა.

დაუსჯელობა

ხელისუფლებამ ფრანკოს რეჟიმისა და სამოქალაქო ომის დროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დანაშაულებზე საქმეების დახურვა იმ მოტივით გააგრძელა, რომ მათი გამოძიება შეუძლებელი იყო; მაგალითად, ამნისტიის კანონი და შესაბამის დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადის გასვლა იძულებითი გაუჩინარებისა და წამების საქმეების ბოლომდე მიყვანას ხელს უშლიდა. ხელისუფლება გაუჩინარებისა და არასასამართლო წესით სიკვდილმისჯილ პირთა ცხედრების პოვნისათვის ზომების მიღებას კვლავ ვერ ახერხებდა, რაც ოჯახებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს ექსჰუმაციის პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, საკუთარ თავზე აღებას აიძულებდა.

თებერვალში მექსიკის მთავარმა პროკურატურამ ე.წ „მოპარული ჩვილების“ საქმეზე გამოძიება დაიწყო. მექსიკა მეორე ქვეყანა გახდა, რომელიც ესპანეთში ფრანკოს რეჟიმისა და სამოქალაქო ომის დროს საერთაშორისო სამართლის დანაშაულებს იძიებს. საქმე შეეხებოდა ესპანეთში 1968 წელს დაბადებულ ქალს, რომელიც მექსიკელ ოჯახს მას შემდეგ გადასცეს, რაც სავარაუდოდ საკუთარ ოჯახს მოსტაცეს. გაეროს იძულებით და არანებაყოფლობით გაუჩინარებების საკითხებზე სამუშაო ჯგუფმა სექტემბერში განაცხადა, რომ ეს შემთხვევა ესპანეთისთვის იძულებითი გაუჩინარების საქმეების გამოძიებისათვის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობას წარმოადგენდა.

2017 წელს სირიასა და ვენესუელაში ესპანეთის მოქალაქეების იძულებითი გაუჩინარებისა და წამების საერთაშორისო სამართლის დანაშაულების გამოძიებაზე ესპანეთის სასამართლომ უარი თქვა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას 2014 წელს უნივერსალური იურისდიქციის კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს დაეყრდნო.

თურქეთი

თურქეთის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: რეჯეფ თაიფ ერდოღანი
მთავრობის მეთაური: ბინალი ილდირიმი

ადამიანის უფლებათა დარღვევები გახანგრძლივებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ფონზე ხდებოდა. ის ჟურნალისტები, პოლიტიკური აქტივისტები და უფლებადამცველები, რომლებიც განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ, ხელისუფლების სამიზნეები ხდებოდნენ. წამების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია კვლავ ვრცელდებოდა, თუმცა 2016 წლის ივლისის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების მომდევნო კვირებში დაფიქსირებულ შემთხვევებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები დოზით. ადამიანის უფლებათა დარღვევების ეფექტურ გამოძიებას საჯარო სექტორში მყარად ფესვგამდგარი კორუფცია უშლიდა ხელს. შეიარაღებული ჯგუფები ადამიანის უფლებებს კვლავ არღვევდნენ; მხოლოდ ორი შეტაკება ჯერ კიდევ იანვარში დაფიქსირდა. წინა წლებისგან განსხვავებით, 2017 წელს მშვიდობიანი მოსახლეობის თავშეყრის ადგილებზე თავდასხმები არ მომხდარა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მიგრანტთა მდგომარეობის გადასაწყვეტად გამოსავალი კვლავ არ მოძებნილა. თურქეთი 2017 წელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ლტოლვილის მასპინძელი ქვეყანა იყო, სადაც 3 მილიონზე მეტი მხოლოდ სირიელი ლტოლვილი იყო, თუმცა იძულებითი დაბრუნების რისკები კვლავ სახეზე იყო.

ზოგადი მოცემულობა

საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 2016 წლის ივლისის სამხედრო გადატრიალების

მცდელობის შემდეგ გამოცხადდა, ძალაში 2017 წლის განმავლობაშიც დარჩა. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმმა გზა ადამიანის უფლებათა უკანონო შეზღუდვებს გაუხსნა და ხელისუფლებას, ეფექტური საპარლამენტო და სასამართლო კონტროლისათვის გვერდზე ავლის გზით, კანონების მიღების შესაძლებლობა მისცა.

2016 წელს დაკავებული ქურთული მემარცხენე „სახალხო დემოკრატიული პარტიის" (HDP) წევრი ცხრა პარლამენტარი, მათ შორის – პარტიის ორი ლიდერი, პატიმრობაში რჩებოდნენ. HDP-ის დობილი ორგანიზაციის, „დემოკრატიული რეგიონების პარტიის" მიერ არჩეული 60 მერი, რომლებიც უმთავრესად ქურთი უმცირესობით დასახლებული თურქეთის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებს წარმოადგენდნენ, პატიმრობაში რჩებოდნენ. მათ ჩასანაცვლებლად დანიშნული პირები თანამდებობებს 2017 წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. ოქტომბერში ექვს არჩეულ მერს, მათ შორის დედაქალაქ ანკარასა და სტამბოლის წარმომადგენლებს, პრეზიდენტმა გადადგომა მოთხოვა, რასაც ისინი დაემორჩილნენ. შედეგად, თურქეთის მოსახლეობის ერთ მესამედს 2016 წლის ადგილობრივი არჩევნების გზით არჩეული პოლიტიკოსები აღარ წარმოადგენდნენ.

50 ათასზე მეტი ადამიანი წინასწარ პატიმრობაში „ფეთულას ტერორისტული ორგანიზაციის" (FETÖ) – რომელსაც ხელისუფლება 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებს – წევრობისათვის იმყოფებოდა. დაახლოებით ამდენივე გირაოთი და პერიოდულად გამოცხადების ვალდებულებით გამოუშვეს. გადატრიალების მცდელობის უშუალო ღონისძიებებში ბრალდებულების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ედებოდა ბრალი. იმის გათვალისწინებით, რომ თავად თურქეთის მოსამართლეებისა და პროკურორების დაახლოებით ერთი მესამედი იქნა დათხოვილი ან დაპატიმრებული, სასამართლო უკიდურესი პოლიტიკური წნეხის ქვეშ იყო. დაუსაბუთებელი, ხანგრძლივი და სასტიკი წინასწარი პატიმრობა და მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევები ჩვეულებრივი მოცემულობა იყო.

„ქურთისტანის მუშათა პარტიასა" (PKK) და ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის შეიარაღებული შეტაკებები გაგრძელდა. სირიისა და ერაყის წინააღმდეგ თურქული შეიარაღებული ძალები სამხედრო ოპერაციებს აგრძელებდნენ. სექტემბერში პარლამენტმა სამხედრო ძალებს მანდატი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა.

აპრილში საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციას უფლებამოსილებები გაუზარდა, რეფერენდუმით დამტკიცდა. წარმოდგენილი ცვლილებების მოწინააღმდეგეები ჩიოდნენ, რომ სახელმწიფო მედიაზე მათ გაცილებით ნაკლები წვდომა ჰქონდათ და დემონსტრაციების გამართვის ნებართვა არ ეძლეოდათ. ხმის დათვლის პროცესში გამოვლენილი დარღვევების თაობაზე საჩივრები ხელისუფლებამ უგულვებელყო.

გამოხატვის თავისუფლება

სამსახურიდან გათავისუფლების, ორგანიზაციების დახურვისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შიშით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ისევე, როგორც – მოსახლეობა, თვითცენზურას ფართოდ მიმართავდნენ, რაც სოციალურ მედიაში პოსტების წაშლასა და საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავშეკავებაში გამოიხატებოდა. ათასობით მოქალაქე, რომელიც მხოლოდ მშვიდობიანი გამოხატვის საკუთარ უფლებას იყენებდა, ცილისწამებისა და ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებებით იდევნებოდა. დაუსაბუთებელი და გაუმართლებლად ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა პრაქტიკაში რეგულარულად გამოიყენებოდა. გამოძიების შესახებ კონფიდენციალური დეტალები მთავრობასთან დაკავშირებულ მედიაში ხშირად ჟონავდა და გაზეთების პირველ

გვერდებზე იბეჭდებოდა, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები საქმის მიმდინარეობაზე დაუშვებელ განცხადებებს აკეთებდნენ. ჟურნალისტებისა და პოლიტიკური აქტივისტების დევნა გრძელდებოდა, ხოლო უფლებადამცველთა დევნის მაჩვენებელი მკვეთრად იზრდებოდა. ხელისუფლების სამიზნეში საერთაშორისო ჟურნალისტები და მედიის წარმომადგენლებიც მოხვდნენ.

სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიიდან მთავრობის კრიტიკა თითქმის სრულად გაქრა და განსხვავებული აზრი, ძირითადად, ონლაინ გამოცემებში იყრიდა თავს. ინტერნეტკონტენტის დასაბლოკად ხელისუფლება ადმინისტრაციული ბრძანებების რეგულარულად გაცემას აგრძელებდა, რომელთა გასაჩივრების ეფექტური ბერკეტები დაზარალებულებს არ ჰქონდათ. აპრილში თურქეთის ხელისუფლებამ ონლაინ ენციკლოპედია „ვიკიპედია“ დაბლოკა. გადაწყვეტილების მიზეზი გახდა გვერდი, რომელიც თურქეთის ხელისუფლებასა და სირიაში რამდენიმე შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის კავშირებზე სტატიებს წყაროდ იმოწმებდა. „ვიკიპედიამ“ გვერდის დარედაქტირებაზე უარი განაცხადა. ვებგვერდი წლის ბოლოსთვისაც დაბლოკილი იყო.

ჟურნალისტები

წლის ბოლოს წინასწარ პატიმრობაში ასზე მეტი ჟურნალისტი და მედიაში მომუშავე პირი იყო; აქედან სამი სეკულარული ოპოზიციური გაზეთის „ჯუმჰურიეთის“ თანამშრომელი იყო. მათი რვა კოლეგა, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ ელოდნენ, წინასწარი პატიმრობიდან წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს იქნენ გამოშვებულნი. საგანგებო მდგომარეობის თაობაზე დადგენილებების თანახმად დახურულ მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტები კვლავ იდევნებოდნენ.

გაზეთ „თარაფის“ ყოფილი რედაქტორი აჰმეთ ალთანი და მისი ძმა მეჰმეთ ალთანი წინასწარ პატიმრობაში 2016 წლის ივლისში დაკავების შემდეგ რჩებოდნენ. მედიაორგანიზაცია „ზამან ჯგუფის“ 34 თანამშრომელთან ერთად, მათ ბრალად გულენის მოძრაობის წევრობა ედებათ. ქურთ ქალთა საინფორმაციო სააგენტო „ჯინჰას“ ჟურნალისტი ზეჰრა დოღანი ტერორისტული პროპაგანდის ბრალდებით ივნისში დააკავეს და ორი წლით, ცხრა თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ქურთულ გაზეთ „ოზგურ გუნდემის“ რედაქტორი ინან კიზილკაია ოქტომბერში წინასწარ პატიმრობაში 440 გატარებული დღის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა ამ დროისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება მის საქმეზე ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. მას ბრალად PKK-ის წევრობა ედება.

გერმანულ გაზეთ „დი ველტის“ კორესპონდენტი დენიზ იუჯელი თებერვალში დააკავეს და წლის ბოლოს კვლავ პატიმრობაში, უმთავრესად – განმარტოებით კარცერში, იმყოფებოდა ოფიციალურად წაყენებული ბრალის გარეშე. 2015 წელს გამოქვეყნებული სტატიისათვის, სადაც თურქეთის სპეცსამსახურებსა და PKK-ის წევრ ახალგაზრდებს შორის შეტაკებებია აღწერილი, ოქტომბერში „უოლ სთრით ჯორნალის“ ჟურნალისტი აილა ალბაირაქი ტერორიზმის პროპაგანდისათვის გასამართლდა და ორი წლითა და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ადამიანის უფლებათა დამცველები

ივლისში სტამბოლის მახლობლად მდებარე კუნძულ ბუიუკადაზე ადამიანის უფლებათა საკითხებზე გამართული ვორქშოფისას პოლიცია შეიჭრა და იქ მყოფი ათი უფლებადამცველი დააკავა, რომელთა შორის ორი უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. რვა მათგანი, მათ შორის – „საერთაშორისო ამნისტიის“ თურქეთის წარმომადგენლობის დირექტორი იდილ ესერი, სასამართლო სხდომის გამართვამდე წინასწარ პატიმრობაში რჩებოდნენ. სასამართლო პროცესი უფლებადამცველების „ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის“ ბრალდებით ოქტომბერში დაიწყო. მოგვიანებით სასამართლომ „საერთაშორისო ამნისტიის“ თურქეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარის თანერ ქილიჩის მიმართაც დაიწყო დევნა. ივნისში დაკავებული ქილიჩი „FETÖ-ს წევრობის“ ბრალდებით

დააკავეს, რაც საკუთარ ტელეფონში ბაილოქის მობილური აპლიკაციის გადმოწერაში გამოიხატებოდა, რომელსაც, ხელისუფლების განცხადებით, FETÖ-ს წევრები კომუნიკაციისთვის იყენებენ. ორი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, რომლითაც დასტურდება, რომ მას აპლიკაცია არ ჩამოუტვირთავს და პროკურატურას არც სხვა რაიმე დამაჯერებელი მტკიცებულებები გააჩნია, ქილიჩი წლის ბოლოსაც წინასწარ პატიმრობაში რჩებოდა.

აგვისტოს თვეში ტერორიზმის პროპაგანის ბრალდებით ადამიანის უფლებათა ვეტერანი დამცველი მურათ ჩელიკანი დააპატიმრეს. მისი დაკავება 2016 წლის აქციაზე მის მიერ „ოზგურ გიუნდემის" ჟურნალისტებისადმი სოლიდარობის გამოხატვას ეხებოდა. ოქტომბერში, 18-თვიანი პატიმრობიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, ჩელიკანი პირობით გაათავისუფლეს. პირობითი სასჯელი კიდევ 16 აქტივისტს შეეფარდა, რომლებიც მსჯავრს იმავე აქციაში მონაწილეობისათვის იხდიდნენ, ხოლო დევნა გრძელდებოდა დამატებით კიდევ 18 პირის წინააღმდეგ.

ოქტომბერში სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერი ოსმან კავალა 2016 წლის მოვლენებისას „კონსტიტუციური წესრიგის დამხობის მცდელობის" ბრალდებით დააკავეს. წლის ბოლოს კავალა წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა.

ნოემბერში „ადამიანის უფლებათა ასოციაციის" (İHD) ეროვნული ოფისის თავმჯდომარე რაჯი ბილიჯი და მისი დიარბაქირის ფილიალის თავმჯდომარე სასამართლოს წინაშე ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით წარდგნენ. ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულზე საქმე İHD-ის 20-ზე მეტი წარმომადგენელის მიმართ აღიძრა.

„პროგრესულ ადვოკატთა ასოციაციის" (ÇHD), რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევების საქმეებს იღებდა და 2016 წელს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ დაიხურა, ხუთი წარმომადგენელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების დროს დააკავეს და 2017 წელს წინასწარ პატიმრობაში რჩებოდა. ზოგ მათგანს PKK-სთან, ხოლო ზოგს შეიარაღებულ დაჯგუფება „რევოლუციურ სახალხო განმათავისუფლებელ პარტია-ფრონტთან" (DHKP-C) კავშირი ედებოდათ ბრალად. ნოემბერში ÇHD-ის ეროვნული ოფისის თავმჯდომარე სელჩუჯ კოზაღაჩლი დააკავეს, რომელიც წლის ბოლოს ჯერ ისევ წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა.

აქტივისტები

კრიტიკის გამო აქტივისტები ხელისუფლების სამიზნეები ხდებოდნენ. ნურიე გულმენი და სემი ოზაქჩა მაისში დააკავეს. ისინი სასამართლო ორდერების საფუძველზე დააპატიმრეს, სადაც დაკავების მიზეზად მათი მშვიდობიანი პროტესტი იყო მოყვანილი. დაკავებულები მარტიდან საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ამოქმედების გამო მათი უსაფუძვლო დაკავების გასაპროტესტებლად შიმშილობდნენ. ოზაქჩა ოქტომბერში გაათავისუფლეს, ხოლო ნურიე გულმენი პატიმრობაში დატოვეს და დეკემბერში DHKP-C-ს წევრობისათვის დამნაშავედ ცნეს, რა გადაწყვეტილებაც მან სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. იგივე დანაშაულისთვის სასამართლომ სემი ოზაქჩას უდანაშაულობა დაადგინა. პოლიცია რეგულარულად აკავებდა პირებს, რომლებიც ოზაქჩასა და გულმენის გამოშვებას ითხოვნდნენ.

2016 წლის 1 იანვრის პეტიციაზე ხელმოწერისათვის, რომლითაც „მშვიდობის აკადემიკოსები" თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების დასრულებას მოითხოვნენ, 70-ზე მეტ მათგანს ბრალი PKK-ის პროპაგანდაში დასდეს. სასამართლო პროცესი დეკემბერში დაიწყო. სოციალურ მედიაში გაკეთებული განცხადებისათვის, სადაც ის ხელისუფლებას აკრიტიკებდა, აქტივისტი ბარბაროს შანსალი დააპატიმრეს. მას ივნისში „თურქი ერის შეურაცხყოფისათვის" სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის

ექვსი თვითა და 20 დღით პირობით პატიმრობა მიუსაჯეს.

შეკრების თავისუფლება

პროვინციების გუბერნატორების მიერ დაწესებულმა დაუსაბუთებელმა და ბლანკეტურმა აკრძალვებმა, რომლებიც საგანგებო მდგომარეობით მინიჭებულ ძალაუფლებას ეყრდნობოდნენ, საჯარო დემონსტრაციები გააიშვიათა. იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საპროტესტო აქციების გამართვას რისკების მიუხედავად ბედავდნენ, პოლიცია გადაჭარბებულ ძალას იყენებდა. მთავარი ოპოზიციური „სახალხო რესპუბლიკური პარტიის" (CHP) მიერ გამართული „სამართლიანობის მარში" მშვიდობიანად ჩატარდა, რაც მნიშვნელოვანი გამონაკლისს წარმოადგენდა. მსხვილი პროფკავშირების შეთანხმების საფუძველზე, ტრადიციული 1 მაისის დემონსტრაციები სტამბოლში ქალაქის არაცენტრალურ ნაწილში გაიმართა.

თურქეთის ხელისუფლებამ, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მიზეზებით, სტამბოლის ყოველწლიური ლგბტი სიამაყის მარში ზედიზედ მესამედ არ დაუშვა. პოლიციამ გაუმართლებელი და გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, რეზინის ტყვიები ესროლა და უსაფუძვლოდ დააკავა იმ მცირე ჯგუფების წევრები, რომლებმაც დღის აღნიშვნა მაინც სცადეს. ნოემბერში ანკარას ხელისუფლებამ ლგბტი სოლიდარობის ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები განუსაზღვრელი დროით აკრძალა. ეს მოთხოვნა ლგბტი თემატიკაზე გადაღებული ფილმების ფესტივალს უძღოდა წინ, რომლის გამართვაც ანკარაში იგეგმებოდა. ამ შემთხვევაშიც, აკრძალვის საფუძველი ბუნდოვანი იყო.

ივნისსა და ივლისში ანკარადან სტამბოლამდე 400-კილომეტრიან „სამართლიანობის მარშში" 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მარშის გამოცხადება CHP-ის წევრი დეპუტატის, ენის ბერბეროღლუს დამნაშავედ ცნობას და პატიმრობის 25-წლიან განაჩენს მოჰყვა. ჟურნალისტებისთვის ვიდეოს გადაცემისათვის, სადაც, სავარაუდოდ, ეროვნული დაზვერვის სამსახურების მიერ სირიის მხარისათვის სატვირთო მანქანებით იარაღის გადაცემაა ასახული, სბერბეროღლუ დამნაშავედ ჯაშუშობის მუხლით ცნეს. ოქტომბერში სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა.

წამება და არასათანადო მოპყრობა

წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდების გამოყენების შემთხვევები მრავლად იყო, განსაკუთრებით – წინასწარი პატიმრობისას, თუმცა რაოდენობა გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე 2016 წლის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდგომ პერიოდში. თურქეთის ხელისუფლება ევროპის წამების პრევენციის კომიტეტს ჩავარდნილი გადატრიალების შემდგომი მოვლენების ამსახავი ანგარიშის გამოქვეყნებაში ხელს კვლავ უშლიდა. საპატიმროების მონიტორინგის მანდატის მქონე ეფექტური პრევენციის ეროვნული მექანიზმი არ არსებობდა. წამების ბრალდებით მიმდინარე საქმეების თაობაზე სტატისტიკა არ იყო ხელმისაწვდომი. ვარაუდის საფუძველს, რომ წამების საქმეების ეფექტური გამოძიება ხდებოდა, არაფერი იძლეოდა.

აგვისტოში არასამთავრობოებმა განაცხადეს, რომ ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა სულ ცოტა 30 ადამიანს სცემეს სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე შირნაქის პროვინციის სოფელ ალთინსუში (შაპატანი) PKK-სთან შეტაკების შემდეგ, რომლის დროსაც სპეცსამსახურების ორი თანამშრომელი დაიღუპა. თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ სოფლის მაცხოვრებლები საკუთარი სახლებიდან გამოიყვანეს, უსაფუძვლოდ დააკავეს და სოფლის მოედანზე სცემეს. ათი მათგანი დააპატიმრეს. მათი სხეულის დაზიანებების ამსახველი ფოტომასალა სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა. გუბერნატორის

ადმინისტრაციამ წამების ბრალდებები უარყო და მათზე საპასუხოდ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია „ტერორისტულ პროპაგანდას“ ემსახურებოდა.

დაუსჯელობა

პროკურორებსა და მოსამართლეებზე უკიდურესი პოლიტიკური წნეხი შენარჩუნდა. სამართალდამცავების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოსაძიებლად და დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად ისინი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად იყვნენ მონდომებულნი. ადვოკატების შევიწროებამ, მათ შორის – დაკავებებმა და სისხლის სამართლებრივმა დევნამ, მათი მუშაობა კიდევ უფრო დააბრკოლა. 2015 და 2016 წლებში თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში სადღეღამისო კომენდანტის საათისას ჩადენილი მრავალი დარღვევა გამოუძიებელი რჩებოდა. თურქეთის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებიდან ხუთ წელზე მეტი გავიდა, თუმცა მისი დაცვა პრობლემად რჩებოდა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები იზრდებოდა.

აპრილში ბერკინ ელვანის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელის სასამართლო პროცესი დაიწყო. ბერკინ ელვანი 2013 წლის ივნისში გეზის პარკის საპროტესტო აქციისას ცრემლსადენი გაზის კონტეინერის მოხვედრის შედეგად მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. გამოძიება უსაფრთხოების კამერების ჩანაწერების მოპოვების დაგვიანების გამო გაიწელა.

2015 წლის 28 ნოემბერში უფლებადამცველისა და დიარბაქირის იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის, თაჰირ ელჩის მკვლელობიდან ორ წელზე მეტი გავიდა და ეჭვმიტანილები კვლავ არ არიან გამოვლენილნი. ამ შემთხვევაშიც, გამოძიებას ხელს უსაფრთხოების კამერის ჩანაწერების მოპოვების დაყოვნება უშლიდა.

ივლისში ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ 34 საქმეზე ინფორმაცია გასცა; ეს საქმეები თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში 2015 და 2016 წლებში კომენდანტის საათის პოლიტიკის გატარებისას სიცოცხლის, წამებისგან დაცვისა და თავისუფლების უფლებების შებღალვას შეეხებოდა.

ორგანიზაციამ „ჩვენ დავასრულებთ ფემიციდს“ ქალთა მკვლელობების ზრდის ტენდენციის შესახებ განაცხადა, ხოლო მედიის ყურადღება ასეთი საქმეებისადმი შემცირდა. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2017 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, 392 ქალი იყო მოკლული.

შეიარაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების უფრო დაბალი რაოდენობა დაფიქსირდა, შეიარაღებული ჯგუფები მოსახლეობის უფლებების შელახვას აგრძელებდნენ.

იანვარში სტამბოლის ერთ-ერთ კლუბში შეიარაღებულმა პირმა 39 ადამიანი მოკლა და 70-მდე დაჭრა. თავდასხმაზე შეიარაღებულმა ჯგუფმა ისლამურმა სახელმწიფომ (IS) აიღო პასუხისმგებლობა.

იანვარშივე იზმირის სასამართლოზე თავდასხმისას დაიღუპა ორი და დაშავდა 10 პირი. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა PKK-ის განშტოებამ, „ქურთისტანის თავისუფლების შევარდნებმა“ აიღეს.

ივნისში კვლავ PKK-მ აიღო პასუხისმგებლობა ნეჯმეტინ იილმაზის გატაცებისა და მკვლელობისათვის. იილმაზი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის თუნჯელის (ყოფილი დერსიმი) პროვინციაში მცხოვრები მასწავლებელი იყო.

კოლექტიური გათავისუფლება

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დადგენილებების ფარგლებში, საჯარო სექტორში დასაქმებული პირები „ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირის“ საფუძველზე კოლექტიური

გათავისუფლებების რისკის ქვეშ იყვნენ. წლის განმავლობაში დაახლოებით 20 ათასი საჯარო მოხელე გაუშვეს, რამაც შესაბამისი მაჩვენებელი 2016 წლის ივლისის შემდეგ 107 ათასამდე აიყვანა. ბევრ მათგანს საკუთარი პროფესიით დასაქმება აეკრძალა და ტერორიზმის საფუძველზე გათავისუფლების შემდეგ სამსახურის პოვნა უჭირდა. იანვარში ხელისუფლებამ გათავისუფლებების საკითხზე შვიდწევრიანი სააპელაციო კომისიის შექმნის გეგმა გამოაცხადა. კომისია ივლისში შეიქმნა და წლის ბოლოსთვის 100 ათასამდე მიღებული საჩივრიდან გადაწყვეტილება 100-ზე ნაკლებ შემთხვევაში ჰქონდა მიღებული. კრიტიკა კომისიის დამოუკიდებლობის ხარისხის, შესაბამისი კომპეტენციებისა და რესურსების ნაკლებობის თაობაზე ხშირი იყო. ივნისში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სარჩელი „ქოქსალი თურქეთის წინააღმდეგ“ დაუშვებლად ცნო და ბრძანა, რომ არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ ზემოხსენებული კომისია უფლებების აღდგენის ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენდა. სასამართლომ კომისიის მუშაობის ეფექტიანობის მომავალში ხელახლა შეფასების საკითხის პრეროგატივა დაიტოვა.

იძულებით გადაადგილებული პირები

2015 და 2016 წლებში თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქებში, რომლებზეც კომენდანტის საათი ვრცელდებოდა, საკუთარი სახლებიდან დაახლოებით 500 ათასი ადამიანი გამოიყვანეს და იძულებით გადაადგილეს. ამ პერიოდში მათ ადეკვატურ საცხოვრისსა და მატერიალურ საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. უკან დაბრუნებისას, ბევრ მათგანს სპეცსამსახურებისა და PKK-სთან დაკავშირებული პირების შეტაკებისას განადგურებული სახლი დახვდა. ხელისუფლებას ამ ადამიანების საკუთარ სახლებში დასაბრუნებლად გეგმა კვლავ არ ჰქონდა.

ქალაქ დიარბაქირის სურის რაიონში ის პირები, ვინც კომენდანტის საათის გამო უკვე გადაადგილებულნი იყვნენ, სახლი მეორედ დაკარგეს, ვინაიდან უბნის ხელახალი განვითარების სქემის ფარგლებში გამოაძევეს. გასახლების იძულების მოტივით, მაისში ასობით მოსახლეს წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

თურქეთი მსოფლიოში ყველაზე მეტი ლტოლვილის მასპინძლობას აგრძელებდა, სადაც მხოლოდ სირიული წარმოშობის 3,3 მილიონი ლტოლვილი იყო. ლტოლვილების მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე ახალი ინიციატივების მიუხედავად, ბევრი მათგანი ისეთი გამოწვევების წინაშე რჩებოდა, როგორიცაა შეზღუდული რესურსები, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები, შეზღუდული ჯანდაცვა და სასკოლო განათლების ხელმიუწვდომლობა. სირიელების გარდა, სტატუსის განსაზღვრაზე სხვა ქვეყნებიდან წამოსულ ლტოლვილებს სამართლიან და ეფექტიან პროცედურებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. წლის განმავლობაში იძულებით ბევრი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი დააბრუნეს უკან, მათ შორის – სირიაში. ხელისუფლება საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაციების, რომლებიც ლტოლვილების საკითხებზე მუშაობდნენ, მუშაობას უფრო და უფრო ზღუდავდა და, რიგ შემთხვევებში, ქვეყანაში მუშაობის ნებართვას არ აძლევდა.

სირიელი და ერაყელი ლტოლვილები საკუთარი წარმომავლობის ქვეყნებში კოლექტიურად და იძულებით აღმოსავლეთ თურქეთის ქალაქ ვანში მდებარე ცენტრიდან მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში გააძევეს. არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 200 ერაყელი და 300 სირიელი უკან მას შემდეგ გაუშვეს, რაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ „ნებაყოფილობითი დაბრუნების“ შესახებ

განცხადებებზე ხელი იძულებით მოაწერინეს.

ირანი

ირანის ისლამური რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: აიათოლა საიდ ალი ხამენეი (ირანის ისლამური რესპუბლიკის უზენაესი ლიდერი)
მთავრობის მეთაური: ჰასან რუჰანი (პრეზიდენტი)

ხელისუფლება მნიშვნელოვნად ზღუდავდა გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის, ასევე რელიგიისა და რწმენის თავისუფლებებს. პირებს, რომლებიც განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ, პატიმრობა ელოდათ. სასამართლო პროცესები სისტემური დარღვევებით მიმდინარეობდა. წამება და ძალადობის სხვა სახეები ფართოდ იყო გავრცელებული და დაუსჯელი რჩებოდა. გამათრახება, სხეულის ნაწილების მოკვეთა და სხვა სასტიკი სასჯელები პრაქტიკაში ხშირად გამოიყენებოდა. ხელისუფლების მიერ სქესის, პოლიტიკური შეხედულების, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური კუთვნილების, ფიზიკური და გონებრივი უნარების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია და ძალადობა ფართოდ იყო წახალისებული. 2017 წელს სიკვდილით ასობით ადამიანი დაისაჯა, ზოგ შემთხვევაში საჯაროდ, და ათასობით ადამიანი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელოდა. მათ შორის იყვნენ დანაშაულის ჩადენისას 18 წელს მიუღწეველი პირებიც.

ზოგადი მოცემულობა

მარტში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ირანში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხებზე სპეციალურ მომხსენებელს მანდატი გაუგრძელა. მისი და გაეროს სხვა ექსპერტების ქვეყანაში შესვლაზე შეზღუდვა ხელისუფლებას არ მოუხსნია.

მაისში პრეზიდენტი რუჰანი მეორე ვადით აირჩიეს. არჩევნებს წინ დისკრიმინაციული საარჩევნო პროცესი უძღოდა, სადაც სქესის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე ასობით კანდიდატი იქნა დისკვალიფიცირებული. წარსულში სავარაუდოდ მძიმე დანაშაულებში მონაწილე პირების მინისტრებად დანიშვნამ საჯარო კრიტიკა გამოიწვია.

ევროკავშირსა და გაეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციისათვის რამდენიმე უფლებადამცველის პატიმრობაში ყოფნის პარალელურად ევროკავშირმა და ირანმა ადამიანის უფლებათა საკითხებზე ორმხრივი დიალოგის განახლება სცადეს. ირანთან ორმხრივი ადამიანის უფლებების დიალოგის წარმოება კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანამ, მათ შორის ავსტრალიამ, შვედეთმა და შვეიცარიამ დაიწყეს.

დეკემბრის ბოლოს სიღარიბის, კორუფციისა და პოლიტიკური რეპრესიების გასაპროტესტებლად ათასობით ირანელი ქუჩებში გამოვიდა. 2009 წლის შემდეგ ეს ამ მასშტაბის პირველი აქცია იყო, სადაც მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა.

გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები

ხელისუფლებამ გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებების შელახვა განაგრძო, რაც ბუნდოვანი ეროვნული უსაფრთხოების ბრალდებით განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დაკავებებში გამოიხატებოდა. სამიზნეებს შორის იყვნენ მშვიდობიანი პოლიტიკური დისიდენტები, ჟურნალისტები, ონლაინ მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები, რეჟისორები, მუსიკოსები და მწერლები, ადამიანის უფლებათა დამცველები, მათ შორის – ქალთა უფლებების აქტივისტები, უმცირესობათა აქტივისტები, გარემოსდამცველები, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები,

სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე აქტივისტები, ადვოკატები და ის ადამიანები, რომელთაც 1980-იან წლებში მასობრივი მკვლელობებისა და გაუჩინარებებისთვის სამართლიანობის აღდგენა სურთ.

ბევრმა სინდისის პატიმარმა საკუთარი უსამართლო პატიმრობა შიმშილობით გააპროტესტა.

დეკემბრის ბოლოს ქვეყნის მასშტაბით დაწყებული ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების საპასუხოდ ასობით ადამიანი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება აქციის შეუიარაღებელ მონაწილეებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროდა. აქციებისას გამოყენებულ ჭარბ ძალას მსხვერპლი მოჰყვა. 31 დეკემბერს ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიის მინისტრმა პოპულარული მობილური აპლიკაციები ინსტაგრამი და ტელეგრამი დაბლოკა, რომელთაც აქტივისტები აქციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდაჭერის მობილიზებისათვის იყენებდნენ.

წლის დასაწყისში სასამართლოს მაღალჩინოსნები ინფორმაციისა და კომუნიკაციების სამინისტროსგან ტელეგრამის სერვერების ირანში გადმოტანისა და ათობით ათასი საკომუნიკაციო არხის დაბლოკვის უზრუნველყოფას ითხოვდნენ. მოტივი „ეროვნული უსაფრთხოების" ხელყოფა და „რელიგიური ღირებულებების შეურაცხყოფა" იყო. ტელეგრამმა ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმები, როგორიცაა ფეისბუქი, თვითერი და იუთუბი, დაბლოკილი იყო.

მაისში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჟურნალისტებსა და ონლაინ მედიაში დასაქმებულ სხვა პირებს დაკითხვებისა და უსაფუძვლო დაკავებების ახალი მკაცრი ტალღა დაუპირისპირდა. მათ, ვინც ტელეგრამს იყენებდა, განსაკუთრებით მძიმე სასჯელი მიეზღო, რიგ შემთხვევებში – ათ წელზე მეტი ვადით პატიმრობა.

მუსიკალური გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული იყო. ქალებს საჯაროდ სიმღერა აეკრძალათ და ხელისუფლება აგრძელებდა კონცერტების ძალისმიერად ჩაშლას. აგვისტოში რამდენიმე ასეულმა ხელოვანმა პრეზიდენტ რუჰანის ამ მკაცრი შეზღუდვების მოხსნისაკენ მოუწოდა.

ხელისუფლება კერძო წვეულებებზე, სადაც სხვადასხვა გენდერულ იდენტობას მიკუთვნებული პირები იმყოფებოდნენ, ძალადობრივ რეიდებს აგრძელებდა. ასეულობით ახალგაზრდა იქნა დაკავებული და ბევრს გამათხრახება მიესაჯა.

ყველა ტიპის მედიაზე ცენზურა და უცხოური სატელიტური სატელივიზიო არხების სიხშირეების დაბლოკვა გაგრძელდა. სასამართლოს წარმომადგენლებმა BBC-ის სპარსულ სამსახურში მომუშავე ჟურნალისტებზე ზეწოლა გააძლიერეს, ტელეარხის 152 ყოფილი თუ მოქმედი ჟურნალისტის ქონება დააყადაღეს და ფინანსური ტრანზაქციების წარმოება აუკრძალეს.

ჟურნალისტების ასოციაციის მუშაობა კვლავ შეჩერებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა რუჰანიმ შესაბამისი შეზღუდვის გაუქმების თაობაზე პირობა დადო, სტუდენტებს, რომლებიც მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობაში იყვნენ შემჩნეულნი, სწავლა კვლავაც ეკრძალებოდათ.

დამოუკიდებელი პროფკავშირები კვლავ აკრძალული იყო და რამდენიმე აქტივისტი არასამართლიანად იქნა დაკავებული. უსაფრთხოების ძალები მშვიდობიანი პროტესტის ჩახშობას აგრძელებდნენ, მათ შორის – მშრომელთა საერთაშორისო დღეს.

ჰაერის დაბინძურების, ტბების გაუჩინარების, მდინარეების მიმართულების შეცვლისა და ნარჩენების არასწორი მენეჯმენტის წინააღმდეგ მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის ათეულობით გარემოსდაცვითი აქტივისტი დაიკითხა და სამართლებრივ დევნაში მიცემული.

ოპოზიციის ლიდერები მეჰდი ქარუბი, მირ ჰოსეინ მუსავი და ამ უკანასკნელის ცოლი ზარა რანავარდი 2011 წლის შედეგ

შინაპატიმრობაში იმის მიუხედავად რჩებოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ოფიციალურად არც საქმე იყო აღძრული და არც სასამართლო იყო გამართული.

წამება და არასათანადო მოპყრობა

წამება და არასათანადო მოპყრობა კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით – დაკითხვებისას. დაზვერვის სამინისტროსა და რევოლუციური გვარდიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პატიმრები, როგორც წესი, ე.წ. კარცერში, განმარტოებით ხანგრძლივი ვადით იმყოფებოდნენ, რაც წამებას უტოლდებოდა.

წამების შემთხვევების გამოუძიებლობა და ამ გზით მოპოვებული „აღიარებითი ჩვენებების" მტკიცებულებად დაშვება ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა.

ხელისუფლებამ პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული პატიმრებისთვის შესაბამის სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა განაგრძო. ბევრ შემთხვევაში ამის მიზეზი ამ ადამიანების დასჯა ან „აღიარების" გამოძალვის მცდელობა იყო, და წამებას უტოლდებოდა.

პატიმრები სასტიკ და არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ. პრობლემებს შორის იყო გავსებული საკნები, შეზღუდული ცხელი წყალი, შეუსაბამო საკვები, საწოლების უკმარისობა, ცუდი ვენტილაცია და მწერები.

ქალაქ ყარაჯის რაჯაი შარის საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა ათეულობით პოლიტიკურმა პატიმარმა ივლისი-სექტემბრის პერიოდში ცუდი პირობების გასაპროტესტებლად შიმშილობა გამოაცხადა. ზოგს მკურნალობაზე ეთქმეოდა უარი, ზოგს კარცერში განმარტოებით ათავსებდნენ, ხოლო ზოგს ახალი სასჯელები ემატებოდა.

სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელები

სასამართლო წამებასთან გათანაბრებული სასტიკი და არაადამიანური სასჯელების, მათ შორის – საჯაროდ, გამოყენებას განაგრძობდა.

მრავალი ადამიანი, მათ შორის ბავშვები, ხშირად 100-მდე შოლტს იღებდნენ სასჯელად ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა ქურდობა და ხულიგნობა და სხვა ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, კრიმინალიზებული არ უნდა იყოს, მათ შორის – ქორწინებისგარეშე ურთიერთობები, შერეული სქესის წვეულებები, რამადანის დროს საჯაროდ საკვების მიღება და მშვიდობიან საპროტესტო აქციაში მონაწილეობა.

იანვარში ისპაანის პროვინციის ქალაქ ნაჯაფ აბადში ჟურნალისტი 40-ჯერ გაშოლტეს. ის სასამართლომ დამნაშავედ ქალაქის პოლიციის მიერ ჩამორთმეული მოტოციკლების რაოდენობის არასწორად გაშუქებაში ცნო. აგვისტოში მარყაზის პროვინციის სისხლის სამართლის სასამართლომ მშრომელთა უფლებების დამცველ შაფურ ეჰსანირადს უსამართლო შრომითი პირობების საწინააღმდეგო აქციაში მონაწილეობისთვის 30 შოლტი და ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

თებერვალში უზენაესმა სასამართლომ ქოხგილუესა და ბოიერაჰმედის პროვინციის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ქალისთვის დაბრმავების მისჯა სამართლიანად ჩათვალა და ძალაში დატოვა. სასამართლომ ქალი სხვა ქალის დაბრმავებაში ცნო დამნაშავედ.

სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა ათეულობით ადამიანს მიესაჯა. უზენაესი სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებებს ძალაში ტოვებდა. აპრილში ფარსის პროვინციის ქალაქ შირაზის სასამართლოს წარმომადგენლებმა ჰამიდ მოინეს ხელი მოჰკვეთეს და 10 დღის შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს. მას მკვლელობა და ყაჩაღობა ედებოდა ბრალად. სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთის სასჯელი ყაჩაღობის სულ მცირე ოთხ სხვა შემთხვევაშიც იყო გამოყენებული.

ხელისუფლება დამამცირებელ სასჯელებსაც იყენებდა. აპრილში სამი მამაკაცი, რომელთაც ბრალად ადამიანების გატაცება და სხვა დანაშაულების ჩადენა ედებოდათ, ილამის პროვინციის ქალაქ დელორანში

ხელშეკრული და კისერზე საპირფარეშოსთვის განკუთვნილი წყლის ქილებით ჩამოკიდებული ჩამოატარეს. მსგავსი დამამცირებელი სასჯელი ივლისში თეირანის პროვინციის ქალაქ პაკდაშტში რვა სხვა მამაკაცის შემთხვევაშიც იქნა გამოყენებული.

მაისის თვეში ქვეყნის დედაქალაქ თეირანის სისხლის სამართლის სასამართლომ ქორწინებისგარეშე ინტიმური ურთიერთობისათვის ქალს ორი წლის განმავლობაში ცხედრების დაბანა და 74 შოლტი მიუსაჯა. კაცს 99 შოლტი მიუსაჯეს.

არასამართლიანი სასამართლო

სასამართლო სხდომები, განსაკუთრებით კი ისინი, სადაც მოსამართლეს სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა, სისტემური დარღვევებით მიმდინარეობდა. სასამართლოში ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის არანაირი დამოუკიდებელი მექანიზმი არ არსებობდა. მოსამართლეების მიმართ სერიოზული კითხვის ნიშნები არსებობდა, განსაკუთრებით კი მათ მიმართ, ვინც რევოლუციურ სასამართლოებს ხელმძღვანელობდა, პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე ან დაზვერვის ორგანოებთან კავშირების გამო ინიშნებოდა და სამართლებრივი კვალიფიკაცია აკლდათ.

2015 წლის სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსით გათვალისწინებული დებულებები, მათ შორის – დაკავების დროიდან და გამოძიების პერიოდში ადვოკატის ყოლის უფლება, მუდმივად ილახებოდა. ხელისუფლებამ კოდექსის 48-ე მუხლის პოლიტიკური მოტივებით გამოყენება განაგრძო და დაკავებულებს მათთვის სასურველ ადვოკატებზე წვდომას უზღუდავდა. ადვოკატებს უცხადებდნენ, რომ სასამართლოს ხელმძღვანელის მიერ დასაშვებ ადვოკატთა სიაში არ იყვნენ, როდესაც არავითარი ასეთი ოფიციალური სიის არსებობის შესახებ არ არის ცნობილი.

სასამართლო სხდომები, განსაკუთრებით რევოლუციურ სასამართლოებში, დახურული და მოკლე იყო, ხშირად სულ რამდენიმე წუთის ხანგრძლივობის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ორმაგი მოქალაქეობის მქონე ირანელები უსაფუძვლო დაკავებებს, არასამართლიან სასამართლოს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობას კვლავ ექვემდებარებოდნენ. ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამით ის საზღვარგარეთ დაგეგმილ „შეღწევის პროექტებს“ ებრძოდა. ეს პირები ხშირად მშვიდობიანი პროტესტისათვის და საკუთარი აზრის გამოხატვისათვის „ეროვნული უსაფრთხოების“ ბუნდოვანი მუხლით იდევნებოდნენ.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

კანონსა და პრაქტიკაში, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება სისტემურად ილახებოდა. ხელისუფლება საჯაროდ მოქცევის წესების, რომლებიც შიიტური ისლამის მკაცრ ინტერპრეტაციას წარმოადგენდნენ, მისადაგებას ყველა რწმენის ადამიანის მიმართ აგრძელებდა. ისლამის სხვა განშტოებების მიმდევრებს საპრეზიდენტო კანდიდატად დაყენების ან სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლება არ ეძლეოდათ.

ბაჰაის უმცირესობაზე სისტემური თავდასხმები გაგრძელდა, მათ შორის – დაუსაბუთებელი დაკავებები, დაუშვებელზე ხანგრძლივი ვადით პატიმრობა, წამება და არასათანადო მოპყრობა, საწარმოების დახურვა, ქონების ჩამორთმევა, საჯარო სექტორში დასაქმების აკრძალვა და უმაღლეს განათლებაზე წვდომის აკრძალვა. ხელისუფლების წარმომადგენლები გამუდმებით ზიზღსა და ძალადობას აღვივებდნენ, უწოდებდნენ რა ბაჰაის მიმდევრებს „ერეტიკოსებსა“ და „ბინძურებს“. შეშფოთებას იწვევდა ორი მამაკაცის დაუსჯელობა, რომლებმაც ბაჰაის მიმდევარი ფარანგ ამირი რწმენის გამო მოკლეს. ისინი გირაოს საფუძველზე ივნისში გამოუშვეს.

კონსტიტუციით არაღიარებული სხვა რელიგიური უმცირესობები, როგორიცაა

იარესანი (ალე ჰაქი) სისტემურ დისკრიმინაციას განათლების სისტემასა და დასაქმების საკითხებში აწყდებოდნენ და რწმენისათვის იდევნებოდნენ.

რელიგიური რწმენის შეცვლის ან რელიგიის უარყოფის უფლება კვლავ იზღუდებოდა. ქრისტიანობაზე გადასულ პირებს მკაცრი საპატიმრო სასჯელები ეფარდებოდათ, ზოგ შემთხვევაში – 10-15 წელი. სახლში მოწყობილ სალოცავებზე რეიდები გრძელდებოდა.

გონაბადელ დერვიშებს პატიმრობა ემუქრებოდათ. მათ სალოცაცებზე თავდასხმები გაგრძელდა. რამდენიმე პირი სამსახურიდან დაითხოვეს და უნივერსიტეტში სწავლაზე უარი ეთქვათ.

ათეისტებს დაკავება, წამება, არასათანადო მოპყრობა და „ურწმუნობისთვის" სიკდვილით დასჯაც კი ემუქრებოდათ.

სუნიტი მუსლიმები აცხადებდნენ, რომ ხშირად ხდებოდა მათი დისკრიმინაცია; მაგალითად, იდ ალფიტრის აღსანიშნად განცალკევებით სალოცავების მოწყობაზე უარი და მაღალ თანამდებობებზე დანიშვნაზე შეზღუდვა.

ოქტომბერში, ირანული კანონმდებლობისათვის გვერდის ავლით, ადმინისტრაციულმა სასამართლომ ზოროასტრიზმის მიმდევარ სეპანტა ნიკნამს იაზდის ქალაქის საკრებულოს წევრობა შეუწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ირანის გვარდიის საკრებულოს თავმჯდომარის მოსაზრება გახდა იმის თაობაზე, რომ არამუსლიმების მიერ მუსლიმების მართვა შარიას კანონს ეწინააღმდეგება.

სხვა აღმსარებლობის ქონისთვის, სულ მცირე, ორი ადამიანი იქნა სიკვდილმისჯილი. ეს საქმეები მოგვიანებით ქვეთავში არის განხილული.

დისკრიმინაცია – ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობები, მათ შორის აჰვაზი არაბები, აზერბაიჯანელი თურქები, ბალუჩები, ქურთები და თურქმენები ღრმად გამჯდარი დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ, რაც მათ განათლებაზე, დასაქმებაზე, სათანადო თავშესაფარზე და თანამდებობაზე ხელმისაწვდომობას ზღუდავდა.

უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისადმი უყურადღებობამ კიდევ უფრო გააუარესა იქ მცხოვრები უმცირესობების ეკონომიკური მდგომარეობა და მარგინალიზების ხარისხი. სისტან-ბალუჩისტანის პროვინციაში ბევრი სოფლის მოსახლე წყლის, ელექტროენერგიის, სკოლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის ნაკლებობას განიცდიდა. გაღარიბებულ პროვინციაში გოგონებს შორის წერა-კითხვის არცოდნა და ბავშვთა სიკვდილიანობა პრობლემებად რჩებოდა.

სპარსული ენა დაწყებით და საშუალო სკოლაში სწავლების ერთადერთ ენად რჩებოდა, რაც უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განათლების მიტოვების მიზეზს წარმოადგენდა.

უმცირესობების თვითმმართველობის უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობა წუხილს იწვევდა. უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ხმას სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ იმაღლებდნენ, უსაფუძვლო დაკავება, წამება და არასათანადო მოპყრობა, არასამართლიანი სასამართლო, პატიმრობა და სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. დაზვერვა და უსაფრთხოების სამსახურები უმცირესობებს მიკუთვნებულ აქტივისტებს ხშირად „სეპარატისტული განშტოებების" მხარდაჭერასა და ირანის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში დებდნენ ბრალს.

სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ერაყსა და ირანის ქურთისტანს შორის საზღვარზე მომუშავე „ქულბარებად" წოდებული ქურთი მამაკაცების მისამართით უკანონოდ სროლას განაგრძობდნენ. ამისათვის ისინი დაუსჯელები რჩებოდნენ. სექტემბერში უსაფრთხოების სამსახურებმა ძალადობრივად ჩაახშეს ბანესა და სენენდეჯში ორი ქულბარის მკვლელობის გამო გამართული საპროტესტო აქციები და ათზე მეტი პირი დააკავეს.

სექტემბერში ჩრდილოეთ ერაყში ქურთული რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ გამართულ რეფერენდუმთან

დაკავშირებით ირანის ქურთმა უმცირესობამ დემონსტრაციები მოაწყო, რასთან დაკავშირებითაც ქურთისტანის პროვინციაში დიდი რაოდენობით პოლიციელი იყო მობილიზებული. გავრცელებული ცნობებით, ათზე მეტი პირი დააკავეს.

ივნისში იდ ალფიტრის დღესასწაულის წინ ქალაქ აჰვაზში უსაფრთხოების სამსახურები გამოჩნდნენ, რათა პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული ან სიკვდილმისჯილი აჰვაზელი არაბების ოჯახის წევრებისადმი სოლიდარობის გამოხატვის დაგეგმილი შეკრებისათვის ხელი შეეშალათ. ათზე მეტი პირი უსაფუძვლოდ დააკავეს და გაცილებით მეტი დაკითხვაზე დაიბარეს. აჰვაზელი არაბების საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველი მოჰამად ალი ამური სასიკვდილო განაჩენს ელოდა.

დისკრიმინაცია – ქალები და გოგონები

კანონსა და პრაქტიკაში, ოჯახურ და სისხლის სამართლებრივ საკითხებში, ქალები ღრმად ფესვგამდგარი დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ. ეს განქორწინების, დასაქმების, მემკვიდრეობისა და პოლიტიკური თანამდებობის დაკავების საკითხებზე შეზღუდვებში გამოიხატებოდა.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახური ძალადობა და ადრეული და იძულებითი ქორწინება, ფართოდ იყო გავრცელებული და დაუსჯელობით ხასიათდებოდა. ხელისუფლებამ გენდერული ნიშნით ძალადობის კრიმინალიზება კვლავ ვერ მოახდინა; 2012 წელს ინიცირებული შესაბამისი კანონპროექტი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ქორწინებაში შესვლის ასაკად გოგონებისთვის 13 წელი დარჩა, თუმცა მამებსა და ბაბუებს მათი კიდევ უფრო მცირე ასაკში დასაქორწინებლად ნებართვა სასამართლოსგან შეუძლიათ მოიპოვონ.

გვარდიის საბჭომ საპრეზიდენტო კანდიდატებად დარეგისტრირებული 137 ქალიდან აბსოლუტურად ყველას დისკვალიფიკაცია მოახდინა. სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების მიუხედავად, პრეზიდენტ რუჰანის კაბინეტში ქალი მინისტრი არ დანიშნულა.

თავსაბურავის (ჰიჯაბი) სავალდებულოდ ტარების წესი პოლიციელებსა და ნახევრადსამხედრო ძალებს შესაძლებლობას აძლევდა, დაეკავებინათ და შეევიწროებინათ ქალები თავშლის ქვემოდან თუნდაც რამდენიმე ღერი თმის გამოჩენისათვის. შევიწროებას ქალები გამოკვეთილი მაკიაჟისა და ტანზე მომდგარი ტანსაცმლის ტარებისათვისაც განიცდიდნენ. იმ ქალების წინააღმდეგ, რომლებიც სავალდებულო ჰიჯაბის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ანტიკამპანიები მიმდინარეობდა.

ირანის სამოქალაქო კოდექსი არაირანელ კაცებზე დაქორწინებულ ირანელ ქალებს კვლავ უკრძალავს მოქალაქეობის შვილებზე გადაცემას, რისი უფლებაც უცხოელ ქალებზე დაქორწინებულ ირანელ კაცებს აქვთ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოთხოვნა ქალი მაყურებლის სტადიონზე დაშვებასთან დაკავშირებით უგულვებელყვეს.

თანამედროვე კონტრაცეპციულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა ქალებს კიდევ უფრო შეეზღუდათ, ვერ შეძლო რა ხელისუფლებამ 2012 წელს შემცირებული ოჯახის დაგეგმვის სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის ხელახლა გაზრდა. პარლამენტმა ოქტომბერში კანონი მიიღო, რომლითაც კონტრაცეპციის შესახებ ინფორმაციის გაცემა მკაცრად იზღუდება.

ხელისუფლებამ ქალ აქტივისტთა მოგზაურობის მონიტორინგი და შეზღუდვა გააგრძელა. ქალთა გაძლიერებისა და არჩევნების თემაზე საქართველოში ჩატარებულ ვორქშოფში მონაწილეობისათვის ალიე მოთალებზადეს აგვისტოში სამწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

დისკრიმინაცია – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და აივ ინფეცირებულები

მარტში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა ირანის ადამიანის უფლებათა მდგომარეობა შეაფასა. კომიტეტმა სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების დისკრიმინაცია და მათ მიმართ ძალადობა დაგმო. კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა მობილობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სამუშაო ადგილას გონივრული პირობების არარსებობის გამო. დაიგმო ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გენდერული და სექსუალური ორიენტაციის გამო ასეთად მიჩნეულ პირთა იძულებითი ინსტიტუციონალიზაცია და არანებაყოფლობითი სამედიცინო მკურნალობა. დეკემბერში პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დაცვის შესახებ კანონი მიიღო, რომელიც სრულად ამოქმედების შემთხვევაში, ამ პირების განათლების, თავშესაფრის მიღების, ჯანდაცვისა და დასაქმების უფლებების რეალიზებას შეუწყობს ხელს.

აგვისტოში განათლების სამინისტრომ მასწავლებლობის კანდიდატების დისკვალიფიკაციისათვის დისკრიმინაციული კრიტერიუმები შემოიღო. ამ კრიტერიუმებს შორის იყო სხვადასხვა ავადმყოფობები, სიელმე, ხალები სახეზე, სიდაბლე და ჭარბი წონა. მწვავე საჯარო კრიტიკის შემდეგ სამინისტრომ ამ წესების ცვლილების პირობა დადო, თუმცა განაცხადა, რომ „მორალური“ მიზეზების გამო აივ ინფექციის მქონე პირების მიმართ აკრძალვა დარჩება.

სიკვდილით დასჯა

პროცესუალური დარღვევებით ჩატარებული სასამართლო პროცესების ნაწილი სასიკვდილო განაჩენით სრულდებოდა. წლის განმავლობაში სიკვდილით ასობით ადამიანი დაისაჯა, ზოგ შემთხვევაში – საჯაროდ.

ხელისუფლება სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ წარმოებული მშვიდობიანი კამპანიების „ანტიისლამურად“ შერაცხვას აგრძელებდა, ხოლო აქტივისტებს ავიწროებდა და აპატიმრებდა.

სასიკვდილო განაჩენის უმრავლესობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის იყო გამოტანილი. ოქტომბერში მიღებულმა კანონმა სასიკვდილო განაჩენის მისასჯელად ნარკოტიკული საშუალებების მინიმალური დოზები გაზარდა, თუმცა სავალდებულო სიკვდილით დასჯა ბევრი სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში შენარჩუნდა. მართალია, კანონის რეტროაქტიულად ამოქმედებაც იყო გათვალისწინებული, თუმცა წლის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, თუ როგორ აპირებდა ხელისუფლება კანონის მისადაგებას განაჩენის მომლოდინე პირებისთვის.

დადასტურებით შეიძლება იმის თქმა, რომ 2017 წელს დანაშაულის ჩადენისას სრულწლოვანებას არმიღწეული ოთხი პირი დაისაჯა სიკვდილით, 92 კი სასჯელის აღსრულებას ელოდა. რეალური მონაცემები, დიდი ალბათობით, ბევრად უფრო მაღალია. საჯარო წნეხის გამო, რამდენიმე სასჯელის აღსრულების შეჩერება ბოლო წუთში გახდა შესაძლებელი. 2013 წლის ისლამური სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული არასრულწლოვანი დამნაშავეების ხელახალი სასამართლო პროცესები კვლავ სასიკვდილო განაჩენით სრულდებოდა იმ არგუმენტით, რომ ისინი დანაშაულის ჩადენისას „მოწიფულები“ იყნენ.

ისეთი ბუნდოვანი დანაშაულები, როგორიცაა „წინასწარმეტყველის შეურაცხყოფა“, „ღმერთის მტრობა“ და „ხორციელი გარყვნილების გავრცელება“ კვლავ სიკვდილით ისჯებოდა.

აგვისტოს თვეში სულიერ წინამძღოლსა და სინდისის პატიმარ მოჰამად ალი ტაჰერს „ხორციელი გარყვნილების გავრცელების“ ბრალდებით სასიკვდილო

განაჩენი მეორედ გამოუტანეს; კერძოდ, ის სასამართლომ სასულიერო ჯგუფ ერფანე ჰალგეჰის შექმნაში ცნო დამნაშავედ. ოქტომბერში უზენაესმა სასამართლომ მისი სიკვდილით დასჯის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმა. ტაჰერი განმარტოებით პატიმრობაში რჩებოდა.

სინდისის პატიმარ მარჯან დავარს მაისში სიკვდილი „ხორციელი გარყვნილების გავრცელებისათვის" მიესაჯა. უზენაესმა სასამართლომ ეს განაჩენიც გააუქმა და დავარის საქმე რევოლუციური სასამართლოს მიერ გადასასინჯად თეირანში გადაგზავნა.

ჩაქოლვა ისლამური სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სიკვდილით დასჯის ერთ-ერთ ფორმად ჯერ კიდევ რჩება.

ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირები.

ისრაელი და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიები

ისრაელის სახელმწიფო სახელმწიფოს მეთაური: რუვენ რივლინი
მთავრობის მეთაური: ბენიამინ ნეთანიაჰუ

ივნისში ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციიდან 50 წელი შესრულდა. ამავდროულად, ღაზას სექტორის უკანონო ბლოკადის დაწესებიდან, რამაც 2 მილიონი ადამიანი კოლექტიური სასჯელის სამიზნედ და ჰუმანიტარული კრიზისის მსხვერპლად აქცია, მე-11 წელი დაიწყო. ისრაელის ხელისუფლებამ დასავლეთ სანაპიროზე, მათ შორის – აღმოსავლეთ იერუსალიმში, დასახლებებსა და შესაბამის ინფრასტრუქტურას კიდევ უფრო ინტენსიურად აფართოებდა. ამით პალესტინელთა გადაადგილების თავისუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ისრაელის შეიარაღებული ძალები პალესტინის მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის – ბავშვებს, კლავდნენ და ათასობით პალესტინელს უკანონოდ აკავებდნენ. ასობით დაკავებული პირი ოფიციალური ბრალდებისა და სასამართლო სხდომის გარეშე ადმინისტრაციულ პატიმრობაში რჩებოდა. დაკავებულების, მათ შორის – მცირეწლოვანთა, მიმართ წამება და სასტიკი მოპყრობა კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული და დაუსჯელი რჩებოდა. აგრძელებდა რა დასავლეთ სანაპიროსა და ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინურ სოფლებში მცხოვრებ პალესტინელთა საცხოვრებელი სახლების ნგრევას, ისრაელი მრავალ პალესტინელს იძულებით ასახლებდა. სამხედრო სამსახურზე მორალური მიზეზებით უარის თქმა დაპატიმრებას იწვევდა. აფრიკიდან წამოსულ ათასობით თავშესაფრის მაძიებელს დეპორტაცია ემუქრებოდა.

ზოგადი მოცემულობა

ისრაელის მაღალჩინოსნებმა დასახლებათა გაფართოება და ტერიტორიების მითვისება ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე კიდევ უფრო ინტენსიური გახადეს. მხარეებს შორის მოლაპარაკებების განახლებაზე აშშ-ისა და საერთაშორისო საზოგადოების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა და ისრაელსა და პალესტინას შორის ურთიერთობა დაძაბული რჩებოდა. იანვარში ისრაელის ხელისუფლებამ ე.წ „რეგულარიზაციის კანონი" მიიღო, რომელიც ახალმოსახლეების მიერ კერძო საკუთრებაში არსებული ათასობით ჰექტარი პალესტინური მიწის, მათ შორის – დაახლოებით 4 500 საცხოვრებელი

სახლის, მითვისებას აკანონებდა. ამასთან, აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მთელ დასავლეთ სანაპიროზე, ათიათასობით ახალი დასახლებული პუნქტის მშენებლობაზე ხელისუფლება ტენდერებს აცხადებდა.

დასავლეთ სანაპიროსა და ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელები ისრაელელებს თავს ცივი და ცეცხლსასროული იარაღით ესხმოდნენ, ავტომანქანებით ეტაკებოდნენ და სხვა გზებით უსწორდებოდნენ. თავდასხმებმა, რომლებიც ძირითადად შეიარაღებულ ჯგუფებთან არააფილირებული პირების მიერ იყო ჩადენილი, ისრაელის 14 მოქალაქისა და ერთი უცხოელის სიცოცხლე იმსხვერპლა. ისრაელის ძალებმა 76 პალესტინელი და ერთი უცხოეთის მოქალაქე მოკლეს, რომელთაგან ზოგის მკვლელობაც უკანონო იყო, ვინაიდან საფრთხეს არავის სიცოცხლეს უქმნიდნენ.

მარტში გაეროს დასავლეთ აზიის ეკონომიკურმა და სოციალურმა კომისიამ ჯერ გამოსცა, ხოლო შემდეგ კი უკან გაიწვია ანგარიში, რომლითაც ისრაელის მიერ პალესტინელების მიმართ „აპარტეიდის დანაშაულში ბრალეულობა“ იკვეთებოდა. მაისში UNESCO-ს რეზოლუციამ აღმოსავლეთ იერუსალიმის, როგორც ოკუპირებულის, სტატუსი ხელახლა დაადასტურა და ქალაქში ისრაელის მოქმედებები გააკრიტიკა. პალესტინელთა მიერ ორი ისრაელელი პოლიციელის მკვლელობის შემდეგ ივლისში ისრაელმა მუსლიმი მლოცველების შესამოწმებლად წმინდა მთის/ჰარამ ალ-შარიფის შესასვლელში მეტალის დეტექტორები დაამონტაჟა. უსაფრთხოების ახალმა ზომებმა დაძაბულობის ზრდა გამოიწვია და პალესტინელთა მხრიდან მასიური პროტესტები მოჰყვა, მათ შორის – კოლექტიური ლოცვები დასავლეთ სანაპიროს მასშტაბით. სამლოცველო დემონსტრაციები, რომელთაც ისრაელი ხშირად გადამეტებული ძალის გამოყენებით ახშობდა, დეტექტორების მოხსნის შემდეგ შეწყდა.

სექტემბერში ღაზაში ჰამასის დე ფაქტო ადმინისტრაციამ და დასავლეთ სანაპიროს „ეროვნული კონსენსუსის“ მთავრობამ შერიგების პროცესი წამოიწყეს, რომელში მონაწილეობაზეც ისრაელმა უარი თქვა.

დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით, იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ცნო, რასაც ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები მოჰყვა.

გადაადგილების თავისუფლება – ღაზას ბლოკადა და დასავლეთი სანაპიროსთვის დაწესებული შეზღუდვები

ისრაელის მიერ ღაზას სექტორზე დაწესებული უკანონო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ბლოკადა მე-11 წელში შევიდა. ტერიტორიიდან და მის შიგნით ადამიანთა და საქონლის გადაადგილებაზე გრძელვადიანი შეზღუდვები გრძელდებოდა, რაც ღაზას მთლიან მოსახლეობას კოლექტიური სასჯელის პირობებს უქმნიდა. ეგვიპტის მიერ რაფაჰის სასაზღვრო ზოლის თითქმის სრულ დახურვასთან და დასავლეთ სანაპიროს სადამსჯელო ღონისძიებებთან ერთად, ისრაელის ბლოკადამ ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია, მათ შორის – ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა და მისი მიწოდების დღეში რვა საათიდან ორ საათამდე შემცირება. ამან გავლენა სუფთა წყალზე, სანიტარულ ნორმებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე იქონია, რამაც ღაზა, გაეროს მიხედვით, „ცხოვრებისთვის შეუსაბამო“ ადგილად აქცია. ღაზას ეკონომიკა კიდევ უფრო ჩამოიშალა და კონფლიქტის შემდეგ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის აღდგენის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. 2014 წლის კონფლიქტის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პალესტინელთა რაოდენობამ 23 500 შეადგინა. სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტები სამედიცინო

მომსახურებას ღაზას გარეთ ისრაელის მიერ დაწესებული შეზღუდვებისა და დასავლეთი სანაპიროს მიერ სამედიცინო გადამისამართებების დაგვიანებული განხილვის გამო ვერ იღებდნენ. ისრაელის სამხედრო ძალები ღაზას შიგნით და ისრაელის საზღვარზე „ბუფერულ ზონას“ ინარჩუნებდნენ და იმ პალესტინელების მისამართით, ვინც ზონას უახლოვდებოდა, ცეცხლს ხსნიდნენ. ასეთი ინციდენტებისას მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე რამდენიმე ფერმერი დაიჭრა. ისრაელის სამხედრო ძალებმა ცეცხლი ღაზას სანაპირო ხაზთან „აკრძალული ზონის“ მახლობლად პალესტინელ მეთევზეებსაც გაუხსნეს, რასაც მინიმუმ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რამდენიმე კი დაშავდა.

დასავლეთ სანაპიროში ისრაელი მთელ რიგ სამხედრო საგუშაგოებს, შემოვლით გზებსა და სამხედრო და ცეცხლის ზონებს ინარჩუნებდა, რაც პალესტინელებს მგზავრობას ან უკან დაბრუნებას უზღუდავდა. ისრაელი ახალ საგუშაგოებსა და ბარიერებს აწესებდა, განსაკუთრებით – აღმოსავლეთ იერუსალიმში. პალესტინელების მიერ ისრაელზე განხორციელებული თავდასხმების საპასუხოდ, სამხედრო თანამდებობის პირებმა კოლექტიური სასჯელები დააწესეს: თავდამსხმელთა ოჯახის წევრებს სამუშაო ნებართვები გაუუქმეს და გარესამყაროს მოწყვიტეს სოფლები და მთლიანი ტერიტორიები, მათ შორის – სილვადი, დირ აბუ მიშალი და ბეით სურიქი.

ქალაქ ჰებრონში პალესტინილების მიმართ დიდი ხნის წინ დაწესებული აკრძალვები და შეზღუდვები, რომლებიც 2015 წელს კიდევ უფრო გამკაცრდა, ძალაში რჩებოდა. ჰებრონის თელ რუმეიდას კვარტალში, რომელიც „დახურულ სამხედრო ზონას“ წარმოადგენს, ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა იქ მცხოვრები პალესტინელი მოსახლეები მკაცრ ჩხრეკას დაუქვემდებარეს, ხოლო შესვლის მსურველ პალესტინელებს საერთოდ არ უშვებდნენ; ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ისრაელის მოქალაქეებისთვის მიმოსვლა თავისუფალი იყო. მაისში ისრაელმა ჰებრონის H2 სექტორში ახალი საგუშაგო და ღობე აღმართა, რითიც პალესტინური გეითის კვარტალი დაუსაბუთებლად შემოსაზღვრა და ტერიტორიის მიმდებარე ქუჩის იზოლირება მოახდინა.

უსაფუძვლო დაკავებები

აკავებდა რა და ტოვებდა ათასობით პალესტინელს საპატიმრო დაწესებულებებში, ისრაელი საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევას აგრძელებდა. დაკავებულთა ოჯახების უმეტესობას, განსაკუთრებით მათ, ვინც ღაზას სექტორიდან იყო, ისრაელში საკუთარი ნათესავების მოსანახულებლად არ უშვებდნენ.

ხელისუფლება დაკავებულებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის სისხლის სამართლებრივი დევნით ჩანაცვლებას აგრძელებდა და ასობით პალესტინელი, რომელთა შორისაც იყვნენ მცირეწლოვნები, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, საპატიმროში ოფიციალური ბრალდების გარეშე ან განახლებული ბრალდებებით რჩებოდა. ხშირ შემთხვევაში, თავად ბრალდებულებისა და მათი იურისტებისთვის დაკავებისა თუ გახანგრძლივებული პატიმრობის საფუძველი ცნობილი არ იყო. ისრაელის ციხეებში წლის ბოლოსთვის 6 100-ზე მეტი პალესტინელი იყო დაკავებული; აქედან 441 ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებოდა. წლის განმავლობაში ისრაელის ხელისუფლებამ ადმინისტრაციული პატიმრობა პალესტინის ექვს მოქალაქესაც შეუფარდა.

პირობების გაუმჯობესების, განმარტოებითი და ადმინისტრაციული პატიმრობების შეწყვეტის, ოჯახის წევრებისთვის მათი მონახულების უფლებისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნით, აპრილში 1 500-მა პალესტინელმა პატიმარმა 41-დღიანი შიმშილობა დაიწყო. ისრაელის პენიტენციალურმა სამსახურმა მოშიმშილეები განმარტოებითი

პატიმრობით, ჯარიმებითა და ოჯახის წევრების ვიზიტების შეწყვეტით დასაჯა.

დასავლეთ სანაპიროელ პალესტინელებს, რომლებიც დემონსტრაციებში მონაწილეობისა და მსგავსი დარღვევების გამო იყვნენ დაკავებულნი, არასამართლიანი სამხედრო სასამართლოს წინაშე უწევდათ წარდგომა. ისრაელის სამოქალაქო სასამართლოები აღმოსავლეთ იერუსალიმელ და ღაზას სექტორელ პალესტინელებს წვრილმანი კანონდარღვევების გამოც კი მძიმე განაჩენს უსჯიდნენ.

აპრილში ისრაელის უზენაესმა სასამართლომ სამხედრო სასამართლოების მიერ პალესტინელებისთვის გამოტანილ სასტიკ განაჩენთა შემსუბუქების თაობაზე გამოსცა გადაწყვეტილება, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და 2018 წლის მაისიდან შემცირებული ვადების დაწესება ბრძანა. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, სამხედრო სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელები მაინც უფრო მკაცრი რჩებოდა, ვიდრე – ისრაელის სამოქალაქო სასამართლოების.

პალესტინის საკანონმდებლო საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამირის“ კომიტეტის წევრი ხალიდა ჯარარი და „ადამირის“ კიდევ ერთი თანამშრომელი სალა ჰამური ადმინისტრაციულ პატიმრობაში წლის ბოლომდე რჩებოდნენ.

ღაზაში მოღვაწე ჰუმანიტარის, მოჰამედ ალ-ჰალაბის სასამართლო პროცესი ბირ შევას სამხარეო სასამართლოში დაიწყო. მას ბრალად, ჰამასის დაფინანსების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენის“ სახსრების მითვისება ედებოდა. ამ ბრალდების გამამყარებელი მტკიცებულება ვერც ავსტრალიის ხელისუფლების მიერ „ვორლდ ვიჟენის“ ღაზას ოფისში ჩატარებულმა მოკვლევამ და ვერც „ვორლდ ვიჟენის“ შიდა აუდიტმა ვერ აღმოაჩინა. მოჰამედ ალ-ჰალაბი აცხადებდა, რომ ის დაკითხვისას და საპატიმროში ყოფნისას აწამეს.

წამება და არასათანადო მოპყრობა

ისრაელის სამხედრო მოსამსახურეები და უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები პალესტინელ დაკავებულებს, მათ შორის – მცირეწლოვნებს, აწამებდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებს შორის იყო ცემა, სილის გაწნა, ჯაჭვებში შებოჭვა, ძილის აღკვეთა, იძულებითი პოზა და მუქარა. 2001 წლის შემდეგ შესული ათასზე მეტი საჩივრიდან გამოძიება არც ერთთან დაკავშირებით არ იყო დაწყებული. ისრაელის პოლიციის მიერ თავშესაფრის მაძიებლებისა და ეთიოპიური თემის წევრების წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევები კვლავ ხშირი იყო.

სარწმუნო მტკიცებულებების მიუხედავად, დეკემბერში ისრაელის უზენაესი სასამართლო ასად აბუ ღოშის წამების საქმეზე გამოძიების არდაწყების თაობაზე მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებას დაეთანხმა. სასამართლომ ამ ბრძანებით ისრაელელი სამართალდამცავების მხრიდან პალესტინელი დაკავებულების მიმართ იძულებითი პოზისა და ძილის აღკვეთის მეთოდების გამოყენებაზე თვალი დახუჭა.

უკანონო მკვლელობები

ისრაელის პოლიცია, სამხედროები და დაცვის სამსახურების თანამშრომლები ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებში, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, მცხოვრები სულ ცოტა 75 პალესტინელისა და ისრაელის მოქალაქეობის მქონე ხუთი პალესტინელის სიკვდილზე არიან პასუხისმგებელნი. მათი ნაწილი ისრაელის მოქალაქეებზე თავდასხმის ან თავდასხმის მცდელობის ეჭვის საფუძვლით მოკლეს. ბევრს, მათ შორის – მცირეწლოვნებს, მაშინ ესროლეს, როდესაც ვინმეს სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ზოგიერთ მკვლელობას სასამართლოსგარეშე სიკვდილით დასჯის ხასიათი ჰქონდა; მაგალითად, იანვარში სოფელ უმ ალ-ჰირანში პოლიციამ იაკუბ აბუ ალ-ქიანს საკუთარ მანქანაში ესროლა და მოკლა.

ძალის გადამეტება

ისრაელის ძალები, მათ შორის საიდუმლო სპეციალური სამსახურები, ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე პალესტინელი დემონსტრანტების მიმართ გადამეტებულ და ზოგჯერ მომაკვდინებელ ძალას იყენებდნენ; მათ მიერ გასროლილმა რეზინის გარსით დაფარულმა მეტალის ტყვიებმა და გახსნილმა ცეცხლმა ოცი ადამიანი მოკლა და ათასობით დაჭრა. სროლის დროს ბევრი დემონსტრანტი ქვებს და სხვა ნივთებს ისროდა, თუმცა საგანგებოდ აღჭურვილი ისრაელის სამხედროების სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ივლისში წმინდა მთის/ჰარამ ალ-შარიფთან დაკავშირებული მორიგი დაძაბულობისას ხელისუფლებამ ათი პალესტინელი მოკლა; დემონსტრაციების დაშლისას ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა. აღმოსავლეთ იერუსალიმის ალ-მაკასედის საავადმყოფოში სულ ცოტა ორი ძალადობრივი რეიდი ჩატარდა. დეკემბერში ეტლით მოსარგებლე იბრაჰიმ აბუ თურაიას ისრაელელმა ჯარისკაცმა თავში მაშინ ესროლა, როცა ის ღაბას და ისრაელის გამყოფ ღობესთან დემონსტრანტებთან ერთად იჯდა.

გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები

ისრაელსა და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებში ისრაელის ოკუპაციის გამპროტესტებელ უფლებადამცველთა მიმართ ხელისუფლება მთელ რიგ ზომებს იყენებდა.

მარტში ისრაელის პარლამენტმა, ქნესეთმა ისრაელის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებები დაამტკიცა, რომლითაც ისრაელსა და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე შესვლა ყველა ისეთ პირს ეკრძალება, ვინც მხარს უჭერს ან მუშაობს ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც ისრაელის ან მისი ერთეულებისთვის, მათ შორის დასახლებებისთვის, ბოიკოტის თაობაზე მოწოდება გაუვრცელებია.

ხელისუფლების წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა დამცველებს მდგომარეობის დოკუმენტირებაში ხელს უშლიდნენ და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებში შესვლაზე უარს უცხადებდნენ, მათ შორის – ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხზე გაეროს საგანგებო მომხსენებელს. „საერთაშორისო ამნისტიის“ თანამშრომელს, დასახლებებში ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დაკითხვის შემდეგ, ისრაელში შესვლაზე უარი ეთქვა.

აღმოსავლეთ იერუსალიმში სამოქალაქო წესრიგის შესახებ კანონების საფუძველზე, ხოლო დასავლეთ სანაპიროში სამხედრო ბრძანებების საფუძველზე, ხელისუფლებამ პალესტინელთა საპროტესტო აქციები აკრძალა და აღკვეთა. ბევრი დემონსტრანტი და ადამიანის უფლებათა დამცველი სამართლებრივ დევნაში მისცეს. ივლისში ისრაელის დასახლებების პოლიტიკის საწინააღმდეგო მშვიდობიანი აქციების ორგანიზების ბრალდებით პალესტინელი უფლებადამცველების, ისსა ამროსა და ფარიდ ალ-ატრაშის სამხედრო სასამართლო პროცესი დაიწყო. ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლები ჰებრონში მოღვაწე ისეთ უფლებადამცველებსა და აქტივისტებს, როგორიცაა ბადი დვეიკი და იმად აბუ შამსია, კვლავ ავიწროებდნენ და მოსახლეთა მიერ თავდასხმებისგან მათ დაცვას ვერ უზრუნველყოფდნენ.

მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ისრაელის ხელისუფლებამ სინდისის პატიმარსა და მწერალ აჰმად ქათამეშს სამთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა არაძალადობრივი პოლიტიკური აქტივობებისა და ნაშრომების გამო შეუფარდა.

ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ისეთ პალესტინურ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, როგორიცაა „ალ-ჰაქი“, „ალ მეზანი “ და „ადამირი“ ისრაელის ხელისუფლებამ ზეწოლა გაზარდა. ხელისუფლებამ საგადასახადო გამოძიება დაიწყო ომარ ბარგუთის მიმართ, რომელიც ბოიკოტის, აღკვეთისა და სანქციების კამპანიის წამყვანი სახეა. გამოძიების მიზანი,

როგორც ჩანდა, მისი საქმიანობისთვის ხელშეშლა და დადუმება იყო.

სახელმწიფოს სამიზნე ისრაელში მოღვაწე კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია გახდა, მათ შორის – „სიჩუმის დარღვევა", „გიშა", „ბცელემ" და „საერთაშორისო ამნისტიის" ისრაელის წარმომადგენლობა. ხელისუფლება მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას ცილისწამების, სტიგმატიზაციისა და მუქარების გზით ცდილობდა.

საცხოვრისის უფლება – იძულებითი გამოსახლებები და დემონტაჟი

დასავლეთ სანაპიროში, მათ შორის – აღმოსავლეთ იერუსალიმში, ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიდი რაოდენობით პალესტინური უძრავი ქონების დემონტაჟი მოახდინეს, მათ შორის 423 სახლისა და სხვა ობიექტების, რომლებიც ისრაელის ნებართვის გარეშე იქნა აშენებული და რადგან ამ ნებართვების მოპოვება პალესტინელებისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, 660 ადამიანი ძალადობრივად გამოასახლეს. ამ დემონტაჟების უმეტესობა ბედუინებისა და მწყემსთა თემებში მოხდა, ისრაელის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი იძულებითი გადაადგილების პოლიტიკის ფარგლებში. მათ ასევე კოლექტიურად დასაჯეს იმ პალესტინელთა ოჯახები, რომელთაც ისრაელის მოქალაქეებზე თავდასხმები ჩაიდინეს. ხელისუფლებამ მათი საცხოვრებელი სახლები ან სრულად დაანგრია ან საცხოვრებლად გაუსაძლისი პირობები შეუქმნა, რამაც საცხოვრისის გარეშე დაახლოებით 50 ადამიანი დატოვა. ხელისუფლებამ აღმოსავლეთ იერუსალიმში, შიხ ჯარაში საკუთარი სახლიდან იძულებით გამოასახლა შამასნეთა ოჯახი და მათ ნაცვლად ებრაელი ახალმოსახლეები შეუშვა. ხელისუფლებამ ისრაელის ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე აშენებული ათეულობით პალესტინელთა სახლის დემონტაჟიც მოახდინა; მათ შორის იყო ე.წ. სამკუთხედში პალესტინურ ქალაქებსა და სოფლებში, გალილესა და ნეგევის/ნაქაბის რეგიონში ბედუინთა „არაღიარებულ" სოფლებში მდებარე სახლები. იანვარში ისრაელის პოლიციამ უმ ალ-ჰირანში ბედუინთა სოფლის დემონტაჟი ძალისმიერად მოახდინა და სანაცვლოდ ებრაელთა ქალაქის მშენებლობა დაიწყო. ქნესეთმა აპრილში მიღებული კანონით, უნებართვო მშენებლობისთვის ჯარიმები გაზარდა და დემონტაჟის ხარჯების ანაზღაურება მათ დააკისრა, ვის სახლებსაც ანგრევდნენ. ამ ადამიანებს დემონტაჟისა და გამოსახლების ბრძანებების გასაჩივრების უფლება შეეზღუდათ. აგვისტოში ალ-არაქიბის სოფლის (ნეგევის/ნაქაბის რეგიონი) დემონტაჟი 116-ედ მოხდა. ნგრევისა და იურიდიული ხარჯების კომპენსაციისთვის, ადგილობრივებს სახელმწიფოსთვის დაახლოებით 362 ათასი ახალი შეკელის (დაახლოებით 100 ათასი აშშ დოლარი) გადახდა დაევალათ.

დაუსჯელობა

2014 წლის ღაზა-ისრაელის კონფლიქტიდან, რომლის დროსაც 1 460 მშვიდობიანი პალესტინელი მოკლეს, სამ წელზე მეტი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოკლული ომის დანაშაულებსა და უკანონო შეტაკებებს შეეწირა, ხელისუფლებამ მხოლოდ სამ ჯარისკაცს წაუყენა ბრალი მოროდიორობისა და გამოძიების შეფერხებისთვის.

იანვარში ისრაელის სამხედრო სასამართლომ იშვიათი ნაბიჯი გადადგა და დამნაშავედ ცნო სამხედრო პირი ელორ აზარია, რომელმაც ჰებრონში დაჭრილი პალესტინელის მიმართ სასამართლოსგარეშე სასიკვდილო განაჩენი აღასრულა, რაც ვიდეომასალაზეც იყო აღბეჭდილი. მისი ბრალეულობა და 18-თვიანი პატიმრობა – რაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა, ხოლო ისრაელის სამხედრო სამსახურის უფროსმა სექტემბერში ოთხი თვით შეამცირა – დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური არ იყო. ისრაელის ხელისუფლება სამართალდამცავებისა და სამხედროების მიერ ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებსა და ისრაელში

ჩადენილ პალესტინელთა სავარაუდო უკანონო მკვლელობების თაობაზე გამოძიებას არ იწყებდა და მიმდინარე საქმეებს ხურავდა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე 2014 წლის 13 ივნისის შემდეგ სავარაუდოდ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულების წინასწარ შესწავლას აგრძელებდა.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

წლის განმავლობაში ქალთა მიმართ ძალადობის ახალი შემთხვევები ფიქსირდებოდა. ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ პალესტინურ თემს შეეხო. ივნისში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე გაეროს საგანგებო მომხსენებელმა ისრაელის ხელისუფლებას გადაუდებელი საკანონმდებლო რეფორმების, CEDAW-ს სტანდარტების დანერგვის, ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებსა და ისრაელში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დაფიქსირებული ძალადობის შემთხვევების გამოძიების თაობაზე რეკომენდაციები მისცა.

მოქალაქეობის ჩამორთმევა

6 აგვისტოს ჰაიფას რეგიონულმა სასამართლომ ალა ზაიოუდისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისა და მოქალაქეობის არმქონე პირად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება კანონიერად ჩათვალა. გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულად ცნობის შემდეგ მიიღო. წლის ბოლოსთვის საქმეს უზენაესი სასამართლო იხილავდა. ხელისუფლებამ ნეგევის/ნაქაბის რეგიონში მცხოვრებ ათეულობით პალესტინელ ბედუინსაც ჩამოართვა მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონე პირებად ისე ცნო, რომ გასაჩივრების უფლება შეუზღუდა.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

ხელისუფლების წარმომადგენლები თავშესაფრის მაძიებელთათვის, რომელთა 90%-ზე მეტი ერიტრეასა და სუდანიდან იყვნენ, სტატუსის განსაზღვრის სამართლიან და სწრაფ პროცესზე უარის თქმას აგრძელებდნენ. წლის ბოლოსთვის 1 200-ზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი ჰოლოტის დაკავების ცენტრში და ნეგევის/ნაქაბის უდაბნოში მდებარე საჰარონიმის ციხეში იყო დაკავებული. უფლებადამცველთა ინფორმაციით, 2017 წელს ისრაელში 35 ათასზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი იყო, 8,588 განაცხადი კი ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო. დეკემბერში ქნესეთმა ჯაშუშობის წინააღმდეგ კანონში საკანონმდებლო ცვლილება შეიტანა, რომელიც თავშესაფრის მაძიებლებს, ფაქტობრივად, აფრიკის ქვეყნებში დაბრუნებასა და პატიმრობას შორის არჩევანის გაკეთებას აიძულებდა. ათი ათასობით ადამიანი დეპორტაციის რისკის ქვეშ აღმოჩნდა.

სამხედრო სამსახურზე უარის თქმა

წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურზე საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე უარის თქმისთვის მინიმუმ ექვსი პირი დაუკავეს, მათ შორის: თამარ ზეევი, ათალია ბენ-აბბა, ნოა გურ გოლანი, ჰადას ტალი, მათან ჰელმანი და ოფირ ავერბუხი. ისრაელის ხელისუფლებამ თამარ ზეევის უარი ლეგიტიმურად ცნო და საპატიმროში გატარებული 100 დღის შემდეგ გაწვევის ვალდებულებისგან გაათავისუფლა.

მიანმარი

მიანმარის კავშირის რესპუბლიკა
სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური: თხინ ჩჟო

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დრამატულად გაუარესდა. როჰინჯას ჯგუფს მიკუთვნებული ასობით ათასი

ადამიანი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს რაკჰაინის რეგიონიდან მეზობელ ბანგლადეშში გაექცა. ქვეყანაში დარჩენილები, ფაქტობრივად, აპარტეიდის რეჟიმში ცხოვრობდნენ. ქვეყნის არმია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს რეგულარულად არღვევდა. ხელისუფლება ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს დახმარების გავრცელებაში ხელს უშლიდა. გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები შენარჩუნდა. რელიგიური შეუმწყნარებლობა გაიზარდა და ანტიმუსლიმური განწყობები გამძაფრდა. წარსულში მომხდარი და მიმდინარე ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის დაუსჯელობა გაგრძელდა.

ზოგადი მოცემულობა

მარტში სამოქალაქო პირებით დაკომპლექტებული ადმინისტრაციის მმართველობიდან ერთი წელი გავიდა. ადმინისტრაციას დე ფაქტო სახელმწიფო მრჩეველი აუნ სან სუ ჩი ხელმძღვანელობს. ეკონომიკური რეფორმები სტაგნაციას განიცდიდა, ხოლო მშვიდობის პროცესი, რომელსაც ათწლეულობის განმავლობაში მიმდინარე შიდა შეიარაღებული კონფლიქტები უნდა დაესრულებინა, ყოვნდებოდა. ქვეყნის არმიამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლება შეინარჩუნა და სამოქალაქო ზედამხედველობისგან თავისუფლად აგრძელებდა მოქმედებას. 6 ოქტომბერს მიანმარმა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICESCR) რატიფიცირება მოახდინა, რომელიც ძალაში 2018 წლის 6 იანვარს უნდა შესულიყო.

საერთაშორისო დანაშაულები – კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული

რაკჰაინის რეგიონი ღრმა კრიზისში იყო ჩაფლული, როდესაც მის ჩრდილოეთ ნაწილში უსაფრთხოების სამსახურებმა, ძირითადად, მუსლიმი როჰინჯა მოსახლეობის მიმართ ძალადობრივი კამპანია წამოიწყეს. ამას აგვისტოს ბოლოს შეიარაღებულ ჯგუფ „არკან როჰინჯას ხსნის არმიის“ (ARSA) მიერ დაახლოებით 30 უსაფრთხოების პუნქტზე კოორდინირებული თავდასხმები უძღოდა წინ. თავდასხმები გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის, კოფი ანანის კომისიის მიერ რეგიონში „ძალადობის პრევენციის, მშვიდობის შენარჩუნებისა და შერიგების წახალისების“ თაობაზე რეკომენდაციების წარმოდგენის შემდეგ მოხდა.

მიანმარის შეიარაღებულმა ძალებმა, ზოგჯერ სასაზღვრო პოლიციასა და სამოქალაქო პირებთან თანამშრომლობით, გაურკვეველი რაოდენობის როჰინჯა ქალი, კაცი და ბავშვი მოკლეს; აწამეს და სასტიკად ეპყრობოდნენ, მათ შორის – აუპატიურებდნენ და სექსუალურად ძალადობნენ როჰინჯა ქალებსა და გოგონებზე; ტერიტორიები დანაღმეს; და როჰინჯას უმცირესობის მიერ დასახლებული სოფლები გადაწვეს. ამ ძალადობამ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თქმით, „ეთნიკური წმენდის სახელმძღვანელოში შესატანი მაგალითი“ შეადგინა.[1]

ძალადობას 655 ათასზე მეტი როჰინჯა ბანგლადეშში გაექცა. საფრთხე სხვა ეთნიკურ უმცირესობებსაც ემუქრებოდა; ივარაუდება, რომ რაკჰაინის ფარგლებში იძულებით ადგილი 30 ათასმა ადამიანმა იცვალა. ძალადობა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხდებოდა. არსებული ინფორმაციით, ARSA კლავდა ინფორმატორებს და აქრობდა რაკჰაინისა და მროს ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ თანასოფლელებს.

რაკჰაინის რეგიონში დარჩენილი როჰინჯა წარმომავლობის პირები, ფაქტობრივად, აპარტეიდის რეჟიმში ცხოვრობდნენ, სადაც ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ასპექტში მკაცრად იზღუდებოდნენ და დანარჩენი საზოგადოებისგან სეგრეგირებულნი იყვნენ.[2]

ეროვნების, გადაადგილების თავისუფლების, ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარდის, განათლების, სამუშაოს, საკვების, რელიგიისა და რწმენის და საჯარო ცხოვრების უფლებები და თავისუფლებები სისტემურად, გამონაკლისის გარეშე და დისკრიმინაციულად იზღუდებოდა.

ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ცნობები უარყო და გამოძიებისა და ანგარიშვალდებულებისაკენ მოწოდებები უგულვებელყო. ვერიფიკაციის პროცესის გზით ლტოლვილების რეპატრიაციის შესახებ მთავრობამ ბანგლადეშთან მორიგებას მოაწერა ხელი და განაცხადა, რომ კოფი ანანის რეკომენდაციების განსახორციელებლად და რაკჰაინის განსავითარებლად ნაბიჯებს გადადგამდა.

შეიარაღებული შიდა კონფლიქტი

მიანმარის არმიასა და შეიარაღებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ბრძოლა ჩრდილოეთ მიანმარში ინტენსიური გახდა. არმიამ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფართო სპექტრი ჩაიდინა, მათ შორის – არასასამართლო სასიკვდილო განაჩენები და უკანონო მკვლელობები, გაუჩინარებები, უსაფუძვლო დაკავებები, წამება, სასტიკი მოპყრობა და იძულებითი შრომა. შეიარაღებული ეთნიკური ჯგუფების მისამართით მიანმარის არმია ნაღმტყორცნებისა და საველე ჭურვებიდან მუდმივად ისროდა. მაისში ქვეყნის ჩრდილოეთში, შანის რეგიონში ნამკანის უბანში მის სახლთან დაცემულმა ნაღმმა 81 წლის მოხუცი ქალი მოკლა.[3] ამ დანაშაულებიდან რამდენიმე, სავარაუდოდ, ომის დანაშაულებს შეადგენს.

შეიარაღებული ეთნიკური ჯგუფები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანაშაულებს ჩადიოდნენ. ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ, მაგალითად, ბევრი ადამიანის იძულებით გაუჩინარებაზე, ბრძოლაში იძულებით გაწვევასა და გამოძალვაზე. როგორც მიანმარის არმია, ისე – შეიარაღებული ეთნიკური ჯგუფები ტერიტორიებს ნაღმავდნენ. იძულებით გადაადგილებული ბევრი ადამიანი შინ ამ მიზეზით არ ბრუნდებოდა.

ჰუმანიტარულ დახმარებაზე წვდომის ნაკლებობა

სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებები მოსახლეობის წვდომას ჰუმანიტარულ დახმარებაზე კვლავ ზღუდავდნენ, რაც ასობით ათას ადამიანს რისკის ქვეშ აქცევდა.

აგვისტოში მომხდარი ARSA-ის თავდასხმების შემდეგ, რაკჰაინის რეგიონის ხელისუფლებამ ჰუმანიტარულ დახმარებაზე წვდომა შეზღუდა, ხოლო მის ჩრდილოეთ ნაწილში საერთოდ აკრძალა. ხელისუფლებამ მოგვიანებით „წითელი ჯვრის“ მოძრაობას და მსოფლიო სასურსათო პროგრამას ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობა მისცა. თუმცა მათი წვდომა მეტად შეზღუდული იყო და მოსახლეობის საჭიროებებს ვერ ფარავდა. რაკჰაინის რეგიონის სხვა ნაწილებში ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო შეზღუდული იყო დაძაბულობისა და ჰუმანიტარული ჯგუფებისადმი მტრული დამოკიდებულების გამო.[4]

ხელისუფლება ჩრდილოეთ მიანმარში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას ჰუმანიტარულ დახმარებაზე წვდომას კიდევ უფრო მეტად უზღუდავდა, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სამთავრობო კონტროლს მიღმა იყო. თებერვალში მიანმარის არმიამ კაჩინის დამოუკიდებლობის ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე გაეროს 200 სანიტარული კომპლექტის მიწოდებას ხელი შეუშალა და არ დაუშვა.

ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

სამოქალაქო პირები კონფლიქტს, ძალადობასა და ბუნებრივ კატაკლიზმებს გაურბოდნენ. კონფლიქტის გამო ჩრდილოეთ მიანმარში, ქვეყნის შიგნით, 98 ათასზე მეტი პირი გადაადგილდა. 120 ათასზე მეტი ადამიანი, უმთავრესად – როჰინჯა, რაკჰაინის რეგიონში ბინძურ

კარვებში ცხოვრობდა, სადაც ისინი მას შემდეგ, რაც 2012 წელს ძალადობას გაექცნენ, თავს აფარებდნენ.

რაკჰაინის რეგიონში მიმდინარე უკანონო და არაპროპორციულ სამხედრო ოპერაციებს წლის ბოლოს 650 ათასზე მეტი როჰინჯა ლტოლვილი ბანგლადეშში გაექცა. ნოემბერში მიანმარმა და ბანგლადეშმა ლტოლვილების უკან მიანმარში რეპატრიაციის თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი; ამ დროს საზღვრის კვეთას კიდევ უფრო მეტი როჰინჯა აგრძელებდა. ხელისუფლების მიერ დაწესებული აპარტეიდის რეჟიმი იმის მტკიცების საფუძველს იძლეოდა, რომ ამ ადამიანებს ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობა არ მიეცემოდათ.

მიანმარიდან დამატებით 100 ათასი ლტოლვილი ტაილანდში კარვებში ცხოვრებას აგრძელებდა, სადაც ჰუმანიტარული დახმარების შემცირება ემუქრებოდათ. მიმდინარე არასტაბილურობის, მილიტარიზაციისა და საარსებო სერვისებზე ხელმიუწვდომლობის გამო ბევრ მათგანს მიანმარში დაბრუნება არ სურდა.

სინდისის პატიმრები

აპრილსა და მაისში პატიმრების ამნისტიის მიუხედავად, სინდისის პატიმრები კვლავ ციხეში რჩებოდნენ. იმ ადამიანების მიმართ, ვინც საკუთარ უფლებებს მშვიდობიანი პროტესტის გზით გამოხატავდა, ხელისუფლება ბუნდოვანი კანონების საფუძველზე გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებებს უზღუდავდა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის მიუხედავად, სინდისის პატიმარი ლეჰპი გამი, წარმომავლობით კაჩინი ფერმერი, პატიმრობაში რჩებოდა. ის 2012 წელს დააკავეს და აწამეს.

ხელისუფლებამ ყოფილი სინდისის პატიმრისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ზიანის მიყენების ანაზღაურება ვერ უზრუნველყო, იქნებოდა ეს ფულადი კომპენსაცია, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები, თუ რეპარაციის სხვა სახეები.

გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებები

გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლებები დიდი წნეხის ქვეშ იყო. ტელეკომუნიკაციების აქტის 66-ე მუხლის „დ“ პუნქტით, „ინტერნეტში ცილისმწამებლური განცხადებების განთავსებისათვის“ გასამართლებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.[5] ეროვნული და საერთაშორისო ზეწოლის გამო, პარლამენტმა კანონში უმნიშვნელო ცვლილებები მიიღო, თუმცა „ინტერნეტში ცილისმწამებლური განცხადებების განთავსება“ დანაშაულად რჩებოდა.

უფლებადამცველებს, იურისტებსა და ჟურნალისტებს – განსაკუთრებით კი მათ, ვინც როჰინჯას მდგომარეობის, რელიგიური შეუმწყნარებლობისა და სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე ხმის ამოღებას ბედავდა – უთვალთვალებდნენ, ავიწროებდნენ და თავს ესხმოდნენ. 29 იანვარს იურისტი კო ნი თავში ნასროლი ტყვიით იანგონის საერთაშორისო აეროპორტში მოკლეს, როდესაც ინდონეზიაში გამართული რელიგიათაშორისი კონფერენციიდან ბრუნდებოდა. წლის ბოლოსთვის საქმეზე ოთხი ბრალდებულის სასამართლო ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ხოლო მეხუთე ეჭვმიტანილი თავისუფალი იყო. ნოემბერში წარმომავლობით კაჩინი მღვდელი დუმდა ნონ ლატი და მისი თანაშემწე 2016 წლის ბოლოს ქალაქ მონეკოში მომხდარი სამხედრო-საჰაერო დარტყმების თაობაზე ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის გაასამართლეს. უკანონო შეკრებების აქტის საფუძვლით, ორივეს ორ-ორი წლით პატიმრობა შეეფარდა. დუმდა ნონ ლატის სასჯელს, ცილისწამების მუხლით, დამატებით ორი წელი დაემატა.

დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მოქმედებები სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა და, ზოგ შემთხვევაში, სამართლებრივად იდევნებოდა. ივნისში სხვადასხვა მედიასაშუალების სამი თანამშრომელი „უკანონო შეკრების“

ბრალდებით დააკავეს. ისინი ჩრდილოეთ მიანმარში შეიარაღებული ჯგუფის მიერ დაკავებული ტერიტორიიდან ბრუნდებოდნენ. მათ მიმართ სამართლებრივი დევნა აგვისტოში შეწყდა, რა დროსაც ისინი გაათავისუფლეს.[6] დეკემბერში რაკჰაინის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე მომუშავე „როიტერსის" ორი ჟურნალისტი ოფიციალური საიდუმლოების აქტის დარღვევის ბრალდებით დააკავეს და განმარტოებით საკნებში ორ-ორი კვირა გაატარებინეს. ჟურნალისტები წინასწარ პატიმრობაში წლის ბოლომდე რჩებოდნენ.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

აგვისტოში რაკჰაინის რეგიონში მომხდარი შეტაკებების ფონზე, რელიგიური შეუწყნარებლობა და ანტიმუსლიმური განწყობები მკვეთრად იზრდებოდა.

იყენებდა რა დისკრიმინაციისა და ძალადობის გამაღვივებელ სიძულვილის ენას ბეჭდურ და ონლაინ მედიაში, ხელისუფლება მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა. სახელმწიფო მედიასაშუალებები რეგულარულად აქვეყნებდნენ როჰინჯას საწინააღმდეგო სტატიებს და ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალურ მედიაში პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდნენ.

წლის განმავლობაში რელიგიური უმცირესობები, განსაკუთრებით კი მუსლიმები, დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ. აპრილში დედაქალაქ იანგონში ხელისუფლებამ და პოლიციამ ორი მედრესე (რელიგიური სკოლა) დახურეს. გადაწყვეტილება ადგილობრივი ბუდისტი ნაციონალისტების მოთხოვნებს მოჰყვა. სექტემბერში კაინის რეგიონის ხელისუფლების მიერ გამოცემულმა ორდერმა ყველა მუსლიმი დაავალდებულა, მოგზაურობამდე რეგიონის ხელისუფლების ორგანოებში გამოცხადებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ კაინის რეგიონის სახელმწიფო მინისტრმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ორდერი „ადმინისტრაციულ შეცდომას" წარმოადგენდა, გავრცელებული ინფორმაციით, მგზავრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები ძალაში წლის ბოლომდე რჩებოდა.

კორპორაციული ანგარიშვალდებულება

პროექტის გაფართოების გეგმების გამო, ლეთპადონგის სპილენძის მაღაროსთან მცხოვრები ათასობით ოჯახი სახლისა და სამეურნეო მიწების დაკარგვის საფრთხის ქვეშ რჩებოდა.[7] მაღაროს მახლობლად მდებარე სოფლების მოსახლეების პროტესტი გრძელდებოდა. მარტში პოლიციის მიერ სოფლის მოსახლეობისთვის დაშენილი რეზინის ტყვიებისგან სულ ცოტა ათი ადამიანი დაშავდა. მოსახლეობა მაღაროში მასალების მზიდავი სატვირთო მანქანების მიერ გამოწვეულ გვერდით მოვლენებს აპროტესტებდა. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, დემონსტრანტებმა შურდულებით ექვსი პოლიციელი დაჭრეს.[8]

აგვისტოში თავდაცვის სამინისტრომ სულფურის მჟავის მწარმოებელი ქარხნის, რომელიც მაღაროს ამარაგებდა, გადატანის თაობაზე წინადადებაზე უარი თქვა. ქარხანა ახლოს მცხოვრებ ადამიანებს მძიმე ჯანმრთელობის რისკებს უქმნიდა. გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებს წლის ბოლომდე არ მიექცა ყურადღება.

სიკვდილით დასჯა

სასამართლოებმა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა გააგრძელეს, რის უფლებასაც მათ შესაბამისი კანონმდებლობა აძლევდა. წლის განმავლობაში არც ერთი განაჩენის აღსრულება არ მომხდარა.

ანგარიშვალდებულების ნაკლებობა

უსაფრთხოების ძალების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის დაუსჯელობის სინდრომი შენარჩუნდა. წარსულში ჩადენილ და მიმდინარე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა დიდ ნაწილს საკუთარ ქმედებებზე პასუხი არ მოთხოვია.

ხელისუფლებამ რაკჰაინის რეგიონში მომხდარი მძიმე დარღვევების, მათ შორის

– კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების, სრულყოფილი გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაყენება ვერ უზრუნველყო. 2016 წლის ოქტომბრის შეტაკებების შესასწავლად პრეზიდენტის მიერ დაარსებულმა საგამოძიებო კომისიამ აგვისტოში საკუთარი მიგნებები გამოაქვეყნა. ანგარიში ადასტურებდა, რომ სამოქალაქო მსხვერპლს, შენობების განადგურებას, ქონების დაკარგვასა და იძულებით გადაადგილებას ადგილი ნამდვილად ჰქონდა. თუმცა, კომისია არ ადგენდა ამ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირებსა თუ ორგანოებს და არც იმას აღნიშნავდა, დამნაშავეების დასასჯელად რაიმე ღონისძიებას ადგილი თუ ჰქონდა. გამოძიება არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი.[9] ნოემბერში სამხედრო გამოძიებამ დაადგინა, რომ 25 აგვისტოს ARSA-ს ოპერაციების და შემდგომი სამხედრო მოქმედებებისას რაკჰაინში ადამიანის უფლებათა დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

საერთაშორისო ყურადღება

მიანმარში, კონკრეტულად კი – რაკჰაინში მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე „ფაქტებისა და გარემოებების დასადგენად“, მარტში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი მისია შექმნა. საბჭომ მისიას საკუთარი მიგნებების წარმოდგენა 2018 წლის სექტემბრისთვის დაავალა. ამ ნაბიჯს ხელისუფლების მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობა მოჰყვა, რომელიც გამოძიებას გაემიჯნა და მისიის გუნდის ქვეყანაში შეშვებაზე უარი განუცხადა.

აგვისტოს შეტაკებების შემდეგ მიანმარი განსაკუთრებული საერთაშორისო ყურადღების ქვეშ იყო. 6 ნოემბერს გაეროს უსაფრთხოების საბჭომ საპრეზიდენტო განცხადება გაავრცელა, სადაც ძალადობის დასრულებისა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნისკენ მოუწოდებდა. გარდა ამისა, ნოემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიანმარში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე რეზოლუცია მიიღო. დეკემბერში ადამიანის უფლებათა საბჭომ როჰინჯასა და სხვა უმცირესობების მდგომარეობაზე საგანგებო სესია გამართა. ევროკავშირმა და აშშ-მა უფროსი სამხედრო პირებისთვის გაგზავნილი მიწვევები გააუქმეს.

მიანმარში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე გაეროს საგანგებო მომხსენებელს მრავალ შეზღუდვასთან უწევდა გამკლავება, ხოლო წლის ბოლოს მას ქვეყანაში შესვლის უფლება საერთოდ არ მისცეს, ვიდრე მისი მისია არ ამოიწურებოდა. მანამდე საგანგებო მომხსენებელს ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესების გამო საკუთარი წუხილი ჰქონდა დაფიქსირებული.

---

1. „ჩემი სამყარო განადგურებულია“: როჰინჯას უმცირესობა მიანმარში კაცობრიობის წინაშე დანაშაულის სამიზნეები არიან (ASA 16/7288/2017)
2. „უსახურავო საკანში გამოკეტილი“: მიანმარის რაკჰაინის რეგიონში აპარტეიდია დაწესებული (ASA 16/7484/2017)
3. „ყველა იტანჯება“: კონფლიქტი, იძულებით გადაადგილება და ძალადობა ჩრდილოეთ მიანმარში (ASA 16/6429/2017)
4. მიანმარი: საერთაშორისო დახმარებაზე შეზღუდვები საფრთხეს ათასობით ადამიანის სიცოცხლეს უქმნის (სიახლეები, 4 სექტემბერი)
5. მიანმარი: 2013 წლის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის 66(d) სექცია უნდა გაუქმდეს (ASA 16/6617/2017)
6. მიანმარი: ჟურნალისტები დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ (სიახლეები, 26 ივნისი)
7. პრობლემების მთა: ადამიანის უფლებათა დარღვევები მიანმარში სპილენძის მაღაროს მახლობლად გრძელდება (ASA 16/5564/2017)
8. მიანმარი: პოლიციის მიერ პრობლემატურ მაღაროსთან დემონსტრანტების მიმართ ძალის გამოყენება გამოძიებულ უნდა იქნას (ASA 16/5983/2017)
9. მიანმარი: ხელისუფლების მცდელობები რაკჰაინის რეგიონში ძალადობის დასასრულებლად არასაკმარისია (ASA 16/5758/2017)

პოლონეთი

პოლონეთის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: ანჯეი დუდა
მთავრობის მეთაური: მატეუშ მორავეცკი (დეკემბრამდე: ბეატა შიდვო)

მთავრობამ სასამართლო სისტემაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე პოლიტიკური ზეწოლა გააგრძელა. მშვიდობიან მანიფესტაციებში მონაწილეობისთვის ასობით დემონსტრანტს სამართლებრივი სანქციები ელოდა. უსაფრთხო და კანონიერი აბორტის მიღებაში ქალებს სისტემური ბარიერები კვლავ ხელს უშლიდა.

იურიდიული, საკონსტიტუციო და ინსტიტუციური ცვლილებები

ივლისში ევროკომისიამ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ტრიბუნალის დამოუკიდებლობა „მნიშვნელოვნად შეირყა" და გამოხატა ეჭვი, რომ პოლონური კანონების კონსტიტუციურობის „ეფექტური გარანტიები" საფრთხის ქვეშ იყო. მთავრობამ საკუთარი გავლენის გავრცობა სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზეც, მათ შორის – უზენაეს სასამართლოზე, მართლმსაჯულების ეროვნულ საბჭოსა და საერთო სასამართლოებზეც სცადა.

მაისიდან ივლისის ჩათვლით პარლამენტმა სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში ოთხი ახალი კანონი მიიღო. რეფორმების ამ ტალღამ საზოგადოების, მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისა და არასამთავრობოების ვნებათაღელვა გამოიწვია. მათი შეშფოთება კანონის უზენაესობის პრინციპის შელახვას და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დასუსტებას უკავშირდებოდა. ცვლილებები იუსტიციის მინისტრს უზენაეს სასამართლოზე კონტროლის შესაძლებლობას აძლევდა და მართლმსაჯულების ეროვნულ საბჭოს, რომელიც მოსამართლეთა თვითრეგულირების ორგანოს წარმოადგენს, დამოუკიდებლობას არყევდა. 24 ივლისს მიღებულ ოთხიდან ორ კანონს – მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოს შესახებ და უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონებში შესულ ცვლილებებს – პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

თუმცაღა, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შემავალ ცვლილებას, რომელიც აგვიტოში ამოქმედდა. ცვლილებამ იუსტიციის მინისტრს უფლება მისცა, დაენიშნა და გაეთავისუფლებინა სასამართლოების თავმჯდომარეები და თავმჯდომარის მოადგილეები. ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზით ევროკომისიამ პოლონეთის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურა წამოიწყო; კომისიის მოსაზრებით, დისკრიმინაციულია კანონი, რომელმაც მამაკაცი და ქალი მოსამართლეებისთვის განსხვავებული საპენსიო ასაკი დააწესა. წლის მიწურულს, საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო გამოტანილი. კომისიამ განაცხადა, რომ სამართლებრივ განხილვებს მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზეც წამოიწყებდა და პოლონეთს სანქციებს დააკისრებდა, თუ ისეთ კანონს მიიღებდა, რომელიც იუსტიციის მინისტრს უზენაეს სასამართლოზე გავლენას მიანიჭებდა.

ოქტომბერში ყოველდღიური გამოცემა „გაზეტა ვიბორტა" იტყობინებოდა, რომ 2016 წელს გატარებული რეფორმის კრიტიკისათვის ექვს პროკურორს დისციპლინური პასუხისმგებლობა ემუქრებოდა. საუბარია რეფორმაზე, რომელმაც მთავარი პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებები გააერთიანა, რაც მინისტრს სასამართლოზე გაუმართლებელ ზეგავლენას ანიჭებს.

დეკემბერში პარლამენტმა მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონებში შემავალი საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა, რამაც სასამართლო სისტემა მთავრობის პოლიტიკურ კონტროლს

დაუქვემდებარა. 20 დეკემბერს ევროკომისიამ უპრეცედენტო ზომებს მიმართა და პოლონეთის მიმართ ევროპის კავშირის შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი აამოქმედა. ამ ღონისძიების შედეგად ევროკავშირმა შესაძლოა პოლონეთს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის შერყევისათვის სანქციები დაუწესოს.

შეკრების თავისუფლება

2017 წლის განმავლობაში მთავრობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეფორმების გასაპროტესტებლად დემონსტრაციები იმართებოდა. მოქალაქეები სასამართლოს დამოუკიდებლობის, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებებისა და საცხოვრისის უფლების შეზღუდვებს აპროტესტებდნენ. ყველაზე მასშტაბური დემონსტრაცია ივლისში გაიმართა, რომლის ფარგლებში ასზე მეტ ქალაქში ათასობით ადამიანი ქუჩაში სასამართლო რეფორმის გასაპროტესტებლად გამოვიდა. სამართალდამცავებმა პარლამენტის და პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების მკაცრი ღონისძიებები გაატარეს, რითაც დემონსტრანთა მიერ პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა შეიზღუდა.

პოლიცია მშვიდობიანი მომიტინგეების შეზღუდვას ყოველნაირად ცდილობდა. სამეთვალყურეო ჯგუფები აქციის მონაწილეების მიმართ მუდმივი მონიტორინგისა და თვალთვალის სხვადასხვა ფორმებს იყენებდნენ; ადგილი ჰქონდა, მათ შორის, პირადობის დამადასტურებელი საბუთების მოთხოვნას და სანქციებითა და, ზოგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემით მუქარას. ათეულობით დემონსტრანტის წინააღმდეგ სასამართლოში წვრილმან დანაშაულთა და, რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის კოდექსების დარღვევის ბრალდებით აღიძრა საქმე. ეს საქმეები წლის ბოლოს კვლავ განხილვის პროცესში იყო. ამ პირების საპროტესტო აქციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით პოლიციის განყოფილებაში ასეულობით სხვა აქტივისტიც დაიბარეს.

აპრილში შეკრებებთან დაკავშირებულ კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც ვარშავის ცენტრში „ციკლური" ხასიათის მანიფესტაციებს ანიჭებდა პრიორიტეტს. კანონი ხელისუფლების მხარდამჭერი ყოველთვიური გამოსვლებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად და მათი კონტრდემონსტრაციებისა და ალტერნატიული აქციების ასაკრძალად იქნა გამოყენებული და მთავრობის მხარდამჭერ ჯგუფს პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე საჯარო სივრცეზე რეგულარული წვდომა მისცა.

გამოხატვის თავისუფლება – ჟურნალისტები

2015 წელს მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით, ფინანსთა მინისტრმა საზოგადოებრივი ტელევიზიებისა და რადიოსადგურების რამდენიმე დირექტორი და საზედამხედველო საბჭო დაითხოვა. მინისტრმა მაუწყებლობის ეროვნულ საბჭოსთან კონსულტაციის გარეშე ახალი დირექტორები დანიშნა, რამაც საზოგადოებრივ მედიაზე, ფაქტობრივად, სახელმწიფო კონტროლი დააწესა. ოქტომბრისთვის საზოგადოებრივ მაუწყებლობაში მომუშავე 234 ჟურნალისტი – მათ შორის, პროფკავშირების ლიდერები – შეამცირეს, გაათავისუფლეს ან დაკავებული თანამდებობის დატოვება აიძულეს.

ივნისში გამოცემული წიგნის გამო, რომელიც თავდაცვის მინისტრის რუსული დაზვერვის სამსახურებთან სავარაუდო კავშირს ეხებოდა, საგამომძიებლო ჟურნალისტ ტომაშ პიატეკს სისხლისსამართლებრივი დევნა ემუქრებოდა. ივლისის ბოლოს მინისტრმა ტომაშ პიატეკს „ძალადობის ან უკანონო მუქარის გამოყენებისათვის, რაც მთავრობის ორგანოს საქმიანობაზე ზეგავლენას ახდენს" და „საჯარო მოხელის მიერ სამსახურეობრივი

მოვალეობის შესრულებისას ან მასთან დაკავშირებით შეურაცხყოფისათვის“ უჩივლა. 26 ივნისს სარჩელი ვარშავის რეგიონული პროკურორის ოფისს გადაეგზავნა. ოქტომბერში მინისტრმა ჟურნალისტი პოლონეთის ჯარის რეფორმის შეჩერების მცდელობაში საჯაროდ დაადანაშაულა და განაცხადა, რომ წიგნში გამოთქმული ბრალდებები „პოლონეთის მიმართ ჰიბრიდული ომის ნაწილს“ წარმოადგენს. წლის ბოლოსთვის გამოძიებას ტომაშ პიატეკისთვის ფორმალურად ბრალი არ ჰქონდა წაყენებული.

სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები

ოქტომბერში პრეზიდენტმა აბორტის მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებისადმი მხარდაჭერა დააფიქსირა. წინადადების მიხედვით, ნაყოფის მძიმე ან ფატალური დაზიანების შემთხვევებში აბორტი იკრძალება.

ივნისში პარლამენტმა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის სერვისების კანონში ცვლილება დაამტკიცა, რომელმაც გადაუდებელი კონტრაცეპცია მხოლოდ ექიმის რეცეპტით გახადა ხელმისაწვდომი. ეს ნაბიჯი გადაუდებელ კონტრაცეპციასთან დაკავშირებით საერთაშორისო რეკომენდაციებთან წინააღმდეგობაში მოდის.

გაერთიანების თავისუფლება

აბორტის შემზღუდველი პოლიტიკის საწინააღმდეგო ეროვნული დემონსტრაციებიდან მეორე დღეს, 4 ოქტომბერს პოლიცია სხვადასხვა ქალაქში აქციის მონაწილე და ქალთა უფლებებზე მომუშავე ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში ერთდროულად შევიდა. პოლიციამ კომპიუტერების მყარი დისკებისა და მონაცემთა ბაზების – რომლებიც პერსონალურ ინფორმაციას და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო ჩანაწერებს შეიცავდა – კონფისკაცია მოახდინა. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს ღონისძიებები თანხების არაკეთილსინდისიერად განკარგვის ბრალდებით იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების მიმართ წარმოებული გამოძიების ნაწილი იყო.

ოქტომბერში პარლამენტმა თავისუფლების ეროვნული ინსტიტუტის შესახებ კანონი მიიღო, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო დაფინანსების გამანაწილებელ ორგანოს წარმოადგენს. ინიციატივამ სამოქალაქო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია, რომლებიც შიშობდნენ, რომ ინსტიტუტის მთავრობისათვის დაქვემდებარება მის დამოუკიდებლობას შეზღუდავს და სახელმწიფოს მიმართ კრიტიკული ორგანიზაციებისთვის ამგვარ დაფინანსებაზე წვდომას, სავარაუდოდ, გამორიცხავს.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

ევროპის საბჭოს ადამიანების უფლებათა კომისარმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეროვნული უსაფრთხოების მიზეზით დეპორტაციის შემთხვევებში ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების ნაკლებობის გამო წუხილი გამოთქვეს.

აპრილში მიგრაციის საბჭომ ერაყელი სტუდენტის განაცხადი თავშესაფრის მინიჭებაზე იმ მიზეზით არ დააკმაყოფილა, რომ ის „ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს“ წარმოადგენდა და ერაყში დეპორტაცია გაუკეთა. შინაგანი უსაფრთხოების სააგენტოს მიერ სტუდენტის წინააღმდეგ მოპოვებული მტკიცებულებები მისი ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების ჰელსინკის ფონდმა“ განაცხადა, რომ საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ, მოსარჩელეს მისთვის თავშესაფრის არ მიცემის გადაწყვეტილების დეტალური მიზეზების გაგებისაგან ხელი შეუშალა. აგვისტოში ფონდმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

ბელარუსის საზღვართან თავშესაფრის მაძიებელთათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია წლის განმავლობაში ვრცელდებოდა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პოლონეთის ხელისუფლებას განმარტების გაკეთება ოთხ საქმეზე მოთხოვა, რომელთა მოსარჩელეებიც აცხადებდნენ, რომ საერთაშორისო დაცვის ძიების მიზნით შესვლაზე უარი არაერთხელ ეთქვათ; ეს კი მათ ისეთ ქვეყანაში დაბრუნების რისკის ქვეშ აყენებდა, სადაც დევნის რეალური საფრთხე ემუქრებოდათ. აგვისტოს მიწურულს ბელარუსში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჰიუმან კონსტანტა“ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში პოლონეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი სარჩელი შეიტანა. საქმეზე, რომელიც გაძევების დაუშვებლობის პრინციპის (*non-refoulement*) დარღვევას ეხება, წლის ბოლოს გადაწყვეტილება ჯერ არ იყო გამოტანილი.

ივნისში ევროკომისიამ პოლონეთის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და უნგრეთის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურები წამოიწყო მათ მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, როგორიცაა – საბერძნეთი და იტალია, ლტოლვილთა რელოკაციის გეგმაში მონაწილეობის არმიღების გამო. დეკემბერში ევროკომისიამ სამივე ქვეყნის საქმეებით ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა.

რუსეთი

რუსეთის ფედერაცია
სახელმწიფოს მეთაური: ვლადიმერ პუტინი
მთავრობის მეთაური: დიმიტრი მედვედევი

გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები კიდევ უფრო მეტად იზღუდებოდა. უფლებადამცველებისა და დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების შევიწროება და დაშინება გაგრძელდა. სხვადასხვა აკრძალვებმა და თვითცენზურამ კულტურული უფლებები კიდევ უფრო შეზღუდა. რელიგიური უმცირესობები კვლავ ზეწოლას და დევნას განიცდიდნენ. სამართლიანი სასამართლოს უფლება ხშირად ირღვეოდა. წამება და არასათანადო მოპყრობა გაგრძელდა; საპატიმრო დაწესებულებებში დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოების მუშაობის შეფერხება უფრო მეტი გამალებით ხდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებს ჰქონდა ადგილი. სირიის საკითხზე გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების დასაბლოკად რუსეთი ვეტოს უფლებას იყენებდა. მიგრანტებისა და ლტოლვილების უფლებები ილახებოდა. ოჯახური ძალადობის ზოგიერთი სახის დეკრიმინალიზება მოხდა. ლგბტი ადამიანები დისკრიმინაციასა და ძალადობას კვლავ აწყდებოდნენ; ჩეჩნეთში გეი მამაკაცები ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კოორდინირებული გატაცებების, წამებისა და მკვლელობების კამპანიის სამიზნეები იყვნენ.

სამართლებრივი, კონსტიტუციური და ინსტიტუციური ცვლილებები

10 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ „არაავტორიზებული“ მშვიდობიანი შეკრების გამართვა სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს არ წარმოადგენს. ამ მუხლის თანახმად, დემონსტრაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის განმეორებით დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. აქტივისტი ილდარ დადინი

სასჯელს სწორედ ამ მუხლით წაყენებული ბრალდებისთვის იხდიდა. 22 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ მისი საქმის განხილვა დაასრულა და მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება გასცა.

ივლისში განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელისუფლებას რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლება მისცა ისეთი პირისათვის, რომელსაც მოქალაქეობის მინიჭების დროს ქვეყნის „კონსტიტუციური წყობისთვის საფრთხის შექმნა" ჰქონდა გამიზნული. არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანონის ენა გააკრიტიკეს: მათი თქმით, ასეთი ფორმულირება კანონის ნორმის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

თებერვალში ამოქმედებული კანონით, „ახლო ნათესავების" მიერ ჩადენილი ოჯახური ძალადობის შემთხვევა არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ მან გამოიწვია ტკივილი, მაგრამ არა – დაზიანებები ან შრომისუნარიანობის დაკარგვა. კანონის მიღებას ძალადობრივი შემთხვევების გახშირება მოჰყვა, განსაკუთრებით კი რამდენიმე რეგიონში მცხოვრები ქალების მიმართ.

შეკრების თავისუფლება

2017 წელს ქვეყნის მასშტაბით ბოლო წლების ყველაზე მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები დაფიქსირდა. აქციებს ასეულობით მშვიდობიანი მონაწილის, უბრალო გამვლელისა თუ ჟურნალისტის დაკავება მოჰყვა. ბევრი მათგანი სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი იყო. დაკავებულები წინასწარ პატიმრობაში დაუშვებელზე მეტხანს რჩებოდნენ. მართლმსაჯულების პრინციპების უგულვებელყოფით გამართული სასამართლო პროცესების შედეგად, ბრალდებულებს დიდძალი ჯარიმები ან რამდენიმედღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ეფარდებოდათ.

მარტის თვეში სულ მცირე 97 ქალაქსა და დასახლებაში ანტიკორუფციული მსვლელობები გაიმართა. ბევრ შემთხვევაში პოლიციამ მონაწილეები გაუმართლებელი და გადაჭარბებული ძალის გამოყენებით დაშალა. 1 600-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, მათ შორის – 14 ჟურნალისტი, რომლებიც აქციებს აშუქებდნენ. დაკავებულთა ნაწილს პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებები წაუყენეს, რასაც თან პროცესუალური დარღვევები ახლდა, ხოლო ასეულობით ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების მშვიდობიანად განხორციელების საფუძველზე დააკავეს. „ანტიკორუფციული ფონდის" თოთხმეტი თანამშრომელი და მოხალისე, რომლებმაც გამოსვლები ინტერნეტში პირდაპირ ეთერში გააშუქეს, ორგანიზაციის მოსკოვის ოფისში დააკავეს. 27 და 28 მარტს 12 მათგანს ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა.

26 მარტის შემდეგ მოსკოვში, პეტროზავოდსკსა და ვოლგოგრადში ძალადობრივი ქმედებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მინიმუმ რვა ადამიანი მიეცა, რომლებიც სინამდვილეში პოლიციისგან იცავდნენ თავს ან სხვების დახმარებას ცდილობდნენ. საეჭვო ბრალდებებით სისხლისსამართლებრივ დევნას კიდევ უფრო მეტი აქციის მონაწილე მიეცა.

ყველაზე მრავალრიცხოვან აქციებში მონაწილეთა დიდ ნაწილს თინეიჯერები და სტუდენტები შეადგენდნენ. არაფორმალური გაფრთხილებებისა და გარიცხვის გზით, ხელისუფლებამ მათზე ზეწოლის მოხდენა სკოლებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით სცადა. ზოგ შემთხვევაში არასრულწლოვანთა მშობლებს მათი მეურვეობის უფლების საკითხის ეჭვქვეშ დაყენებით ემუქრებოდნენ.

7 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) საქმეზე „ლაშმანკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ" გადაწყვეტილება მიიღო. საქმის 23 მოსარჩელე რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან იყო. სასამართლომ ბრძანა, რომ ხელისუფლება მოსარჩელეების შეკრების თავისუფლებას

არღვევდა, როდესაც შესაბამისი ორგანოები ქუჩის აქციების გამართვის მსურველებს ადგილმდებარეობაზე, დროსა და ქცევაზე შეზღუდვებს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების შეთავაზების გარეშე უწესებდნენ. სარჩელი 2009-2012 წლის მოვლენებს ეხებოდა, როდესაც საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა 2017 წელთან შედარებით ნაკლებად მკაცრი იყო.

მანიფესტაცის თავისუფლება

არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე კანონი „უცხო ქვეყნის აგენტთა" შესახებ უარყოფითად აისახა. წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს „უცხო ქვეყნის აგენტთა" რეესტრს ცამეტი არასამთავრობო ორგანიზაცია დაემატა, რომელიც დაფინანსებას ქვეყნის გარედან იღებდა. ამავდროულად, ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციის დახურვის ან როგორც ამას კანონი ამბობს, საზღვარგარეთიდან მათი „პოლიტიკური მოღვაწეობისთვის"დაფინანსების შეწყვეტის გამო, სია წლის ბოლოსთვის 85-მდე შემცირდა. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც „უცხო ქვეყნის აგენტთა" შესახებ კანონი შეეხოთ, ამას წინსვლად არ აღიქვამდნენ.

მარტში „უცხო ქვეყნის აგენტთა" შესახებ კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით ECtHR-მა 61 რუსული არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი შეკრიბა და რუსეთის მხარესთან კომუნიცირება მოახდინა. სექტემბერში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საპასუხო კომენტარები დააფიქსირეს. წლის ბოლოს სასამართლოს საქმის განხილვა დასრულებული ჯერ არ ჰქონდა.

19 ივნისს „უცხო ქვეყნის აგენტთა" შესახებ კანონიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის „ბოროტი განზრახვით თავის არიდების" ბრალდებით – ამ შინაარსის პირველი და ერთადერთი სისხლის სამართლის საქმე – უფლებადამცველ ვალენტინა ჩერევატენკოს მიმართ მიმდინარე გამოძიება საქმეში დანაშაულის არსებითი ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

2017 წელს კიდევ ოთხი უცხოური ორგანიზაცია გამოცხადდა „არასასურველად", რამაც ისინი და მათთან თანამშრომლობა რუსეთში არალეგალური გახადა. წლის ბოლოსთვის თერთმეტი ასეთი „არასასურველი" ორგანიზაცია იყო. სექტემბერსა და ნოემბერში „არასასურველი" ორგანიზაციების მასალების გავრცელების ბრალდებით ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის – „SOVA ცენტრის", „ანდრეი რილკოვის ჯანმრთელობის და სოციალური სამართლიანობის ფონდის", „დამოუკიდებელი სოციალური კვლევის ცენტრისა" და „სოციალური პარტნიორობის ცენტრის" – მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო. მასალების გავრცელება იმაში გამოიხატებოდა, რომ არასამთავრობოებმა საკუთარი ვებგვერდებიდან არ ამოიღო მასალები, სადაც ეს „არასასურველი" ორგანიზაციები არიან მოხსენიებულნი და მათი ვებგვერდების ბმულები. „SOVA ცენტრის" მიმართ საქმისწარმოება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყდა, ხოლო დანარჩენ არასამთავრობოებს 50 ათასი რუბლის (871 აშშ დოლარი) ოდენობის ჯარიმები დაეკისრათ.

გამოხატვის თავისუფლება

მედიასაშუალებების უმეტესობა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩებოდა. მათი მეშვეობით ხელისუფლება უფლებადამცველების, პოლიტიკური ოპონენტებისა და განსხვავებული აზრის მქონე სხვა პირთა საწინააღმდეგო კამპანიებს აწარმოებდა. ქვეყნის მასშტაბით, დემონსტრაციების ორგანიზატორები და პოლიტიკური აქტივისტები, რომლებიც მხარს კრიტიკულ ხმებს უჭერდნენ, შევიწროებას განიცდიდნენ და სამართლებრივად იდევნებოდნენ. ადგილი ჰქონდა ასევე ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს ხელისუფლებას მიმხრობილი აქტივისტებისა და „ამოუცნობ" პირთა მხრიდან. ივარაუდება, რომ ეს უკანასკნელნი უსაფრთხოების

სამსახურების წარმომადგენლები ან მათთან გარიგებული პირები იყვნენ.

ონლაინ სივრცეში გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო მეტად შესაზღუდად, ანონიმურობის დაცვის მექანიზმები და პირადი ვირტუალური ქსელების გამოყენება არალეგალურად გამოცხადდა. მაისში პრეზიდენტმა „ინფორმაციული საზოგადოების განვითარების 2017-2030 წლების სტრატეგია" დაამტკიცა, რომელიც საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას პრიორიტეტად „რუსეთის ტრადიციული სულიერ-ეთიკურ ღირებულებების" დაცვას აცხადებდა.

სიტყვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე, ანტიექტრემისტული კანონმდებლობის დაფარვის არეალი კიდევ უფრო გაიზარდა. აგვისტოში გაეროს კომიტეტმა CERD მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული პირების დადუმების მიზნით კანონის გამოყენება უარყოფითად შეაფასა და შეშფოთება გამოხატა. კომიტეტმა ხელისუფლებას ექსტრემიზმის მკაფიო განმარტების რეკომენდაცია კიდევ ერთხელ მისცა და ექტრემისტული მასალების ფედერალური სიის გაუქმებისაკენ მოუწოდა.

კონსერვატიული ჯგუფების ზეწოლით და იმ არგუმენტით, რომ ხელოვნების გარკვეული ნიმუშები რელიგიურ გრძნობებს ლახავდა, არტისტული გამოხატვა რიგ შემთხვევებში იზღუდებოდა. ამის გამო, რამდენიმე პერფორმანსი ჩაიშალა. ამ პერფორმანსებთან დაკავშირებული პირები შევიწროებასა და ძალადობას განიცდიდნენ. მოსკოვში რამდენიმე წამყვანი თეატრის მუშაკის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რაც თეატრის გულშემატკივრებმა დაგმეს და პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასეს.

ნოემბერში ამოქმედდა კანონი, რომელიც ხელისუფლებას მედიასაშუალების „უცხო ქვეყნის აგენტად" ცნობის უფლებას აძლევდა, თუ ის საზღვარგარეთ იყო რეგისტრირებული და უცხოურ დაფინანსებას იღებდა. ამ ცვლილებამ მედიასაშუალებების რეპუტაციის შებღალვა გამოიწვია და გაშუქებისას შეზღუდვები დაუწესა. წლის ბოლოსთვის „უცხო ქვეყნის აგენტად" მასობრივი მედიის ცხრა საშუალება იქნა შერაცხული.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

რელიგიური უმცირესებობი კვლავ შევიწროებას განიცდიდნენ, რაც მათი აკრძალვით, ვებგვერდების დაბლოკვით, მათი პუბლიკაციების ექტრემისტული მასალების ფედერალურ სიაში შეტანითა და სხვა შეზღუდვებით გამოიხატებოდა.

20 აპრილს უზენაესმა სასამართლომ იეჰოვას მოწმეების ცენტრალური ორგანიზაცია და რუსეთში მოქმედი მასთან აფილირებული ყველა ორგანიზაცია აკრძალა. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ იეჰოვას მოწმეების ეკლესია, რომელიც 395 ადგილობრივი ორგანიზაციისა და 170 ათასზე მეტი მიმდევრისგან შედგება, „ექსტრემისტულია". იეჰოვას მოწმეებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილების მიუხედავად საკუთარი აღმსარებლობის დეკლარირებას აგრძელებდნენ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ.

2016 წელს მიღებული აკრძალვები მისიონერულ აქტივობებზე პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა: იანვარში სანქტ პეტერბურგში საჯარო ლექციის გამართვისათვის იოგას ინსტრუქტორის სამართლებრივი დევნის მცდელობით დაწყებული, ვლადივოსტოკში ხსნის არმიის მიერ დაბეჭდილი ბიბლიის ტირაჟის სადისტრიბუციო ორგანიზაციის საგანგებო ნიშნის არქონის გამო ჩამორთმევით დამთავრებული.

11 მაისს ეკატერინბურგის სასამართლომ ბლოგერ რუსლან სოკოლოვსკის „სიძულვილის გაღვივებისა" და „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის" სამნახევარი წელიწადით პირობითი პატიმრობა შეუფარდა, რომელიც მოგვიანებით ორ წლამდე და სამ თვემდე შემცირდა. საქმე სოკოლოვსკის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოს ეხებოდა, რომელშიც ის

ვირტუალურ თამაშ Pokémon Go-ს კათედრალის ტერიტორიაზე თამაშობს.

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანთა უფლებები

ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციასა და დევნას სახელმწიფო მიზანმიმართულად აგრძელებდა და ჰომოფობიური „პროპაგანდის“ კანონს პრაქტიკაში აქტიურად იყენებდა. 18 ოქტომბერს აქტივისტი ევდოკია რომანოვა „ინტერნეტის გამოყენებით არასრულწლოვანებს შორის არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდისათვის“ ცნეს დამნაშავედ. 2015 და 2016 წლებში „სექსუალური და რეპროდუქტიული უფლებების ახალგაზრდული კოალიციის“ ვებგვერდის ბმულების სოციალური მედიის საშუალებით გაზიარებისათვის ქალაქ სამარის სასამართლომ რომანოვას 50 ათასი რუბლის (871 აშშ დოლარი) ოდენობის ჯარიმა დააკისრა.[1]

აპრილში დამოუკიდებელმა გაზეთმა „ნოვაია გაზეტა“ ჩეჩნეთში ჰომოსექსუალად მიჩნეული ასზე მეტი მამაკაცის გატაცების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. გაზეთი ცნობით, ჩეჩნეთის საიდუმლო ციხეებში მამაკაცებს აწამებდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ, ზოგიერთი კი მოკლეს. გადარჩენილები, რომლებმაც ტყვეობას თავი დააღწიეს, ჩეჩნეთის ხელისუფლების მიერ კოორდინირებული ძალადობის კამპანიაზე საუბრობდნენ. თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ დაკავებულთა ნაწილი მოკლეს, ხოლო ზოგიერთი კი თავის ოჯახებს, ადგილობრივი „წეს-ჩვეულების“ თანახმად, „პატივის აღდგენის მიზნით“ მოსაკლავად გადასცეს.

ფედერალურ საგამოძიებო ორგანოებს ამ ინფორმაციაზე რეაგირების მოხდენა არ უჩქარიათ. ფედერალური სახალხო დამცველის მხრიდან ფაქტების დადგენისა და შემოწმების მცდელობების მიუხედავად, დროში მეტისმეტად გაწელილმა წინასწარმა გამოძიებამ არსებული ბრალდებები სარწმუნოდ არ ცნო და ხელისუფლებამ ფორმალური გამოძიების დაწყებაზე უარი განაცხადა. წლის ბოლოსთვის საქმესთან დაკავშირებით არანაირი გამოძიების დაწყების შესახებ არ იყო ცნობილი.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებები მძიმედ ირღვეოდა. ადგილი ჰქონდა გაუჩინარებებს, უკანონო პატიმრობას, დაკავებულთა წამებასა და არასათანადო მოპყრობას და კანონგარეშე სადამსჯელო ღონისძიებებს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა ჩეჩნეთში, სადაც უფლებადამცველების მიმართ წარსულში ჩადენილი ძალადობის შემთხვევები დაუსჯელი რჩებოდა.

იანვარში ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარე მაგომედ დაუდოვი დამოუკიდებელი საინფორმაციო ინტერნეტპროექტ „კავკასიური კვანძის“ მთავარ რედაქტორ გრიგორი შვედოვს საკუთარი ინსტაგრამის ანგარიშიდან დაემუქრა.[2] აპრილში „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტებმა ჩეჩნეთში გეი მამაკაცების წინააღმდეგ მიმდინარე ძალადობრივი კამპანიის გაშუქების გამო ჩეჩნეთიდან მუქარები მიიღეს. „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტებისთვის სოლიდარობის გამოცხადებისათვის მსგავსი მუქარის ადრესატები რადიო „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტებიც გახდნენ.[3]

„ნოვაია გაზეტას“ ცნობით, 2016 წლის დეკემბრიდან მოყოლებული ათეულობით ადამიანი უკანონოდ დააკავეს, ხოლო 26 იანვარს უსაფრთხოების სამსახურებმა მათ ტყვეობაში მყოფი სულ მცირე 27 ადამიანი გასაიდუმლოებულად სიკვდილით დასაჯეს. ამ ინციდენტების გამოძიებასა და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის თაობაზე წლის ბოლოსთვის არაფერი იყო ცნობილი.

არასამართლიანი სასამართლო

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას, მათ შორის – მშვიდობიანი დემონსტრანტების საქმეებზე, დამოუკიდებელმა სასამართლო

დამკვირვებლებმა სისტემური დარღვევები დააფიქსირეს. ადმინისტრაციული სხდომების უმეტესობის შემთხვევაში ბრალდების ერთადერთი მტკიცებულება პოლიციელების სადავო ოქმები იყო. სასამართლო პროცესები ბრალდებულების გრძელვადიანი პატიმრობითა და დიდი ჯარიმებით სრულდებოდა. სხდომები, ძირითადად, სწრაფი და ზერელე იყო; მაგალითად, 26 მარტის დემონსტრაციის საქმეზე ქალაქ მოსკოვის ტვერსკოის რაიონულმა სასამართლომ 476 საქმე 17 სამუშაო დღეში განიხილა.

ქალაქ სანკტ პეტერბურგის ოქტომბრის რაიონული სასამართლოს ყოფილი მდივანი და მამხილებელი ალეკსანდრ ეივაზოვი „სასამართლოს მუშაობისთვის ხელშეშლის“ ბრალდებით 22 აგვისტოს დააკავეს. ეივაზოვმა სხვა პირის მიერ შედგენილი სასამართლო სხდომების ოქმებზე უკანა თარიღით ხელმოწერაზე უარი განაცხადა. როგორც ირკვევა, ის სასამართლო პროცედურების, იურიდიული ეთიკისა და სისტემაში მომუშავეთა შრომითი უფლებების უამრავ დარღვევას შეესწრო, რაზეც ინფორმაცია მან შესაბამის ორგანოებს მიაწოდა. ამის შესახებ ეივაზოვმა სოციალური მედიის მეშვეობითაც განაცხადა. ალეკსანდრ ეივაზოვის საჩივრებზე ხელისუფლების რეაგირების შესახებ ცნობილი არაფერია. ასთმის მიუხედავად, ის წლის ბოლოსთვისაც პატიმრობაში რჩებოდა.[4]

წამება და არასათანადო მოპყრობა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები კვლავ მრავლად იყო. პატიმრების ტრანსპორტირების პირობები წამებასა და არასათანადო მოპყრობას უტოლდებოდა და ბევრ შემთხვევაში იძულებით გაუჩინარებასაც ჰქონდა ადგილი.[5] ზოგიერთ პატიმარს გადავსებულ მიკროავტობუსებსა და სატვირთო მატარებლებში ერთთვიანი ან კიდევ უფრო ხანგრძლივი მგზავრობის გამოვლა უწევდათ. მგზავრობის სხვადასხვა ეტაპზე, სანამ შორს მდებარე საპატიმროებამდე მიაღწევდნენ, გადასაყვან საკნებში მათ ხშირად კვირების გატარება უწევდათ. ამ დროის განმავლობაში ოჯახებსა და ადვოკატებს მათ ბედსა თუ ადგილსამყოფელზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ.

სხვა საპყრობილეში გადაყვანის დროს, სინდისის პატიმარი ილდარ დადინი იძულებით გაუჩინარებული ერთი თვის განმავლობაში იყო. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობილი იანვარში გახდა. როგორც მან განაცხადა, ის სეგეჟის გამოსასწორებელ კოლონიაში 2016 წლის ოქტომბერში აწამეს, რასაც მისი სხვა კოლონიაში გადაყვანის გადაწყვეტილება მოჰყვა. ხელისუფლების წარმომადგენლები მისი ადგილსამყოფელის შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის გაცემაზე უარს მანამდე აცხადებდნენ, ვიდრე ის ახალ საპყრობილემდე მიაღწევდა.

მაისში ECtHR-მა რვა რუსი პატიმარი მოსარჩელის საკითხზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ მათი ტრანსპორტირების პირობები არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდა. მოსარჩელეებს შორის იყვნენ ანნა ლოზინკაია და ვალერი ტოკარევი, რომლებიც 0.3 $м^2$-ის ფართობის ერთსაკნიანი მიკროავტობუსებით განმეორებით გადაჰყავდათ.

კიდევ უფრო შეიბღალა საზოგადოებრივი საზედამხედველო კომიტეტების ეფექტურობა და როლი, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმს წარმოადგენენ. ამის ერთ-ერთ მიზეზს არასაკმარისი დაფინანსება წარმოადგენდა.

საზოგადოებრივი პალატების (საკონსულტაციო ორგანო, რომელიც სახელმწიფოს მიერ დანიშნული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგება) მიერ წევრების ნომინირების წესები შეიცვალა. ამან ზოგიერთ კომისიაში წევრთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია, რამაც რიგ შემთხვევებში მათ დამოუკიდებლობაზეც იქონია გავლენა,

ვინაიდან ზოგიერთი უფლებადამცველი კომისიაში აღარ შედიოდა.

იყო შემთხვევები, როდესაც დამოუკიდებელ დამკვირვებლებს, მათ შორის – საზოგადოებრივი საზედამხედველო კომიტეტებისა და პრეზიდენტის ადამიანის უფლებათა განვითარების საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს, საპყრობილეებში შესვლაზე ციხეების ადმინისტრაციის წარმომადგენლები უარს უსაფუძვლოდ ეუბნებოდნენ.

შეიარაღებული კონფლიქტი – სირია

რუსეთმა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების დასაბლოკად ვეტო ხუთჯერ გამოიყენა. ამ რეზოლუციების მიზნები შემდეგნაირი იყო: ქიმიური იარაღის წარმოებისა და გამოყენებისათვის სირიისთვის სანქციების დაწესება; ხან-შაიხუნში ქიმური იარაღის სავარაუდო გამოყენების შემთხვევის დაგმობა; სირიის მთავრობისადმი მოწოდებები საერთო საგამოძიებო მექანიზმისათვის, რომელიც ქიმური იარაღის თავდასხმებში დამნაშავეების გამოსავლენად შეიქმნა, მანდატის განახლებისა და ნებისმიერი ადგილის შემოწმების უფლებისა და შესაძლებლობით აღჭურვის თაობაზე.

ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებები

რუსეთმა თავშესაფრის მაძიებელთა უკან იმ ქვეყნებში გაგზავნა გააგრძელა, სადაც მათ წამება და არასათანადო მოპყრობა ემუქრებოდათ.

1 აგვისტოს მოსკოვის ერთ-ერთმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნებით უზბეკი ჟურნალისტი ხუდობერდი ნურმატოვი (ასევე ცნობილი, როგორც ალი ფერუზი) რუსეთის საემიგრაციო კანონებს არღვევდა და მისი უზბეკეთში დეპორტირება ბრძანა. ნურმატოვმა უზბეკეთი წლების წინ დატოვა, სადაც ის უსაფრთხოების სამსახურებისთვის საიდუმლო ინფორმატორობაზე უარის თქმის გამო იდევნებოდა. უზბეკური კანონმდებლობით, მას სამართლებრივი დევნა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამოც ემუქრებოდა. ECtHR-ის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც ხუდობერდი ნურმატოვის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების დაუყოვნებლივი და დროებითი შეჩერების მექანიზმი გამოიყენა, 8 აგვისტოს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მისი ქვეყნიდან დეპორტაცია გადაავადა, თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაკავების იზოლატორში გადაიყვანა, სადაც ის წლის ბოლომდე იმყოფებოდა. დეკემბერში ECtHR-მა ნურმატოვის საჩივარი მთავრობას გადაუგზავნა.

შრომით და სხვა მიგრანტთათვის ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია კვლავ რჩებოდა ჯანდაცვისა და განათლების სერვისების მიღების წინაპირობად. რეგისტრაციისთვის ბინის მეპატრონეთა თანხმობა არის საჭირო, რომლებიც, როგორც წესი, ამაზე უარს აცხადებდნენ.

სექტემბერში უფლებადამცველი ტატიანა კოტლიარი საკუთარ მისამართზე 167 მიგრანტის ფიქტიურად ჩაწერაში ცნეს დამნაშავედ. მისი მოტივაცია ამ პირებისთვის აუცილებელი სერვისების მიღებაში დახმარება იყო. სასამართლომ კოტლიარს ჯარიმის სახით 150 ათასი რუბლის (2 619 აშშ დოლარი) გადახდა დააკისრა, თუმცა შესაბამის დანაშაულზე კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ჯარიმა გაუქმდა.

---

1. რუსეთი: ფეისბუქზე ლგბტი სტატიების გაზიარებისთვის აქტივისტი ჰომოფობიური კანონმდებლობით იდევნება (სიახლე, 18 ოქტომბერი)
2. რუსეთის ფედერაცია: ჩეჩენი მაღალჩინოსანი ჟურნალისტ გრიგორი შვედოვს დაემუქრა (EUR 46/5442/2017)
3. რუსეთის ფედერაცია: გატაცებების გაშუქებისთვის გაზეთს ემუქრებიან (სიახლე, 18 ოქტომბერი)
4. რუსეთის ფედერაცია: მამხილებელი ალექსანდრ ეივაზოვი დაუსაბუთებელი ბრალდებებით დააკავეს (EUR 46/7200/2017)
5. ციხე რუსეთში – მოგზაურობა გაურკვეველი მიმართულებით (EUR 46/6878/2017)

საფრანგეთი

საფრანგეთის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: ემანუელ მაკრონი (მაისამდე: ფრანსუა ოლანდი)
მთავრობის მეთაური: ედუარ ფილიპი (მაისამდე: ბერნარ კაზნიოვი)

2015 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა საბოლოოდ გაუქმდა. ახალმა კანონმა მთავრობას ბუნდოვანი მიზეზებითა და სასამართლო კონტროლის გარეშე კონტრტერორისტული ღონისძიებების ჩატარების უფლებამოსილებები გაუზარდა. ხელისუფლება ავღანელი თავშესაფრის მაძიებლების უკან ავღანეთში გაგზავნას აგრძელებდა, რითიც გაძევების დაუშვებლობის (*non-refoulement*) პრინციპს არღვევდა. ახალმა კანონმა დიდ კომპანიებს ადამიანის უფლებების დაცვის ახალი ვალდებულებები დააკისრა.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

ივლისში პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის 1 ნოემბრამდე გახანგრძლივების თაობაზე ხელისუფლების წინადადებას მხარი დაუჭირა. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი საგრანგეთში 2015 წლის 13 ნოემბრის პარიზის თავდასხმების შემდეგ მოქმედებდა.

მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომლითაც სამართალდამცავებს კონტრტერორისტული მექანიზმების შემოღების შესაძლებლობა ეძლევათ, პარლამენტმა ოქტომბერში მიიღო. კანონმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პრეფექტებს ადმინისტრაციული ზომების გამოყენების უფლებამოსილება გაუზარდა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ისეთ შემთხვევებშიც დაუშვა, როდესაც სამართლებრივი დევნისათვის საკმარისი მტკიცებულებები სახეზე არ არის. დასაშვები ღონისძიებების ჩამონათვალში შედის: გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ბინის ჩხრეკა, სამლოცველოების დახურვა და ე.წ. უსაფრთხოების ზონების შექმნა, რომელთა ფარგლებშიც სამართალდამცავებს ჩხრეკის გაზრდილი უფლებამოსილებები ენიჭებათ. კანონი პრეფექტებს სასამართლო ნებართვის მოპოვებას მხოლოდ ჩხრეკის შემთხვევაში ავალდებულებს.

ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით კრიტიკული დამოკიდებულება ჯერ კიდევ სექტემბერში დააფიქსირა. მისი განცხადებით, კანონპროექტით არ იყო ნათელი, თუ რა იგულისხმება ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნაში და, ფაქტობრივად, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ჩვეულებრივ კანონმდებლობაში გადმოტანას ახდენდა.

შეკრების თავისუფლება

ე.წ. საგანგებო ზომების გამოყენების გზით, პრეფექტები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვას აგრძელებდნენ. წლის განმავლობაში გამოყენებული ათეულობით ასეთი ზომა ადამიანების გადაადგილებასა და სახალხო შეკრებებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობას ზღუდავდა. ხელისუფლება ამ შეზღუდვებს ბუნდოვანი მიზეზებით და ისეთი პირების მიმართ აწესებდა, რომლებიც ტერორიზმთან დაკავშირებულ რაიმე დარღვევასთან კავშირში შემჩნეულნი არ იყვნენ.

2 თებერვლის მანიფესტაციისას პრეფექტებმა აქტივისტების მიმართ 17 ასეთი შეზღუდვა დააწესეს. აქციის მიზანი ერთ-ერთი პოლიციელის მიერ ახალგაზრდა მამაკაცის გაუპატიურების სავარაუდო ფაქტის გაპროტესტება და პოლიციის ანგარიშვალდებულების

გაზრდის მოთხოვნა იყო. მშრომელთა საერთაშორისო დღეს, 1 მაისს გამართული დემონსტრაციისას პარიზის პოლიციის პრეფექტმა აქციაში მონაწილეობაზე შეზღუდვის 10 ბრძანება გასცა.

5 იანვარს რეზინის ხელყუმბარის გასროლისათვის, რომელმაც აქციის მონაწილე ლორენ თერონს ცალ თვალში მხედველობა დააკარგვინა, პოლიციელის მიმართ დევნა დაიწყო. სასამართლო პროცესი წლის ბოლოს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. 2016 წელს შრომითი კანონმდებლობის რეფორმის გასაპროტესტებლად ორგანიზებული შეკრებისას ათეულობით დემონსტრანტის მიმართ ძალის სავარაუდო გადაჭარბებაზე გამოძიება წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

მარტში სამართალდამცავების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების მარეგულირებელი ახალი კანონი ამოქმედდა. კანონმა ზოგიერთი იარაღის – მათ შორის, კინეტიკური ჭურვების – გამოყენება ისეთ შემთხვევებშიც კი დაუშვა, რასაც კანონი საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოჰყავდა; მაგალითად, სამართალდამცავების მიერ საკუთარი პოზიციის გამაგრების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ივნისში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგანგებო ზომები, რომლებიც პრეფექტებს მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის უფლებას რთავდა, არაკონსტიტუციური იყო. ივლისში პარლამენტმა სამართალდამცავების ეს შესაძლებლობა იმ კანონში ასახა, რომელმაც საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი გაახანგრძლივა. 16 ივლისიდან 30 ოქტომბრამდე 37 ასეთი შეზღუდვა იქნა დაწესებული.

ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებები

იანვრიდან ივლისამდე ზღვისპირა ალპების დეპარტამენტის პრეფექტურამ იტალიიდან გადმოსული 28 ათასი ლტოლვილი და მიგრანტი შეაჩერა. ხელისუფლებამ მათი 95%, მათ შორის – თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნები, იტალიაში უკან ისე გააბრუნა, რომ საფრანგეთში თავშესაფრის ძიების უფლება არავის მისცა.

დუბლინის III რეგულაციის (მექანიზმი, რომელიც თავშესაფრის მაძიებელთა მოთხოვნების შეფასებაზე პასუხისმგებლობას ევროკავშირის ქვეყნებს შორის ანაწილებს) თანახმად ევროკავშირის რომელიმე სხვა ქვეყანაში განაწილების ან უკან ავღანეთში დაბრუნების მიზნით, იანვრიდან აგვისტომდე 1 600-ზე მეტი ავღანელი პირი დააკავეს. ამავე პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, საფრანგეთმა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში 300-მდე ავღანელი და მინიმუმ 10 კი – უკან ავღანეთში გაგზავნა. ავღანეთში არასტაბილური უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ ადამიანების უკან დაბრუნებით, საფრანგეთმა გაძევების დაუშვებლობის (*non-refoulement*) პრინციპი დაარღვია, რომელიც თავშესაფრის მაძიებლის ისეთ ქვეყანაში დაბრუნებას კრძალავს, სადაც მას საფრთხე ემუქრება.

2016 წელს ქალაქ კალეში მდებარე „ჯუნგლად" წოდებული არაფორმალური დასახლების დაშლის შემდეგ ხელისუფლებამ ქალაქში დაბრუნებული ასობით მიგრანტისა და ლტოლვილის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები დააწესა. პოლიციის მიერ ქუჩაში ჩხრეკის ოპერაციების გახშირებამ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით გააჩინა ეჭვები. მარტში კალეს მუნიციპალურმა მთავრობამ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთათვის საკვების მიწოდება აუკრძალა. ეს შეზღუდვა მარტის ბოლოს სასამართლომ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად ჩათვალა და მისი გაუქმების ბრძანება გასცა. მუნიციპალიტეტი სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ ნაწილობრივ დაემორჩილა და ორგანიზაციებს დღეში

მხოლოდ ერთი ულუფის მიწოდების ნება დართო. ივნისში სახალხო დამცველმა კალეში მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებლთა უფლებების შელახვის თაობაზე შეშფოთება გამოთქვა. ომბუდსმენმა ხელისუფლებას ამ ადამიანების ეკონომიკური და სოციალური უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდა, კერძოდ – წყლითა და შესაბამისი საცხოვრისით უზრუნველყოფისა და საფრანგეთში თავშესაფრის ძიების შესაძლებლობით აღჭურვისაკენ.

ხელისუფლება იმ პირებსაც დევნიდა, რომლებიც მიგრანტებსა და ლტოლვილებს საფრანგეთში შემოსვლაში ან დარჩენაში ეხმარებოდნენ, მათ შორის – თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფის გზით. აგვისტოში სააპელაციო სასამართლომ საფრანგეთ-იტალიის საზღვართან მცხოვრები ფერმერი სედრიკ ჰირუ დამნაშავედ ცნო და ოთხთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ჰირუს ბრალად საფრანგეთში შემოღწევის მსურველ მიგრანტთა და ლტოლვილთათვის საზღვრის გადაკვეთაში დახმარების აღმოჩენა და შეფარება ედებოდა.

დისკრიმინაცია

იანვარში ამოქმედებული კანონით, ზამთრის განმავლობაში არაფორმალური დასახლებების იძულების წესით დაცლაზე მორატორიუმი გახანგრძლივდა. ხელისუფლება არაფორმალური დასახლებების დაცლას აგრძელებდა. გაძევებულ პირთა შორის ბევრი რომას ჯგუფს მიკუთვნებული მიგრანტიც იყო. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმაციით, წლის პირველ ნახევარში 2 689 პირი იქნა გამოსახლებული.

14 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მუსლიმ ქალთა უფლებების დისკრიმინაციის აღკვეთა ვერ უზრუნველყო. სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო ფრანგ დამსაქმებელს თავსაბურავის ტარების მიზეზით ქალის სამსახურიდან გათავისუფლებით ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არ დაურღვევია.

კორპორატიული პასუხისმგებლობა

მარტში ამოქმედებული კანონით, დიდ კომპანიებს „სიფხიზლის ვალდებულება“ და „სიფხიზლის გეგმის“ შემუშავება და დანერგვა ეკისრებათ. კანონის თანახმად, „სიფხიზლის ვალდებულება“ კომპანიებს საკუთარი, შვილობილი კომპანიებისა თუ ბიზნესპარტნიორების საქმიანობით პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევებისა და გარემოს დაზიანების პრევენციას ავალდებულებს. კომპანიის ქმედებებით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის მსხვერპლს კომპენსაციის მოთხოვნა საფრანგეთის სასამართლოს გზით შეუძლია.

იარაღით ვაჭრობა

საფრანგეთის მთავრობამ იარაღის მიყიდვაზე ნებართვების გაცემა გააგრძელა ისეთი ქვეყნების მთავრობებისათვის, სადაც ეს იარაღი სავარაუდოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევების ჩასადენად იქნებოდა გამოყენებული. იემენსა და ეგვიპტეში საუდის არაბეთის მეთაურობით მოქმედი კოალიციის მხარეებისათვის იარაღის მიწოდებაზე ნებართვების გაცემა ხელისუფლებამ გააგრძელა.

სამხედრო ოპერაციებში საფრანგეთის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მაისში სენატი შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო დრონების გამოყენების რეკომენდაციით გამოვიდა. თავდაცვის მინისტრმა 2019 წელს შეიარაღებული დრონების დაშვების თაობაზე გეგმების არსებობა დაადასტურა. მთავრობას დრონების გამოყენებისა და გადაცემის თაობაზე მკაფიო პოლიტიკა ჯერ არ ჩამოუყალიბებია და აღუსრულებია.

საქართველო

საქართველო
ქვეყნის მეთაური: გიორგი მარგველაშვილი
მთავრობის მეთაური: გიორგი კვირიკაშვილი

ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის სამართალდამცავების დაუსჯელობის გაგრძელებამ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანიის გარშემო არსებულმა სამართლებრივმა დავამ სასამართლო დამოუკიდელობასა და მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით შეკითხვები გააჩინა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო საზღვრების მიმდებარედ მავთულხლართების გაბმის პრაქტიკამ ადგილობრივთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების შელახვა გააგრძელა.

ზოგადი მოცემულობა

ოქტომბერში პარლამენტმა, სადაც უმრავლესობას მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ შეადგენს, ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, სრულიად პროპორციული საარჩევნო სისტემის ამოქმედება, რასაც ოპოზიცია დიდი ხანია ითხოვს, 2024 წლამდე გადაიდო. გარდა ამისა, 2024 წლიდან იმ პოლიტიკური პარტიების გაუნაწილებელი მანდატები, რომლებიც საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ, გამარჯვებულ პარტიას მიენიჭება. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, საარჩევნო ბლოკების შექმნა 2020 წლიდან აღარ იქნება შესაძლებელი, ხოლო პრეზიდენტი პირდაპირი სახალხო არჩევნებით 2018 წლის შემდეგ აღარ აირჩევა.

დეკემბერში პარლამენტმა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი ხელახლა წამოიწყო ოპოზიციის იმ ზოგიერთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ახალ კონსტიტუციაში არ იქნა ასახული.

დედაქალაქ თბილისში ულტრამემარჯვენე მოძრაობებმა ქსენოფობიური და ჰომოფობიური მსვლელობები მოაწყვეს.

ეროვნულმა ვალუტა ლარმა გაუფასურება განაგრძო, რასაც ცხოვრების დონეზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა.

თებერვალში საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლება მიენიჭათ. ცვლილებას ხელისუფლების მიერ განხორციელებული რამდენიმე საკვანძო ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმა უძღოდა წინ, რაც ევროკავშირის წინაპირობას წარმოადგენდა.

დაუსჯელობა

მიუხედავად მრავალგზის დაპირებებისა, ხელისუფლებამ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ვერ უზრუნველყო და ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსჯელობა შენარჩუნდა. ივნისში, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ნაცვლად, ხელისუფლება პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნის წინადადებით გამოვიდა, რომლის მანდატადაც სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება დასახელდა.

ივნისში ჰიპჰოპ დუეტის „ბირჟა მაფიის“ ორივე წევრი ნარკოტიკული საშუალებების ფლობის ბრალდებით დააკავეს, რასაც მათი მხარდასაჭერი დემონსტრაციები მოჰყვა. დაკავებული მუსიკოსები აცხადებდნენ, რომ სამართალდამცავებმა მათ ნარკოტიკები პოლიციელის გამშარჟებელი მუსიკალური კლიპის გადაღებისათვის შურისძიების მიზნით ჩაუდეს. მუსიკოსების თქმით, მათ დაკავებას პოლიციის მხრიდან ვიდეოს წაშლის თაობაზე მუქარის შემცველი მოთხოვნები უძღოდა წინ. საპროსტესტო აქციებს „ბირჟა მაფიის“ წევრების

წინასწარი პატიმრობიდან გირაოს საფუძველზე გათავისუფლება მოჰყვა. მუსიკოსების ბრალდების საფუძველზე, პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, რომელიც წლის ბოლოს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ივნისში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა პოლიციელი, რომელსაც ბრალად უფლებამოსილების გადამეტება და ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა ედებოდა. საქმე 2016 წლის 8 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს სოფელ დაფნარში მომხდარ 22 წლის დემურ სტურუას თვითმკვლელობას ეხება. პროკურატურის სარჩელი რამდენიმე მტკიცებულებას ეყრდნობოდა: დემურ სტურუას წერილი, სადაც ის თვითმკვლელობამდე მიყვანაში პოლიციის თანამშრომელს ბრალს ღიად დებს; ცხედრის ექსპერტიზის შედეგები, სადაც ძალადობის კვალი დასტურდება; ვიდეომასალა, სადაც ჩანს, თუ როგორ ისვამს პოლიციელი მანქანაში დემურ სტურუას მისი თვითმკვლელობის დღეს; და სატელეფონო ზარების ამონაწერი. საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასამართლოს გადაწყვეტილება კრიტიკულად შეაფასეს. პროკურატურამ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

ანგარიშვალდებულების ნაკლებობა

29 მაისს აზერბაიჯანელი საგამოძიებო ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, რომელიც პოლიტიკურ დევნას თავს საქართველოში აფარებდა, თბილისიდან გაუჩინარდა. მეორე დღეს მისი აზერბაიჯანში დაკავების შესახებ გახდა ცნობილი. მუხთარლის მიმართ წაყენებული ცრუ ბრალდებით, აზერბაიჯანის პროკურატურა მას საზღვრის უკანონოდ კვეთასა და კონტრაბანდული ფულის გადატანაში ედავება. მუხთარლიმ საკუთარ ადვოკატს განუცხადა, რომ ის გაიტაცა და საზღვარი გადააკვეთინა ქართულად მოსაუბრე რამდენიმე მამაკაცმა, რომელთა შორის ზოგსაც საქართველოს კრიმინალური პოლიციის უნიფორმა ეცვა. ხელისუფლებამ საქმეში ქართველი სამართალდამცავების ჩართულობა უარყო, თუმცა მუხთარლის ბრალდებების შესწავლის მიზნით გამოძიება დაიწყო. გამოძიების მიერ რაიმე არსებითი შედეგის მიღწევის შესახებ ცნობილი არ არის. წლის ბოლოსთვის, მუხთარლი აზერბაიჯანში პატიმრობაში რჩებოდა.

სასამართლო სისტემა

ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული საქმის სასამართლოში განხილვა გაგრძელდა. 2 მარტს უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელებისათვის, რომლებიც ხელისუფლების მხარდამჭერებად მიიჩნევიან, დაბრუნება ბრძანა, რითიც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავრობის სავარაუდო ჩარევის თაობაზე შეშფოთება გამოთქვეს და სასამართლო პროცესი უსამართლოდ შეაფასეს. მარტში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება მოითხოვა, ვიდრე თავადაც არ განიხილავს საქმეს.

გადაადგილების თავისუფლება

რუსულმა სამხედრო ძალებმა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებებმა დე ფაქტო საზღვრის მიმდებარედ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა გააგრძელეს. საზღვრის „არალეგალურად“ კვეთის ბრალდებით, ათეულობით ადამიანის დროებით დაკავებისა და დაჯარიმების შემთხვევები დაფიქსირდა. ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარედ მავთულხლართების გაბმის გახშირებულმა პრაქტიკამ ადგილობრივი მოსახლეების უფლებების შელახვა გააგრძელა: საკუთარ ბოსტნებზე, საძოვრებსა და სახნავ-სათეს მიწებზე

ხელმისაწვდომობის დაკარგვამ მათი მუშაობის, საკვებისა და ცხოვრების სათანადო დონის უფლებები შეზღუდა.

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების უფლებები

ახალი კონსტიტუციით, ქორწინების შესახებ მუხლს, რომელიც ადგენს, რომ „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას", ქორწინების განმარტება დაემატა, რომელიც განისაზღვრა, როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირი". ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები ყოველგვარი სამართლებრივი აღიარების გარეშე რჩებიან.

25 აგვისტოს, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ბათუმში, ერთ-ერთ კლუბში მომხდარი ძალადობრივი ინციდენტის შემდეგ, პოლიციამ ორი ლგბტი აქტივისტი დააკავა. აქტივისტებმა მათ მიმართ ძალადობა და „წვრილმანი ხულიგნობისა" და „პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის" საფუძვლით მათი დაკავება გააპროტესტეს. აქტივისტების განცხადებით, პოლიციელებმა მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. აგვისტოში აქტივისტების საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო, რომელიც წლის ბოლოს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

24 მაისს თურქეთის მოქალაქე მუსტაფა ჩაბუქი, რომელიც საქართველოში 2002 წლიდან ცხოვრობს, თურქეთის მხრიდან ექსტრადირების მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს. ჩაბუქს თურქეთის მხარე ბრალს „ტერორიზმის მხარდაჭერასა" და ფეთულა გულენთან კავშირში დებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში დაბრუნების შემთხვევაში, მუსტაფა ჩაბუქს წამებისა და არასათანადო მოპყრობის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მისი განაცხადი საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ჩაბუქმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა. წლის ბოლოსთვის ის ჯერ კიდევ წინასაექსტრადიციო პატიმრობაში რჩებოდა.

შრომითი უფლებები

წლის განმავლობაში სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების შედეგად ათეულობით ადამიანი გარდაიცვალა. მსხვერპლის განსაკუთრებით დიდი ნაწილი მაღაროებსა და მშენებლობებზე დასაქმებულ მუშებზე მოდიოდა. რეგულაციების გამკაცრებისა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ მათი ეფექტური მონიტორინგის საჭიროება კვლავინდებურად დგას.

სირია

სირიის არაბული რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: ბაშარ ალ-ასადი
მთავრობის მეთაური: იმად ხამისი

შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ომის დანაშაულებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების ჩადენას დაუსჯელად აგრძელებდნენ. ხელისუფლება და მისი მოკავშირე ძალები, მათ შორის – რუსეთი, სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ უმისამართო თუ პირდაპირ საჰაერო და საარტილერიო იერიშებს ახორციელებდნენ; ქიმიურ და სხვა აკრძალულ იარაღს იყენებდნენ; კლავდნენ და აშავებდნენ ასობით ადამიანს. მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს ხელისუფლება ხანგრძლივ ალყას არტყამდა, რითიც ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობას ათასობით სამოქალაქო პირს უზღუდავდა. ხელისუფლების ძალები და უცხო ქვეყნის მთავრობები

მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და ადგილობრივ შეთანხმებებს დებდნენ, რაც გრძელვადიანი ალყის დასრულებისა და უკანონო თავდასხმების შემდგომ პერიოდში ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის გადაადგილებას იწვევდა. სპეცსამსახურებმა ათობით ათასი ადამიანი დააკავეს, მათ შორის – მშვიდობიანი აქტივისტები, ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლები, ადვოკატები და ჟურნალისტები, რომელთა დიდი ნაწილიც იძულებით გააუჩინარეს, აწამეს და სასტიკ მოპყრობას დაუქვემდებარეს, რაც ციხეებში გარდაცვალებასაც იწვევდა. შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები მშვიდობიანი მოქალაქეებით დასახლებულ ადგილებს უმისამართო ცეცხლს უხსნიდნენ, ალყაში აქცევდნენ და ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებას უზღუდავდნენ. შეიარაღებული ჯგუფი „ისლამური სახელმწიფო“ (IS) სამოქალაქო პირებს ცეცხლს უკანონოდ უხსნიდა და ცოცხალ ფარად იყენებდა. კოალიციამ, რომელსაც აშშ უდგას სათავეში, IS-ის მიმართ თავდასხმები განახორციელა, ზოგჯერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დარღვევით, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. წლის ბოლოს კონფლიქტის შედეგად მოკლულ პირთა რაოდენობა 400 ათასს აცდა, ხოლო ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 11 მილიონი შეადგინა.

ზოგადი მოცემულობა

სირიის შეიარაღებული კონფლიქტი მეშვიდე წელში შევიდა. ჰომსის, დაიე ელ-ზავრისა და სხვა რეგიონებში ხელისუფლების ძალებმა და მათმა მოკავშირეებმა, მათ შორის ირანელმა და ჰეზბოლას მებრძოლებმა, IS-ისა და სხვა შეიარაღებული ჯგუფების მიერ ადრე დაკავებული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაიპყრეს. მათ მხარს რუსეთის შეიარაღებული ძალები უჭერდნენ, რომლებიც იერიშებს IS-ისა და ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ჯგუფების მიმართ ახორციელებდა, რასაც, არსებული ინფორმაციით, სამოქალაქო მსხვერპლი მოჰქონდა. ოქტომბერში სირიელ ქურთთა და არაბთა შეიარაღებული ძალებისგან შემდგარმა „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ რაქას რეგიონში IS-ის მმართველობა დაასრულეს. მათ მხარს აშშ-ის მეთაურობით შემდგარი საერთაშორისო კოალიცია უჭერდა, რომელმაც საჰაერო იერიშები ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სირიის ტერიტორიებზე განახორციელა, რა დროსაც ასობით სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაშავდა. ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული ოპოზიციის სხვა ჯგუფები, მათ შორის – „არარ ალ-შამის ისლამური მოძრაობა“, „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი“ და „ჯაიშ ალ-ისლამი“ რიფ დიმაშკის, იდლიბისა და ალეპოს რეგიონის ზოგიერთ რეგიონზე კონტროლის დამყარებას ცდილობდნენ. პერიოდულად ისინი ერთმანეთსაც ებრძოდნენ. სავარაუდოდ ისრაელის მიერ სირიაში განხორციელებული რამოდენიმე თავდასხმის სამიზნეები ჰეზბოლა, სირიის ხელისუფლება და სხვა მებრძოლები იყვნენ.

რუსეთი სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების აღსადგენად გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ნებისმიერი მცდელობის დაბლოკვას აგრძელებდა. 12 აპრილს რუსეთმა ვეტო დაადო რეზოლუციას, რომელიც სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას გმობდა და პასუხისმგებელი პირების ანგარიშვალდებულებას ითხოვდა. 17 ნოემბერს რუსეთმა ვეტო კიდევ ერთ რეზოლუციას დაადო, რომელიც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ 2015 წელს ინიცირებული გაეროსა და „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის“ ერთობლივი საგამოძიებო მექანიზმისათვის მანდატის გაგრძელებას ემსახურებოდა; მექანიზმს სირიაში ქიმიური იარაღის

გამოყენების შემთხვევები უნდა შეესწავლა და პასუხიმგებელი პირები გამოეკვეთა.

მშვიდობის საკითხებში შუამავლობაზე გაეროს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, გადაიტანეს რა კონფლიქტის მხარეებმა და მათმა მოკავშირეებმა დიპლომატიური დისკუსიები ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში. რუსეთის, ირანისა და თურქეთის მიერ მოწყობილი დიპლომატიური დიალოგის მიზანი 2016 წლის დეკემბერში მიღებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების გაძლიერება და გაეროს 2015 წლის 2254-ე რეზოლუციით განსაზღვრული „მშვიდობის სამოქმედო გეგმის" აღსრულება იყო. 2017 წლის მაისში რუსეთის შუამავლობით გამართულმა მოლაპარაკებების შედეგად, სირიის მასშტაბით ოთხი დეესკალაციის ზონა შეიქმნა, მათ შორის – იდლიბში, დარაში, ჰომსსა და რიფ დიმაშკში.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიამ, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 2011 წელს შექმნა, კონფლიქტის მხარეთა მიერ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულების მონიტორინგი და დარღვევების აღრიცხვა განაგრძო. კომისიას სირიაში შესვლას ხელისუფლება კვლავ უკრძალავდა.

ივლისში მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საერთაშორისო მექანიზმის ხელმძღვანელად კატრინ მარში-უელი დაინიშნა. მექანიზმი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2016 წლის დეკემბერში სირიაში 2011 წლის მარტის შემდეგ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულების გამოძიებისა და სამართლებრივი დევნისათვის ხელშეწყობის მიზნით შექმნა.

შეიარაღებული კონფლიქტი – სირიის ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების, მათ შორის ირანისა და რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულები

უმისამართო თავდასხმები და პირდაპირი შეტევები მშვიდობიან მოსახლეობაზე

სირიის ხელისუფლებისა და მისი მოკავშირე ძალების მიერ ომის დანაშაულებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა მძიმე დარღვევების ჩადენას კვლავ ჰქონდა ადგილი, მათ შორის – განურჩეველ თავდასხმებსა და პირდაპირ შეტევებს მშვიდობიან მოსახლეობაზე, საცხოვრებელ სახლებსა და სამედიცინო დაწესებულებებზე. ხელისუფლების ძალები შეიარაღებული ოპოზიციური ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებს ესხმოდნენ, უკანონოდ კლავდნენ და აშავებდნენ სამოქალაქო პირებს და აზიანებდნენ სამოქალაქო ობიექტებს, მათ შორის საჰაერო დაბომბვებისა და საარტილერიო ცეცხლის გახსნის გზით.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ექიმები ადამიანის უფლებებისათვის" ინფორმაციით, 19 სექტემბერს ხელისუფლების ძალებმა იდლიბის რეგიონში სამი საავადმყოფოს მიმართ საჰაერო იერიშები მიიტანეს, რამაც ერთ-ერთი საავადმყოფოს თანამშრომლის სიკვდილი, სასწრაფო მანქანების განადგურება და ობიექტების დაზიანება გამოიწვია. 13 ნოემბერს სირიისა და რუსეთის ძალებმა დღის განმავლობაში ალეპოს რეგიონში, ოპოზიციის მიერ კონტროლირებულ ქალაქ ელ-ატარიბში მდებარე დიდ ბაზარს საჰაერო ჭურვები დღის განმავლობაში დაუშინეს. ოპერაციამ სულ ცოტა 50 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, რომელთა უმეტესობაც სამოქალაქო პირი იყო. 18 ნოემბერს ხელისუფლების ძალებმა საჰაერო იერიშები და საარტილერიო თავდასხმები აღმოსავლეთ გუთაში ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოსახლეობაზე

განახორციელეს, რამაც სულ ცოტა 14 ადამიანი მოკლა.

4 აპრილს ხელისუფლებამ იდლიბის გარეუბანში, ქალაქ ხან-შაიხუნში ქიმიური იარაღი გამოიყენა, რამაც 70-ზე მეტი სამოქალაქო პირი მოკლა და ასობით ადამიანი დააშავა. 30 ივნისს „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ" განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ხან-შაიხუნზე საჰაერო თავდასხმისას აკრძალული ნერვული აგენტი, ზარინი გამოიყენა.

ალყა და ჰუმანიტარული დახმარების დაბლოკვა

ხელისუფლება სამოქალაქო პირებით დასახლებული ტერიტორიების გარშემო გრძელვადიან ალყებს ინარჩუნებდა. ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისის (OCHA) ინფორმაციით, სირიაში ალყაში მყოფი 419,920 ადამიანიდან თითქმის 400 ათასი აღმოსავლეთ გუთაში, ხელისუფლების ალყაში იმყოფებოდა. ხელისუფლების ძალებმა ალყაშემორტყმულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეებს სამედიცინო დახმარებაზე და სხვა საჭირო პროდუქტებსა და სერვისებზე წვდომა შეუზღუდეს. ამავდროულად, აქ მცხოვრები მოსახლეობა საჰაერო, საარტილერიო და სხვა ტიპის თავდასხმების მუდმივი მსხვერპლი იყო. ოქტომბერში UNICEF-მა გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთ გუთაში საკვების მწვავე უკმარისობისგან 232 ბავშვი იტანჯებოდა.

სამშვიდობო მოქალაქეების იძულებითი გადაადგილება

ხელისუფლება და შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების მიერ 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის მარტის ჩათვლით დადებულმა ოთხმა ე.წ. შერიგების შეთანხმებამ ხუთი ალყაშემორტყმული ტერიტორიიდან ათასობით პირის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. ეს ადგილები იყო: დამასკოს გარეუბანი დარაია, აღმოსავლეთ ალეპო, ქალაქ ჰომსის ალ-ვაერის კვარტალი, ქალაქი კეფრაია და ქალაქი ფუა. ხელისუფლება და შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები ამ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებს გრძელვადიან ალყაში ამყოფებდნენ და უკანონოდ ბომბავდნენ, ერთმანეთისთვის ჩაბარება და მოლაპარაკებაზე წასვლა რომ აეძულებინათ. უკანონო ალყა და დაბომბვები მოსახლეობის მასობრივად იძულებით გადაადგილებას იწვევდა, რაც ხელისუფლების მიერ სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებულ სისტემურ და ფართომასშტაბიან დარღვევებსა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის შეადგენდა.

შეიარაღებული კონფლიქტი – შეიარაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები

უმისამართო თავდასხმები და პირდაპირი შეტევები მშვიდობიან მოსახლეობაზე

IS-ის ძალების მიერ სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებულმა პირდაპირმა თუ უმისამართო თავდასხმებმა ბევრი მოკლა. „სირიის დემოკრატიული ძალებისა" და აშშ-ის კოალიციის მიერ რაქას ასაღებად შუა წელში წამოწყებული ოპერაციისას IS-ის ძალებმა მაცხოვრებლებს ქალაქიდან გაქცევის შესაძლებლობა არ მისცეს და ცოცხალ ფარად გამოიყენეს.

თვითმკვლელების მიერ მოწყობილ მთელ რიგ აფეთქებებზე IS-მა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო; მათ შორის იყო თებერვალში მომხდარი თავდასხმა ალეპოში, რომელმაც 50 მშვიდობიანი მოსახლე მოკლა და ოქტომბერში დამასკოში მომხდარი თავდასხმა, რომელსაც 17 სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა. „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამმა" პასუხისმგებლობა 11 მარტს დამასკოში შიიტურ სალმოცველოსთან მომხდარ ორ აფეთქებაზე აიღო, რომლის დროსაც დაიღუპა 44, ხოლო დაშავდა 120 მშვიდობიანი მოსახლე.

მაისში აღმოსავლეთ გუთაში შეიარაღებულ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის შიდა დაპირისპირება რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა; მსხვერპლმა 100-ზე მეტი სამოქალაქო და მებრძოლი პირი შეადგინა. აღმოსავლეთ გუთაში გამაგრებული შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები ხელისუფლების მიერ

კონტროლირებული კვარტლების მისამართით ჭურვებს ისროდნენ, რამაც წლის განმავლობაში რამდენიმე ადამიანი მოკლა და დაჭრა. ნოემბერში შეიარაღებული ოპოზიციურმა ჯგუფებმა ალეპოს რეგიონში ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ქალაქ ნებულის მიმართულებით რეაქტიული ჭურვები ისროლეს, რასაც სამი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.

უკანონო მკვლელობები

„სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორიის" ინფორმაციით, ჰომსის რეგიონის ქალაქ ელ-ქარიატაინში IS-მა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი 100-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლა. მოგვიანებით, ქალაქი ხელისუფლების ძალებმა დაიკავეს.

ალყა და ჰუმანიტარული დახმარების დაბლოკვა

შეიარაღებული ოპოზიციური ძალები სამოქალაქო პირებით დასახლებული ტერიტორიების გარშემო ალყას არტყამდნენ, რასაც ხანგრძლივი პერიოდით ინარჩუნებდნენ. ამით ისინი მოსახლეობას ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებასა და სხვა აუცილებელ პროდუქტებსა და სერვისებზე წვდომას უზღუდავდნენ. OCHA-ს ინფორმაციით, „ჰეიათ თაჰრირ ალ-შამისა" და „აჰრარ ალ-შამის" ისლამური მოძრაობებს იდლიბის რეგიონის ორ ქალაქში ალყაშემორტყმული 8 ათასი ადამიანი ჰყავდათ.

შეიარაღებული კონფლიქტი – აშშ-ის კოალიციის საჰაერო იერიშები

საერთაშორისო კოალიციამ, რომელსაც აშშ მეთაურობს, IS-ის წინააღმდეგ საჰაერო იერიშების მიტანა გააგრძელა. თავდასხმებს, რომელთა შორის ზოგიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს არღვევდა, სამოქალაქო მსხვერპლი მოჰქონდა. ივნისის თვეში კოალიციის ძალებმა რაქას გარეუბნებში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ თეთრი ფოსფორის საბრძოლო მასალა უკანონოდ გამოიყენეს. მაისში აშშ-ის კოალიციის თავდასხმების სერიამ რაქას ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ფერმაში ერთი ოჯახის 14 წევრის სიცოცხლე იმსხვერპლა (რვა ქალი, ერთი კაცი და ხუთი ბავშვი) და ორი ბავშვი მძიმედ დაჭრა. მაისშივე რაქას ჩრდილოეთით მდებარე გარეუბნების მიმართ განხორციელებულმა საჰაერო შეტევამ 31 ადამიანი მოკლა. ივლისში IS-ის ობიექტიდან 100 მეტრით დაშორებით მდებარე საცხოვრებელ სახლზე კოალიციის თავდასხმამ სამშვილიანი ოჯახი მოკლა. კოალიციის ძალებმა რაქას სამხრეთით, ევფრატის მდინარეში მოცურავე ნავებს ესროლეს და ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქე, რომელიც ქალაქში გაჩაღებულ ომს გაურბოდა, მოკლეს. კოალიციამ სამოქალაქო მსხვერპლის შემთხვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ადეკვატური გამოძიება ვერ უზრუნველყო.

შეიარაღებული კონფლიქტი – PYD-ის ავტონომიური ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი დანაშაულები

ავტონომიურმა ადმინისტრაციამ, რომელსაც „სირიელი ქურთების დემოკრატიული კავშირის პარტია" (PYD) ედგა სათავეში, ქურთებით დასახლებული ჩრდილოეთი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე კონტროლი შეინარჩუნა. ადმინისტრაციამ ოპოზიციის აქტივისტები უსაფუძვლოდ დააკავა, მათ შორის – სირიის ქურთთა ეროვნული საბჭოს წევრები. ბევრი მათგანი მძიმე პირობებში გრძელვადიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა.

ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

2011-2017 წლებში სირიის შიგნით 6,5 მილიონი ადამიანი გადაადგილდა, ხოლო 5 მილიონზე მეტმა თავშესაფრის ძიება სირიის გარეთ ცადა. გაეროს ლტოლვილთა სააგენტოსა (UNHCR) და OCHA-ს ინფორმაციით, 2017 წელს

ლტოლვილი 511 ათასი ადამიანი გახდა. მეზობელი ქვეყნების – თურქეთის, ლიბანისა და იორდანიის ხელისუფლებებმა, რომლებიც თითქმის ყველა ამ ლტოლვილს (გარდა სირიიდან გაქცეული პალესტინელებისა) მასპინძლობდნენ, ახალი ლტოლვილების მიღებაზე შეზღუდვები დააწესეს, რამაც ეს ადამიანები სირიაში კიდევ უფრო მეტი თავდასხმების, ძალადობისა და გაჭირვების საფრთხის ქვეშ დააყენა. ევროპული და სხვა ქვეყნების მიერ შეთავაზებული თავშესაფრების რაოდენობა და უსაფრთხო და კანონიერი მარშრუტები UNHCR-ის მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებებს ოდნავადაც კი არ უახლოვდებოდა.

ზოგიერთი სირიელი ლტოლვილი იმპროვიზებულ ბანაკებში ცდილობდა თავის გატანას, სადაც არც ჰუმანიტარულ დახმარებაზე და არც საცხოვრებლად საჭირო ელემენტარულ საჭიროებებზე არ ჰქონდათ წვდომა.

იძულებითი გაუჩინარება

სირიის უსაფრთხოების ძალები ათასობით პირს სასამართლოს გარეშე აკავებდნენ და ციხეში ტოვებდნენ, ხშირად – ისეთ პირობებში, რომლებიც იძულებით გაუჩინარებას უტოლდებოდა. ათობით ათასი ადამიანი იძულებით გაუჩინარებული იყო, ბევრი მათგანი 2011 წელს კონფლიქტის დაწყების შემდეგ. მათ შორის იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებდნენ, ხელისუფლების ოპონენტები და ძებნილ პირთა ოჯახის წევრები, რომლებიც მათი ნათესავების ნაცვლად ჰყავდათ დაკავებული.

წამება და არასათანადო მოპყრობა

ციხეებში ხელისუფლების უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანოების მიერ დაკავებულების წამება და არასათანადო მოპყრობა სისტემური და ფართოდ გავრცელებული იყო. წამება და არასათანადო მოპყრობა პატიმართა სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. მაგალითად, საიდნაიას სამხედრო ციხეში დაკავებულთა დიდი ნაწილი განმეორებითი წამებისა და საკვების, წყლის, ვენტილაციის, წამლებისა და სამედიცინო დახმარების სისტემური ნაკლებობისგან გარდაიცვალა. მათი ცხედრები მასობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს.

არასასამართლო სასიკვდილო განაჩენი

დამასკოს მახლობლად მდებარე საიდნაიას სამხედრო ციხეში ხელისუფლების ძალები დაკავებულებს რეგულარულად კლავდნენ. 2011-დან 2015 წლამდე ღამით 13 ათასი ადამიანი ჩამოახრჩვეს. მსხვერპლთა დიდი ნაწილი ის სამოქალაქო პირები იყვნენ, ვინც ხელისუფლების მოწინააღმდეგედ ითვლებოდა და გაუჩინარების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. სანამ ჩამოახრჩობდნენ, მსხვერპლებს დამასკოს ალ-ქაბუნის უბანში მდებარე სამხედრო-საველე სასამართლო „ასამართლებდა“ და სიკვდილს უსჯიდა; „სასამართლო პროცესის“ ხანგრძლივობა, როგორც წესი, ერთიდან სამ წუთამდე იყო. ეს სასამართლო თავისი დახურული სხდომებით, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ, განთქმული იყო.

აგვისტოში პროგრამისტი ბასელ ხართაბილის ოჯახმა შეიტყო, რომ ალ-ქაბუნის სამხედრო სასამართლომ ის 2015 წელს „გაასამართლა“ და „სიკვდილი მიუსაჯა“. ბასელ ხართაბილი 2012 წლის 15 მარტს სირიის სამხედრო დაზვერვამ დააკავა. მან განმარტოებით პატიმრობაში რვა თვე გაატარა, რის შემდეგაც დამასკოში ადრას საპატიმროში 2012 წლის დეკემბერში იქნა გადაყვანილი. ადრაში ის 2015 წლის 3 ოქტომბრამდე იმყოფებოდა, რის შემდეგაც უცნობ ადგილას გადაიყვანეს, სადაც მისი სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა.

სიკვდილით დასჯა

სასიკვდილო განაჩენი კვლავ ბევრი დანაშაულისთვის იყო გათვალისწინებული. ხელისუფლება სასჯელის უმაღლესი ზომის

მისჯის თაობაზე მწირ ინფორმაციას ასაჯაროებდა, თუმცა მათ აღსრულებაზე არაფერი იყო ცნობილი.

სომხეთი

სომხეთის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: სერჟ სარგსიანი
მთავრობის მეთაური: კარენ კარაპეტიანი

პრობლემად რჩება ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ქვეყნის დედაქალაქ ერევანში 2016 წლის დემონსტრაციების დროს პოლიციის მიერ ძალის უადგილოდ და გადაჭარბებით გამოყენების საქმეზე. დარღვევებით მიმდინარეობდა მძევლების აყვანასა და სხვა ძალადობრივ დანაშაულებში ბრალდებული ოპოზიციის წევრების სასამართლო პროცესები. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა უფლებამცველის მიმართ. ძალადობრივი ინციდენტები ახლდა თან საპარლამენტო და ერევნის საკრებულოს არჩევნებს.

ზოგადი მოცემულობა

2 აპრილს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მმართველმა „რესპუბლიკურმა პარტიამ" მოიპოვა. 2015 წლის საკონსტიტუციო რეფერენდუმის შემდეგ, რომლითაც ქვეყნის საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა განისაზღვრა, ეს პირველი საყოველთაო არჩევნები იყო. ეუთოს დამკვირვებლების შეფასებით, საარჩევნო პროცესს „ჩრდილს აყენებს ამომრჩევლის მოსყიდვისა და საჯარო მოხელეებსა და კერძო კომპანიების თანამშრომლებზე" მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემის მიზნით „ზეწოლის თაობაზე დამაჯერებელი ცნობები".

ნოემბრის თვეში სომხეთსა და ევროკავშირს შორის ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა. ასოცირების ხელშეკრულებასთან შედარებით, რომლის ხელმოწერაზეც 2013 წელს სომხეთმა უარი თქვა რუსეთის მიერ ინიცირებულ საბაჟო კავშირში შესვლის სანაცვლოდ, ეს დოკუმენტი ნაკლებად ინტენსიური თანამშრომლობის ფორმას წარმოადგენს.

დაუსჯელობა

2016 წელს ერევანში დიდწილად მშვიდობიანი ანტისამთავრობო დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ ძალის უადგილოდ და გადაჭარბებით გამოყენებისათვის ანგარიშვალდებულების მიღწევის საკითხში პროგრესი ძალიან მცირე იყო. მაშინ პოლიციის მოქმედებებისას დაშავდა და საეჭვო გარემოებებში დაკავებულ იქნა ასობით პირი. საჯარო წესრიგის დარღვევისა და სხვა ბრალდებების საფუძვლით, ათეულობით დემონსტრანტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. პოლიციელების მიერ ძალის გადაჭარბების თაობაზე სისხლის სამართლის გამოძიებას არც ერთი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაუდგენია.

არასამართლიანი სასამართლო

ოპოზიციის ჯგუფის ის წევრები, რომლებმაც 2016 წლის დემონსტრაციების წინა პერიოდში პოლიციის შენობა დაიკავეს, სხვადასხვა ძალადობრივი დანაშაულებისთვის გასამართლდნენ, მათ შორის – მძევლების აყვანისა და პოლიციის თანამშრომლების სიცოცხლის მოსპობისათვის. რამდენიმე ბრალდებულის თქმით, მათ პატიმრობისას ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ხოლო საქმის ადვოკატები აცხადებდნენ, რომ პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის მიზნით, მათზე ზეწოლა და შევიწროება ხორციელდებოდა.

არაიკ პაპიკიანის, მუშეგ შუშანიანის, ნინა კარაპეტიანცისა და საქმის სხვა ადვოკატების განცხადებების მიხედვით, საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაცია მათ ბრალდებულების ნახვისა და კონფიდენციალური შეხვედრების

გამართვის შესაძლებლობას არ აძლევდა. გარდა ამისა, ისინი ამბობენ, რომ უკანონოდ ჩამოართვეს და გაუნადგურეს მათ მფლობელობაში არსებული საქმის ზოგიერთი მასალა. რამდენიმე ადვოკატის ცნობით, სასამართლოში უსაფრთხოების მიზნით მათი ჩხრეკა არაგონივრულად დიდი ხნის განმავლობაში და შემავიწროებელ გარემოებებში მიმდინარეობდა. ადვოკატებს, რომლებიც ჩხრეკაზე უარს აცხადებდნენ, სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება არ ეძლეოდათ და ადვოკატთა ასოციაციამ მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

ასევე, ადვოკატების ცნობით, 28 ივნისს მათი დაცვის ქვეშ მყოფი ხუთი ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან იძულების წესით შენობის სარდაფში იქნა გადაყვანილი, სადაც მათ პოლიციის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სცემეს. ბრალდებულებს ფიზიკური ძალადობის კვალი აღენიშნებოდათ, მათ შორის – დაჟეჟილობები და ნაკაწრები სახესა და ფეხებზე, რაც საპატიმროს სამედიცინო პერსონალმაც დააფიქსირა. პოლიციის განცხადებით, ეს დაზიანებები ბრალდებულებს მაშინ მიადგათ, როდესაც კედლებსა და ღობეებს პროტესტის ნიშნად მიზანმიმართულად ურტყეს თავები და ფეხები. ბრალდებულების ცემისა და ადვოკატების შევიწროების განცხადებებზე გამოძიება წლის ბოლოსთვის არ იყო დასრულებული.

უფლებადამცველები

იანვარში დაიწყო მარინა პოღოსიანის, უფლებადამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ველესის“ დირექტორის, სასამართლო პროცესი. ორგანიზაცია ანტიკორუფციული საქმიანობითა და უფლებაშელახულ პირთათვის სამართლებრივი დახმარებით არის ცნობილი. პოღოსიანის მიმართ საქმე გამოძალვის ბრალდებით 2015 წელს აღიძრა, რასაც წინ მის მიერ ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების ფულის გათეთრების სქემის წარმოებაში დადანაშაულება უძღოდა. ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქმე მის ანტიკორუფციულ საქმიანობას დაუკავშირეს. 30 აპრილს მარინა პოღოსიანმა განაცხადა, რომ სოციალურ ქსელ ფეისბუქში მისი სახელით ყალბი პირადი გვერდი შეიქმნა, საიდანაც მის კონტაქტებს სექსუალური ხასიათის ფოტო და ვიდეომასალა გაეგზავნათ, რაც მისი რეპუტაციის შელახვას ემსახურებოდა.

გამოხატვის თავისუფლება

საარჩევნო კამპანიებისას, რომლებიც აპრილში გამართულ საპარლამენტო და მაისში გამართულ ერევნის საკრებულოს არჩევნებს უძღოდა წინ, ჟურნალისტებისა და სხვა პირების მიმართ, ვინც საარჩევნო პროცესის დარღვევების გამოვლენას ცდილობდნენ, ძალადობის ცალკეული შემთხვევები დაფიქსირდა.

2 აპრილს ერევნის ქონდის უბანში ორ ჟურნალისტს „რესპუბლიკური პარტიის“ მხარდამჭერები დაესხნენ თავს. ჟურნალისტები პარტიის საარჩევნო შტაბში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევას იძიებდნენ. თავმდამსხმელებმა ერთ-ერთ კორესპონდენტს ვიდეოაპარატურა მაშინ წაართვეს, როდესაც შტაბიდან გასულ პირებს უღებდა. საქმეზე გამოძიება წლის ბოლოს ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CERD) უმცირესობების, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთა მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მდგომარეობაზე მონაცემების ნაკლებობის პრობლემა წამოწია. კომიტეტმა პრობლემურად მიიჩნია, ასევე, ინფორმაციის სიმწირე ეთნიკურ უმცირესობათა პატარა ჯგუფების – როგორიცაა ლომი (ცნობილი, ასევე, როგორც ბოშები) და მალაკნები – მდგომარეობის შესახებ და ხელისუფლებას მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე ეთნიკური, ეროვნული და

წარმომავლობის კრიტერიუმების მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება მოსთხოვა.

უკრაინა

უკრაინა
სახელმწიფოს მეთაური: პეტრო პოროშენკო
მთავრობის მეთაური: ვოლოდიმირ ჰროისმანი

საიდუმლო ციხეების საკითხზე უკრაინის საიდუმლო სამსახურის (SBU) საქმიანობის შესწავლას შედეგი არ გამოუღია. სამართალდამცავებმა წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდების გამოყენება გააგრძელეს. უკრაინის ხელისუფლებამ კრიტიკოსებსა და დამოუკიდებელ არასამთავრობოებზე, მათ შორის – ჟურნალისტებსა და ანტიკორუფციულ აქტივისტებზე, ზეწოლა გაზარდა. გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების შეზღუდვას მთავრობა სამართლებრივი დევნისა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით ცდილობდა. სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დე ფაქტო ხელისუფლებამ კრიტიკოსების დაკავება განაგრძო. ნოემბერში დონეცკის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ მამაკაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში ხელისუფლების კრიტიკოსების მიმართ ზეწოლა, შევიწროება და სისხლის სამართლებრივი დევნა ხდებოდა. ქვეყნის დედაქალაქ კიევში სიამაყის მარში პოლიციის მკაცრი დაცვის პირობებში გაიმართა. ლგბტი ღონისძიებებზე თავდასხმების შემთხვევები ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა. ხელისუფლებამ უკრაინიდან სამხრეთ სუდანის მიმართულებით იარაღის მიწოდების ხელშეკრულების შეჩერებაზე გააკეთა განცხადება.

ზოგადი მოცემულობა

2017 წელს სოციალური უკმაყოფილება კვლავ იზრდებოდა. ეკონომიკური პრობლემების ფონზე, რეფორმების ნელი ტემპისა და ფართოდ გავრცელებული კორუფციის გასაპროტესტებლად კიევში დემონსტრაციები რეგულარულად ეწყობოდა, რომლებიც ხანდახან ძალადობრივი ხდებოდა. ზოგიერთი დემონსტრაცია ერთად ასობით ადამიანს უყრიდა თავს. აპრილში მსოფლიო ბანკმა განაცხადა, რომ უკრაინულმა ეკონომიკამ შემცირება შეწყვიტა, 2%-იანი ზრდის პროგნოზი გააკეთა და ხელისუფლებას რეფორმების გაგრძელებისკენ მოუწოდა. 14 ივნისს ევროკავშირმა უკრაინის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა დააწესა. ხელისუფლებამ ფართომასშტაბიანი სამედიცინო და საგანმანთლებლო რეფორმები დაიწყო; ერთ-ერთი ცვლილება მომავალში სასკოლო სასწავლო გეგმაში ადამიანის უფლებების დისციპლინის შეტანას შეეხებოდა.

აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული და სამთავრობო ძალები, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2015 წლის ხელშეკრულების დარღვევით, ბრძოლას აგრძელებდნენ. მსხვერპლი იზრდებოდა და, გაეროს ინფორმაციით, 15 აგვისტოსათვის 10 225-ს მიაღწია, რომელთა შორისაც 2 505 სამოქალაქო პირი იყო. 27 დეკემბერს მხარეებმა ტყვეები გაცვალეს, რამაც თავისუფლება 380 ადამიანს მოუპოვა.

უკრაინაში გაეროს მონიტორინგის სექტემბრის ანგარიშის მიხედვით, „გაზრდილ სიღარიბესა და უმუშევრობას, საკვებზე რეკორდულად მაღალ ფასებთან ერთად, დონეცკისა და ლუგანსკის კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ 3,8 მილიონ ადამიანზე მძიმე ეფექტი ჰქონდა. ეს ყველაფერი კი იმას ემატებოდა, რომ ორივე მხრიდან შეიარაღებული დაპირისპირება მოსახლეობას ყოველდღიურად უდიდეს დაბრკოლებებს უქმნიდა.“ წინა წლებში მიღებულმა

კანონებმა კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და პენსიით სარგებლობის უფლებები კიდევ უფრო შეზღუდა.

ყირიმი რუსეთის ოკუპაციის ქვეშ რჩებოდა. რუსეთი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მანდატის მქონე ორგანოებს ნახევარკუნძულზე შესვლას კვლავ უზღუდავდა.

წამება და არასათანადო მოპყრობა

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა მეთოდებს კვლავ იყენებდნენ და ადამიანის უფლებებს არღვევდნენ. წარსულ და მიმდინარე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დანაშაულებისათვის დაუსჯელობა გაგრძელდა.

15 აგვისტოს SBU-მა უკრაინაში დედის მოსანახულებლად ჩასული რუსეთში მცხოვრები უკრაინის მოქალაქე დარია მასტიკაშევა დააკავა. მასტიკაშევა ორი დღის განმავლობაში განმარტოებით პატიმრობაში იმყოფებოდა. მას ბრალი სახელმწიფო ღალატსა და იარაღის უკანონო ფლობაში დასდეს. მისი ადვოკატის მიერ სასამართლოს გარეთ გადაღებულ ფოტოებზე ცემისა და, სავარაუდოდ, SBU-ის თანამშრომლების მიერ წამების კვალი ჩანს. ადვოკატის თქმით, დაკავებულს დედისა და შვილისთვის საფრთხის შექმნით ემუქრებოდნენ, რამაც მას ვიდეოკამერის წინ თვითმამხილებელი ჩვენების წაკითხვა აიძულა. წლის ბოლოს ის ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფებოდა და სასამართლოს გამართვას ელოდა.

16 ნოემბერს, ბოლოსდაბოლოს, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გამოსაძიებლად შექმნილი დამოუკიდებელი სააგენტოს, სახელმწიფო საგამოძიებო ბიუროს (SIB) ხელმძღვანელი დაინიშნა. წლის ბოლოს, SIB პერსონალით ჯერ ისევ არ იყო სრულად დაკომპლექტებული და მუშაობა დაწყებული არ ჰქონდა.

კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობა

უკრაინაში გაეროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მისიის მიერ თებერვალში გამოქვეყნებულმა ანგარიშმა კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შემთხვევები ასახა. ანგარიშში მსხვერპლთათვის ადეკვატური დაცვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით ვერ უზრუნველყოფისთვის უკრაინის სასამართლო სისტემა არის გაკრიტიკებული. დოკუმენტირებული შემთხვევების უმეტესობა სამთავრობო ძალებისა თუ შეიარაღებული ჯგუფების მიერ დაკავებული კაცებისა და ქალების მიმართ სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა.

დაკავება

SBU-ის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში საიდუმლო ციხეების საკითხზე მთავარი სამხედრო პროკურორის გამოძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მტკიცებულებები, სადაც ჩანს, რომ ამ პრაქტიკას ადგილი ნამდვილად ჰქონდა, ხელისუფლებამ დიდწილად დააიგნორა.

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების დაკავება

27 აპრილს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა (SPT) უკრაინაში 2016 წლის ვიზიტის თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ნათქვამია, რომ SBU-მა SPT-ის მანდატის აღსრულებას ხელი შეუშალა, როდესაც ის გარკვეულ ობიექტებზე არ დაუშვა. ამან მისიის ნაადრევად, 2016 წლის მაისში შეწყვეტა გამოიწვია. როდესაც SPT-მა სექტემბერში ვიზიტი განაახლა, ქვეკომიტეტს „დარჩა აშკარა შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ოთახი და სივრცე გასუფთავებული იყო ილუზიის შესაქმნელად, თითქოს დაკავებებისთვის არ გამოიყენებოდა“. საეჭვო ობიექტები, განსაკუთრებით კი ქალაქ ხარკოვში მდებარე შენობა, ქვეკომიტეტის ინფორმაციითა და ვარაუდით, საიდუმლო ციხეებად გამოიყენებოდა და დამკვირვებლების შეშვებამდე იქ მყოფი პატიმრები სხვა

არაოფიციალურ დაწესებულებებში იქნენ გადაყვანილნი.[1] SPT-ის რუსეთის მიერ მხარდაჭერილ და თვითგამოცხადებულ დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში მდებარე დაკავების ცენტრებში შესვლაზეც უარი ეთქვა.

დონეცკისა და ლუგანსკის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები კრიტიკოსებისა და უკრაინის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილი პირების დაკავებას აგრძელებდნენ. 4 მაისს დონეცკის დე ფაქტო სასამართლომ ცნობილ აკადემიკოს იჰორ კოზლოვსკის ორი წლითა და რვა თვით პატიმრობა იარაღის ფლობის ცრუ ბრალდების საფუძველზე შეუფარდა. იჰორ კოზლოვსკი 2016 წლის იანვრიდან იმყოფებოდა პატიმრობაში და მხოლოდ 2017 წლის 27 დეკემბერს, ტყვეთა გაცვლის შედეგად, გათავისუფლდა.

31 იანვარს, დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შესვლის გამო, რუსი აქტივისტები და ხელოვანები სეროე ფიოლეტოვოე და ვიქტორია მიროშნიჩენკო დააკავეს. ისინი განმარტოებით პატიმრობაში ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ და, საერთაშორისო კამპანიის ზეწოლით, 14 თებერვალს გამოუშვეს. სახელმწიფო უსაფრთხოების დე ფაქტო სამინისტრომ ისინი რუსულ საზღვრამდე მიაცილა და გაუშვა.

2 ივნისს შტატგარეშე ჟურნალისტი სტანისლავ ასეევი, რომელიც დონეცკიდან სტატიებს ანომიმურად წერდა, გაუჩინარდა. დონეცკის დე ფაქტო ხელისუფლება მის დაკავებას რამდენიმე კვირის განმავლობაში უარყოფდა. 16 ივლისს სამინისტრომ დედამისს განუცხადა, რომ ის ჯაშუშობის ბრალდებით პატიმრობაში იმყოფებოდა. სტანისლავ ასეევი წლის ბოლომდეც პატიმრობაში რჩებოდა და გამოძიება მის საქმეზე ჯერ ისევ მიმდინარეობდა.

შეკრების თავისუფლება

სამოქალაქო აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც კორუფციის საკითხებზე მუშაობს, ზეწოლასა და ძალადობას განიცდიდნენ. ეს ინციდენტები, ხშირ შემთხვევაში, ეფექტურად გამოძიებული არ იყო და ივარაუდებოდა, რომ ხშირად მათ უკან სამართალდამცავი უწყებები, ზოგ შემთხვევაში – საიდუმლო სამსახურები, იყვნენ.

მარტში მიღებულმა კანონმა ანტიკორუფციულ აქტივისტებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს, თანამდებობის პირების მსგავსად, ყოველწლიური საშემოსავლო დეკლარაციების წარმოდგენა დაავალდებულა. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა სისხლის სამართლებრივ დევნას და პატიმრობას ითვალისწინებდა.

ივლისში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ორი კანონპროექტი წარმოადგინა, რომელთა მიხედვითაც იმ არასამთავრობოებს, რომელთა წლიური ბიუჯეტიც კანონით გათვალისწინებულ საარსებო მინიმუმს – 2017 წლის ბოლოსთვის 1 700 უკრაინული ჰრივნა (63 აშშ დოლარი) – 300-ჯერ და უფრო მეტად აღემატება, ფინანსური ანგარიშების მძიმე ვალდებულებები დააკისრა. არასამთავრობოს თანამშრომლებსა და კონსულტანტებზე გაცემული ყველა თანხის საჯაროდ დეკლარირებაც ევალებოდათ. საკანონმდებლო წინადადება დაუმორჩილებლობისათვის მძიმე ჯარიმებს ითვალისწინებდა, მათ შორის არასამთავრობოს სტატუსის დაკარგვას და ანგარიშების დაყადაღებას. წლის ბოლოს კანონპროექტებს უკრაინის პარლამენტი ჯერ კიდევ იხილავდა.

11 ოქტომბერს საგადასახადო პოლიციამ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის, „უკრაინის პაციენტებისა“ და „აივ შიდსით ინფიცირებულ სრულიად უკრაინელ ხალხთა ქსელის“ (PLWH) ოფისებში შევიდა. ეს არასამთავრობოები სახელმწიფო სამედიცინო შესყიდვების სისტემაში საეჭვო სქემების გამოვლენაზე მუშაობდნენ. ხელისუფლებამ არასამთავრობოები საერთაშორისო

დაფინანსების არასათანადოდ განკარგვაში დაადანაშაულა – მიუხედავად იმისა, რომ მათ დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტის საპირისპირო დასკვნა ჰქონდათ – და, სასამართლოს დოკუმენტების მიხედვით, ყირიმში პარტნიორ პაციენტთა ორგანიზაციების დაფინანსების გამო ბრალი „ტერორიზმის მხარდაჭერაში" დასდო.

გამოხატვის თავისუფლება

2015 და 2016 წლებში ჟურნალისტების ოლეს ბუზინას და პაველ შერემეტის მკვლელობების გამოძიებებმა დამნაშავეების დადგენა ამ დრომდე ვერ მოახერხა. ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას აგრძელებდა, უყენებდა რა ცრუ ბრალდებებს იმ კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებს, ვინც მთავრობას აღმოსავლეთ უკრაინაში რეფორმების გატარების საკითხში წარუმატებლობისთვის აკრიტიკებდა. 7 ივნისს უკრაინის უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილება სინდისის პატიმარ რუსლან ქოცაბას გამართლების თაობაზე გააუქმა. ჟურნალისტ რუსლან ქოცაბას, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის კრიტიკის გამო, პროკურატურა სახელმწიფო ღალატსა და უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის ზიანის მიყენებაში ედავებოდა.

სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის ეჭვის საფუძვლით, ივნისში ონლაინ გამოცემა „სტრანას" ოფისი გაჩხრიკეს, რასაც აგვისტოში მისი რედაქტორის იჰორ გუჟვასა და ერთ-ერთი ჟურნალისტის სახლების ჩხრეკა მოჰყვა. ივლისში, თაღლითობის საქმის გამოძიების ფარგლებში, მედიაჰოლდინგ „ვესტის" ოფისიც გაიჩხრიკა. ორივე გამოცემა დონბასის რეგიონში უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკით არის ცნობილი.

აგვისტოში მომხდარი სამი ცალკეული ინციდენტისას უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა, „უკრაინის ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების" მიზეზით, ქვეყნიდან ორი ესპანელი და ორი რუსი ჟურნალისტი გააძევა და სამი წლის განმავლობაში უკან დაბრუნება აუკრძალა. SBU-ის წარმომადგენელმა ოლენა გიტლიანსკამ რუსი ჟურნალისტი ანა კურბატოვა „უკრაინის ეროვნული ინტერესებისათვის საზიანო" მასალის წარმოებაში დაადანაშაულა და ქვეყნიდან 30 აგვისტოს გააძევა. გიტლიანსკას თქმით, იგივე ელის ყველა იმ ადამიანს, ვინც „უკრაინისთვის სახელის შებღალვას გაბედავს". ოქტომბერში SBU-მა ესპანელი ჟურნალისტების მიმართ ქვეყანაში შემოშვების თაობაზე გაცემული აკრძალვა გააუქმა.

აგვისტოშივე SBU-მა შტატგარეშე ჟურნალისტი ვასილი მურავიტსკი ქალაქ ჟიტომირში დააკავა. ის რამდენიმე რუსული მედიასაშუალებისთვის წერდა სტატიებს. SBU-მა ის მოსკოვის დაკვეთით „ანტიუკრაინული" მასალის შექმნასა და გავრცელებაში დაადანაშაულა. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში ჟურნალისტს 15 წლამდე პატიმრობა ელის. ვასილი მურავიტსკი წლის ბოლოს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა.

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანები

18 ივნისს კიევში ათასობით ადამიანი შეუერთდა ამ დრომდე გამართულ ყველაზე მრავალრიცხოვან თანასწორობის მარშს, ეროვნული ლგბტი სიამაყის აქციას. აქცია რამდენიმე ათეულმა კონტრდემონსტრანტმაც მოაწყო. პოლიციამ მარშის მონაწილეების კონტრდემონსტრანტებისაგან ეფექტურად დაცვა მოახერხა; აქციის მსვლელობისას ინციდენტები არ დაფიქსირებულა. თუმცაღა, აქციის შემდეგ ულტრამემარჯვენე ჯგუფების წევრები ლგბტი მარშის რამდენიმე მონაწილეს თავს დაესხნენ და სცემეს. საერთო ჯამში, ლგბტი პირებზე თავდასხმების რიცხვი 2017 წელს გაიზარდა. სექტემბერში ულტრამემარჯვენე დემონსტრანტების ჯგუფმა სასტიკად სცემა ქალაქ ზაპოროჟიეში ლგბტი ფესტივალის მონაწილეებს.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

პარლამენტს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება (სტამბოლის კონვენცია) ჯერ ისევ არ მოუხდენია, რომელსაც ხელი 2011 წელს მოაწერა.

ყირიმი

ყირიმში გამოხტვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებების შელახვა გრძელდებოდა. ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ყირიმელი თათრების ეთნიკური ჯფუფი იყო. ყირიმელ თათართა თვითმმართველობის ორგანოს, მეჯლისის დაუსაბუთებელი გაუქმების ბრძანება კვლავ ძალაში რჩებოდა. უკანონო იარაღის, ნარკოტიკული საშუალებების თუ „ექსტრემისტული" ლიტერატურის ძებნის მოტივით, რუსული სპეცსამსახურები ათეულობით ყირიმელი თათრის სახლში შეიჭრნენ. ეს მოქმედებები ხელისუფლების ფართო კამპანიის ნაწილი იყო, რომელიც ნახევარკუნძულის მოსახლეობაში კრიტიკული მოსაზრებების ჩახშობას ემსახურება. ის რამდენიმე ადვოკატი, რომელმაც კრიტიკულად განწყობილი დაკავებულებების საქმეებს ხელი მოკიდეს, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა.

26 იანვარს ადვოკატი ემილ ქურბედინოვი დააკავეს, რომელსაც ყირიმის დედაქალაქ სიმფეროპოლის დე ფაქტო სასამართლომ ათდღიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალად რუსეთის ანტიექსტრემისტული კანონმდებლობის დარღვევა ედებოდა. აღსანიშნავია, რომ სადაო პოსტი მან სოციალურ მედიაში ყირიმის რუსეთის მიერ ოკუპაციამდე განათავსა. ამ პოსტით ქურბედინოვი მუსლიმთა ორგანიზაცია „ჰიზბ უთ თაჰრირის" მიერ გამართული საპროტესტო აქციის ვიდეოს აზიარებდა, რომელიც აკრძალულია რუსეთში, მაგრამ არა – უკრაინაში. 8 აგვისტოს ყირიმის უზენაეს სასამართლოსთან გამართულ აქციაზე, სადაც მონაწილეები ყირიმელ თათართა დისკრიმინაციას აპროტესტებდნენ, სიმფეროპოლის პოლიციამ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა და პლაკატის ჭერისთვის სერვერ კარამეტოვი დააკავა. მას ათდღიანი პატიმრობა მიესაჯა. 22 სექტემბერს უკრაინელ ჟურნალისტ მიკოლა სემენას „რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის" შელახვისათვის წაუყენეს ბრალი და ორნახევარი წლით პირობითი პატიმრობა და „საჯარო აქტივობებში" მონაწილეობაზე სამწლიანი აკრძალვა მიუსაჯეს. სექტემბერში ყირიმელ თათარ ლიდერებს ახტემ ჩიიგოზსა და ილმი უმეროვს მშვიდობიანი აქტივიზმისათვის პატიმრობა მიუსაჯეს. 25 ოქტომბერს ორივე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თურქეთში გაამგზავრეს და გაათავისუფლეს. ახტემ ჩიიგოზს წინასწარ პატიმრობაში 34 თვე ჰქონდა გატარებული, ხოლო ილმი უმეროვი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 2016 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე ჰყავდათ იძულებით გაჩერებული. ორივე მათგანი სინდისის პატიმარი იყო.

იარაღით ვაჭრობა

სამხრეთ სუდანში იარაღის გადაცემის შეჩერების თაობაზე უკრაინული სახელმწიფო კომპანიების გადაწყვეტილების შესახებ ეროვნული უსაფრთხოებისა და დაცვის საბჭოს მდივანმა ოლექსანდრ ტურჩინოვმა 28 სექტემბერს გამოაცხადა. ეს განცხადება „საერთაშორისო ამნისტიის" მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის გამოსვლიდან რამდენიმე დღეში გაკეთდა. ანგარიშში მოყვანილი ხელშეკრულებისა და პროდუქტის საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის მიხედვით, უკრაინის სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი იარაღის ექსპორტიორი კომპანია „უკრინმაში" სამხრეთ სუდანის თავდაცვის სამინისტროსთვის 169 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცივი სასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების გადაცემას გეგმავდა.[2] ანგარიშზე საპასუხოდ ექსპორტის კონტროლის სახელმწიფო სამსახურმა განცხადება გააკეთა, სადაც თქვა, რომ ხსენებული ხელშეკრულების აღსრულება და

უკრაინიდან სამხრეთ სუდანში იარაღის გაგზავნა არ მომხდარა. წინა წლების განმავლობაში უკრაინა ცივი სასროლი იარაღის, მსუბუქი შეიარაღებისა და სხვა ტიპის შეიარაღების სამხრეთ სუდანში ექსპორტს რეგულარულად ახდენდა.

იარაღით ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც უკრაინამ ხელი 2014 წელს მოაწერა, ქვეყანას ამ დრომდე არ აქვს რატიფიცირებული.

1. უკრაინა: შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში განხორციელებულ დაკავებებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის დაუსჯელობა უნდა შეწყდეს (EUR 50/5558/2017)
2. ლონდონიდან ჯუბამდე: სამხრეთ სუდანისთვის იარაღის მიწოდების ერთ-ერთ ყველაზე დიდ გარიგებაში ბრიტანული კომპანიის როლი იკვეთება (ACT 30/7115/2017)

უნგრეთი

უნგრეთი
სახელმწიფოს მეთაური: იანოშ ადერი
მთავრობის მეთაური: ვიქტორ ორბანი

ლტოლვილებისა და მიგრანტების უფლებების სისტემური შელახვა გაგრძელდა. უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებულ უნივერსიტეტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ახალმა კანონმდებლობამ შეზღუდვები დაუწესა.

ზოგადი მოცემულობა

ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოსვლის გამო უნგრეთის ხელისუფლება, ერთი მხრივ, ადგილობრივი კრიტიკისა და, მეორე მხრივ, გაზრდილი საერთაშორისო ყურადღების ქვეშ იყო. ევროკავშირის მიერ აღიარებული თავისუფლებების შემლახველი კანონმდებლობის მიღების გამო ევროპის კომისიამ უნგრეთის მიმართ ოთხი სამართლებრივი პროცედურა წამოიწყო. მაისში ევროპული პარლამენტის მიერ მიღებულ მრავლისმომცველ რეზოლუციაში ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გამო აღშფოთებაა გამოხატული. მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტი სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ, ხოლო 16% – მძიმე გაჭირვებაში იმყოფებოდა.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

უნგრეთმა ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებების შექმნა გააგრძელა. თავშესაფრის თაობაზე მოთხოვნით მიმართვა მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ორ სასაზღვრო „ტრანზიტულ ზონაში" შეიძლებოდა, სადაც თითო სამუშაო დღეს მხოლოდ ათი განაცხადი მიიღებოდა. ამ პოლიტიკის შედეგად, 6-დან 8 ათასამდე ადამიანი სერბეთში – შეუსაბამო პირობებში, მოუწყობელ ბანაკებში, თავშესაფრის დაკარგვისა და კიდევ უფრო სამხრეთით, მაკედონიასა და ბულგარეთში იძულებითი დაბრუნების რისკის ქვეშ – დარჩა ან დააბრუნეს.

მარტში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ილიასი და აჰმედი უნგრეთის წინააღმდეგ" განაცხადა, რომ თავშესაფრის მაძიებლების „ტრანზიტულ ზონებში" – რეალურად, უნგრეთის საზღვართან უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით დაცულ კონტეინერების ბანაკში – დაკავება თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას უტოლდებოდა. სასამართლოს თქმით, იმ ცუდი პირობების, რომლებშიც თავშესაფრის მაძიებლებს კვირების განმავლობაში ამყოფებდნენ, და მათთვის დაკავების გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმების არქონის გამო, უნგრეთმა მათი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკებისაგან ადეკვატური დაცვა ვერ შეძლო.

იმავე თვეში ეროვნულმა ასამბლეამ მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ხუთ კანონში საკანონმდებლო ცვლილებების

პაკეტი მიიღო, რამაც სასაზღვრო „ტრანზიტულ ზონებში“ თავშესაფრის ნებისმიერი მაძიებლის, ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე, ავტომატური დაკავება გახადა შესაძლებელი, მათ შორის 14-18 წლის არასრულწლოვანი პირების. ამ ცვლილებებმა თავშესაფრის ძიების სრული პროცესის განმავლობაში, მათ შორის – გასაჩივრების პერიოდში, მიგრანტთა დაკავება გახადა დასაშვები. შესაძლებელი გახდა ასევე უნგრეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა არარეგულარული მიგრანტის მავთულხლართებიანი საზღვრის მეორე მხარეს გადაყვანა.

შედეგად, უნგრეთში თავშესაფრის მაძიებელთა უმეტესობა პროცედურას ან გაექცა ან სასაზღვრო „ტრანზიტულ ზონებში“ განუსაზღვრელი ვადით იყო დაკავებული. წლის ბოლოსთვის, საზღვრის ტერიტორიაზე თითქმის 500 მიგრანტი იყო უკანონოდ დაკავებული. უნგრეთის ხელისუფლებამ უფლებადამცველ დამკვირვებლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მიგრანტებს სამართლებრივ დახმარებას სთავაზობდნენ, ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ან მეტისმეტად შეუზღუდა. ამ დრაკონული ზომების გამოყენება „მასობრივი იმიგრაციით გამოწვეულ კრიზისულ მდგომარეობაში“ იყო დასაშვები. თუმცა ხელისუფლება „კრიზისული მდგომარეობის“ რეჟიმის გახანგრძლივებას 2015 წლის სექტემბრის შემდეგ პერიოდულად ახდენდა; მიუხედავად ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ნაკლებობისა, აგვისტოს თვეში კრიზისული მდგომარეობა კიდევ ერთხელ, 2018 წლის მარტამდე, გახანგრძლივდა.

სამხრეთ საზღვართან უნგრეთმა სასაზღვრო მავთულხლართები და პოლიციის საგუშაგოები კიდევ უფრო გააძლიერა. 20 ათასზე მეტი ადამიანი იქნა დაუყოვნებლივ და ზოგ შემთხვევაში ძალადობრივად დაბრუნებული სერბეთში; ზოგსაც თავშესაფრის ძიების პროცედურების გავლის შესაძლებლობა ისე არ მიეცა, რომ მათი საჭიროებები მხედველობაშიც კი არ ყოფილა მიღებული. მარტში გაზეთ „მაგიარ ნემზეთმა“ გამოავლინა, რომ მიუხედავად ხელისუფლების განცხადებებისა, რომ ამ პროცესში ძალადობისა და უფლებამოსილების გადამეტებას შემთხვევებს ადგილი არ აქვს, სწორედ ამ ბრალდებით 18-თვიან პერიოდში 40-ზე მეტი საქმე იყო დაწყებული. გამოძიებათა უმეტესობა ყოველგვარი რეაგირების გარეშე დაიხურა.

სექტემბერში უნგრეთის ხელისუფლებამ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში საქმე წააგო. სასამართლომ ბრძანა, რომ ევროკავშირის გადაუდებელი რელოკაციის სქემაში და ლტოლვილების საბერძნეთიდან და იტალიიდან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში განაწილებაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება უნგრეთს არ აქვს. უნგრეთი განაგრძობდა მისთვის დაწესებული მინიმალური კვოტის, რომელიც 1 294 თავშესაფრის მაძიებელს შეადგენდა, განაწილებაზე და რეგიონული სოლიდარობის სხვა მექანიზმებში მონაწილეობაზე უარის თქმას. წლის ბოლოსთვის უნგრეთს ერთი მიგრანტიც კი არ ჰყავდა განსახლებული ან მიღებული.

გაერთიანების თავისუფლება

აპრილში უმაღლესი განათლების ეროვნული კანონში ცვლილებების სასწრაფო წესით შეტანამ განათლების ექსპერტებსა და მოსახლეობაში საყოველთაო უკმაყოფილება და კრიტიკა გამოიწვია. კანონმა, რომლის სამიზნეც კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულება, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (CEU) იყო, უნგრეთში მოღვაწე უცხოური უნივერსიტეტებისთვის ახალი ვალდებულებები გააჩინა, რომელთა შესასრულებლადაც ძალიან მჭიდრო ვადები დააწესა. ერთ-ერთი ვალდებულება სახელმწიფო დონეზე მიღებული ორმხრივი ხელშეკრულების მოთხოვნა იყო, რამაც ამ ინსტიტუტების ფუნქციონირება რისკის ქვეშ დააყენა. იმავე თვეში ევროპის კომისიამ უნგრეთის წინააღმდეგ, შეთანხმების დარღვევის

საფუძვლით, სამართლებრივი პროცედურები წამოიწყო. კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ კანონი ევროკავშირის ფუნდამენტურ თავისუფლებებთან წინააღმდეგობაში მოდის, მათ შორის – სერვისების მიწოდების, დაფუძნებისა და აკადემიურ თავისულებებთან. ოქტომბერში ეროვნულმა ასამბლეამ ამ ვადების გაზრდას დაუჭირა მხარი, რამაც ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთი კალენდარული წლის ვადა განსაზღვრა. წლის ბოლოსთვის უნგრეთის მთავრობას ნიუ იორკის შტატთან შეთანხმებისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღწეული, რაც ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ CEU-ს ფუნქციონირების გასაგრძელებლად არის საჭირო.

ივნისში ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებული კანონი უცხო ქვეყნებიდან დაფინანსების მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების სტიგმატიზებას ახდენს. უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ კანონით, არასამთავროები, რომელთა მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსებაც 24 ათას ევროს აღემატება, „უცხო ქვეყნიდან დაფინანსების მიმღებ სამოქალაქო ორგანიზაციად“ უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი იარლიყი მათ მიერ ყველა გამოქვეყნებულ ყველა მასალას უნდა ახლდეს. გარდა ამისა, კანონი არასამთავრობოებს ყველა იმ დამფინანსებლისა და მხარდამჭერის ვინაობის გამხელას ავალდებულებს, ვისი შემოწირულობაც 1 650 ევროს აღემატება. კანონის მიღებას თან ხელისუფლების მიერ წარმოებული არასამთავრობოების დისკრედიტაციის კამპანია ახლდა, სადაც რამდენიმე ორგანიზაცია ხელისუფლების სუვერენულობისა და უსაფრთხოებისათვის ძირის გამოთხრაში იქნა დადანაშაულებული. კანონის სამიზნე რომ კონკრეტული ორგანიზაციები იყვნენ იმაშიც გამოიხატა, რომ ის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზების მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ ტიპს ფარავდა. ეს დისკრიმინაციული კანონი ამ ორგანიზაციების გაერთიანების უფლებას ლახავს, უზღუდავს რა არასამთავრობოებს რესურსების მოძიების, მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობას.

ივლისის შუა რიცხვებში ევროპის კომისიამ უნგრეთს კიდევ ერთი სამართლებრივი დარღვევის პროცედურის შესახებ აცნობა, რისი საფუძველიც ამ კანონის გაერთიანების თავისუფლების პრინციპებთან შეუსაბამობა გახდა: კანონი კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის გაუმართლებელ და არაპროპორციულ შეზღუდვებს აწესებს და სიცოცხლის უფლების დაცვასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს.

აგვისტოში 20-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიციამ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის გაუქმების მოთხოვნით მიმართა.

კონტრტერორიზმი და უსაფრთხოება

ივნისში უნგრეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ სეგედის სააპელაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა, რომლითაც სირიელ კაც აჰმედ ჰ.-ს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი „ტერორიზმის აქტების“ ჩადენისათვის. სერბეთისა და უნგრეთის საზღვარზე 2015 წლის სექტემბერში ლტოლვილებისა და მიგრანტების ბუნტში მონაწილეობაში გამოიხატებოდა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული მასალები სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და საქმის გადასინჯვა მოითხოვა. აგვისტოში გენერალურმა პროკურორმა სააპელაციოს გადაწყვეტილება კურიაში, უნგრეთის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ნოემბერში კურიამ ბრძანა, რომ სააპელაციო სასამართლოს, საქმის გადასინჯვის მოთხოვნის მაგიერ, სავალდებულო გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. ამ ბრძანებას საქმის მიმდინარეობაზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია. წლის ბოლოსთვის, აჰმედ ჰ.-ს საქმე პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოს მიერ განხილვას ელოდებოდა.

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა

ოქტომბერში ძალაუფლების მქონე მამაკაცთა მიერ ჩადენილი ძალადობის ბრალდებებმა გაუპატიურებასა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების აღიარებასა და დევნაზე ეროვნული დებატები გამოიწვია. უნგრეთს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ჯერ კიდევ არ აქვს რატიფიცირებული. ასეთი დანაშაულების სამართლებრივი დევნის ბერკეტები შეზღუდული იყო.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა
სახელმწიფოს მეთაური: ფოსტენ არშანჟ ტუადერა
მთავრობის მეთაური: სიმპლის სარანჯი

დედაქალაქ ბანგის გარდა, ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ მინიმალურ კონტროლს ინარჩუნებდა. შეიარაღებული ჯგუფები ტერიტორიული კონტროლისთვის იბრძოდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას, ჰუმანიტარული მისიების თანამშრომლებსა და სამშვიდობოებს ესხმოდნენ თავს. დაუსჯელობის სინდრომი არასტაბილურობასა და კონფლიქტს კიდევ უფრო ამძაფრებდა. მეზობელ ქვეყნებში თავშესაფრის ძიების მიზნით სულ უფრო და უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი; ზოგი იძულებული იყო, ქვეყნის ფარგლებშივე გადაადგილებულიყო. ჰუმანიტარული დახმარება სულ ცოტა 2,4 მილიონ ადამიანს ესაჭიროებოდა, ხოლო 1,4 მილიონი – საკვების გარეშე რჩებოდა.

ზოგადი მოცემულობა

უაკას, ქვემო კოტოსა და ზედა კოტოს პრეფექტურებში (რეგიონებში) ძალადობამ ხელახლა იფეთქა. ქვეყნის დიდ ნაწილს შეიარაღებული ჯგუფები „ექსსელეკა“ და „ანტიბალაკა“ აკონტროლებდნენ.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაეროს მრავალგანზომილებიანი ინტეგრირებული სტაბილიზაციის მისია (MINUSCA) 2018 წლის 15 ნოემბრამდე გაგრძელდა. შეტაკებებზე ადეკვატური რეაგირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით მისიის გამოწვევებზე კრიტიკაზე საპასუხოდ, MINUSCA-ს ძალები გაიზარდა. სხვა 14 სამშვიდობო მისიების ბიუჯეტებთან ერთად, ივნისში გაერო MINUSCA-ს ბიუჯეტის 18,8 აშშ მილიონი დოლარით შემცირებასაც დათანხმდა.

აფრიკული კავშირის რეგიონული სპეციალური ჯგუფის მიერ „უფლის წინააღმდეგობის არმიის“ (LRA) განსადევნად განთავსებული ამერიკელი და უგანდელი ჯარისკაცები აპრილიდან მაისის ჩათვლით გაიწვიეს. მაისში ეროვნულმა ასამბლეამ მთავრობას მშვიდობის მიღწევის სამოქმედო გეგმა წარუდგინა, რომელიც მსხვერპლთა ეროვნული კომიტეტის შექმნას ითვალისწინებდა და ომის დანაშაულებისთვის ამნისტიას გამორიცხავდა.

ივნისში მთავრობამ და 14 შეიარაღებული ჯგუფიდან 13-მა მშვიდობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, შეიარაღებული ჯგუფების პოლიტიკურ წარმომადგენლობას და სიმართლისა და შერიგების კომისიის შექმნას ითვალისწინებდა. დაშვებული იყო შეწყალების შესაძლებლობაც.

ივლისში აფრიკის კავშირმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობისა და შერიგების სამოქმედო გეგმა წარმოადგინა, რომელმაც საერთო მედიაციის მექანიზმი შექმნა.

შეიარაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილი და საერთაშორისო სამართლის დანაშაულები

შეიარაღებული ძალები მკვლელობების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის, სექსუალური ძალადობის, გატაცებების, დაკავებების, გამოძალვისა და ძარცვის, ბავშვების რეკრუტირებისა და ექსპლოატაციისთვის, ჰუმანიტარულ მუშაკებსა და მათ ოფისებზე თავდასხმებისთვის იყვნენ პასუხისმგებელნი. ისინი ხელს უშლიდნენ, ასევე, ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას.

საერთაშორისო არასამთავრობო „უსაფრთხოების ორგანიზაციის“ ინფორმაციით, ჰუმანიტარული დახმარების სააგენტოების მიმართ 390-ზე მეტი ინციდენტი დაფიქსირდა და სულ ცოტა 15 ადგილობრივი ჰუმანიტარული მუშაკი იქნა მოკლული.

20-21 მარტს მბომუს პრეფექტურის ქალაქებში ბაკუმა და ნზაკო მომხდარი შეტაკებისას „ექსსელეკასა“ და „ანტიბალაკას“ მიერ სულ ცოტა 20 ადამიანი, მათ შორის – მშვიდობიანი მოსახლეობა, იქნა მოკლული.

11 აპრილს „ანტიბალაკასა“ და „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მშვიდობის კავშირს“ (UPC) შორის ბრძოლისას 11 მშვიდობიანი მოქალაქე იქნა მოკლული ბანგასუ-რაფაის გზაზე.

2 მაისს შეიარაღებულმა ჯგუფმა „დაბრუნება, ხელახლა მოპოვება და რეაბილიტაცია“ (3R) ნიმ იელევაში 12 ადამიანი მოკლა და ქალაქი 12 დღით დაიკავა.

7-დან 25 მაისის ჩათვლით UPC-ის შეტაკებებს ასობით სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა და ათასობით ადამიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიგრირება გამოიწვია, მათ შორის – ქალაქებში ალინდაო, ნზანგბა და მობაე. ალინდაოში სულ მცირე 130 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო ქალების გაუპატიურებას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

12-13 მაისს მბომუს პრეფექტურის ქალაქ ბანგასუში ტოკოიოს მუსლიმურ უბანსა და MINUSCA-ს ბაზას „ანტიბალაკა“ თავს დაესხა. გაეროს ინფორმაციით, სულ ცოტა 72 ადამიანი დაიღუპა, 76 – დაშავდა, ხოლო 4 400 – იძულებით გადაადგილდა; „წითელი ჯვარი “ მინიმუმ 115 დაღუპულს ვარაუდობდა.

16-დან 18 მაისამდე ქალაქ ბრიაში „ექსსელეკასა“ და „ანტიბალაკას“ შორის შეტაკებებისას სულ ცოტა 17 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, ხოლო 15 ათასი – იძულებით გადაადგილდა.

6 ივნისს „ცენტრალური აფრიკული რესპუბლიკის ხელახალი დაბადების სახალხო ფრონტის“ (FPRC) მიერ ნზაკოში „ანტიბალაკას“ პოზიციებზე თავდასხმისას მინიმუმ 18 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

20-23 ივნისს „ანტიბალაკასა“ და FPRC-ს შორის ბრიაში ბრძოლისას 80-ზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა.

27-დან 30 ივნისამდე ქალაქ ზემიოში „ანტიბალაკას“ მიერ მუსლიმურ უბნებზე თავდასხმისას სულ ცოტა 22 ადამიანი დაიღუპა.

1 ივლისს ნანა გრიბიზის პროვინციის ქალაქ კაგა ბანდოროში MPC-სა და „ანტიბალაკას“ შორის ბრძოლისას მინიმუმ 10 ადამიანი დაიღუპა.

29 ივლისსა და 1 აგვისტოს შორის „ექსსელეკასა“ და „ანტიბალაკას“ შორის შეტაკებებისას ქალაქ ბატანგაფოში სულ ცოტა 14 ადამიანი დაიღუპა და 24 ათასი იძულებით გადაადგილდა.

აგვისტოში „ანტიბალაკასა“ და UPC-ს შორის ბანგასუს მახლობლად მდებარე ქალაქ გამბოში მომხდარ შეტაკებებს სულ ცოტა 36 სამოქალაქო პირის, მათ შორის – „წითელი ჯვრის“ ექვსი თანამშრომლის, სიცოცხლე შეეწირა.

სექტემბერში FPRC-ის მეტოქე ფრაქციებს შორის დაპირისპირებას ბრიაში 10 ადამიანის სიკვილი მოჰყვა.

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შინ ასობით მუსლიმი დაბრუნდა, თუმცა მათი დევნა არ შეწყვეტილა. თავდასხმების შიში მათ მოძრაობას ზღუდავდა და, ხშირ შემთხვევაში, რელიგიის დამალვას აიძულებდა.

წლის განმავლობაში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, საერთაშორისო

ორგანიზაციების ინფომაციით, LRA-მ 113 თავდასხმა მოაწყო, რასაც მინიმუმ 12 სამოქალაქო პირის მსხვერპლი და 362 გატაცება მოჰყვა.

10 ოქტომბერს ქვედა კოტოს პროვინციის ქალაქ კემბეში მეჩეთზე „ანტიბალაკას" თავდასხმას სულ ცოტა 25 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 18 ოქტომბერს „ანტიბალაკასა" და UPC-ს შორის მბომუს პროვინციის ქალაქ პომბოლოში მომხდარ შეტაკებას 26 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

ნოემბერში ამოუცნობი თავდამსხმელების მიერ აფეთქებულ ყუმბარას ბანგიში გამართული კონცერტისას ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მშვიდობისმყოფელთა მიერ ჩადენილი დარღვევები

გაეროს მშვიდობისმყოფელ ჯარისკაცთა მიერ სექსუალური ხასიათის ექსპლოატაციისა და ძალადობის შემთხვევები კვლავ ფიქსირდებოდა. იანვარში გაეროს გენერალურმა მდივანმა ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისა და მისი პრევენციისათვის ახალი სპეციალური ჯგუფი შექმნა. გაერომ მშვიდობისმყოფელთა ბრალეულობის შემცველი 21 საქმე დააფიქსირა, მათ შორის ექვსი – ბავშვის მიმართ. ივნისში კონგოს რესპუბლიკამ სექსუალური ძალადობის დანაშაულების ნიადაგზე დაახლოებით 650 ჯარისკაცი გაიწვია.

30 სექტემბერს ქალაქ ბამბარში მინიმუმ ერთმა მავრიტანელმა მშვიდობისმყოფელმა ნარკოტიკული საშუალებებით საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია და გააუპატიურა ქალი. MINUSCA-მ საქმეზე გამოძიება სწრაფად დაიწყო და მისი ბოლომდე მიყვანის ვალდებულება აიღო.

ძალადობის თაობაზე რამდენიმე საქმეზე, რომლებიც ოპერაცია „სანგარის" წარმომადგენელი საფრანგეთის ძალების მიმართ აღიძრა, მშვიდობისმყოფელები გამართლდნენ. მარტში პარიზის პროკურორმა 2013-დან 2014 წლამდე დედაქალაქ ბანგიში მპოკოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში გაუპატიურების საქმეზე გამოძიების შეწყვეტა მოითხოვა. ბრალდების თანახმად, საქმეში „ოპერაცია სანგარის" სულ ცოტა 14 ჯარისკაცი და რეგიონული „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის საერთაშორისო მხარდაჭერის მისიის" (MISCA) 5 ჯარისკაცი, აფრიკის კავშირის ჯარისკაცები და მშვიდობისმყოფელები იყვნენ გარეულნი. პროკურორმა გადაწყვიტა, რომ მსხვერპლთა ჩვენებები ბრალდებას სათანადოდ ვერ ამყარებდა.

ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

აპრილსა და მაისში ძალადობის ესკალაციამ მეზობელ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა გამოიწვია. წლის ბოლოსთვის ჩადში, კამერუნში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კონგოს რესპუბლიკაში დაახლოებით 538 ათასი ადამიანი იყო გაქცეული. 601 ათასი ადამიანი ქვეყნის შიგნით მიგრირდა და იმპროვიზებულ ბანაკებში მძიმე პირობებში – საკვების, წყლის, ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული საშუალებების გარეშე – ცხოვრობდა.

დაუსჯელობა

ადამიანის უფლებათა დარღვევებში ეჭვმიტანილი ბევრი პირის, მათ შორის – შეიარაღებული ჯგუფებისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლების, მოქმედებები არ გამოძიებულა და მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ეროვნული სასამართლო სისტემის კოლაფსი და მისი აღდგენის ნელი ტემპები დაუსჯელობის სინდრომს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

26 სექტემბერს MINUSCA-მ FPRC-ისა და MPC-ის ექვსი წევრი დააკავა. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ისინი 1 მარტს დააპატიმრა და საქმე აღძრა. ეჭვმიტანილები სასამართლოს წინაშე წლის ბოლოსთვის ჯერ ისევ არ იყვნენ წამდგარნი.

ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით დასავლეთში მდებარე ქალაქ ბუარის

სასამართლომ „ანტიბალაკას“ რვა წევრს ოთხ საქმეზე 20 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. ისინი დამნაშავედ შემდეგ დანაშაულებში იქნენ ცნობილნი: კრიმინალური დაჯგუფების შექმნა, შინ დამზადებული იარაღის ფლობა, მკვლელობა და ქურდობა. დანარჩენ წევრებს პატიმრობა დაუსწრებლად მიესაჯათ.

წლის დასაწყისში გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ 2018 წლის 31 იანვრამდე გახანგრძლივებული ქონების დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილება, ისევე როგორც იარაღის ემბარგო და მგზავრობის აკრძალვა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ ვერ შეასრულა. გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი ზოგიერთი პირი სახელმწიფოსგან ხელფასს კვლავ იღებდა.

აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით რამდენიმე პირის მიმართ აშშ-მა ფინანსური სანქციები დააწესა, მათ შორის – FPRC-ს წამყვანი წევრი აბდულეი ჰისენესა და „ანტიბალაკას“ ლიდერ მაქსიმე მოკომის მიმართ. ივნისში ჩადის ხელისუფლებამ აბდულეი ჰისენესთვის ქონების დაყადაღებისა და მისთვის ქვეყნის საზღვრის კვეთის აკრძალვის თაობაზე გააკეთა განცხადება.

საერთაშორისო სამართალი

სისხლის სამართლის საქმეთა სპეციალური სასამართლოს (SCC), რომელმაც ადამიანის უფლებათა მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილების საქმეები და საერთაშორისო სამართლის დარღვევები უნდა განიხილოს, კონცეფციის განსაზღვრის საკითხში პროგრესი იყო. SCC-ის სპეციალურმა პროკურორმა თანამდებობა მაისში დაიკავა, რასაც ხუთი ეროვნული მაგისტრატისა და ორი საერთაშორისო მაგისტრატის დასახელება და სასამართლო პოლიციის თანამშრომლების შესარჩევი კომისიის შექმნა მოჰყვა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გამოძიება საქმეზე „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მდგომარეობა 2“ გაგრძელდა, თუმცა პასუხისგებაში არავინ მიცემულა. მარტში სასამართლომ ჟან-პიერ ბემბა გომბოს 18-წლიანი სასჯელი 19-მდე გაზარდა მას შემდეგ, რაც ბრალდებულისა და მისი ადვოკატთა გუნდის მიერ 2016 წელს მოწმეების მოქრთამვის მცდელობა დადგინდა.

ეროვნული რესურსები

20 ივლისს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლომ ბელგიური ბრილიანტის კომპანიების „ბადიკასა“ და „კარდიამის“ ქონების დაყადაღება ბრძანა. ამ კომპანიებმა, აკრძალვის მიუხედავად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან ბრილიანტის შესყიდვა გააგრძელეს.

ცხოვრების სათანადო დონის უფლება

გაეროს მონაცემებით, ჰუმანიტარული დახმარება მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს (2,4 მილიონი ადამიანი) ესაჭიროებოდა, ხოლო 1,4 მილიონს – საკვები არ ჰქონდა.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა კონფლიქტის გამო მთლიანად ჩამოშლილი იყო. მოსახლეობას საჭირო სერვისებს, ძირითადად, ჰუმანიტარული ორგანიზაციები აწვდიდნენ. ძალადობის ესკალაცია ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ქალაქებისა და სოფლებიდან თანამშრომლების დროებით გაწვევას აიძულებდა.

გაეროს განცხადებით, უსაფრთხო სასმელ წყალსა და ადეკვატურ სანიტარულ საშუალებებზე მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს ჰქონდა წვდომა.

საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18

ადამიანის უფლებები მსოფლიოში

საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/18 მსოფლიოს 159 ქვეყანასა და ტერიტორიაზე 2017 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას ასახავს. წინამდებარე დოკუმენტი საერთაშორისო ამნისტიის შეხედულებებსა და მოწოდებებს წარმოადგენს და პოლიტიკოსების, აქტივისტებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის სავალდებულო საკითხავია.

2017 წელს კონფლიქტმა, მკაცრმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და სტიქიურმა უბედურებამ ბევრი ადამიანი კიდევ უფრო ღრმა გაჭირვებაში ჩააგდო და დაუცველი გახადა. მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა, სახლიდან გაქცეულიყო და თავისი ქვეყნის ფარგლებში თუ საზღვრებს გარეთ თავშესაფარი ეძია. დისკრიმინაცია მსოფლიოს ყველა რეგიონში ფართოდ იყო გავრცელებული და, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლთათვის სასიკვდილო შედეგები მოჰქონდა. გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებებს ყველა ტიპის ხელისუფლება ზღუდავდა – მათ შორის, ჟურნალისტებზე, ადამიანის უფლებათა აქტივისტებსა და გარემოსდამცველებზე მუქარისა და თავდასხმების გზით.

და მაინც, მსოფლიოს ყველა რეგიონში ადამიანთა გამბედაობა და სიმტკიცე გამოსჭვიოდა: 2017 წელს მილიონობით პირმა აიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ და საკუთარი უფლებების რეალიზება მოითხოვა. ამ ადამიანებმა წარსული დანაშაულებისთვის სამართლიანობის მიღწევას შეუწყვეს ხელი, ყოველდღიურად ახსენებდნენ რა ხელისუფლებაში მყოფთ, რომ მათი ქმედებებისათვის პასუხი აუცილებლად მოეთხოვებათ. მართალია, გასაკეთებელი კვლავ ბევრია, თუმცა მსოფლიო წინსვლა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანთა უფლებები, ცხადად წარმოაჩენს, თუ რამდენის მიღწევაა შესაძლებელი, თუ ადამიანის უფლებების დასაცავად ყველანი ხმას ავიმაღლებთ.

amnesty.org

AMNESTY INTERNATIONAL